

რუსუდან ზაქარაიძის

ქართული ენა (მთავარი პრაქტიკული კურსი)

რუსუდან ზაქარაიძის

# ქართული ენა

მთავარი პრაქტიკული კურსი



ზრუნველან სექსლამედი

ქართული ენა

ძოკლე ბრექტიკული კურსი

ბრუნებისა და უღლების ტაბულებით



ქართული, როგორც უცხო ენა

ლოგოსი

2018

თბილისი

„ქართული ენა. მოკლე პრაქტიკული კურსი“ მოიცავს ქართული ენის ფონეტიკის მოკლე შესავალს, მარტივად გადმოცემულ მორფოლოგიას, სინტაქსს, სიტყვათა წარმოქმნისა და მართლწერის საკითხებს. წიგნს ერთვის სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების ტაბულები.

ქართული ენის მოკლე პრაქტიკული კურსი გათვალისწინებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ქართულის შესწავლით დაინტერესებული პირებისთვის — ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის შემსწავლელებისთვის, სკოლის მოსწავლეების, აბიტურიენტების, სტუდენტებისა და არაქართულენოვან აუდიტორიასთან მომუშავე მასწავლებლებისათვის.

**რედაქტორები:** პროფ. მარია ოძელი

პროფ. შუჟუნა ფეიქრიშვილი

**რეცენზენტი:** პროფ. რამაზ ქურდაძე

©რუსუდან ზექალაშვილი, 2018

©გამომცემლობა „ლოგოსი“

**ISBN 978-9941-468-45-2**

## წინასიტყვაობა

ნიგნში „ქართული ენა. მოკლე პრაქტიკული კურსი“ მარტივადაა გადმოცემული ქართული ენის ფონეტიკის, გრამატიკის, სიტყვანარმოებისა და კომპოზიციის ძირითადი საკითხები, საუბარია ეტიკეტური სიტყვა-გამოთქმების შესახებ, განხილულია მართლწერის წესებიც. საილუსტრაციო მასალა ამოღებულია ქართული მწერლობის ნიმუშებიდან. ამას გარდა, ნიგნს ახლავს 100-მდე ტაბულა – სახელთა ბრუნების, ზმნის პირთა კომბინაციებისა და უღლების პარადიგმები.

ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები ნიგნში გადმოცემულია ტრადიციულად, ზოგჯერ დასახელებულია მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებებიც.

2016 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების“ პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში (პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი: პროფ. მარია ოძელი) მომზადდა „ქართული ენის მოკლე კურსი მასწავლებლისთვის“ (იხ. ვებგვერდი „ქართული, როგორც უცხო ენა“ [www.geofl.ge](http://www.geofl.ge)). კურსი გადავამუშავეთ, განვაფრცეთ და შევავსეთ სათანადო საილუსტრაციო მასალით, რომ გამოსადეგი ყოფილიყო უფრო ფართო მომხმარებლისთვის.

ვფიქრობთ, „ქართული ენა. მოკლე პრაქტიკული კურსი“ ერთგვარი გზამკვლევი იქნება ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია ქართული ენის გრამატიკის საკითხებით, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც სწავლობს ქართულს, როგორც უცხო/მეორე ენას, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის, აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის.

20.04.2018



# ს ა რ ჩ ე ვ ი

## თავი პირველი — ფონეტიკა

1.1.	ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები ქართულში .....	9
1.2.	ბგერითი ცვლილებები სიტყვაში .....	12
1.3.	ქართული ანბანი.....	17

## თავი მეორე — მორფოლოგია

2.	მეტყველების ნაწილები .....	18
2.1.	არსებითი სახელი .....	20
2.1.1.	არსებით სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით .....	21
2.1.2.	არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება .....	25
2.1.3.	არსებით სახელთა ბრუნება .....	28
2.1.3.1.	არსებით სახელთა ბრუნების ტიპები .....	30
2.1.4.	არსებითი სახელი მსაზღვრელად .....	43
2.1.5.	სიტყვანარმოება. არსებით სახელთა წარმოება .....	45
2.1.5.	რთულ სიტყვათა წარმოება .....	48
2.2.	ზედსართავი სახელი .....	50
2.2.1.	ზედსართავ სახელთა ხარისხის წარმოება ..	51
2.2.2.	ზედსართავ სახელთა ბრუნება .....	53
2.2.3.	ზედსართავი სახელი მსაზღვრელად .....	55
2.2.4.	ზედსართავ სახელთა წარმოება .....	57
2.3.	რიცხვითი სახელი .....	61
2.3.1.	რიცხვით სახელთა წარმოება .....	62
2.3.2.	რიცხვით სახელთა ბრუნება .....	64
2.4.	ნაცვალსახელი .....	66
2.4.1.	ნაცვალსახელის ჯგუფები .....	66
	1. პირის ნაცვალსახელები .....	67

	2. ჩვენებითი ნაცვალსახელები .....	68
	3. კითხვითი ნაცვალსახელები .....	70
	4. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები .....	72
	5. კუთვნილებითი ნაცვალსახელები .....	72
	6. მიმართებითი ნაცვალსახელები .....	74
	7. უარყოფითი ნაცვალსახელები .....	74
	8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები .....	75
	9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ..	76
<b>2.5.</b>	<b>ზმნა</b> .....	77
	2.5.1. ზმნის პირი და რიცხვი .....	78
	2.5.2. ზმნის დრო .....	85
	2.5.3. ზმნის კილო .....	86
	2.5.4. ზმნის გარდამავლობა .....	90
	2.5.5. ზმნისწინი .....	90
	2.5.6. ასპექტი .....	93
	2.5.7. სერიები და მწკრივები .....	95
	2.5.8. ფუძე, ძირი, თემა .....	101
	2.5.9. ზმნის გვარი .....	103
	2.5.9.1. მოქმედებითი გვარი .....	105
	2.5.9.2. ვნებითი გვარი .....	105
	2.5.9.3. საშუალო გვარი .....	107
	2.5.10. ზმნის ქცევა .....	109
	2.5.11. კონტაქტი .....	111
	2.5.12. თავისებური ზმნები .....	113
	2.5.13. ზმნების წარმოება .....	116
<b>2.6.</b>	<b>სახელზმნა</b> .....	117
	2.6.1. საწყისი .....	118
	2.6.2. საწყისის წარმოება .....	119
	2.6.3. მიმღობა .....	120
	2.6.4. მიმღობის წარმოება .....	121
<b>2.7.</b>	<b>ზმნიზედა</b> .....	123
	2.7.1. ზმნიზედების წარმოება .....	124
<b>2.8.</b>	<b>თანდებული</b> .....	127
<b>2.9.</b>	<b>კავშირი</b> .....	130

2.10.	ნაწილაკი .....	131
2.11.	შორისდებული .....	133

## **თავი მესამე — სინტაქსი**

3.1.	სინტაქსური ურთიერთობის სახეები .....	135
3.2.	წინადადების სახეები მტკიცების მიხედვით .....	137
3.3.	წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით .....	138
<b>3.4.</b>	<b>წინადადების ნევრები .....</b>	<b>141</b>
3.4.1.	შემასმენელი .....	141
3.4.2.	ქვემდებარე .....	143
3.4.3.	დამატება-ობიექტები .....	145
3.4.4.	უბრალო დამატება .....	147
3.4.5.	განსაზღვრება .....	148
3.4.6.	გარემოება .....	152
<b>3.5.</b>	<b>წინადადების სახეები აგებულების მიხედვით .....</b>	<b>155</b>
3.5.1.	მარტივი წინადადების ტიპები.....	156
3.5.2.	შერწყმული წინადადება .....	160
3.5.3.	რთული წინადადება .....	162
3.5.3.1.	რთული თანწყობილი წინადადება ..	163
3.5.3.2.	რთული ქვეწყობილი წინადადება ..	164
3.5.3.3.	რთული ქვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებულით .....	171
3.5.3.4.	რთული ქვეწყობილი წინადადების ჩანაცვლება მარტივით .....	173
<b>3.6.</b>	<b>პირდაპირი და ირიბი ნათქვამი .....</b>	<b>176</b>
<b>3.7.</b>	<b>განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები .....</b>	<b>177</b>
3.7.1.	განკერძოებული განსაზღვრება .....	177
3.7.2.	განკერძოებული გარემოება .....	178
3.7.3.	მიმართვა .....	179
3.7.4.	დანართი .....	181
3.7.5.	ჩართული .....	181
3.7.6.	ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები .....	183

## თავი მეოთხე — ჰუნეტუაცია

4.1.	ნერტილი .....	187
4.2.	კითხვის ნიშანი .....	188
4.3.	ძახილის ნიშანი .....	188
4.4.	მრავალნერტილი .....	189
4.5.	ნერტილ-მძიმე .....	190
4.6.	ორნერტილი .....	190
4.7.	მძიმე .....	191
4.8.	ტირე .....	192
4.9.	ფრჩხილები .....	194
4.10.	ბრჭყალები .....	194
4.11.	სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან .....	194

## დანართი — ბრუნებისა და უღლების ტაბულები

5.1.	სახელთა ბრუნების ტაბულები .....	196
5.1.1.	არსებითი სახელები .....	196
5.1.2.	ზედსართავი სახელები .....	203
5.1.3.	რიცხვითი სახელები .....	205
5.1.4.	ნაცვალსახელები .....	206
5.2.	პირთა კომბინაციები და უღლების ტაბულები .....	211
5.2.1.	ზმნის პირთა კომბინაციები .....	211
5.2.2.	ზმნათა უღლების ტაბულები	214
	I ჯგუფი: ბრუნვაცვალეზადი სუბიექტის მქონე ზმნები.....	215
	II ჯგუფი: ბრუნვაუცვლელი სუბიექტის მქონე ზმნები .....	222
	III ჯგუფი: მიცემითბრუნვიანი სუბიექტის მქონე ზმნები .....	230
	IV. თავისებური ზმნები .....	234

ლიტერატურა .....	241
------------------	-----

# თავი პირველი

## ფონეტიკა

### 1.1. ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები ქართულში

ბგერა ორგვარია: **ხმოვანი** და **თანხმოვანი**. ბგერა წარმოითქმის, ხოლო მისი წერილობითი ნიშანია **ასო**.

#### 1. ხმოვნების დახასიათება

**ხმოვნის** წარმოთქმისას ფილტვებიდან ამონადენ ჰაერს არ ხვდება დაბრკოლება და თავისუფლად ამოდის. ქართულში ხმოვანი ხუთია: **ა, ე, ი, ო, უ**.

ხმოვნები ერთმანეთისაგან განსხვავდება ენის ზურგისა და **ბაგეების** მონაწილეობის (ლაბიალურობის), ენის ზურგის **ანეულობისა** და **ლიაობის** მიხედვით.


**წინა** რიგის ხმოვნებია: **ე, ი**

**უკანა** რიგის **ლაბიალიზებული** ხმოვნებია: **ო, უ**

**შუა** რიგის **დაბალი** ანეულობის ხმოვანია **ა**.

**საშუალო** ანეულობის ხმოვნებია: **ე, ო**

**მაღალი** ანეულობის ხმოვნებია: **ი, უ**



ხმოვნების წარმოთქმის დროს ხორხში მოთავსებული სახმო სიმები პერიოდულად ირხევა და ჟღერს, ამიტომ ყველა ხმოვანი **მჟღერია**.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხმოვნები არ განიჩქევა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით, არაა უმლაუტიზებული და არ ქმნის დიფთონგებს (ორხმოვანებს).

**2. თანხმოვნების დახასიათება**

ქართულში თანხმოვანი **ოცდარვაა: ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, პ, ყ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, ნ, ჭ, ხ, ჯ, ჰ.**

**თანხმოვნის** წარმოთქმისას მონანილობს სხვადასხვა სამეტყველო ორგანო, ამის მიხედვით გვაქვს ბაგისმიერი, კბილისმიერი, ნუნისმიერი, სასისმიერი და სხვა ბგერები, ამ დროს ჰაერის ნაკადს უხდება დაბრკოლების გადალახვა.

წარმოთქმის ადგილი	მჟღერი	ყრუ		მჟღერი		ყრუ			
		ფშვინვიერი	მკვეთ-რი			ფშვინვიერი			
წყვილ-ბაგისმიერი	ბ	ფ	პ	მ					
კბილისმიერი	დ	თ	ტ						
კბილ-ბაგისმიერი				ვ					
ნუნისმიერი				ნ, რ, ლ					
წინანუნის-მიერი	ძ (დ+ზ)	ც (თ+ს)	წ (ტ+ს)		ზ	ს	სისინა	რთუ-ლი	
უკანანუნის-მიერი	ჯ (დ+ყ)	ჩ (თ+შ)	ჭ (ტ+შ)		ყ	შ	შიშინა		
უკანასასის-მიერი	გ	ქ	კ		ლ	ხ			
ხახისმიერი			ყ						
ხორხის-მიერი		ჰ							

**ა) თანხმომცემი წარმოთქმის ადგილის მიხედვით** (იხ. სქემაში ა. შანიძის კლასიფიკაცია):

ცხვირისმიერი ანუ ნაზალურია **მ** და **ნ** თანხმომცემი, **რ** — მთრთოლი (ვიბრანტი), **ლ** — გვერდითი (ლატერალი), ხოლო **ნ, რ, ლ, მ** თანხმომცემი ე. წ. **ნარნარა** (სონორი) ბგერებია.

**ბ) თანხმომცემი დაბრკოლების რაგვარობის მიხედვით:**

თანხმომცემთა წარმოთქმის დროს საწარმოთქმო ორგანოებთან წარმოიშობა **დაბრკოლება**, რომლის რაგვარობის მიხედვით გამოიყოფა **ხშული, ნაპრალოვანი** და **შერეული რაგვარობის** თანხმომცემი.

**ხშულ-მსკდომი** თანხმომცემია: **ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; გ, ქ, კ, ყ.**

**ნაპრალოვანი** თანხმომცემია: **ზ, ს; ყ, შ; ლ, ხ; ვ, ჰ.**

**შერეული** რაგვარობის (ხშული და ნაპრალოვანი) თანხმომცემია: (აფრიკატები) **ძ, ც, ნ; ჯ, ჩ, ჭ; (მთრთოლი) რ,** (გვერდითი) **ლ,** (ცხვირისმიერი) **მ, ნ.**

**გ) თანხმომცემი სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით:**

სახმო სიმები პერიოდულად ირხევა და ჟღერს **13 თანხმომცემის** წარმოთქმისას. ესენია მჟღერი თანხმომცემები: **ბ, გ, დ, ვ, ზ, ლ, მ, ნ, ყ, რ, ლ, ძ, ჯ.**

ზოგიერთი თანხმომცემის წარმოთქმის დროს სახმო სიმები არ ირხევა და, ცხადია, არც ჟღერს, ბგერები ყრუდ მოისმის. მათ **ყრუ** ბგერებს უწოდებენ. ქართულში **15** ყრუ თანხმომცემია: **თ, კ, პ, ს, ტ, ფ, ქ, ყ, შ, ჩ, ც, ნ, ჭ, ხ, ჰ.**

ყრუ თანხმომცემი, თავის მხრივ, ორგვარია: ყრუ მკვეთრი და ყრუ ფშვინვიერი.

**ფშვინვიერია** თანხმომცემი, რომლის წარმოთქმის დროს ფილტვებიდან ამოდის ჰაერის დიდი ნაკადი და ისმის ფშვინვა. ფშვინვიერი თანხმომცემია: **ფ, თ, ც, ჩ, ქ, ს, შ, ხ, ჰ.**

**მკვეთრია** თანხმომცემი, რომლის წარმოსათქმელად საკმარისია ჰაერის მარაგი, რომელიც პირის ღრუშია (მათ აბრუპტივებს უწოდებენ). ასეთი თანხმომცემია: **კ, ტ, პ, ნ, ჭ, ყ.**

## 1.2. ბგერითი ცვლილებები სიტყვაში

სიტყვის ბგერითი შედგენილობა დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს.

ზოგ სიტყვაში ბგერა ან შეიცვალა, ან დაიკარგა. ასეთ ცვლილებას **ფონეტიკური მოვლენა** ჰქვია. ეს მოვლენებია: **ბგერის გაჩენა, ბგერის დაკარგვა, კუმშვა, კვეცა, ასიმილაცია** (დამსგავსება), **დისიმილაცია** (განმსგავსება), **სუბსტიტუცია** (ბგერის ჩანაცვლება), **მეტათეზისი** (ბგერათა გადასმა) და სხვ.

ძველად იყო:	ახლა არის:
ტფილი →	თბილი
ლბილი →	რბილი
ლელნამი →	ლერნამი
სიმშილი →	შიმშილი
ჰამბავი →	ამბავი

ბგერათა ცვლილებების შედეგად სიტყვათა ნაწილი სალიტერატურო ქართულში შეცვლილი სახით შევიდა. მაგალითად, დამკვიდრებულია ფონეტიკურად სახეცვლილი სიტყვები: ცამეტი (← ათსამეტი), თვრამეტი (← ათრვამეტი), ხვნა (← ხნვა) და სხვ.

ზოგიერთი ცვლილება დამახასიათებელია მხოლოდ კუთხური მეტყველებისთვის და მიუღებელია სალიტერატურო ენისთვის. მაგალითად, დიალექტურია: თებზი, ქფილი, ნავხე, ლაპარიკობს (უნდა იყოს: თევზი, ფქვილი, ვნახე, ლაპარაკობს) და სხვ.

### 1. ბგერის ჩართვა, ბგერის დაკარგვა

სიტყვაში დროთა განმავლობაში შეიძლება **გაჩნდეს ბგერა**. მაგალითად, ძველ ქართულში იყო **ტრედი**, დღეს კი სალიტერატურო ფორმად მიჩნეულია: მტრედი...

ბგერაჩართულ ფორმათა ნაწილი დამკვიდრებულია სალიტერატურო ქართულში, როგორც მართებული:

ამოსავალი	მიღებული
მე-ტყე-ე →	მეტყე-ვ-ე
მე-რძე-ე →	მე-რძე-ვ-ე
აქვა-ებს →	აქვა-ვ-ებს
ინრო →	ვინრო

ზოგჯერ კი ასეთი სიტყვა მხოლოდ კუთხურ მეტყველებაშია გავრცელებული და უმართებულოა (კი-ნ-ტრი ← კიტრი, მ-ბალი ← ბალი და სხვ.)

სიტყვაში დროთა განმავლობაში შეიძლება **დაიკარგოს ბგერა**. მაგალითად, დაკარგულია ბგერები ქართულ სიტყვებში:

იყო:	დღეს არის:
ათერთმეტი →	თერთმეტი
მფრინველი →	ფრინველი
აღვიდა →	ავიდა
განცოფება →	გაცოფება
დედისდა →	დეიდა
ჰამბავი →	ამბავი

შშირად იკარგება სიტყვაში **-ს, -ვ ან მ-** ბგერები, ზოგჯერ - **ჰ** ბგერა: მამის+და → **მამიდა**, ძიძის+შვილი → **ძიძიშვილი**, ცის+სარტყელა → **ცისარტყელა...**

**-ზე, -ში და -თან** თანდებულების წინ იკარგება ბრუნვის ნიშანი **-ს**: **სოფელში** (←სოფელ-ს+ში), **ზღვაზე** (←ზღვა+ს+ზე), **შვილთან** (←შვილ+ს+თან) და სხვ.

ძველ ქართულში იყო **მთხუნველი**, ახლა გამოიყენება **მთხუნელა** და სხვ.

ზოგიერთ ნესასხებ სიტყვაში დაკარგულია **ჰ**:

იყო:	არის:
ჰაზრი →	აზრი
ჰალალი →	ალალი
ჰაქიმი →	ექიმი
მიჰრონი →	მირონი

ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ იკარგება ზმნის პირის ნიშნები: მე უამბობ (უნდა იყოს ვ-უამბობ), მე ვარჯიშობ (უნდა იყოს ვ-ვარჯიშობ), ის მეგობარს წიგნს თხოვს (უნდა იყოს ს-თხოვს) და სხვ.

## 2. ფუძის კუმშვა და კვეცა

სახელთა ბრუნების ან ახალი სიტყვის წარმოების დროს შეიძლება დაიკარგოს ფუძისეული ხმოვანი. ამ ფონეტიკურ მოვლენას **ფუძის კუმშვა** ან **კვეცა** ჰქვია: შარვალი → შარვლის, მამალი → მამლის, ძმა - ძმის, დღე → დღის...

ბრუნების დროს ფუძეში იკარგება **ა, ე, ო** ხმოვნები: ირემი → **ირმის**, ბეჭედი → **ბეჭდის**, ცა → **ცის**, პაპა → **პაპის** და სხვ.

ბრუნვის ნიშნის დართვის შედეგად ფუძის შიგნიდან ხმოვნის ამოვარდნას **კუმშვა** ეწოდება, ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას კი — **კვეცა**:

კუმშვა	კვეცა
ატამ-ი → ატმ-ის	ქვა → ქვ-ის
მერცხალ-ი → მერცხლ-ის	ზღვა → ზღვ-ის
ბოსტან-ი → ბოსტნ-ის	პაპა → პაპ-ის
ირემ-ი → ირმ-ის	მინა → მინ-ის
ურემ-ი → ურმ-ის	ტყე → ტყ-ის
სოფელ-ი → სოფლ-ის	მზე → მზ-ის
ფოთოლ-ი → ფოთლ-ის	კლდე → კლდ-ის

კუმშვას ან კვეცას იწვევს ფუძეზე დერივაციული აფიქსების დართვაც: ურემი → **მეურმე**, სოფელი → **სოფლური**, ქათამი → **საქათმე**, ცა → **ციური**, მამა-პაპა → **მამაპაპური**...

### 3. ასიმილაცია ანუ ბგერის დამსგავსება

სიტყვაში შეიძლება ერთმა ბგერამ მეორის ზეგავლენა განიცადოს და დაემსგავსოს ან განემსგავსოს მას. ბგერის დამსგავსების ფონეტიკურ მოვლენას **ასიმილაცია (ბგერის დამსგავსება)** ჰქვია. სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია ბევრი ასიმილირებული ფორმა: **შიში** (← სიში), **შეშა** (← სეშა), **ცეცხლი** (← სეცხლი), **ჭიშკარი** (← ბჭისკარი), მაგრამ **დიალექტურია**:

დიალექტური ფორმა	სალიტერატურო ფორმა
წვეიდა	← წაწიდა
დოუძახა	← დაუძახა
დეემართა	← დაემართა
ერდგული	← ერთგული
მზგავსი	← მსგავსი
ვაშკაცი	← ვაჟკაცი
კპილი	← კბილი
მიხვთა	← მიხვდა
ამბოფს	← ამბოფს

### 4. დისიმილაცია ანუ ბგერის განმსგავსება

როცა სიტყვაში გვერდიგვერდ ან ახლოს დგას ორი ერთნაირი (ან მსგავსი) ბგერა, ერთ-ერთი შეიძლება სხვა ბგერად იქცეს. ამ ფონეტიკურ მოვლენას **დისიმილაცია (ბგერის განმსგავსება)** ჰქვია:

შეცვლილი ფორმა	ამოსავალი ფორმა
<b>რბილი</b>	← ლბილი
<b>ლერნამი</b>	← ლელნამი
<b>გურული</b>	← გურური
<b>რაჭული</b>	← რაჭური
<b>დამშრალი</b>	← დამშრარი
<b>მწერალი</b>	← მწერარი

### 5. მეტათეზისი ანუ ბგერის გადასმა

ხშირად სიტყვაში ბგერა გადაინაცვლებს წინ ან მომდევნო ადგილას. ქართულში უმეტესად ადგილს იცვლის **ვ**, **რ** ან **ლ** ბგერები.

დღეს სალიტერატურო ფორმებია: **ხვნა** (მიღებულია ზმნისგან: ხნავს → ხნვა), **კვლა** (კლავს → კლვა), **თვრამეტი** ← (ა)თ+რვა+მეტი, მაგრამ დიალექტურია: **თუთხმეტი** (← თხუთმეტი), **ნავხე** (← ვნახე), **ზრუგი** (←ზრუგი), **ცალიერი** (←ცარიელი)...

### 6. სუბსტიტუცია ანუ ბგერის ჩანაცვლება

სიტყვაში ერთი ბგერა შეიძლება **ჩაენაცვლოს** მეორეს, რასაც **სუბსტიტუცია**ს უწოდებენ. მაგალითად, სალიტერატურო ფორმა **საბძელი** მიღებულია სიტყვისგან **ბზე** და უნდა ყოფილიყო სა-ბზ-ელ-ი; სუბსტიტუციის შემთხვევები უფრო გავრცელებულია კუთხურ მეტყველებაში: **ნამთი** (← ნავთი), **ნევისი** ან **ნეფსი** (← ნემსი), **ამტენი** (← ამდენი) და სხვ.

### 1.3. ქართული ანბანი

სამეტყველო ბგერის გრაფიკული ნიშანია **ასო**. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში **33** ასოა. თითოეულ ასოს თავისი სახელი და რიგი აქვს. ასოების თანამიმდევრობას, დალაგებულს გარკვეული რიგის მიხედვით, **ანბანი** ეწოდება. ქართული სახელწოდება „ანბანი“ (სხვა ენების მსგავსად) პირველი ორი ასოს სახელის შეერთებითაა მიღებული: **ან + ბან**.

ქართული ანბანის უპირატესობა მსოფლიოში არსებულ სხვა დამწერლობათა შორის ისაა, რომ ბგერებისა და ასოების რაოდენობა ემთხვევა. ქართული სიტყვები თითქმის ისე იწერება, როგორც წარმოითქმის.

ქართული ანბანი									
1	ა	ან	12	მ	მან	23	ლ	ლან	
2	ბ	ბან	13	ნ	ნარ	24	ყ	ყარ	
3	გ	გან	14	ო	ონ	25	შ	შინ	
4	დ	დონ	15	პ	პარ	26	ჩ	ჩინ	
5	ე	ენ	16	ჟ	ჟან	27	ც	ცან	
6	ვ	ვინ	17	რ	რაე	28	ძ	ძილ	
7	ზ	ზენ	18	ს	სან	29	წ	წილ	
8	თ	თან	19	ტ	ტარ	30	ჭ	ჭარ	
9	ი	ინ	20	უ	უნ	31	ხ	ხან	
10	კ	კან	21	ფ	ფარ	32	ჯ	ჯან	
11	ლ	ლას	22	ქ	ქან	33	ჰ	ჰაე	

# თავი მეორე

## მორფოლოგია

ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგია **გრამატიკა**, რომელიც სწავლობს ენის აგებულებას. იგი იკვლევს სიტყვათა თვისებებს, მათი ცვლილებისა და წინადადებაში ერთმანეთთან დაკავშირების წესებს. გრამატიკა შედგება **მორფოლოგიისა** და **სინტაქსისგან**.

**მორფოლოგია** სწავლობს სიტყვათა ფორმაცვალების წესებს ლექსიკური მნიშვნელობის შეუცვლელად. მაგალითად: სახლ-ი, სახლ-მა, სახლ-ს, სახლ-ის, სახლ-ით, სახლ-ად, სახლ-ო. ამ დროს ფორმა იცვლება, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა კი უცვლელია. ამ სიტყვაში **სახლ-** მნიშვნელობის მქონე უმცირესი ელემენტია, რადგან შემადგენელ ბგერებსა და მათს რიგს ვერ შევცვლით. მაგალითად, /ს/ რომ მოვაკლოთ, **-ახლ** ცალკე გაუგებარია.

### 2. მეტყველების ნაწილები

ენაში არსებული სიტყვები ჯგუფებად იყოფა, რომელთაც **მეტყველების ნაწილები** ჰქვია. ქართულში **ათი** მეტყველების ნაწილია:


1. **არსებითი სახელი:** დედა, კაცი, ცხენი, მუხა, კალმახი, ჭეშმარიტება...
2. **ზედსართავი სახელი:** თეთრი, ცისფერი, ტკბილი, პატიოსანი, ქუდიანი...
3. **რიცხვითი სახელი:** ერთი, ორი, ათასი, მეხუთე, მერვედი...
4. **ნაცვალსახელი:** მე, შენ, ჩვენ, თქვენ, ის, მან, ჩემი, ჩვენი, მათი, ყველა, ვინმე...
5. **ზმნა:** ვსწავლობ, ვაკეთებ, ხატავს, მიდის, მიფრინავს, დგას, უყვარს, ზის, ბერდება...
6. **ზმნიზედა:** აქ, იქ, გუშინ, ხვალ, ზეგ, გარეთ, წინ, უკან, ზევით, ნელა, ხმამაღლა...
7. **თანდებული:** -ზე, -ში, -თან, -გან, -კენ, -თვის, მიერ, გამო...
8. **კავშირი:** და, მაგრამ, ხოლო, ან, ხან, რომ, როცა, სანამ, თუ, თუმცა...

9. **ნანილაკი:** არ, ვერ, ნუ, ხომ, განა, -მეთქი, -თქო, ნეტავ, ხოლმე, თურმე...

10. **შორისდებული:** უჰ! ოჰ! ვაი! უი! ვაჰა! ყოჩაღ! ფუი!..

მეტყველების ნაწილები შეიძლება დაჯგუფდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: **ფორმაცვალებადობის** (ფორმაცვალებადია ის თუ ფორმაუცვლელი) ან **მნიშვნელობის** მიხედვით (სრულმნიშვნელობიანი ის თუ დამხმარე) და სხვ. (იხ. სქემა).

სახელები და ზმნა **ფორმაცვალებადი** მეტყველების ნაწილებია, ხოლო დანარჩენი მეტყველების ნაწილები — ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნანილაკი და შორისდებული — **ფორმაუცვლელი**, ე.ი. მათ არ გააჩნიათ უნარი, იცვალონ ბრუნვების, პირების ან მწკრივთა მიხედვით. მაგალითად, ზმნიზედამ თუ ფორმა შეიცვალა, იქცევა ახალ სიტყვად, ეს კი სიტყვანარმოებაა და არა ფორმაცვალება ერთი სიტყვის ფარგლებში.



ქართულ ენაში ჩვეულებრივია ზედსართავი სახელის გადაქცევა ზმნიზედად, ხოლო ფორმაუცვლელი სიტყვებისა — არსებით ან ზედსართავ სახელებად, შესაძლებელია სახელთა გადაქცევა ნანილაკად ან შორისდებულად (მე+ვთქვი → მეთქი;

დაეხსენ → დაე! ბიჭოს! მას უნდა → უნდა და სხვ.) (იხ. სქემა ქვემოთ).

**სრული მნიშვნელობის მქონე** მეტყველების ნაწილებია: **სახელები, ზმნა და ზმნიზედა** (წინადადებაში დამოუკიდებელი წევრის როლს ასრულებენ), ხოლო დამხმარე მეტყველების ნაწილებია: **თანდებული, კავშირი და ნაწილაკი**. ისინი მხოლოდ კავშირს, მიმართებას ამყარებენ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს შორის ან დამატებით სემანტიკურ ნიუანსს სძენენ მათ. განცალკევებით დგას **შორისდებული**, რომელიც ადამიანის სულიერ განწყობილებასა და ემოციებს გამოხატავს (იხ. სქემა წინ). ამიტომ ზოგიერთი მეცნიერისთვის სადავოა შორისდებულის მიჩნევა მეტყველების ნაწილად..

## 2.1. არსებითი სახელი

**არსებითი სახელი** არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს და უპასუხებს კითხვებზე: **ვინ** ან **რა** (საგანში იგულისხმება ნივთიც, ცოცხალი არსებაც, მოვლენაც...). არსებითი სახელებია: ქალი, კაცი, ბავშვი, ცხვარი, ცხენი, ქვა, მდინარე, მთა, არწივი, ჰაერი, ჭეშმარიტება, ბედი, სინდისი...

არსებითი სახელი აფიქსების დართვით შეიძლება გადაიქცეს **ზედსართავ სახელად** (ჭკუა → ჭკვიანი, ძალა → ძლიერი, გონი → გონიერი, ვაჟკაცი → ვაჟკაცური), **ზმნად** (დიდი → დიდდება, კაცი → კაცდება, მუშა → მუშაობს, პოეტი → პოეტობს), **რაც ჩვეულებრივია ქართული ენისთვის; ზმნაც შეიძლება გადაიქცეს სახელად** (კერავს → კერვა, აქებს → ქება, წერს → მწერალი, ჭიკჭიკებს → მოჭიკჭიკე და სხვ.).

არსებითი სახელი აგებულების მიხედვით შეიძლება იყოს **მარტივი** (ერთი ფუძისაგან შედგენილი), **ნაწარმოები** (თავსართის, ბოლოსართის ან თავსართ-ბოლოსართის მეშვეობით) ან **რთული** (ორი ან მეტი ფუძისაგან შედგენილი).

**მარტივი** არსებითი სახელებია: ქალი, კაცი, დედა, მამა, დღე, მზე, ხე, ტყე...

**ნაწარმოები** არსებითი სახელებია: გორაკი, სიკეთე, მტრობა, ბუნებრიობა, ყვავილნარი, ფიჭვნარი...

**რთული** არსებითი სახელებია: ცოლ-ქმარი, და-ძმა, დედ-მამა... დედაჩემი, მამაჩემი, ქინძისთავი, ბიძაშვილი, დეიდაშვილი...

### 2.1.1. არსებით სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით

ქართულ ენაში, ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, გამოიყოფა არსებით სახელთა რამდენიმე ჯგუფი: **სულიერთა** და **უსულოთა**, **ადამიანთა** და **არაადამიანთა** (**ვინ** და **რა** ჯგუფის), **კონკრეტული** და **აბსტრაქტული**, **საზოგადო** და **საკუთარი**, **კრებითი**, **ნივთიერებათა** და **მოქმედების სახელები**.

- **სულიერი** სახელები: ადამიანი, ექიმი, ძმა, ძალღი, ლომი, ვეფხვი, ფუტყარი;
- **უსულო** სახელები: ხე, ტყე, ბუჩქი, სახლი, მინა, ეზო...
- **ვინ** ჯგუფის (**ადამიანთა** აღმნიშვნელი) სახელები: კაცი, ქალი, მსახიობი, ლექტორი...
- **რა** ჯგუფის (**არაადამიანთა** აღმნიშვნელი) სახელები: ცხენი, კატა, სპილო, კოლო, ფოთოლი, ხე, ბუჩქი, სასახლე...
- **კონკრეტული** სახელები: ბავშვი, დედა, მამა, მაგიდა, სკამი, სახლი, ბალი...
- **აბსტრაქტული** სახელები: კაცობა, მტრობა, სიკეთე, სიბო, სილამაზე...
- **საზოგადო** სახელები: მამა, დედა, სახლი, კარი, სკოლა, ტყე, მთა...
- **საკუთარი** სახელები: ლევანი, ივანე, ლია, ნატო... იაპონია, გერმანია, ბერლინი, ლონდონი, დუნაი...
- **კრებითი** სახელები: ხალხი, ერი, სტუდენტობა, გლეხობა, ჯოგი, ფარა...
- **ნივთიერებათა** სახელები: ოქრო, ვერცხლი, ჟანგბადი, ალუმინი, ღვინო...

არსებით სახელებს დაესმით კითხვები: **ვინ** ან **რა**, ამიტომ გამოყოფენ ორ ჯგუფს: **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელებს.

**ვინ** კითხვა დაესმის ადამიანთა აღმნიშვნელ არსებით სახელებს, **რა** კითხვა — ყველა დანარჩენს. მაგალითად: **ვინ**

გაემგზავრა? — დედა, მამა, ქალი, კაცი, ბავშვი... **რა** დაინახა? — ცხენი, კურდღელი, მუხა, ტყე, ზღვა, საათი...

ზოგიერთი არსებითი სახელი კონტექსტის მიხედვით შეიძლება სხვადასხვა ჯგუფს განეკუთვნებოდეს. მაგალითად: სამწუხაროდ, ქართველი **ახალგაზრდობა** სამშობლოში არ ბრუნდება და უცხო ქვეყანაში მუშაობას ამჯობინებს. იმ დროს ქართველი **ახალგაზრდობა** იზრდებოდა რუსეთის უნივერსიტეტებში (*აკ. ნერეთელი*). **ვინ** არ ბრუნდება სამშობლოში? **ვინ** იზრდებოდა? — **ახალგაზრდობა**. მან სიამოვნებით მოიგონა თავისი **ახალგაზრდობა**. **რა** მოიგონა? — ახალგაზრდობა. **ახალგაზრდობა** პირველ ორ მაგალითში **ვინ** ჯგუფის სახელია, მესამეში — **რა** ჯგუფისა.

**შენიშვნა:** ევროპულ ენებში **ვინ** კითხვა დაესმის ყველა სულიერ არსებით სახელს.

ნივთიერი სახის მქონე საგანი ორგვარია: **სულიერი ან უსულო**. **სულიერია** საგანი, რომელიც აღნიშნავს საკუთარი ძალით მოძრავ ცოცხალ არსებას: ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, თევზი, მწერი, ქვეწარმავალი.

**უსულოა** საგანი, რომელიც უსიცოცხლო საგანს აღნიშნავს: ხე, ქვა, მდინარე, მთვარე, სახლი, ბალი, მინდორი და სხვ.

**ვინ** ჯგუფის ყველა სახელი სულიერ საგანს აღნიშნავს, ხოლო **რა** ჯგუფისა — სულიერსაც და უსულოსაც.

სახელი შეიძლება იყოს **საზოგადო** ან **საკუთარი**. **საზოგადო** სახელი ერთნაირ საგანთა საერთო სახელია, ხოლო **საკუთარი** სახელი ჰქვია რომელიმე ერთ-ერთ საგანს.

მაგალითად, მსოფლიოში უამრავი ქალაქია, რომელთაც თავ-თავისი სახელი ჰქვია: ერთი ქალაქის სახელია **თბილისი**, მეორისა — **ქუთაისი**, მესამისა — **ბათუმი** და ა.შ. *ქალაქი* საზოგადო სახელია, ყველასთვის საერთო, *თბილისი* კი ერთ კონკრეტულ ქალაქს აღნიშნავს. მაშასადამე, *თბილისი* საკუთარი სახელია, *ქალაქი* — საზოგადო.

**საკუთარი** სახელებია:

- ადამიანთა სახელები (ნინო, ელენე, ნესტანი, რატი, გიორგი, თამაზი);
- გვარები (ბარათაშვილი, წერეთელი, მაჩაბელი, ჭავჭავაძე, გამსახურდია);
- ფსევდონიმები (ვაჟა-ფშაველა, არაგვისპირელი, უიარალო, გრანელი);
- ცხოველთათვის შერქმეული სახელები (ყურმა, აფთარა, ბომბორა, ნიქარა, ნიკორა);
- გეოგრაფიული სახელები (საქართველო, გერმანია, მტკვარი, ელბა, უშბა, კარპატები);
- ციურ მნათობთა სახელები (ვენერა, მარსი, იუპიტერი, ნეპტური, პლუტონი);
- წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ნაწარმოებების, დანესებულება-ორგანიზაციების, გემების სახელწოდებები (ჟურნალი „ცისკარი“, ჟურნალი „არილი“, პოემა „ბახტრიონი“, გამომცემლობა „მერანი“, მოთხრობა „სათაგური“, გემი „ტიტანიკი“...).

**შენიშვნა:** გეოგრაფიული სახელები შეიძლება ნაწარმოები იყოს ქართული აფიქსებით ან მთლიანად ფორმა იყოს ნასესხები (იხ. წარმოქნილ სახელებში).

არსებითი სახელი არის **კონკრეტული** ან **აბსტრაქტული** (განყენებული).

**კონკრეტულია** სახელი, თუ ის აღნიშნავს ნივთიერი სახის მქონე საგანს: დაფა, მერხი, წიგნი, მერცხალი, ოქრო, წყალი, ჰაერი, ჟანგბადი...

**აბსტრაქტულია** სახელი, თუ ის აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია. მაგ.: სიბრძნე, სიმშვიდე, მეგობრობა, გულწრფელობა, ბედნიერება, ჭეშმარიტება (იხ. წარმოქნილ სახელებში).

**ვინ** ჯგუფის სახელი ყველა კონკრეტულია (ადამიანი, ბავშვი, დედა, ბებია, ექიმი...), **რა** ჯგუფისა კი შეიძლება იყოს კონკრეტულიც (სკამი, სახლი, სკოლა, უნივერსიტეტი) და აბსტრაქტულიც (სიკეთე, ბოროტება, სიბოლო, მტრობა).

ზოგიერთი სახელი ერთ წინადადებაში შეიძლება კონკრეტული იყოს, მეორეში — აბსტრაქტული. მაგ., კრებითი სახელები **მეზობლობა** და **ამხანაგობა** კონკრეტულია, როცა ვამბობთ: მთელი **მეზობლობა** ივანესთან იყო სტუმრად; „ეს **ამხანაგობა** შეიქმნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, მაგრამ აბსტრაქტულია წინადადებებში: ივანესა და გიორგის კარგი **მეზობლობა** ჰქონდათ; ბევრ ადამიანს **ამხანაგობა** არ შეუძლია.

**კრებითა** კონკრეტული საზოგადო სახელი, რომელიც აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს: ხალხი, ერი, ჯარი, მონაფეობა, სტუდენტობა, ჯოგი, გუნდი, ფარა, ხროვა... **მცენარეთა** კრებულს გამოხატავს **-ნარ** სუფიქსით წარმოქმნილი სახელი. მაგ.: ყვავილნარი, ნაძვ-ნარ-ი, ფიჭვ-ნარ-ი, მუხნარი... (იხ. წარმოქმნილ სახელებში).

ზოგიერთი სახელი შეიძლება აღნიშნავდეს ერთ საგანსაც და ერთგვარ საგანთა კრებულსაც. მაგალითად: სიტყვა **ცხვარი** ერთ შინაურ ცხოველს აღნიშნავს, როცა ვამბობთ: ჩემი **ცხვარი** მინდორში საძოვრად გავიყვანე, მაგრამ **კრებითა** წინადადებაში: **ცხვარი** მთის ფერდობს შეეფინა.

**ნივთიერებათა** სახელები აღნიშნავენ ისეთ საგნებს, რომელთა დათვლა და ცალკე ერთეულებად წარმოდგენა შეუძლებელია. მაგ., ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, შაქარი, რძე, ნავთი, ლობიო, მუხუდო, ფეტვი, ბურღული, ფქვილი, მატყლი, ბამბა, ქარვა, კირი, ქვანახშირი...

ნივთიერებათა სახელებით აღნიშნული საგნები შეიძლება აინონოს, სანყაოთი გაიზომოს, მათი დათვლა კი შეუძლებელია. ამიტომ ნივთიერებათა სახელს მსაზღვრელად შეიძლება ახლდეს წონისა თუ სანყაოს აღმნიშვნელი სახელები: გრამი, კილოგრამი, ფუთი, ტონა, მუჭა, ჭიქა, ვედრო, ბოთლი... აგრეთვე სიტყვები: ბევრი, ცოტა. მაგ., ითქმის: (ორი) მუჭა ხორბალი, (ერთი) კილოგრამი შაქარი, (ხუთი) ფუთი ფქვილი, (ათასი) ტონა ქვანახშირი, (ერთი) ჭიქა ნყალი, (სამი) ბოთლი რძე, ბევრი მატყლი, ცოტა სპილენძი... ამ ჯგუფის სახელები კონკრეტულია და საზოგადო.

ბევრი სიტყვა ზმნისგან იწარმოება, მოქმედებას აღნიშნავს, უპასუხებს **რა** კითხვაზე და წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც არსებითი სახელი. მათ **მოქმედების სახელებს** ეძახიან. მაგ., **აკეთებს** ზმნაა, **კეთება** კი — მისგან ნაწარმოები ბრუნებადი სიტყვა. ამგვარ სიტყვებს **მოქმედების სახელები** ჰქვია. ასეთ ნაზმნარ სახელს სხვაგვარად **საწყისს** უწოდებენ. მაგალითად: წერა, კითხვა, ბრძოლა, პოვნა, სირბილი, სიარული, შესყიდვა; ზოგჯერ ე. წ. საწყისი ამოსავალია ზმნური ფორმებისთვის, მაგალითად: წიკჭიკი (→ წიკჭიკებს), რაკრაკი (→ რაკრაკებს), წიკწიკი (→ წიკწიკებს), ჭრიალი (→ ჭრიალებს), ბრახუნი (→ ბრახუნობს), ჭრაჭუნი (→ ჭრაჭუნობს) და სხვ. (მოქმედების სახელთა წარმოების შესახებ იხ. ცალკე).

### 2.1.2. არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება

სახელი აღნიშნავს ერთ საგანს ან ერთზე მეტს. ამის მიხედვით რიცხვი ორია ქართულში: **მხოლოდითი** და **მრავლობითი**.

ფორმა, რომელიც ერთ საგანს აღნიშნავს, **მხოლოდითია**: კაცი, სახლი, მგელი, ყვავილი, თევზი, მუხა, ხოლო ფორმა, რომელიც ერთზე მეტ საგანს აღნიშნავს, **მრავლობითია**: კაცები, კაცნი, კაცთა, სახლები, მგლები, ყვავილები, თევზები, მუხები...

მრავლობითის ფორმას თანამედროვე ქართულში **-ებ** ბოლოსართი აწარმოებს, მაგრამ შესაძლებელია **-ნ** და **-თ** ბოლოსართებით წარმოებაც. პირველს **ებანი** მრავლობითი ჰქვია და გაბატონებულია, მეორეს — **ნართანანი**, რომელიც იშვიათია (ძველ ქართულში პირიქით იყო).

მრავლობითობის **-ებ** ბოლოსართი დაერთვის სახელებს შვიდივე ბრუნვაში:

სახელობითი	წიგნ-ებ-ი
მოთხრობითი	წიგნ-ებ-მა
მიცემითი	წიგნ-ებ-ს
ნათესაობითი	წიგნ-ებ-ის

მოქმედებითი	ნიგნ-ებ-ით
ვითარებითი	ნიგნ-ებ-ად
წოდებითი	ნიგნ-ებ-ო

-6 სახელს დაერთვის მხოლოდ ორ ბრუნვაში — სახელობითსა და წოდებითში, **-თ** (გავრცობილი სახით — **-თა**) მრავლობითსაც გამოხატავს და სამი ბრუნვიდან ერთ-ერთს: მოთხრობითს, მიცემითს ან ნათესაობითს:

სახ.	ნიგნ-ნი
მოთხ., მიც., ნათ	ნიგნ-თა
მოქმ., ვით.	—
წოდ.	ნიგნ-ნ-ო

როგორც ვხედავთ, **თანინი** ფორმა საერთოა სამი ბრუნვისათვის. რომ გავიგოთ, რომელი ბრუნვის მნიშვნელობითაა გამოყენებული ეს ფორმა, მას **ებანი** მრავლობითი უნდა შევუწავლოთ, მაგალითად:

1. **მოთხრობითის** მნიშვნელობითაა გამოყენებული: ველთა ზედან **ყვავილთა** (=ყვავილებმა) მშვენივრად გაიღიმეს (*ივ. კერესელიძე*); მძინარეთა **მცენარეთ** (=მცენარეებმა) თავნი ერთობ აღიღეს (*ივ. კერესელიძე*); **ყვავილთ** (=ყვავილებმა) სული განაბეს (*ვაჟა-ფშაველა*).

2. **მიცემითის** მნიშვნელობითაა გამოყენებული: თურმე ზნედა სჭირთ **ყვავილთა** (=ყვავილებს): ოლონდ ენამლონ სნეულთა (*ვაჟა-ფშაველა*); **ვარდთ** (=ვარდებს) შემოუნახავთ წვეთები წვიმის (*ს. კლანდაძე*); ფიქრები მათოვს, ატმის **ყვავილთ** (=ყვავილებს) ასდით სურნელი.

3. **ნათესაობითის** მნიშვნელობითაა გამოყენებული: **ყვავილთ** (=ყვავილების) პირს ეკონებინ ცივნი ნამცვრეენი ცისანი (*ვაჟა-ფშაველა*); მიყვარს მთად **ყვავილთ** (=ყვავილების) ალერსი, რაც გულს ედემად შლიანო (*ალ. ყაზბეგი*).

**თანინი** ნათესაობითის ფორმას დღესაც ხშირად ვიყენებთ გარკვეულ გამოთქმებში: მწერალთა კავშირი, ექიმთა საზოგადოება, მასწავლებელთა ყრილობა, მეცნიერებათა აკადემია, მხატვართა კავშირი...

მრავლობითი რიცხვის **-თა** სუფიქსიან სახელთა ბრუნვის გამოსაცნობად სახელის ფორმა ზმნასთან მიმართებით უნდა განვიხილოთ (ან ჩავანაცვლოთ იგივე სიტყვა **ებანი** მრავლობითის ფორმით): **ადამიანთა თქვეს** წინადადებაში **ადამიანთა** მოთხრობით ბრუნვაშია (შდრ. ადამიანებმა თქვეს); შდრ. **სტუდენტები** ამბობენ სიმართლეს; **ადამიანები** ხშირად ფიქრობენ სიკვდილზე.

**შენიშვნა:** ნართანიანი მრავლობითი უფრო ხშირად გვხვდება პოეტურ ენაში. მაგ., მოვიყვანო ერთ ნიმუშს:  
გადმომზირალნი კლდიდან ქვაბები  
თითქოს დაღლილან ხმალთა ტევეებით... (ა. კლანდაძე)

### **მრავლობითი რიცხვის უქონელი არსებითი სახელები**

ზოგიერთი არსებითი სახელი, ჩვეულებრივ, მარტო მხოლოდითი რიცხვის ფორმით გამოიყენება და მრავლობითის ფორმით არ გვხვდება. ასეთებია:

- **საკუთარი** სახელები (ადამიანთა, გეოგრაფიული...): ნინო, ნუნუ, ვახტანგი, გიორგი... თბილისი, გორი, უშბა, მტკვარი, იორი...
- **ნივთიერებათა** სახელები: თაფლი, ლობიო, ნავთი, სპირტი, ლუდი, რკინა, ვერცხლი... მტვერი, ხილი, ჰაერი...
- **აბსტრაქტული** სახელები: სიმამაცე, სილამაზე, სიტბო, სიკეთე, თავისუფლება...
- **მოქმედების** სახელები, ე.ი. ზმნისაგან ნაწარმოები მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები: კეთება, წერა, ჭრა, კერვა, ხენა, ბარვა, დგომა, ჯდომა, წოლა...

მრავლობითი რიცხვის უქონელი სახელი განსხვავებული (გადატანითი) მნიშვნელობით გამოყენებისას შეიძლება შეგვხვდეს მრავლობითის ფორმითაც. მაგ., **წყალი, ოქრო და ღვინო** ნივთიერების სახელებია და პირდაპირი მნიშვნელობით მრავლობით რიცხვში არ გამოიყენება: **წყალი** უბრალო, მარტივი და ყველაზე მეტად გავრცელებული ნივთიერებაა დედამიწაზე;

საქართველოში **ოქროს** უძველესი დროიდან მოიპოვებდნენ; **ღვინო** შეიცავს ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერებებს. როცა **წყალი** აღნიშნავს მის გარკვეულ სახეობას, **ოქრო** — ნაკეთობას ან ფულს და **ღვინო** — რომელიმე ტექნოლოგიით დამზადებულ მის ნაირსახეობას, სამივე სიტყვა გვხვდება მრავლობითშიც: მინისქვეშა **წყლები** შეიძლება იყოს მტკნარი და მარილიანი; სამკურნალო მინერალური **წყლები** მრავალ დაავადებას ყველა წამალზე უფრო ეფექტურად კურნავს; მევახშემ დაიწყო სკივრში გადამალული **ოქროების** თვლა; დედამ ბანკიდან გამოიტანა **ოქროები** და პოლიციას ჩააბარა; ექსპორტირებულ **ღვინოებს** შორის პოპულარულია ქინძმარაული, წინანდალი და ხვანჭკარა.

### 2.1.3. არსებით სახელთა ბრუნება

ერთი და იგივე სახელი მნიშვნელობის შეუცვლელად შეიძლება შვიდი სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს.

სახელის ცვლას დაბოლოებათა მიხედვით მნიშვნელობის შეუცვლელად **ბრუნება** ჰქვია, ხოლო თითოეულ ფორმას — **ბრუნვა**.

#### ბრუნვები და მათი ნიშნები

ქართულში შვიდი ბრუნვაა: **სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი** და **წოდებითი**.

თითოეულ ბრუნვას თავისი ნიშანი აქვს. ბრუნვის ნიშნები საერთოა მხოლობითსა და **ებიან** მრავლობით რიცხვში:

სახელობითი	-ი
მოთხრობითი	-მა
მიცემითი	-ს
ნათესაობითი	-ის
მოქმედებითი	-ით
ვითარებითი	-ად
წოდებითი	-ო

ბრუნვის ნიშნები შეიძლება ოდნავ შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ როგორია სახელის ფუძე ან მრავლობითი რიცხვის წარმოება (ბრუნვის ნიშნების ვარიანტებზე იხ. ქვემოთ).

**შენიშვნა:** სახელის ბრუნვის ფორმა უმეტესად ზმნით არის განპირობებული. ნებისმიერი ბრუნვის ფორმით გამოყენებული სახელი უთუოდ წინადადების წევრია, წოდებითის გარდა. ამიტომ მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ „წოდებითი“ არ არის ბრუნვა, მხოლოდ მიმართვის ფორმაა. ის მძიმით გამოიყოფა წინადადებაში და, ცხადია, წინადადების წევრად არ მიიჩნევა.

### **ბრუნვის ნიშანთა გავრცობა**

მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ბრუნვის ნიშანი შეიძლება განივრცოს -ა ხმოვნით, რომელსაც **სავრცობი** (ანუ **ემფატიკური ხმოვანი**) ჰქვია. მაგალითად, ტყესა, ტყისა, ტყითა, ტყედა.

სახელობითი	წიგნ-ი	ტყე
მოთხრობითი	წიგნ-მა	ტყე-მ
მიცემითი	წიგნ-ს(ა)	ტყე-ს(ა)
ნათესაობითი	წიგნ-ის(ა)	ტყე-ის(ა)
მოქმედებითი	წიგნ-ით(ა)	ტყე-ით(ა)
ვითარებითი	წიგნ-ად(ა)	ტყე-დ(ა)
წოდებითი	წიგნ-ო	ტყე-ო

**შენიშვნა:** ბრუნვის ნიშანთა გავრცობა უფრო ხშირია პოეზიაში.

2. ზემოთ ჩამოთვლილ ბრუნვებში და კავშირით ორი სიტყვის დაკავშირებისას პირველი სიტყვა გავრცობილია: კაცსა და ქალს, დედისა და შვილის, ტყითა და მინდვრით, ოქროდა და ვერცხლად; ეს წესი ვრცელდება თანდებულიან სახელებზედაც: მთასა და ბარში, დედასა და შვილზე, მამასა და პაპასთან და სხვ.

### **სახელები ფუძეთა მიხედვით**

სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის, **ფუძე** ჰქვია. სახელის ფუძე ან თანხმოვანზე ბოლოვდება, ან ხმოვანზე. თანხმოვანზე დაბოლოებულს

**თანხმოვანფუძიანი** (ანუ თანხმოვანფუძიანი) სახელი ჰქვია, ხმოვანზე დაბლოებული — **ხმოვანფუძიანი** (ანუ ხმოვანფუძიანი).

**ფუძე** რომ მოვნახოთ, სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობითში და ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი. რაც დარჩება, ის იქნება ფუძე. მაგალითად, ლომ-მა, მტრედ-მა, ვეფხვ-მა, დროშა-მ, ლობე-მ, გიორგი-მ, ოქრო-მ, ნუნუ-მ. ამათ ჩამოვაშოროთ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი და დაგვრჩება ფუძეები: ლომ-, მტრედ-, ვეფხვ-, დროშა, ლობე, გიორგი, ოქრო, ნუნუ. პირველი სამი (ლომ-ი, მტრედ-ი და ვეფხვ-ი) თანხმოვანფუძიანია, ყველა დანარჩენი — ხმოვანფუძიანი.

სახელის ფუძე ან სრულია, ან უსრული. **სრულია** ფუძე, თუ მას ხმოვანი არ აკლია: ირემ (ირემ-მა, ირემ-ს) და მუხა (მუხ-ა, მუხა-ს).

**უსრულია** ფუძე, თუ მას აკლია ხმოვანი ფუძის შიგნით ან ბოლოს: **ირმ-** (ირმ-ის, ირმ-ით) და **მუხ-** (მუხ-ის, მუხ-ით). პირველს აკლია ფუძის შიგნით ხმოვანი **ე**, მეორეს — ფუძის ბოლოკიდური **ა**.

უსრული ფუძე შეიძლება იყოს **შეკუმშული** ან **შეკვეცილი**. როცა სახელის ფუძიდან ხმოვანი ამოვარდება, მაშინ ფუძე **შეკუმშულია**: ირემ- → **ირმ-**, მამალ- → **მამლ-**, სოფელ- → **სოფლ-**, მინდორ- → **მინდვრ-**, საპონ- → **საპნ-**; თუკი სახელს ბოლოკიდური ხმოვანი შორდება, ფუძე შეკვეცილია: მზე → **მზ-**, ბადე → **ბად-**, დედა → **დედ-**, ტყე → **ტყ-**.

### 2.3.1.1. არსებით სახელთა ბრუნების ტიპები

ქართულ ენას აქვს ბრუნების ერთი ძირითადი ტიპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა არსებით სახელს ამა თუ იმ ბრუნვაში ერთი და იგივე ბრუნვის ნიშანი აქვს. სახელთა ფუძეებისა და ბრუნვის ნიშნების ან ფუძეთა და მრავლობითის **-ებ** სუფიქსის ურთიერთზემოქმედების შედეგად სიტყვის ფარგლებში ხდება ფონეტიკური ცვლილებები. ამ ცვლილებათა სახეობების მიხედვით ყალიბდება ბრუნების ტიპები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ორთოგრაფიულ წესებში, რადგან

თითოეულ ტიპს აქვს რალაც თავისებურება, რომელიც სხვაში არ მეორდება.

**1. თანხმოვანფუძიან სახელებში:**

- **უკუმშველი** სახელები (ბავშვ-ი → ბავშვ-ით/ბავშვ-ებ-ი)
- **კუმშვადი** სახელები (სტუმარ-ი → სტუმრ-ით/სტუმრ-ებ-ი)

**2. ხმოვანფუძიან სახელებში:**

- **უკვეცელი** სახელები (**ქართული:** წყარო-0 → წყარო-თი/წყარო-ებ-ი; **უცხოური:** კაფე, ჟელე, იუბილე, კონფერანსიე)
- **კვეცადი** სახელები (ბიძა-0 → ბიძ-ით/ბიძ-ებ-ი)
- **კუმშვად-კვეცადი** სახელები (მოყვარე-0 → მოყვრ-ით/მოყვრ-ებ-ი).

სახელთა ბრუნების ძირითადი ტიპები ფუძეების მიხედვით					
თანხმოვანფუძიანი სახელები			ხმოვანფუძიანი სახელები		
უკუმშველი	კუმშვადი		უკვეცელი	კვეცადი	კუმშვად-კვეცადი

ხმოვანფუძიან სახელებში შეიძლება გამოიყოს კიდევ რამდენიმე ქვეჯგუფი:

- მხოლოდით რიცხვში **კვეცადი** და მრ. რიცხვში **უკვეცელი** სახელები (ხე-0/ხ-ით და ხე-ებ-ი; კლდე-0/კლდ-ით/კლდე-ებ-ი)
- მხოლოდით რიცხვში **უკვეცელი** და მრ. რიცხვში **კვეცადი** ქართული სახელები (გოგონა-0 /გოგონა-თი/გოგონ-ებ-ი; დათუნა-0/დათუნა-თი/დათუნ-ებ-ი)
- მხოლოდით რიცხვში **უკვეცელი** და მრ. რიცხვში **კვეცადი** უცხოური სახელები (**უცხოური** სიტყვები: სამურაი-0/სამურაი-თ/სამურა-ებ-ი)

თავისებური ბრუნების მქონედ ჩაითვლება სახელი, თუ მასში ვლინდება რაიმე სახის თავისებურება.

### საზოგადო სახელთა ბრუნება

თანამედროვე ქართულში საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება განსხვავდება ერთმანეთისაგან წოდებით ბრუნვაში.

**თანმოვანფუძიან** სახელებში გვაქვს ორი ქვეჯგუფი: **ფუძეუკუმშველი** და **ფუძეკუმშვადი**. რომ გავიგოთ, სახელის ფუძე კუმშვადია თუ უკუმშველი, იგი ნათესაობით ბრუნვაში უნდა ჩავსვათ: თუ ამ ბრუნვაში სახელის ფუძე არ შეიკუმშა, იგი **უკუმშველია**, თუ შეიკუმშა — **კუმშვადი**. მაგ., არწივი და ირემი თანხმოვანფუძიანი სახელებია (არწივ- და ირემ- **სრული** ფუძეებია). ნათესაობითში იქნება: არწივ-ის და ირემ-ის. არწივი უკუმშველი სახელია, ირემი — კუმშვადი.

### უკუმშველ სახელთა ბრუნება

**უკუმშველ** სახელთა ფუძეები მხოლოდითი ან მრავლობითი რიცხვის არც ერთ ბრუნვაში არ იცვლება: ლომ-ი, ლომ-მა, ლომ-ებ-მა, ლომ-ებ-მა, თევზ-ი, თევზ-მა, თევზ-ებ-ი, თევზ-ებ-მა...

სახ.	ექიმ-ი	სახლ-ი	ექიმ-ებ-ი	სახლ-ებ-ი
მოთხ.	ექიმ-მა	სახლ-მა	ექიმ-ებ-მა	სახლ-ებ-მა
მიც.	ექიმ-ს(ა)	სახლ-ს(ა)	ექიმ-ებ-ს(ა)	სახლ-ებ-ს
ნათ.	ექიმ-ის(ა)	სახლ-ის(ა)	ექიმ-ებ-ის(ა)	სახლ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ექიმ-ით(ა)	სახლ-ით(ა)	ექიმ-ებ-ით(ა)	სახლ-ებ-ით(ა)
ვით.	ექიმ-ად(ა)	სახლ-ად(ა)	ექიმ-ებ-ად(ა)	სახლ-ებ-ად(ა)
წოდ.	ექიმ-ო	სახლ-ო	ექიმ-ებ-ო	სახლ-ებ-ო

### კუმშვად სახელთა ბრუნება

ფუძის **კუმშვას** ინვეს ხმოვნით დანწყებული ბოლოსართის დართვა: მხოლოდით რიცხვში — ბრუნვის ნიშნები (-ის, -ით, -ად), მრავლობითში — რიცხვის ნიშანი (-ებ).

კუმშვად სახელებს ფუძე ეკუმშებათ მხოლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში: **ნათესაობითში, მოქმედებითში, ვითარებითში** და მთელ **ეტიან** მრავლობითში. კუმშვის დროს იკარგება **ა, ე** ან **ო** ხმოვნები (**ო** შეიძლება სულ დაიკარგოს ან შეიცვალოს **ვ** თანხმოვნით).

ხმოვანი **ა** მეტწილად მაშინ იკარგება, როცა სახელის ფუძე ბოლოვდება **-ალ, -ან, -არ, -ამ** მარცვლებზე. მაგ.: ალუბალ-ი, ბორბალ-ი, მამალ-ი, უბან-ი, ფუტკარ-ი, ქათამ-ი...

**შენიშვნა:** იშვიათად შეიძლება **ა** ამოვარდეს სხვა მარცვლებზე დაბოლოებული ფუძიდანაც და ფუძე შეიკუმშოს: ნაბად-ი — ნაბდ-ის, ნაბდ-ით; კარავ-ი — კარვ-ის, კარვ-ით, ყასაბ-ი — ყასბ-ის, ყასბ-ით...

სახ.	ბალ-ი	ქათამ-ი	ბლ-ებ-ი	ქათმ-ებ-ი
მოთხ.	ბალ-მა	ქათამ-მა	ბლ-ებ-მა	ქათმ-ებ-მა
მიც.	ბალ-ს	ქათამ-ს	ბლ-ებ-ს	ქათმ-ებ-ს
ნათ.	ბლ-ის	ქათმ-ის	ბლ-ებ-ის	ქათმ-ებ-ის
მოქმ.	ბლ-ით	ქათმ-ით	ბლ-ებ-ით	ქათმ-ებ-ით
ვით.	ბლ-ად	ქათმ-ად	ბლ-ებ-ად	ქათმ-ებ-ად
ნოდ.	ბალ-ო	ქათამ-ო	ბლ-ებ-ო	ქათმ-ებ-ო

**შენიშვნა:** თუ **თვალ** მხედველობის ორგანოს აღნიშნავს, უკუმშველია (თვალ-ის ტკივილი, თვალ-ით ვხედავთ), თუ სხვა მნიშვნელობა აქვს, კუმშვადი: ურმის თვლები, ძვირფასი თვლები.

• **ამბავი** ბრუნებისას უკანასკნელ თანხმოვანსაც კარგავს: ამბ-ის (← ამბვ-ის ← ამბავ-ის), ამბ-ით (← ამბვ-ით ← ამბავ-ით), ამბ-ებ-ი (← ამბვ-ებ-ი).

2. სიტყვის ფუძეში **ე** იკარგება, როცა ფუძე ბოლოვდება **-ელ, -ენ, -ერ, -ემ** მარცვლებზე:

**-ელ:** კედელ-ი, კურდღელ-ი... **-ენ:** ბერძენ-ი, ყურძენ-ი...

**-ერ:** დედაბერ-ი... **-ემ:** ურემ-ი, ირემ-ი...

**კუმშვადია** აგრეთვე სხვა მარცვალზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელი: **სომეხი, ბეჭელი** და სხვა.

სახ.	კედელ-ი	ურემ-ი	კედლ-ებ-ი	ურმ-ებ-ი
მოთხ.	კედელ-მა	ურემ-მა	კედლ-ებ-მა	ურმ-ებ-მა
მიც.	კედელ-ს(ა)	ურემ-ს(ა)	კედლ-ებ-ს(ა)	ურმ-ებ-ს(ა)
ნათ.	კედლ-ის(ა)	ურმ-ის(ა)	კედლ-ებ-ის(ა)	ურმ-ებ-ის(ა)
მოქმ.	კედლ-ით(ა)	ურმ-ით(ა)	კედლ-ებ-ით(ა)	ურმ-ებ-ით(ა)
ვით.	კედლ-ად(ა)	ურმ-ად(ა)	კედლ-ებ-ად(ა)	ურმ-ებ-ად(ა)
წოდ.	კედელ-ო	ურემ-ო	კედლ-ებ-ო	ურმ-ებ-ო

**შენიშვნა:** ხუცესი, როგორც საზოგადო სახელი, კუმშვადია და შეკუმშულ ფორმებში უკანასკნელ თანხმოვანსაც კარგავს: ხუც-ის (←ხუცს-ის), ხუც-ით, ხუც-ად, ხუც-ებ-ი, ხუც-ებ-მა... როცა იგი საკუთარ სახელთან არის გათანაბრებული, უკუმშველია: იაკობ **ხუცესის** „მუშანიკის წამება“ მე-5 საუკუნის ლიტერატურული ძეგლია.

3. **ო-ს** შემცველი ფუძეებიც იკუმშება, მაგრამ ხმოვნის ადგილას შეიძლება გაჩნდეს **-ვ** თანხმოვანი (იშვიათად — სხვა მარცვალზე დაბოლოებულ ფუძეშიც: ნიგ-ოზ-ი). მაგალითად: მინდვრის, ნივრის, ივრის, მანვნის, ნიგვზის და სხვ.

სახ.	მინდორ-ი	იორ-ი	მინდვრ-ებ-ი	მინდორ-ნ-ი
მოთხ.	მინდორ-მა	იორ-მა	მინდვრ-ებ-მა	მინდორ-თა
მიც.	მინდორ-ს(ა)	იორ-ს	მინდვრ-ებ-ს(ა)	მინდორ-თა
ნათ.	მინდვრ-ის(ა)	ივრ-ის	მინდვრ-ებ-ის(ა)	მინდორ-თა
მოქმ.	მინდვრ-ით(ა)	ივრ-ით	მინდვრ-ებ-ით(ა)	—
ვით.	მინდვრ-ად(ა)	ივრ-ად	მინდვრ-ებ-ად(ა)	—
წოდ.	მინდორ-ო	იორ-ო	მინდვრ-ებ-ო	მინდორ-ნ-ო

4. ფუძისეული **-ო** საერთოდ ამოვარდება **ო** ხმოვნისა და ბაგისმიერი (**ბ, პ, ფ**) თანხმოვნების მეზობლობაში.

სახ.	ფოთოლ-ი	კოკორ-ი	საპონ-ი	ფოთლ-ებ-ი	კოკრ-ებ-ი
მოთხ.	ფოთოლ-მა	კოკორ-მა	საპონ-მა	ფოთლ-ებ-მა	კოკრ-ებ-მა
მიც.	ფოთოლ-ს(ა)	კოკორ-ს(ა)	საპონ-ს(ა)	ფოთლ-ებ-ს(ა)	კოკრ-ებ-ს(ა)

ნათ.	ფოთლ-ის(ა)	კოკრ-ის(ა)	საპნ-ის(ა)	ფოთლ-ებ-ის(ა)	კოკრ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ფოთლ-ით(ა)	კოკრ-ით(ა)	საპნ-ით(ა)	ფოთლ-ებ-ით(ა)	კოკრ-ებ-ით(ა)
ვით.	ფოთლ-ად(ა)	კოკრ-ად(ა)	საპნ-ად(ა)	ფოთლ-ებ-ად(ა)	კოკრ-ებ-ად(ა)
ნოდ.	ფოთოლ-ო	კოკოორ-ო	საპონ-ო	ფოთლ-ებ-ო	კოკრ-ებ-ო

ამ სიტყვების მსგავსად იბრუნვის: **გოდორი, ობოლი, ხობობი...**

### ხმოვანფუძიან საზოგადო სახელთა ბრუნება

ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებში გვაქვს ბრუნების სამი ქვეჯგუფი: **ფუძეკვეცადი, ფუძეუკვეცილი** და **კუმშვად-კვეცადი** სახელები.

**კვეცადია** საზოგადო სახელები, რომელთა ფუძეც ბოლოვდება **ა** ან **ე** ხმოვანზე. **კვეცას** (ისევე, როგორც კუმშვას) იწვევს ხმოვნით დაწყებული ბოლოსართის დართვა ფუძეზე: მხოლობითში — ბრუნვის ნიშანი (**-ის, -ით**), მრავლობითში — რიცხვისა (**-ებ**). ასეთ სახელებს დღევანდელ სალიტერატურო ქართულში სახელობითში ნიშანი აღარ აქვს (დედა, ძმა, კლდე), მოთხრობითის ნიშანია **-მ** (-მა აუცილებელია -ც ნანილაკის დართვისას: ძმა-მა-ც, კლდე-მა-ც), ვითარებითისა — **დ**, წოდებითისა — **ო** (კლდე-ო), **-ვ** (მუხა-ვ!) ან ნული (მამა!).

ასეთ სახელებს მხოლობითში ფუძე ეკვეცებათ ორ ბრუნვაში: **ნათესაობითსა** და **მოქმედებითში**. **ეზიან** მრავლობითში ხმოვანს მოიკვეცენ მხოლოდ **ა**-ზე დაბოლოებული ფუძეები, **ე**-ზე დაბოლოებულები კი — არა:

სახ.	ქვა	ქვ-ებ-ი	კლდე	კლდე-ებ-ი
მოთხ.	ქვა-მ	ქვ-ებ-მა	კლდე-მ	კლდე-ებ-მა
მიც.	ქვა-ს(ა)	ქვ-ებ-ს(ა)	კლდე-ს(ა)	კლდე-ებ-ს(ა)
ნათ.	ქვ-ის(ა)	ქვ-ებ-ის(ა)	კლდ-ის(ა)	კლდე-ებ-ის(ა)
მოქმ.	ქვ-ით(ა)	ქვ-ებ-ით(ა)	კლდ-ით(ა)	კლდე-ებ-ით(ა)
ვით.	ქვა-დ(ა)	ქვ-ებ-ად(ა)	კლდე-დ(ა)	კლდე-ებ-ად(ა)
ნოდ.	ქვა-ო	ქვ-ებ-ო	კლდე-ო	კლდე-ებ-ო

**უკვეცელია** ის საზოგადო სახელები, რომელთა ფუძეც ბოლოვდება **ო** ან **უ** ხმოვანზე.

ფუძეუკვეცელ სახელთა თავისებურება ის არის, რომ ბრუნვის ნიშანი იცვლება ნათესაობითსა და მოქმედებითში: ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (-ის) კარგავს ხმოვანს და რჩება თანხმოვანი **-ს**, რის გამოც ნათესაობითის ფორმა ემსგავსება მიცემითისას. მაგ., **წყაროს** მიცემითი ბრუნვის ფორმაც შეიძლება იყოს და ნათესაობითისაც (შდრ. **წყაროს** დაენაფა და **წყაროს** წყალი). მოქმედებითში **-ით** ბრუნვის ნიშანს ეკარგება **-ი** და რჩება **-თ**, რომელსაც ბოლოში ერთვის **-ი** და გვაქვს **-თი**: წყარო-თი, კუ-თი:

სახელობითი	<b>-Ø</b>
მოთხრობითი	<b>-მ</b>
მიცემითი	<b>-ს(ა)</b>
ნათესაობითი	<b>-ს(ი)</b>
მოქმედებითი	<b>-თი</b>
ვითარებითი	<b>-დ(ა)</b>
წოდებითი	<b>-ო/-ვ/-Ø</b>

ეს დაბოლოებებია მხოლოდით რიცხვში ბრუნებისას, **ეზიან** მრავლობითში კი ყველა სახელი თანხმოვანფუძიანთა ჯგუფში გადადის.

სახ.	წყარო	ბუ	წყარო-ებ-ი	ბუ-ებ-ი
მოთხ.	წყარო-მ	ბუ-მ	წყარო-ებ-მა	ბუ-ებ-მა
მიც.	წყარო-ს(ა)	ბუ-ს(ა)	წყარო-ებ-ს(ა)	ბუ-ებ-ს(ა)
ნათ.	წყარო-ს(ი)	ბუ-ს(ი)	წყარო-ებ-ის	ბუ-ებ-ის
მოქმ.	წყარო-თი	ბუ-თი	წყარო-ებ-ით	ბუ-ებ-ით
ვით.	წყარო-დ	ბუ-დ	წყარო-ებ-ად	ბუ-ებ-ად
წოდ.	წყარო-ვ	ბუ-ო	წყარო-ებ-ო	ბუ-ებ-ო

**მიცემითისა და ნათესაობითის** ფორმები რომ ერთმანეთისაგან გავარჩიოთ, შენაცვლების ხერხს უნდა მივმართოთ: ფუძეუკვეცელი სახელის მაგივრად უნდა ჩავსვათ თანხმოვანფუძიანი ან ფუძეკვეცადი სახელი. მაგალითად: ტყეში **წყაროს** წავანყდი. აქ წყაროს ნაცვლად ჩავსვათ, ვთქვათ, **ნაკადულს**. გვექნება: ტყეში **ნაკადულს** წავანყდი. ნაკადულს მიცემითი ბრუნვის ფორმაა, მაშასადამე, **წყაროს** მიცემით ბრუნვაში დგას. წინადადებაში: **წყაროს** წყალი ცივია. შევუნაცვლოთ **მდინარე**: მდინარის წყალი ცივია. მდინარის ნათესაობითშია, მაშასადამე, აქ **წყაროს** ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა.

ნასესხები უკვეცელი ი-ხმოვნიანი სახელის ბრუნება:

სახ.	ჩაი	ტრამვაი	
მოთხ.	ჩაი-მ	ტრამვაი-მ	
მიც.	ჩაი-ს	ტრამვაი-ს	
ნათ.	ჩაი-ს	ტრამვაი-ს	
მოქმ.	ჩაი-თ	ტრამვაი-თ	
ვით.	ჩაი-დ	ტრამვაი-დ	
ნოდ.	ჩაი-ვ*	ტრამვაი-ვ*	

**შენიშვნა:** ი-ზე დაბოლოებული ქართული საზოგადო სახელები არ გვაქვს. უცხო ენებიდან ნასესხები რამდენიმე სახელის ფუძე ბოლოვდება ი-ზე და უკვეცელია. მაგ., **დიჯეი, ტაქსი, სამურაი** და სხვ. მაგალითად, ქალები **ჩაის** კრეფენ. **ტაქსიმ** დაიგვიანა (ჩვეულებრივ, ამბობენ: **ტაქსმა** დაიგვიანა). **ტრამვაიში** ჩავჯექი.

### კუმშვად-კვეცად სახელთა ბრუნება

რამდენიმე სახელს ფუძე კიდევ ეკუმშება და კიდევ ეკვეცება მხოლოდითი რიცხვის სამ ბრუნვაში: **ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში** და მთელ **ებ-იან** მრავლობითში. ეს სახელებია: **პეპელა, ქვეყანა, ფანჯარა, ქარხანა, ბეგარა, ტომარა, მოყვარე** და სხვ.

სახ.	ქვეყანა	მოყვარე	ქვეყნ-ები	მოყვრ-ები
მოთხ.	ქვეყანა-მ	მოყვარე-მ	ქვეყნ-ებ-მა	მოყვრ-ებ-მა
მიც.	ქვეყანა-ს(ა)	მოყვარე-ს(ა)	ქვეყნ-ებ-ს(ა)	მოყვრ-ებ-ს(ა)
ნათ.	ქვეყნ-ის(ა)	მოყვრ-ის(ა)	ქვეყნ-ებ-ის(ა)	მოყვრ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ქვეყნ-ით(ა)	მოყვრ-ით(ა)	ქვეყნ-ებ-ით(ა)	მოყვრ-ებ-ით(ა)
ვით.	ქვეყნ-ად(ა)	მოყვრ-ად(ა)	ქვეყნ-ებ-ად(ა)	მოყვრ-ებ-ად(ა)
ნოდ.	ქვეყანა-ვ	მოყვარე-ვ	ქვეყნ-ებ-ო	მოყვრ-ებ-ო

### თავისებურად ბრუნებადი სმოვანფუძიანი სახელები

ო-სა და ა-ზე ფუძეგათავებული რამდენიმე საზოგადო სახელი ბრუნებისას თავისებურებას ამჟღავნებს:

- **ღვინო:** მხოლობითში კვეცადია (ღვინ-ის, ღვინ-ით), მრავლობითში — უკვეცელი (ღვინო-ები, ღვინო-ებ-მა).

- **ხბო:** ამ სახელს მრავლობითი ორგვარად აქვს ნაწარმოები: ხბო-ები და ხბორ-ები (**ხბორ** ფუძისაგან არის ნაწარმოები მე-ხბორ-ე).

- **დრო:** ნათესაობითსა და მოქმედებითში ორგვარად იხმარება: დრო-ის/დრო-ს, დრო-ით/დრო-თი.

- **ა-სმოვანფუძიანი რამდენიმე საზოგადო სახელი მხოლობითში უკვეცელია, ხოლო ებ-იან მრავლობითში — კვეცადი: დედოფალა, წითელა, დათუნია, ჭრიჭინობელა, ჭინჭრაქა და სხვ. მაგ., დედოფალას კაბა ძალიან ლამაზია. დათუნიას მოფერება მინდა. შდრ. ბავშვებს ძალიან უყვართ გერმანული დედოფალები. ანას დედამ დათუნიები აჩუქა.**

სახ.	ჭრიჭინობელა	დათუნია	ჭრიჭინობელ-ები
მოთხ.	ჭრიჭინობელა-მ	დათუნია-მ	ჭრიჭინობელ-ებ-მა
მიც.	ჭრიჭინობელა-ს	დათუნია-ს	ჭრიჭინობელ-ებ-ს
ნათ.	ჭრიჭინობელა-ს(ი)	დათუნია-ს(ი)	ჭრიჭინობელ-ებ-ის
მოქმ.	ჭრიჭინობელა-თი	დათუნია-თი	ჭრიჭინობელ-ებ-ით
ვით.	ჭრიჭინობელა-დ	დათუნია-დ	ჭრიჭინობელ-ებ-ად
ნოდ.	ჭრიჭინობელა-ვ	დათუნია-ვ	ჭრიჭინობელ-ებ-ო

- ე-ნმოვანფუძიანი უცხოური საზოგადო სახელები უკვეცელია: **კაფე, იუბილე, კაშნე, კონფერანსიე, პენსნე, ჟელე, პიკე** და სხვ. მაგ., ჩემი მეგობარი **კაფეს** გახსნას აპირებს. დიდი პოეტისთვის **იუბილეს** გადახდა გადანყვიტეს (არასწორია: კაფის გახსნა, იუბილის გადახდა).

### **საკუთარ სახელთა ბრუნება**

საკუთარ სახელთა ბრუნება თანამედროვე ქართულში საზოგადო სახელების ბრუნებისაგან ოდნავ განსხვავებულია. ეს უმეტესად ეხება ადამიანის სახელებს.

ადამიანთა საკუთარ სახელებს არ აქვს მრავლობითი რიცხვი, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისას ადამიანის სახელი მრავლობითშიც გვხვდება. მაგ.: ჩვენში **ასმათები** და **ავთანდილები** აღარ არიან. ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ბევრი ასმათი ან ავთანდილი, არამედ ასმათის და ავთანდილის მსგავსი ადამიანები.

### **ადამიანთა სახელების ბრუნება**

ადამიანთა საკუთარი სახელები, საზოგადო სახელების მსგავსად, შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანი ან ხმოვანფუძიანი.

**თანხმოვანფუძიანი** საკუთარი სახელებია: ასმათ-ი, დარეჯან-ი, თამარი, ნესტანი, ომარ-ი, მერაბ-ი, ლევან-ი, ნოდარ-ი, ნუგზარ-ი, ტარიელ-ი, ფრიდონ-ი... ასეთი სახელები **უკუმშველია**:

სახ.	დავით-ი	გურამ-ი	ასმათ-ი	ეთერ-ი
მოთხ.	დავით-მა	გურამ-მა	ასმათ-მა	ეთერ-მა
მიც.	დავით-ს	გურამ-ს	ასმათ-ს	ეთერ-ს
ნათ.	დავით-ის	გურამ-ის	ასმათ-ის	ეთერ-ის
მოქმ.	დავით-ით	გურამ-ით	ასმათ-ით	ეთერ-ით
ვით.	დავით-ად	გურამ-ად	ასმათ-ად	ეთერ-ად
ნოდ.	დავით	გურამ	ასმათ	ეთერ

ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები **უკვეცელია:**

**ა:** ლელა, მანანა, ნანა, შოთა, გაგა, ბექა...

**ე:** ელენე, ირინე, კოტე, თორნიკე, პეტრე, ცოტნე...

**ი:** დალი, ლალი, ნანი, მერი, აკაკი, გივი, რატი...

**ო:** დოდო, მაიკო, მზალო, ნინო, ანდრო...

**უ:** ნუნუ, ბათე, დედუ, დუტუ...

სახ.	ლელა	აკაკი	ნინო	ცოტნე
მოთხ.	ლელა-მ	აკაკი-მ	ნინო-მ	ცოტნე-მ
მიც.	ლელა-ს	აკაკი-ს	ნინო-მ	ცოტნე-ს
ნათ.	ლელა-ს(ი)	აკაკი-ს	ნინო-ს(ი)	ცოტნე-ს(ი)
მოქმ.	ლელა-თი	აკაკი-თ	ნინო-თი	ცოტნე-თი
ვით.	ლელა-დ	აკაკი-დ	ნინო-დ	ცოტნე-დ
წოდ.	ლელა	აკაკი	ნინო	ცოტნე

### ადამიანთა გვარების ბრუნება

თანხმოვანფუძიანი გვარები ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის საზოგადო სახელები:

სახ.	ჯავახიშვილ-ი	ჯავახიშვილ-ებ-ი
მოთხ.	ჯავახიშვილ-მა	ჯავახიშვილ-ებ-მა
მიც.	ჯავახიშვილ-ს	ჯავახიშვილ-ებ-ს
ნათ.	ჯავახიშვილ-ის	ჯავახიშვილ-ებ-ის
მოქმ.	ჯავახიშვილ-ით	ჯავახიშვილ-ებ-ით
ვით.	ჯავახიშვილ-ად	ჯავახიშვილ-ებ-ად
წოდ.	ჯავახიშვილ-ო	ჯავახიშვილ-ებ-ო

თანხმოვანფუძიანი გვარებიდან **-ელ-ზე** დაბოლოებული ზოგი გვარი კუმშვადია (მაგ.: წერეთელი — **წერეთლის**, მაჩაბელი — **მაჩაბლის**), დანარჩენები — უკუმშველი:

სახ.	წერეთელ-ი	წერეთელ-ებ-ი
მოთხ.	წერეთელ-მა	წერეთელ-ებ-მა
მიც.	წერეთელ-ს	წერეთელ-ებ-ს
ნათ.	წერეთელ-ის	წერეთელ-ებ-ის
მოქმ.	წერეთელ-ით	წერეთელ-ებ-ით
ვით.	წერეთელ-ად	წერეთელ-ებ-ად
წოდ.	წერეთელ-ო	წერეთელ-ებ-ო

ცალკე ან რამდენიმე სახელთან გამოყენებისას გვარებს აქვთ მრავლობითის ფორმა: ორბელიანები, ჭავჭავაძეები, ტაბიძეები; ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები; გარსევან, ალექსანდრე და ილია ჭავჭავაძეები...

### სმოვანფუძიანი გვარების ბრუნება

ა-ზე დაბოლოებული ქართული გვარები მხოლოდითში **უკვეცელია**, -ებ-იან მრავლობითში კი — კვეცადი (მხ. რიცხვის წოდებთში არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს).

ე-ზე დაბოლოებული გვარები მხოლოდითში **კვეცადია**, ხოლო მრავლობითში — **უკვეცელი**:

სახ.	ბუკია	ტაბიძე	მებუკე
მოთხ.	ბუკია-მ	ტაბიძე-მ	მებუკე-მ
მიც.	ბუკია-ს	ტაბიძე-ს	მებუკე-ს
ნათ.	ბუკია-ს(ი)	ტაბიძ-ის	მებუკე-ის
მოქმ.	ბუკია-თი	ტაბიძ-ით	მებუკე-ით
ვით.	ბუკია-დ	ტაბიძე-დ	მებუკე-დ
წოდ.	ბუკია	ტაბიძე	მებუკე

სახ.	ბუკი-ებ-ი	ტაბიძე-ებ-ი	მებუკე-ებ-ი
მოთხ.	ბუკი-ებ-მა	ტაბიძე-ებ-მა	მებუკე-ებ-მა

მიც.	ბუკი-ებს	ტაბიძე-ებს	მებუკე-ებს
ნათ.	ბუკი-ების	ტაბიძე-ების	მებუკე-ების
მოქმ.	ბუკი-ებით	ტაბიძე-ებით	მებუკე-ებით
ვით.	ბუკი-ებ-ად	ტაბიძე-ებ-ად	მებუკე-ებ-ად
წოდ.	ბუკი-ებ-ო	ტაბიძე-ებ-ო	მებუკე-ებ-ო

**შენიშვნა:** -ი-ზე დაბოლოებული არაქართული გვარები მხოლოდითში უკვეცელია (ამ ტიპის ქართული გვარები არც არსებობს):

სახ.	დოსტოვესკი	ვერდი	ვივალდი	ანტონიონი	დისნეი
მოთხ.	დოსტოვესკი-მ	ვერდი-მ	ვივალდი-მ	ანტონიონი-მ	დისნეი-მ
მიც.	დოსტოვესკი-ს	ვერდი-ს	ვივალდი-ს	ანტონიონი-ს	დისნეი-ს
ნათ.	დოსტოვესკი-ს	ვერდი-ს	ვივალდი-ს	ანტონიონი-ს	დისნეი-ს
მოქმ.	დოსტოვესკი-თ	ვერდი-თ	ვივალდი-თ	ანტონიონი-თ	დისნეი-თ
ვით.	დოსტოვესკი-დ	ვერდი-დ	ვივალდი-დ	ანტონიონი-დ	დისნეი-დ
წოდ.	დოსტოვესკი	ვერდი	ვივალდი	ანტონიონი	დისნეი

### სახელისა და გვარის ბრუნება ერთად

ადამიანის სახელისა და გვარის ერთად გამოყენებისას იბრუნვის გვარი, სახელი კი უცვლელი რჩება.

სახ.	თამაზ	ამირეჯიბ-ი	დარეჯან	ასათიან-ი
მოთხ.	თამაზ	ამირეჯიბ-მა	დარეჯან	ასათიან-მა
მიც.	თამაზ	ამირეჯიბ-ს	დარეჯან	ასათიან-ს
ნათ.	თამაზ	ამირეჯიბ-ის	დარეჯან	ასათიან-ის
მოქმ.	თამაზ	ამირეჯიბ-ით	დარეჯან	ასათიან-ით
ვით.	თამაზ	ამირეჯიბ-ად	დარეჯან	ასათიან-იდ
წოდ.	თამაზ	ამირეჯიბ-ო	დარეჯან	ასათიან-ო

როცა გვარს მოსდევს სახელი, მაშინ ხმოვანფუძიანი გვარი უცვლელია და სახელს დაერთვის ბრუნვის ნიშნები (ბაქრაძე დავით, ბაქრაძე დავით-მა). თანხმოვანფუძიანი გვარიც და

სახელიც ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს (მესხი ნინო, მესხ-მა ნინო-მ).

### 2.1.4. არსებითი სახელი მსაზღვრელად

როცა არსებითი სახელი მეორე არსებითს უკავშირდება, ის შეიძლება იყოს **მსაზღვრელი**, რომელიც არის ან **შეთანხმებული**, ან **მართული**.

#### არსებითი სახელი შეთანხმებულ მსაზღვრელად

არსებით სახელს **მსაზღვრელად** შეიძლება ახლდეს პროფესიის, ხელობის, წოდებისა და სხვ. აღმნიშვნელი არსებითი სახელი. მაგ.: პოეტი წერეთელი, მწერალი ლორთქიფანიძე, ექიმი ფალავა, გენერალი მაზნიაშვილი, დირექტორი ანჯაფარიძე, ჟურნალი „ცისკარი“... ასეთი თანხმოვანფუძიანი არსებითი ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს (ზედსართავის მსგავსად) სამ ბრუნვაში — სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, დანარჩენ ოთხ ბრუნვაში კი ფუძის სახით არის შეწყობილი (იხ. ქვემოთ).

როდესაც საზღვრულ არსებით სახელს მსაზღვრელად წინ უძღვის **ბატონი** და **ქალბატონი** (მაგ.: ბატონი დავითი, ქალბატონი ქეთევანი...), ბრუნვის ნიშნები მათ დაერთვით თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის მსგავსად.

სახ.	ექიმი	ციციშვილ-ი
მოთხ.	ექიმ-მა	ციციშვილ-მა
მიც.	ექიმ	ციციშვილ-ს
ნათ.	ექიმ	ციციშვილ-ის
მოქმ.	ექიმ	ციციშვილ-ით
ვით.	ექიმ	ციციშვილ-ად
წოდ.	ექიმ-ო	ციციშვილ-ო

სახ.	ბატონ-ი	დავით-ი	ქალბატონ-ი	ნათელა
მოთხ.	ბატონ-მა	დავით-მა	ქალბატონ-მა	ნათელა-მ
მიც.	ბატონ	დავით-ს	ქალბატონ	ნათელა-ს
ნათ.	ბატონ-ი	დავით-ის	ქალბატონ-ი	ნათელა-ს
მოქმ.	ბატონ-ი	დავით-ით	ქალბატონ-ი	ნათელა-თი
ვით.	ბატონ	დავით-ად	ქალბატონ	ნათელა-დ
წოდ.	ბატონ-ო	დავით	ქალბატონ-ო	ნათელა

### არსებითი სახელი მართულ მსაზღვრელად

არსებით სახელს შეიძლება ახლდეს **ნათესაობითში** დასმული სახელი, რომელიც აღნიშნავს **კუთვნილებას** ან **მასალას**. მაგ.: მეზობლის სახლი (აღნიშნავს კუთვნილებას); ქვის სახლი (აღნიშნავს მასალას). ჩვეულებრივ, ასეთი სახელი არსებითი სახელის წინ დგას (პრეპოზიციური ანუ პირდაპირი წყობა), იშვიათად კი მომდევნოა (პოსტპოზიციური ანუ შებრუნებული წყობა).

- პრეპოზიციური წყობის დროს მსაზღვრელი არსებითი სახელი უცვლელია: ოქროს ბეჭედი-ი, ოქროს ბეჭედი-მა, ოქროს ბეჭედი-ს...

- პოსტპოზიციური წყობის დროს ნათესაობითში დასმული სახელი დაირთავს ბრუნვის ნიშნებს გავრცობილ ფუძეზე: სახლ-ი ქვისა, სახლ-მა ქვისა-მ, სახლ-ს ქვისა-ს... (არ ეწარმოება ნათესაობითი და მოქმედებითი).

სახ.	ვერცხლის	თას-ი	ვერცხლის	თას-ები
მოთხ.	ვერცხლის	თას-მა	ვერცხლის	თას-ები-მა
მიც.	ვერცხლის	თას-ს	ვერცხლის	თას-ები-ს
ნათ.	ვერცხლის	თას-ის	ვერცხლის	თას-ები-ის
მოქმ.	ვერცხლის	თას-ით	ვერცხლის	თას-ები-ით
ვით.	ვერცხლის	თას-ად	ვერცხლის	თას-ები-ად
წოდ.	ვერცხლის	თას-ო	ვერცხლის	თას-ები-ო

სახ.	თას-ი	ვერცხლისა	თას-ებ-ი	ვერცხლისა
მოთხ.	თას-მა	ვერცხლისა-მ	თას-ებ-მა	ვერცხლისა-მ
მიც.	თას-ს	ვერცხლისა-ს	თას-ებ-ს	ვერცხლისა-ს
ნათ.	—	—	—	—
მოქმ.	—	—	—	—
ვით.	თას-ად	ვერცხლისა	თას-ებ-ად	ვერცხლისა
წოდ.	თას-ო	ვერცხლისა-ვ	თას-ებ-ო	ვერცხლისა-ვ

	პირდაპირი წყობა		შებრუნებული წყობა	
სახ.	ვერცხლის	თას-ნ-ი	თას-ნ-ი	ვერცხლისა-ნ-ი
მოთხ.	ვერცხლის	თას-თა	თას-თა	ვერცხლისა-თა
მიც.	ვერცხლის	თას-თა	თას-თა	ვერცხლისა-თა
ნათ.	ვერცხლის	თას-თა	თას-თა	ვერცხლისა-თა
წოდ.	ვერცხლის	თას-ნ-ო	თას-ნ-ო	ვერცხლისა-ნ-ო

**შენიშვნა:** პოსტპოზიციური წყობის დროს მსაზღვრელს **მართულ-შეთანხმებულს** უწოდებენ.

### 2.1.5. არსებით სახელთა წარმოება

სიტყვა აგებულებით შეიძლება იყოს **ძირეული** და **წარმოქმნილი**. მაგ., „კაც-ი“ მარტივი აგებულების სიტყვაა, „კაც-ურ-ი“, „სა-კაც-ე“ და „უ-კაც-ურ-ი“ — მისგან ნაწარმოები, „მამაკაცი“ და „ვაჟკაცი“ — რთული ფუძის სიტყვები, კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი კომპონენტია **კაც-ი**.

ქართულ ენაში ახალ სიტყვათა წარმოქმნა შესაძლებელია ფუძეზე აფიქსების დართვით — **სიტყვანარმოებით** და **სიტყვათა შეერთებით** ანუ თხზვით (კომპოზიციით).

ქართულ ენაში **სიტყვამანარმოებელი** ანუ დერივაციული აფიქსები მრავალფეროვანია, რაც ამდიდრებს ენის ლექსიკურ

მარაგს. სიტყვის ფუძეს შეიძლება დაერთოს აფიქსი თავში (**თავსართი** ანუ **პრეფიქსი**), ბოლოში (**ბოლოსართი** ანუ **სუფიქსი**) ან თავსა და ბოლოში ერთად (**თავსართ-ბოლოსართი**, იგივე **პრეფიქს-სუფიქსი** ანუ **კონფიქსი**).

მაგ.: სიტყვაში მგლ-ურ-ი **-ურ** ბოლოსართია, უ-რიცხვი ნაწარმოებია **უ-** თავსართით, ხოლო მე-კარ-ე — **მე — ე** თავსართ-ბოლოსართით. ქართულში უფრო გავრცელებულია სიტყვანარმოება სუფიქსებითა და კონფიქსებით, შედარებით იშვიათად გვხვდება მხოლოდ პრეფიქსული წარმოება.

განსაკუთრებით მდიდარია არსებითი და ზედსართავი სახელების წარმოების საშუალებები. სპეციალური დერივაციული აფიქსების დართვით ინარმოება სხვადასხვა შინაარსობრივი ჯგუფის სახელები, თუმცა შინაარსობრივი დაჯგუფება მაინც პირობითია, რადგან აფიქსთა სემანტიკა გაცილებით მრავალფეროვანია.

**არსებითი სახელები** ინარმოება როგორც **სუფიქსებით** (გორ-აკ-ი, დედოფალ-ა, მტრ-ობა, ნაძვ-ნარ-ი), ისე **კონფიქსებით** (პრეფიქს-სუფიქსებით: სი-კეთ-ე, სი-თბ-ო, სა-ბერძნ-ეთ-ი).

ნაწარმოები არსებითი სახელების შინაარსობრივი ჯგუფებია: **კნინობით-ალერსობითი, აბსტრაქტული, მცენარეთა კრებულისა და გეოგრაფიული სახელები.**

**კნინობით-ალერსობითია** წარმოქმნილი სახელი, რომელიც ძირეული სიტყვით აღნიშნულ საგანს შემცირებულად წარმოგვიდგენს. მაგ., **წიგნი** ან **გორა** შეიძლება იყოს დიდიც და პატარაც, მაგრამ ამის შესახებ ეს სიტყვა არაფერს გვეუბნება. **წიგნ-აკ-ი** და **გორა-აკ-ი**, რომელიც მათგან არის ნაწარმოები, პატარა ზომის წიგნს ან გორას აღნიშნავს, ე.ი. წიგნაკი, გორაკი კნინობითი სახელებია.

კნინობითი ფორმა ხშირად საალერსო, მოფერებითი საზოგადო ან საკუთარი სახელია: დედიკო, მამიკო, ძამიკო, ბებიკო, ბიძიკო... თამრიკო, თამუნა, მარიკუნა, ზურიკო...

კნინობითის მანარმოებელი სუფიქსებია: **-ა, -აკ, -ია, -იკო, -უკა, -ილო...**

-ა	დედოფალ-ა, იმედ-ა, ომარ-ა...
-აკ	წიგნ-აკ-ი, წვერ-აკ-ი, სახლ-აკ-ი...
-ია	ბიძ-ია, გედ-ია, გოგ-ია...
-იკო	დედ-იკო, მამ-იკო, ძამ-იკო, ბიძ-იკო...
-უკა	ნან-უკა...
-ილო	მამ-ილო, დედ-ილო...

კნინობით სახელთა სანარმოებლად ზოგჯერ რამდენიმე სუფიქსი ერთად გამოიყენება:

-უნა	კაც-უნ-ა, წაღ-უნ-ა, დათ-უნ-ა, ბიჭ-უნ-ა...
-უნია	ფის-უნ-ია, ციც-უნ-ია...
-უნიკო	დათ-უნ-იკო...
-იკელა	დათ-იკ-ელ-ა, ზურ-იკ-ელ-ა...

**აბსტრაქტული** ანუ **განყენებულია** სახელი, თუ ის აღნიშნავს აბსტრაქტულ ცნებას, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია. მისი მანარმოებლებია: **-ება, -ობა, სი — ე, სი — ო.**

-ება	ბედნიერ-ება, ჭეშმარიტ-ება, ბოროტ-ება...
-ობა	მეგობრ-ობა, მტრ-ობა, გულწრფელ-ობა...
სი — ე	სი-ბრძნ-ე, სი-მშვიდ-ე, სი-კეთ-ე
სი — ო	სი-თბ-ო, სი-ტკბ-ო, სი-ლბ-ო, სი-მსხ-ო

**მცენარეთა კრებულის სახელები** ინარმოება **-ნარ** (დისიმილაციით — **-ნალ**) სუფიქსით. ის უმეტესად აღნიშნავს

ადგილს, სადაც უხვად არის ესა თუ ის მცენარე (იშვიათად — რომელიმე საგანი, ნივთიერება). მაგ.: ნაძვ-ნარ-ი, დაფ-ნარ-ი, ფიჭვ-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი, ბუჩქ-ნარ-ი, ყვავილ-ნარ-ი, ბალ-ნარ-ი... ასევე: თიხ-ნარ-ი...

**გეოგრაფიულ სახელთა** გარკვეული ნაწილის საწარმოებლად სპეციალური აფიქსები არსებობს. ძირითადი მანარმოებლებია: სუფიქსი **-ეთ**, კონფიქსი **სა — ო** და პრეფიქსი **სა-**:

<b>-ეთ</b>	კახ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი, ჩინ-ეთ-ი, შვედ-ეთ-ი
<b>სა — ეთ</b>	სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი...
<b>სა — ო</b>	სა-ქართველ-ო, სა-ინგილ-ო, სა-მეგრ-ელ-ო...

**შენიშვნა:** გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოიყენება ასევე ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება **-ის**: თბილ-ის-ი, მანგლ-ის-ი, შინდ-ის-ი...

- გეოგრაფიული სახელები შეიძლება იწარმოებოდეს ქართული ენის თითქმის ყველა დერივაციული აფიქსით (სა-ირმ-ე, სა-მტრედ-ია, სა-ზან-ო, დაფ-ნარ-ი...), სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმით (ბერიძეები), ორსიტყვიანი კომპოზიტით (ციხისძირი, ქვიტირი, თამარაშენი, ახალსოფელი, ახალდაბა, მუხათწყარო...) და სხვ.

### 2.1.6. რთულ სიტყვათა წარმოება (თხზვა)

სახელი შეიძლება მიღებული იყოს ორი ან მეტი ფუძის შეერთებით. ასეთი სიტყვა რთული აგებულებისაა და **კომპოზიტს** უწოდებენ. რთული სიტყვის წარმოსაქმნელად შეიძლება **გაორკვედეს** ერთი და იგივე ფუძე ან შეერთდეს **სხვადასხვა** ფუძე.

განასხვავებენ **ერთ-** და **ორცნებიან** კომპოზიტებს: თუ კომპოზიტის შემადგენელ ფუძეთა მნიშვნელობა დაჩრდილულია, ის **ერთცნებიანია**. ასეთი რთული სიტყვებია: ცისკარი, გულისყური, რქამოტეხილი, გულგახეთქილი, თავქუდმოგლეჯილი...

ერთცნებიანი (ერთმნიშვნელობიანი) კომპოზიტი იქმნება სხვადასხვა მეტყველების ნაწილის შეერთებითაც, **ნაირფუძიანია**, მაგრამ ერთ ცნებას გამოხატავს და ამიტომ ერთად იწერება:

- **არსებითი სახელი + არსებითი სახელი:** გლეხკაცი, დედაკაცი, ვაჟკაცი, ქალბატონი, დევგმირი...
- **არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი/მიმღობა:** გულდიდი, თავდახრილი...
- **არსებითი სახელი + ნაცვალსახელი:** დედამისი, მამაჩემი...
- **ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი:** ავდარი, აგვული...
- **რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი:** ორგული, ორპირი, ორლობე...
- **არსებითი სახელი** ნათესაობით ბრუნვაში (მხ. ან მრ. რიცხვში)+ რომელიმე სახელი (არს., სანყისი, მიმღობა): ქინძისტავი, ცისარტყელა, მზეთუნახავი და სხვ.

**ფუძეგაორკეცებული** სიტყვები ერთად ინერება, თუკი მისი შემადგენელი ფუძე ცალკე არ გამოიყენება: ჭიკჭიკი, ლაქლაქი, კისკისი, თქარათქური, ჩახაჩუხი...

თუ გაორკეცებულ სიტყვებს შორის **და** კავშირი დაისმის, მაშინ ის ერთად ინერება: პირდაპირ, კარდაკარ, გზადაგზა, ფეხდაფეხ, ხელდახელ, მხარდამხარ... (დიდი ნაწილი ზმნიზედა).

**შენიშვნა:** რთული სიტყვების პირველ ან მეორე კომპონენტად ხშირად გამოიყენება ზმნიზედა ან თანდებული: თან(ა), ქვე, ქვეშ(ა), წინ(ა), ახლოს, შორის, შუა და სხვ. მაგალითად: თანაარსებობა, თანაგრძნობა, თანამშრომელი, თანმხლები; ქვემძრომი, ქვენარმავალი, შუასაყარი, შუამავალი... კუჭქვეშა, ენისქვეშა, ოპერაციისწინა, ოპერაციისშემდგომი, ინსტიტუტთაშორისი, ერთაშორისი, ნეკნთაშუა სხვ.

### **ორცნებიანი კომპოზიტები**

თუ შემადგენელ ფუძეთა მნიშვნელობა შენარჩუნებულია, ასეთ კომპოზიტს **ორცნებიანს** (ორმნიშვნელობიანს) ვუწოდებთ: მთა-ბარი, მინდორ-ველი, დედ-მამა, ცოლ-ქმარი...

ორცნებიან კომპოზიტებში შეიძლება იყოს ორი ან სამი სახელი, ზმნა ან ზმნიზედა:

**არსებითი სახელები:** დედ-მამა, და-ძმა, სახლ-კარი, ტყე-მინდორ-ველი, ქართლ-კახეთ-იმერეთი...

**საწყისები:** ცეკვა-თამაში, წერა-კითხვა...

**ზედსართავი სახელები:** წითელ-ყვითელი, დიდ-პატარა...

**მიმღობები:** ნათქვამ-ნაფიქრი...

**რიცხვითი სახელები:** ორი-სამი, ხუთი-ექვსი...

**ზმნები:** მიდი-მოდის, ადი-ჩამოდის...

**ზმნიზედები:** დილა-სალამოს, ზამთარ-ზაფხულ...

**ფუძეგაორკეცებული** ზედსართავი, რიცხვითი, არსებითი სახელები, ნაცვალსახელები და ზმნიზედები დეფისით დაინერება; ზოგიერთი ფუძეგაორკეცებული სიტყვა კი სხვა მეტყველების ნაწილად იქცევა.

**არსებითი სახელების** გაორკეცებით ზმნიზედები მიიღება: ქუჩა-ქუჩა, ალაგ-ალაგ, გზა-გზა...

გაორკეცებული **ზედსართავი სახელები:** დიდ-დიდი, ცხელ-ცხელი, ცივ-ცივი...;

გაორკეცებული **რიცხვითი სახელები:** ორ-ორი, ათ-ათი, ას-ასი...; **ნაცვალსახელები:** რალაც-რალაცა, ვილაც-ვილაცა...;

გაორკეცებული **ზმნიზედები:** ნელ-ნელა, ჩქარ-ჩქარა...

ქართულში არსებობს **ორზე მეტცნებიანი** კომპოზიტებიც: ტყე-მინდორ-ველი, ქართულ-რუსულ-ინგლისური...

**შენიშვნა:** თუკი ორცნებიანი კომპოზიტს დაერთო სიტყვამანარმოებელი აფიქსი, ის ერთად ინერება: სტუმარ-მასპინძელი → **სტუმარმასპინძლობა**, და-ძმა → **დაძმური**, დედა-შვილი → **დედაშვილობა**, ცხვირ-პირი → **უცხვირპირო**.

## 2.2. ზედსართავი სახელი

**ზედსართავი სახელი** ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც ახლავს არსებით სახელს და გამოხატავს საგნის ნიშან-თვისებას (ცელქი ბავშვი, ბეჯითი მოსწავლე). მისი კითხვებია: **როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი?**

ზღვა შეიძლება იყოს: ლურჯი, კამკამა, მღვრიე, მშვიდი, ბობოქარი, უსაზღვრო...

**როგორი** ზღვა? ვამბობთ: ლურჯი ზღვა, კამკამა ზღვა, მღვრიე ზღვა, მშვიდი ზღვა, ბობოქარი ზღვა, უსაზღვრო ზღვა...  
**როგორი** (რანაირი) ღამე? ვარსკვლავიანი ღამე. **როგორი** წვიმა? კოკისპირული წვიმა.

**რომელი?** — უფროსი (შვილი), უმცროსი (და), ბევრითი (სტუდენტი).

**სადაური?** — ქალაქელი (ბავშვი), ამერიკელი (მწერალი), გერმანული (ავეჯი), აქაური (ატამი).

**როდინდელი?** — გუშინდელი (ამბავი), წუხანდელი (სიზმარი).

ზედსართავ სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: **ვითარებითი** და **მიმართებითი**.

**ვითარებითია** პირველადი (ძირეული) ზედსართავი სახელი: დიდი, თეთრი, შავი, მწვანე, მალალი, გრძელი, მოკლე, ვიწრო...

**მიმართებითი** ზედსართავების ჯგუფში ერთიანდება დერივაციული აფიქსებით ნაწარმოები (მეორეული) სახელები, რომლებიც მიღებულია თვით ზედსართავის ან სხვა მეტყველების ნაწილისაგან. მაგ., ცოლი არსებითი სახელია, ცოლიანი (კაცი) კი — მისგან წარმოქმნილი ზედსართავი, რომელიც საგანს (ამ შემთხვევაში კაცს) ახასიათებს ძირეული სიტყვით აღნიშნულთან (ცოლთან) მიმართებით. მიმართებითი ზედსართავებია ასევე: უღვაშ-იან-ი, უ-ფულ-ო, უ-გულ-ო, სა-დავ-ო... -იან, უ-ო, სა-ო სიტყვანარმოებითი, ანუ დერივაციული ელემენტებია. (ზედსართავი სახელების წარმოების შესახებ იხ. ცალკე).

### 2.2.1. ზედსართავ სახელთა ხარისხის წარმოება

ვითარებით ზედსართავ სახელს, ჩვეულებრივ, ეწარმოება **ხარისხის ფორმები**, რომლებიც ძირეულთან მიმართებით ნაკლები ან მეტი ოდენობით გამოხატავენ საგნის თვისებას. ეს ფორმები **ხარისხის ფორმებია**. ძირეულ ფორმას (დიდი, თეთრი) **დადებითი** ჰქვია, მისგან წარმოქმნილებს, ძირეულთან მიმართებით ნაკლები

ოდენობის გამომხატველს — **ოდნაობითი**, ხოლო ძირეულთან მიმართებით მეტი ოდენობის გამომხატველს — **უფროობითი**.

**ოდნაობითი** ხარისხის მანარმოებელია თავსართ-ბოლოსართი **მო — ო** და გამოხატავს თვისებას ძირეულ ზედსართავ სახელზე ნაკლები ოდენობით:

დადებითი ხარისხი	ოდნაობითი ხარისხი
შავ-ი →	მო-შავ-ო →
მწვანე →	მო-მწვან-ო →

**უფროობითი** ხარისხის ფორმას აწარმოებს თავსართ-ბოლოსართი (კონფიქსი) **უ — ეს** და აღნიშნავს თვისებას იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ძირეული ზედსართავი სახელი:

დადებითი ხარისხი	უფროობითი ხარისხი
შავ-ი →	უ-შავ-ეს-ი
მუქ-ი →	უ-მუქ-ეს-ი
ბოროტ-ი →	უ-ბოროტ-ეს-ი

ზედსართავი სახელების ხარისხის ფორმების წარმოება ნაჩვენებია სქემაზე ქვემოთ:

დადებითი ხარისხი	ოდნაობითი ხარისხი	უფროობითი ხარისხი
დიდ-ი →	მო-დიდ-ო →	უ-დიდ-ეს-ი
თეთრ-ი →	მო-თეთრ-ო →	უ-თეთრ-ეს-ი
მაღალ-ი →	მო-მაღლ-ო →	უ-მაღლ-ეს-ი
ლამაზ-ი →	მო-ლამაზ-ო →	უ-ლამაზ-ეს-ი

მიმართებით ზედსართავ სახელებს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ხარისხი არ ეწარმოებათ. მაგ., არ შეიძლება უგულოესი ან უუგულესი, უხავსიანესი, უნიგნურესი და სხვა;

თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც: ხარისხის ფორმები არ ეწარმოება ზოგიერთ ვითარებით ზედსართავს სახელსაც (მაგ., კოჭლი, ხეიბარი), ზოგს კი მხოლოდ უფროობითის ფორმა ეწარმოება (ნაზი → უ-ნაზ-ეს-ი და სხვ.); უფროობითი ხარისხის ფორმით გვხვდება რამდენიმე წარმოქმნილი ზედსართავი სახელი:

ამოსავალი სიტყვა	ზედსართავი სახელი	უფროობითი ხარისხი
—	წმინდა →	უ-წმინდ-ეს-ი
გონი →	გონ-იერ-ი →	უ-გონიერ-ეს-ი
ჭკუა →	ჭკვ-იან-ი →	უ-ჭკვიან-ეს-ი
ძალა →	ძლ-იერ-ი →	უ-ძლიერ-ეს-ი
ღონე →	ღონ-იერ-ი →	უ-ღონიერ-ეს-ი

**შენიშვნა:** ხარისხის ფორმათა წარმოებისას **-ელ** და **-ილ** სუფიქსიან ზოგიერთ ზედსართავ სახელს შორდება ეს დაბოლოებები:

გრძ-ელ-ი → მო-გრძ-ო → უ-გრძ-ეს-ი

ტკბ-ილ-ი → მო-ტკბ-ო → უ-ტკბ-ეს-ი

➤ ზოგჯერ ხარისხი გამოიხატება სხვა ფუძის სახელით: ცუდი → უარესი, კარგი → უკეთესი, პატარა → მომცრო და სხვ.

## 2.2.2. ზედსართავ სახელთა ბრუნება

ზედსართავი სახელი, ჩვეულებრივ, არსებით სახელს ახლავს და მისი განსაზღვრებაა: **კეთილი** ადამიანი, **ჭკვიანი** მოსწავლე, **ავი** ძაღლი, **მაღალი** კაცი. ზოგჯერ არსებითი სახელი გამოტოვებულია, ზედსართავი სახელი კი მისგან დამოუკიდებლად გამოიყენება და მას არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს: „**ზარმაცისათვის** ყოველი დღე უქმეა“ (ანდ.) „**ავს** თუ ავი არ ვუნოდო, **კარგს** სახელად რა დავარქო“ (დ. გურამიშვილი).

ცალკე მდგომი ზედსართავი სახელი ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი: დიდი, ლამაზი (შდრ. ვარდი), მაღალი, ახალი (შდრ. მამალი), ყვითელი, წითელი (შდრ. სოფელი), მწარე (შდრ. დღე), ვიწრო (შდრ. წყარო), ყრუ, ცრუ, ბლუ (შდრ. ბუ)...

**თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება ცალკე**

სახ.	დიდ-ი	მაღალ-ი	
მოთხ.	დიდ-მა	მაღალ-მა	
მიც.	დიდ-ს(ა)	მაღალ-ს(ა)	
ნათ.	დიდ-ის(ა)	მაღალ-ის(ა)	
მოქმ.	დიდ-ით(ა)	მაღალ-ით(ა)	
ვით.	დიდ-ად(ა)	მაღალ-ად(ა)	
წოდ.	დიდ-ო	მაღალ-ო	

სახ.	დიდ-ები	მაღალ-ები	დიდ-ნი	მაღალ-ნი
მოთხ.	დიდ-ებ-მა	მაღალ-ებ-მა	დიდ-თ-ა	მაღალ-თ-ა
მიც.	დიდ-ებ-ს(ა)	მაღალ-ებ-ს(ა)	დიდ-თ-ა	მაღალ-თ-ა
ნათ.	დიდ-ებ-ის(ა)	მაღალ-ებ-ის(ა)	დიდ-თ-ა	მაღალ-თ-ა
მოქმ.	დიდ-ებ-ით(ა)	მაღალ-ებ-ით(ა)	–	–
ვით.	დიდ-ებ-ად(ა)	მაღალ-ებ-ად(ა)	–	–
წოდ.	დიდ-ებ-ო	მაღალ-ებ-ო	დიდ-ნ-ო	მაღალ-ნ-ო

**ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი (ა- და ე- ხმოვნისანი) მხ. რიცხვში იკვეცება:**

სახ.	პატარა	პატარ-ები	პატარა-ნი
მოთხ.	პატარა-მ	პატარ-ებ-მა	პატარა-თ-ა
მიც.	პატარა-ს(ა)	პატარ-ებ-ს(ა)	პატარა-თ-ა
ნათ.	პატარ-ის(ა)	პატარ-ებ-ის(ა)	პატარა-თ-ა
მოქმ.	პატარ-ით(ა)	პატარ-ებ-ით(ა)	–
ვით.	პატარა-დ(ა)	პატარ-ებ-ად	–
წოდ.	პატარა-ვ	პატარ-ებ-ო	პატარა-ნ-ო

მრავლობით რიცხვში ა-ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები კვეცადია, ე-ხმოვნისანი კი არ იკვეცება.

**ო-და უ-ხმოვანფუძიანი** ზედსართავი სახელები უკვეცელია (მსგავსფუძიანი არსებითი სახელებივით):

სახ. ფართო, ყრუ, მოთხ. ფართო-მ, ყრუ-მ, მიც. ფართო-ს, ყრუ-ს, ნათ. ფართო-ს(ი), ყრუ-ს(ი), მოქმ. ფართო-თი, ყრუ-თი, ვით. ფართო-დ, ყრუ-დ, წოდ. ფართო-ვ, ყრუ-ო.

**ებიან მრავლობითში** ზედსართავი სახელები თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების მსგავსად იბრუნება:

სახ.	მწვანე	მწვანე-ები	მწვანე-ნი
მოთხ.	მწვანე-მ	მწვანე-ებ-მა	მწვანე-თ-ა
მიც.	მწვანე-ს(ა)	მწვანე-ებ-ს(ა)	მწვანე-თ-ა
ნათ.	მწვან-ის(ა)	მწვანე-ებ-ის(ა)	მწვანე-თ-ა
მოქმ.	მწვან-ით(ა)	მწვანე-ებ-ით(ა)	–
ვით.	მწვანე-დ	მწვანე-ებ-ად(ა)	–
წოდ.	მწვანე-ვ	მწვანე-ებ-ო	მწვანე-ნ-ო

სახ.	ფართო-ები	ყრუ-ები	ფართო-ნი	ყრუ-ნი
მოთხ.	ფართო-ებ-მა	ყრუ-ებ-მა	ფართო-თ-ა	ყრუ-თ-ა
მიც.	ფართო-ებ-ს(ა)	ყრუ-ებ-ს(ა)	ფართო-თ-ა	ყრუ-თ-ა
ნათ.	ფართო-ებ-ის(ა)	ყრუ-ებ-ის(ა)	ფართო-თ-ა	ყრუ-თ-ა
მოქმ.	ფართო-ებ-ით(ა)	ყრუ-ებ-ით(ა)	–	–
ვით.	ფართო-ებ-ად(ა)	ყრუ-ებ-ად	–	–
წოდ.	ფართო-ებ-ო	ყრუ-ებ-ო	ფართო-ნ-ო	ყრუ-ნ-ო

### 2.2.3. ზედსართავი სახელი მსაზღვრელად

ზედსართავი სახელი **მსაზღვრელია**, თუკი ის წინ უსწრებს ან მოსდევს არსებით სახელს. ის ხან ბრუნვაცვალებადია, ხან კი – ბრუნვაუცვლელი.

## ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითან ერთად

ზედსართავი სახელის ბრუნებისას არსებითან ერთად მნიშვნელობა აქვს მისი ფუძის დაბოლოებას (თანხმოვანფუძიანია ის თუ ხმოვანფუძიანი), **პოზიციას** (არსებითი სახელის წინ დგას თუ მოსდევს მას), **რიცხვს** (მხოლოდითშია არსებითი სახელი დასმული თუ მრავლობითში), **მრავლობითი** რიცხვის მანარმოებელს (ებიანი თუ ნართანიანი).

ზედსართავი სახელი თანამედროვე ქართულში, ჩვეულებრივ, არსებითი სახელის წინ დგას ანუ **წყობა პირდაპირია**: მაღალი სახლი, პატარა ბავშვი, ყვავილებიანი მინდორი...

ზედსართავი სახელი ზოგჯერ (უმთავრესად ლექსებში) მოსდევს არსებით სახელს და წყობა **შებრუნებულია**: სახლი მაღალი, ბავშვი პატარა, მინდორი ყვავილებიანი...

**თანხმოვანფუძიან** ზედსართავ სახელს არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას ბრუნვის ნიშნები სრულად აქვს შენახული სამ ბრუნვაში: **სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში** ნიშანი ჩამოშორებულია, ხოლო **ნათესაობითსა და მოქმედებითში** თანხმოვანია მოკვეცილი (ნათესაობითში **-ს**, მოქმედებითში **-თ**) და დარჩენილია ხმოვანი **ი**:

სახ.	მდიდარ-ი	ადამიან-ი	ლურჯ-ი	ფრინველ-ი
მოთხ.	მდიდარ-მა	ადამიან-მა	ლურჯ-მა	ფრინველ-მა
მიც.	მდიდარ	ადამიან-ს	ლურჯ	ფრინველ-ს
ნათ.	მდიდარ-ი	ადამიან-ის	ლურჯ-ი	ფრინველ-ის
მოქმ.	მდიდარ-ი	ადამიან-ით	ლურჯ-ი	ფრინველ-ით
ვით.	მდიდარ	ადამიან-ად	ლურჯ	ფრინველ-ად
წოდ.	მდიდარ-ო	ადამიან-ო	ლურჯ-ო	ფრინველ-ო

**ხმოვანფუძიან** ზედსართავ სახელს არსებითი სახელის წინ ბრუნვის ნიშნები არ დაერთვის. ის ყველა ბრუნვაში ფუძის სახითაა, ბრუნვების მიხედვით იცვლება მხოლოდ არსებითი სახელი:

სახ.	სუფთა	ოთახ-ი	მწარე	წამალ-ი
მოთხ.	სუფთა	ოთახ-მა	მწარე	წამალ-მა
მიც.	სუფთა	ოთახ-ს	მწარე	წამალ-ს
ნათ.	სუფთა	ოთახ-ის	მწარე	წამალ-ის
მოქმ.	სუფთა	ოთახ-ით	მწარე	წამალ-ით
ვით.	სუფთა	ოთახ-ად	მწარე	წამალ-ად
წოდ.	სუფთა	ოთახ-ო	მწარე	წამალ-ო

**თანმოვანფუძიანი** ზედსართავი სახელი **ებიან** მრავლობითში დასმული არსებითი სახელის წინ **მხოლობითში** დგას, **წართანიან** მრავლობითში დასმულ სახელებს კი უმეტესად ეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში: **წარიან** ფორმებთან სახელობითსა და წოდებით ბრუნვებში შეთანხმება აუცილებელია, **თანიან** ფორმასთან კი პირდაპირი წყობის დროს ზედსართავი სახელი შეიძლება შეეთანხმოს არსებითს რიცხვში ან გამოიყენებოდეს ფუძის სახით:

სახ.	მდიდარ-ი	ადამიან-ებ-ი	მდიდარ-ნი	ადამიან-ნი
მოთხ.	მდიდარ-მა	ადამიან-ებ-მა	მდიდარ-(თა)	ადამიან-თა
მიც.	მდიდარ	ადამიან-ებ-ს	მდიდარ-(თა)	ადამიან-თა
ნათ.	მდიდარ-ი	ადამიან-ებ-ის	მდიდარ-(თა)	ადამიან-თა
მოქმ.	მდიდარ-ი	ადამიან-ებ-ით	—	—
ვით.	მდიდარ	ადამიან-ებ-ად	—	—
წოდ.	მდიდარ-ო	ადამიან-ებ-ო	მდიდარ-ნი-ო	ადამიან-ნი-ო

#### 2.2.4. ზედსართავ სახელთა წარმოება

წარმოქმნილი ზედსართავი სახელი **მიმართებითია**. იგი იწარმოება არსებითი ან ზედსართავი სახელისაგან, ზოგჯერ — სხვა მეტყველების ნაწილებისგანაც.

მაგ., მზ-იან-ი ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან მზე, ერთ-იან-ი — რიცხვითი სახელისაგან ერთ-ი, თქვენებ-ურ-ი —

ნაცვალსახელისაგან თქვენ, შარშან-დელი — ზმნიზედისაგან შარშან.

მიმართებითი ზედსართავი ინარმოება როგორც **სუფიქსებით** (ქარ-იან-ი, წვიმ-იან-ი, კახ-ურ-ი, ინგლის-ურ-ი), ისე **კონფიქსებით** (პრეფიქს-სუფიქსებით: სა-ერ-ო, უ-ენ-ო, უ-გუნ-ურ-ი).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ნაწარმოები ზედსართავი სახელი გაარსებითდება და გადადის არსებითი სახელის ჯგუფში. ამიტომ მანარმოებელ აფიქსებში ძნელია მკვეთრი საზღვრის გავლება მეტყველების ნაწილთა მიხედვით.

### **წარმოქმნილ ზედსართავ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით**

შინაარსის მიხედვით წარმოქმნილი ზედსართავი სახელები შეიძლება აღნიშნავდეს: **ყოლა-ქონებას, უყოლობა-უქონლობას, სადაურობას, დანიშნულებას, ხელობას, წინა ვითარებას...**

**ყოლა-ქონების ზედსართავი სახელები** არსებითი სახელებისაგან ინარმოება სუფიქსებით: **-იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ა.**

**-იან:** აღნიშნავს ძირეული სახელით გამოხატული საგნის ყოლას ან ქონებას: ბავშვ-იან-ი, შვილ-იან-ი, ცოლ-იან-ი, მზ-იან-ი, ღრუბლ-იან-ი... მაგ., ამ დროს მასთან **ბავშვ-იან-ი** ქალი მივიდა;

**-იერ** (დისიმილაციით **-იელ**) რამდენიმე სიტყვისაგან აწარმოებს ქონების სახელს: ნიჭ-იერ-ი, გონ-იერ-ი, ღონ-იერ-ი... მაგ., სტუდენტი აკაკი ძალზე **ნიჭ-იერ-ი** ახალგაზრდა იყო;

**-ოსან:** აღნიშნავს რისამე მატარებელს ან მქონებელს: გვირგვინ-ოსან-ი, მანდილ-ოსან-ი, კალმ-ოსან-ი... მაგ., ქრისტიანობისა და საქართველოსათვის წამებული ქართველი **გვირგვინოსანი** მირდატი მუდამ მტრებს ებრძოდა.

ასეთი წარმოების ზედსართავი ხშირად არსებითად არის ქცეული და მიუგებს არსებითი სახელის კითხვებზე: **ვინ? რა?** მაგალითად: ჭიშკარს მოადგა ასიოდე ქვეითი და ერთი **ცხენ-ოსან-ი**. ქალბატონი ეთერი მომხიბვლელი **მანდილ-ოსან-ი** არის.

**-ოვან:** აღნიშნავს ქონებას: ყინულ-ოვან-ი, კლდ-ოვან-ი, ხმ-ოვან-ი... მაგ., **ყინულ-ოვან-ი** მთებიდან მობერილი სიგრილე სიმხნევეს მატებდა ყველას.

**-ა:** ეს სუფიქსიც ხშირად აღნიშნავს ქონებას: ულვაშ-ა, შავთვალ-ა, დიდთვალ-ა, დიდთავ-ა... მაგ., იყო ერთი **ცალთვალ-ა** ირემი. **ულვაშ-ა** კაცი მოგვიახლოვდა.

**უყოლობა-უქონლობის სახელები** არსებითი სახელისაგან იწარმოება პრეფიქს-სუფიქსებით: **უ — ო, უ — ურ** (დისიმილაციით **-ულ**), **უ — არ** (დისიმილაციით **-ალ**):

<b>უ — ო:</b>	უ-მზე-ო, უ-ჭკუ-ო, უ-თავ-ო, უ-ხელ-ო, უ-ცოლ-ო...
<b>უ — ურ (უ — ულ)</b>	უ-ბედ-ურ-ი, უ-გუნ-ურ-ი, უ-ფერ-ული...
<b>უ — არ (უ — ალ)</b>	უ-შიშ-არ-ი, უ-ჩინ-არ-ი, უ-წყინ-არ-ი...

მაგ., **უმთვარო** ცა ბნელად მოქუფრულიყო. ზარმაცებს კუნთები უძღური და სუსტი აქვთ. საჭმელი **უგემური** მომეჩვენა.

**შენიშვნა:** დერივაციული ფუნქცია ენიჭება **არა-** უარყოფით ნაწილაკსაც, რომლის მეშვეობით იწარმოება სახელები: არააგრესიული, არაადამიანური, არაადეკვატური, არაექტუალური... არსებით სახელებთან: არაადამიანი, არაკაცი და სხვ.

**დანიშნულების სახელები** იწარმოება პრეფიქს-სუფიქსებით: **სა — ე, სა — ო, სა — ურ** (დისიმილაციით **-ულ**):

<b>სა — ე:</b>	სა-ჩოხ-ე, სა-ულლ-ე, სა-ჩექმ-ე...
<b>სა — ო:</b>	სა-ბავშვ-ო, სა-ნადირ-ო, სა-სკოლ-ო...
<b>სა — ურ/სა — ულ:</b>	სა-გან-ძურ-ი, სა-მკერდ-ულ-ი, სა-ბარგ-ულ-ი...

ამგვარი წარმოების ბევრი ზედსართავი სახელი უკვე არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება (და, ცხადია, უპასუხებს არსებითი სახელის კითხვაზე **რა?**): სა-ქათმ-ე, სა-კაც-

ე, სა-ყურ-ე, სა-კირ-ე, სა-მზარეულ-ო, სა-საუზმ-ე, სა-ხელოსნ-ო, სა-თავ-ურ-ი, სა-ფეხ-ურ-ი...

**სადაურობის (წარმომავლობის) სახელებს აწარმოებს -ელ და -ურ (დისიმილაციით -ულ) ბოლოსართები:**

<b>-ელ</b>	სოფლ-ელ-ი, რაჭვ-ელ-ი, ქართლ-ელ-ი, ქუთაის-ელი, იაპონ-ელ-ი, გერმან-ელი...
<b>-ურ (-ულ)</b>	ქიზიყ-ურ-ი, სვან-ურ-ი, მეგრ-ულ-ი, არაბ-ულ-ი, გერმან-ულ-ი...

**-ელ** ადამიანთა სადაურობის მაჩვენებელია; -ელ სუფიქსი აღნიშნავს აგრეთვე მიმდევრობას, წევრობას, როდინდებლობას: რაზმ-ელ-ი, ნუხანდ-ელ-ი.

**-ურ** (დისიმილაციით: **-ულ**) არაადამიანთა სადაურობის მაჩვენებელია, ეს სუფიქსი გვიჩვენებს თვისებასაც: დედაშვილ-ურ-ი, ვაჟკაც-ურ-ი, გმირ-ულ-ი...

**ხელობის სახელებს აწარმოებს თავსართ-ბოლოსართები: მე — ე, მე — ურ (დისიმილაციით მე — ულ):**

<b>მე — ე</b>	მე-ურმ-ე, მე-ბალ-ე, მე-ცხვარ-ე, მე-პურ-ე, მე-თევზ-ე, მე-ლორ-ე, მე-ძროხ-ე, მე-ფუტკრ-ე...
<b>მე — ურ (მე — ულ)</b>	მე-ბად-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მე-თა-ურ-ი (<მე-თავ-ურ-ი), მე-ბარგ-ულ-ი (<მე-ბარგ-ურ-ი)...

ხელობის სახელები, ჩვეულებრივ, არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება და მიუგებს არსებითი სახელის კითხვაზე (ვინ?).

**წინა ვითარების სახელებს აწარმოებს თავსართ-ბოლოსართები: ნა — არ (დისიმილაციით ნა — ალ), ნა — ურ (დისიმილაციით ნა — ულ), ნა — ევ:**

<b>ნა — არ (ნა — ალ)</b>	ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-სოფლ-არ-ი, ნა-ტყვი-არ-ი, ნა-ხანჯლ-არ-ი, ნა-კაც-არ-ი, ნა-სუფრ-ალ-ი, ნა-ტერფ-ალ-ი
<b>ნა — ურ</b>	ნა-ფეხ-ურ-ი
<b>ნა — ევ</b>	ნა-ხმლ-ევ-ი, ნა-იარ-ევ-ი

ზოგჯერ ზედსართავი სახელები **ბრუნვის ნიშნებით** არის ნაწარმოები. მაგ., **მოქმედებითი** და **ვითარებითი** ბრუნვის ნიშნებით არსებითი სახელებისაგან (ან საწყისებისაგან).

-ით	ბრძანებ-ით-ი, თხრობ-ით-ი, რიგ-ით-ი, შემთხვევ-ით-ი...
-ად (დ)	გულ-ად-ი, პურ-ად-ი, ტან-ად-ი, დრეკა-დ-ი, კვეცა-დ-ი, ააღებ-ად-ი, ფეთქებ-ად-ი...

**შენიშვნა:** ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებით **-ის** იწარმოება გეოგრაფიული არსებითი სახელები (იხ. წინ).

### 2.3. რიცხვითი სახელი

**რიცხვითი სახელი** ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან მთელის ნაწილს. ამის მიხედვით რიცხვითი სახელი სამგვარია: **რაოდენობითი რიგობითი** და **წილობითი**. მაგალითად, **სამი** რაოდენობითი რიცხვითი სახელია, **მესამე** — რიგობითი, **მესამედი** კი — წილობითი. ეს ტერმინები შექმნილია რიცხვით სახელთა ფუნქციის მიხედვით.

რიცხვითი სახელის კითხვებია: **რამდენი? მერამდენე?** (ან **რიგით რომელი?**) **მერამდენედი?**

რიცხვითი სახელების ჯგუფებია: **რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი**, გამოიყენება დამოუკიდებლადაც და არსებით სახელთან ერთადაც. ამას გარდა, შესაძლებელია რიცხვითი სახელის **გაარსებითება** (არსებით სახელად ქცევა). მაგ.: სამი კაცი ჩამოვიდა, **ორი** აქ დარჩა, **ერთი** უკანვე გაბრუნდა (1) ან: სამი კაცი ჩამოვიდა და **სამივე** აქ დარჩა (2). ამ წინადადებებში „ორი“, „ერთი“ და „სამივე“ გაარსებითებული (გასუბსტანტივებული) რიცხვითი სახელებია, „სამი“ კი (სამი კაცი) მხოლოდ რიცხვითი სახელია.

ანალოგიური ვითარებაა რიგობით და წილობით რიცხვით სახელებთან: მეორე კაცი დაბრუნდა, **მესამე** არ დაბრუნებულა. **მეორე** რიგობითი რიცხვითი სახელია, **მესამე** კი — გაარსებითებული რიცხვითი სახელი.

**შენიშვნა:** რამდენიმე რაოდენობითი რიცხვითი სახელი **გაურკვეველ** რიცხვს გამოხატავს: ცოტა, მცირედი, ბევრი, მრავალი, ურიცხვი, უთვალავი...

### 2.3.1. რიცხვით სახელთა წარმოება

**რაოდენობითი რიცხვითი სახელი** შედგენილობით **მარტივია** ან **რთული**.

**მარტივი** რიცხვითი სახელებია: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ასი, ხოლო დანარჩენები რთულია.

**რთული რიცხვითი სახელი** ორი ან მეტი ფუძისაგან შედგება: ორასი (ორ-ას-ი), სამასი (სამ-ას-ი), სამოცდაორი (სამ-ოც-და-ორ-ი), სამოცდაათი (სამ-ოც-და-ათ-ი).

რთული აგებულების რიცხვითი სახელის ნაწილები (ათასეული, ასეული და სხვ.) ცალ-ცალკე იწერება: ათას ცხრაას ორმოცდაათი (1.950), ცხრა ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი (9.899)...

რიცხვითი სახელი შეიძლება გაორკეცდეს: სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ოც-ოცი, ას-ასი, ათას-ათასი...

**გარკვეული** რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი გამოიყენება ისეთი საგნის სახელთან, რომელიც შეიძლება დავთვალოთ: ათი ბანანი, თორმეტი წიგნი, თხუთმეტი სკამი, ოცი ფანქარი, ოცდახუთი მოსწავლე... რისი დათვლაც არ შეიძლება, იმ საგნის სახელთან ასეთი რიცხვითი სახელი არ გამოიყენება. მაგალითად, არ ითქმის: ორი სიტბო, ხუთი ფქვილი, ათი ქვიშა, ოცი ნაცარი, ასი ჰაერი, ათასი მარილი, არამედ: ბევრი ფქვილი, ცოტა ნაცარი და სხვ. (რისი აწონაც შეიძლება: ხუთი კილო ფქვილი, ათი ტონა ცემენტი და სხვ.).

**რიგობითი რიცხვითი სახელი**, როგორც ვიცით, აღნიშნავს საგნის რიგს და მოგვიგებს კითხვებზე: **მერამდენე? რიგით რომელი?** — პირველი, მეორე, მერვე, მეათე, მეოცე... რიგობითი სახელები, გარდა პირველისა, ნაწარმოებია რაოდენობითის ფუძისაგან **მე** — ე თავსართ-ბოლოსართით (კონფიქსით): მე-ორ-ე, მე-ათ-ე, მე-ცხრამეტ-ე, მე-ოც-ე, მე-ას-ე, მე-ათას-ე...

**და-**თი შეერთებულ რიცხვით სახელებთან რიგობითის მანარმოებელი დაერთვის მის მეორე ნაწილს: ოცდაორი>ოცდამეორე, ოცდაცხრამეტი>ოცდამეცხრამეტი, სამოცდახუთი > სამოცდამეხუთე.

**შენიშვნა:** ერთი-სგან ნანარმოები რიგობითი რიცხვითი სახელია **პირველი** (მაგ., **პირველი** მაისი, **პირველი** სპორტსმენი), მაგრამ რთულ რიცხვით სახელებთან გამოიყენება — მე-ერთ-ე, მაგრამ: ოცდამეერთე, ორმოცდამეერთე, სამოცდამეერთე, ოთხმოცდამეერთე, ას მეერთე, ათას მეერთე.

- ყველა რიგობითი რიცხვითი სახელი, გარდა **პირველისა**, ხმოვანფუძიანია.

- თუ რიცხვითი სახელი რამდენიმე სიტყვისგან შედგება, რიგობითის ფორმა უკანასკნელს აქვს: ას ორი > ას მეორე, ორი ათას ხუთი > ორი ათას მეხუთე.

**რიგობით რიცხვით სახელთა გადმოცემა არაბული ციფრებით:**

თუკი რიცხვითი სახელი **მე-** პრეფიქსით იწყება, არაბული ციფრებით გადმოცემისას რიცხვის წინ იწერება მხოლოდ **მე-**: მე-2, მე-10, მე-19, მე-20, მე-100, მე-1000...

**პირველი** არაბული ციფრით ასე დაიწერება: **1-ლი**.

თუკი რიცხვით სახელს **მე-** პრეფიქსი სიტყვის მეორე ნაწილში აქვს, **და** კავშირის შემდეგ, **არაბული** ციფრებით გადმოცემისას რიცხვის შემდეგ იწერება **-ე**: 23-ე, 27-ე, 45-ე, 65-ე, 84-ე, 102-ე, 1005-ე.

**რიგობით რიცხვით სახელთა გადმოცემა რომაული ციფრებით:**

**რომაული** ციფრები გამოხატავს მხოლოდ **რიგობით** რიცხვით სახელებს და ამიტომ მას არ სჭირდება არც პრეფიქსი და არც სუფიქსი. რომაული ციფრებიდან გამოიყენება შვიდი ნიშანი:

პირველი	მეხუთე	მეათე	ორმოცდაათე	მეასე	მეხუთასე	მეათასე
<b>I</b>	<b>V</b>	<b>X</b>	<b>L</b>	<b>C</b>	<b>D</b>	<b>M</b>

დანარჩენი რიგობითი რიცხვითი სახელების დასაწერად გამოიყენება ამ ნიშანთა კომბინაციები: მეთერთმეტე — XI, მეცხრამეტე — XIX, ოცდამეხუთე — XXV და სხვ.

**წილობითი რიცხვითი სახელები** აღნიშნავს **ნაწილს** და ნაწარმოებია რიგობითი რიცხვითი სახელებისაგან, ფუძედ გამოყენებულია ვითარებითი ბრუნვის ფორმა: მე-ორე-დ > **მეორედ-ი**, მესამე-დ > **მესამედ-ი**, მეათე-დ > **მეათედ-ი**, მეასედ > **მეასედ-ი**.

განცალკევებით დგას **ნახევარი**, რომელიც **მეორედის** ნაცვლად გვხვდება.

ყველა წილობითი სახელი თანხმოვანფუძიანია: **მესამედ-ი**, **მეათედ-ი**.

**შენიშვნა:** იშვიათად წილობითი რიცხვითი სახელი იწარმოება **ნა** — ალ თავსართ-ბოლოსართით რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან: ნა-სამ-ალ-ი (=მესამედი), ნა-ოთხ-ალ-ი (=მეოთხედი), ნა-ათ-ალ-ი (=მეათედი), ნა-ას-ალ-ი (=მეასედი).

### 2.3.2. რიცხვით სახელთა ბრუნვა

რიცხვითი სახელი, ჩვეულებრივ, არსებით სახელს ახლავს და განსაზღვრავს მას. მაგ., ხუთი ბინა; მეხუთე ბინა; მეხუთედი პური, მაგრამ ის ზოგჯერ დამოუკიდებლადაც გამოიყენება და უკავშირდება სხვა სიტყვებს, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი. მაგ., **ერთი** ბუჩქებში ჩაუსაფრდა მტერს, **ორი** კი ტყეში დაიმალა. ამ წინადადებაში რიცხვითი სახელები გაარსებითებულია და ქვემდებარის ფუნქციას ასრულებენ.

რიცხვითი სახელი ცალკე ისე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი: **თანხმოვანფუძიანი** რიცხვითი სახელები უკუმშველია, **ხმოვანფუძიანი** რიცხვით სახელებს კი ფუძე ეკვეცებათ ნათესაობითსა და მოქმედებითში. რაოდენობით რიცხვით სახელებს, ჩვეულებრივ, **წოდებითი** ბრუნვა და **ეზიანი** მრავლობითი არა აქვს:

სახ.	სამ-ი	რვა	სამ-ნ-ი	რვა-ნ-ი
მოთხ.	სამ-მა	რვა-მ	სამ-თ-ა	რვა-თ-ა
მიც.	სამ-ს(ა)	რვა-ს(ა)	სამ-თ-ა	რვა-თ-ა
ნათ.	სამ-ის(ა)	რვა-ის(ა)	სამ-თ-ა	რვა-თ-ა
მოქმ.	სამ-ით(ა)	რვა-ით(ა)	—	—
ვით.	სამ-ად(ა)	რვა-დ(ა)	—	—

**შენიშვნა:** ყველა რაოდენობით რიცხვით სახელთან არსებითი სახელი მხოლობითში დაისმის: ორი ქალი ყანიდან სოფლისაკენ მოდიოდა.

ჩვეულებრივ, რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელი ახლავს არსებით სახელს და მისი მსაზღვრელია. მაგ., ათი წიგნი, მეთუ ბინა, მეოთხედი ვაშლი. ასეთ შემთხვევაში იგი ისე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად (რიგობითი რიცხვითი სახელი უცვლელია: მეხუთე სახლ-ი, მეხუთე სახლ-მა და ა. შ.):

სახ.	ორ-ი	ბავშვ-ი	მესამედ-ი	ნამცხვარ-ი
მოთხ.	ორ-მა	ბავშვ-მა	მესამედ-მა	ნამცხვარ-მა
მიც.	ორ	ბავშვ-ს(ა)	მესამედ	ნამცხვარ-ს(ა)
ნათ.	ორ-ი	ბავშვ-ის(ა)	მესამედ-ი	ნამცხვარ-ის(ა)
მოქმ.	ორ-ი	ბავშვ-ით(ა)	მესამედ-ი	ნამცხვარ-ით(ა)
ვით.	ორ	ბავშვ-ად(ა)	მესამედ	ნამცხვარ-ად

**შენიშვნა:** რაოდენობითი რიცხვითი სახელი იშვიათად შეიძლება წოდებით ბრუნვაშიც შეგვხვდეს. მაგ.: ორ-ო ჭადარ-ო, ოთხ-ო წელიწად-ო...

**ნართანიან** მრავლობითში რაოდენობითი რიცხვითი სახელიც და არსებითიც მრავლობითის ფორმით გამოიყენება: ორ-ნ-ი და-ნ-ი...

სახ.	ორ-ნ-ი	და-ნ-ი
მოთხ.	ორ-თ-ა	და-თ-ა
მიც.	ორ-თ-ა	და-თ-ა
ნათ.	ორ-თ-ა	და-თ-ა
მოქმ.	—	—
ვით.	—	—
წოდ.	ორ-ნ-ო	და-ნ-ო

## 2.4. ნაცვალსახელი

**ნაცვალსახელი** ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც იხმარება არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელების ნაცვლად გარკვეულ შემთხვევაში. ნაცვალსახელი იმავე კითხვებზე მიუგებს, რომლებზედაც ეს სახელები: **ვინ? რა? როგორი? რანაირი? რამდენი?**

ნაცვალსახელი არსებითი სახელის (ან სხვა გასუბსტანტივებული მეტყველების ნაწილის), ზედსართავი და რიცხვითი სახელების ეკვივალენტური სიტყვაა. მაგ.: „მამა დაბრუნდა. **ის** ისევ ჩვენთან არის“. „**ის**“ ნაცვალსახელია, რომელიც ცვლის არსებით სახელს „მამა“; „**ნამუსიანი** ყველაფერში გამოდგება. **მას** ყველა ემეგობრება“; „ნამუსიანი“ გაარსებითებული ზედსართავი სახელია, ნიშნავს ნამუსის მქონე, პატიოსან პიროვნებას, „მას“ კი — მისი შემცვლელი ნაცვალსახელია; „**სამნი** ქეიფობენ. **ისინი** მხიარულ ხასიათზე არიან“. **სამნი** გაარსებითებული რიცხვითი სახელია, ნიშნავს სამ მოქეიფეს, „**ისინი**“ კი მისი შემცვლელი პირის ნაცვალსახელია. მაგ., გიორგი ძალიან საქმიანია. **ასეთი** ადამიანი არ გიღალატებს. **ასეთი** ნაცვალსახელი ცვლის ზედსართავ სახელს „საქმიანი“.

### 2.4.1. ნაცვალსახელთა ჯგუფები

ნაცვალსახელი ენაში ბევრი არაა, მაგრამ მნიშვნელობით მრავალფეროვანია. არსებობს ნაცვალსახელთა **ათი** ჯგუფი:

1	<b>პირის</b>	მე შენ, ის (იგი); ჩვენ, თქვენ, ისინი (იგინი), თავი
2	<b>ჩვენებითი</b>	ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი, ისეთი, ამნაირი, ამისთანა, ამდენი
3	<b>კუთვნილებითი</b>	ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი, თავისი
4	<b>კითხვითი</b>	ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური?
5	<b>კითხვით-კუთვნილებითი</b>	ვისი? რისი/რისა?
6	<b>მიმართებითი</b>	ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც
7	<b>უარყოფითი</b>	არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი, ვერაფერი
8	<b>განსაზღვრებითი</b>	თვით, თვითონ, თითოეული, ყველა

9	განუსაზღვრელობითი	ვილაც, რალაც, რომელილაც; ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე
10	ურთიერთობითი	ერთმანეთი, ერთურთი, ერთიმეორე

**შენიშვნა:** თავი არსებითი სახელია (მაგ., თავი დაიბანა), მაგრამ ხშირად ის პირის უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციით არის გამოყენებული (მაგ.: თავი ისახელა, თავი შეირცხვინა, თავი შეაკლა...).

• იგივე და ერთი და იგივე ნაცვალსახელებს იგივეობითს უწოდებენ.

### 1. პირის ნაცვალსახელება:

	მს. რ.	მრ.რ.
I პირის	მე	ჩვენ
II პირის	შენ	თქვენ
III პირის	ის	ისინი

**მე**-ს უწოდებს კაცი თავის თავს, ხოლო **ჩვენ** სიტყვით თავის თავთან ერთად სხვასაც (ან სხვებსაც) გულისხმობს: მეორე პირს — მე და შენ ან მე და თქვენ; მესამე პირს — მე და ის ან მე და ისინი.

**შენ** ნაცვალსახელით მივმართავთ ერთ პირს, **თქვენ** სიტყვით კი — რამდენიმეს (ორს ან მეტს). **თქვენ** სიტყვა მეორე პირთან ერთად სხვასაც (ან სხვებსაც) გულისხმობს: შენ და ის ან შენ და ისინი. **თავაზიანი** მიმართვისას ერთ პირსაც **თქვენობით** მივმართავთ.

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ბრუნვების მიხედვით არ იცვლება, ოღონდ **მე**-ს ნათესაობითი ბრუნვის მნიშვნელობით ენაცვლება **ჩემ**- (თანდებულის დართვისას იქნება: ჩემ+თვის, ჩემ+გან, ჩემ+კენ).

**შენიშვნა:** როცა ეს ნაცვალსახელები თანდებულებთან **ნათესაობითი** ბრუნვის ფუნქციით გამოიყენება, მათ არ სჭირდებათ ბრუნვის ნიშანი **-ს**:

ჩემთვის, ჩემგან, ჩემკენ, ჩემ მიერ;

ჩვენთვის, ჩვენგან, ჩვენკენ, ჩვენ მიერ;

შენთვის, შენგან, შენკენ, შენ მიერ;

თქვენთვის, თქვენგან, თქვენკენ, თქვენ მიერ.

ასევეა ცალკე მდგომ თანდებულებსა და ზმნისართ-  
თანდებულებთან: ჩემ გამო, თქვენ გვერდით, შენ მიერ და სხვ.

**შენ** და **თქვენ** ნაცვალსახელებს ნოდებითი დასმულ  
სიტყვასთან ეკვეცებათ **-ნი: შე დალოცვილო, თქვე დალოცვილებო.**

რომელი ბრუნვის მნიშვნელობით არის გამოყენებული  
პირის ნაცვალსახელი, ადვილად გაირკვევა, თუ მას  
შევუნაცვლებთ ბრუნვიან სახელს:

**სახელობითი** ბრუნვის ფუნქციით: ჩვენ, **ადამიანები**,  
ერთმანეთს ადვილად ვერ ვაგებინებთ; ჩვენ, **ქართველები**,  
მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში ვერთიანდებით.

**მოთხრობითი** ბრუნვის ფუნქციით: ჩვენ, **ადამიანებმა**, უნდა  
ვიზრუნოთ სამყაროს გადასარჩენად; ჩვენ, **ქართველებმა**, უნდა  
ვიამაყოთ ქართული ანბანით.

**მიცემითი** ბრუნვის ფუნქციით: ჩვენ, **ადამიანებს**, ბევრი  
მტერი გვყავს; ჩვენ, **ქართველებს**, ბევრი დადებითი თვისება  
გვაქვს.

**ნათესაობითი** ბრუნვის მნიშვნელობით: ჩვენთვის,  
**ადამიანებისთვის**, ძნელია ცხოვრება; ჩვენთვის,  
**ქართველებისთვის**, დიდი პატივია ვუმასპინძლოთ მსოფლიო  
კონგრესს (მესამე პირის ნაცვალსახელთა ბრუნება იხ. ჩვენებით  
ნაცვალსახელებთან).

## 2. ჩვენებითი ნაცვალსახელება:

**ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი, ეგეთი, ისეთი; ამნაირი, მაგნაირი,  
იმნაირი; ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ამდენი, მაგდენი, იმდენი...**

**ეს** გვიჩვენებს **1-ლ პირთან** (ჩემთან) მყოფს, აქ მყოფს.

**ეგ** — **მე-2 პირთან** (შენთან) მყოფს, მანდ მყოფს.

**ის** და **იგი** სინონიმებია და აღნიშნავს სხვაგან (1-ლი და მე-2  
პირებისაგან მოშორებით) მყოფს.

ბრუნების თვალსაზრისით თავისებურია **ეს, ეგ, ის (იგი)**,

ამ ნაცვალსახელებს აქვთ ორ-ორი ფუძე: ერთი — სახელობითისათვის, მეორე — დანარჩენი ბრუნებისათვის: **ეს (ესე) — ამა-, ეგ (ეგე) — მაგა-, იგი — მა-, ის (ისი) — იმა-**. მონაცვლე ფუძეები კვეცადია და მათთან მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **-ნ**.

ამ ჩვენებით ნაცვალსახელებს წოდებითი ბრუნვა არა აქვს, ხოლო მრავლობითში ოთხი ბრუნვისთვის იყენებს ორ ფორმას. მათი ფუძისეული ხმოვანი აღდგება **ნარიან** მრავლობითში და **-ც** ნაწილაკის დართვისას: ესე-ნ-ი, ეგე-ნ-ი, ისი-ნ-ი; ესე-ც, ეგე-ც, ისი-ც.

თუ ეს ნაცვალსახელები უშუალოდ უკავშირდება ზმნას, **პირის** ნაცვალსახელებია და შემდეგნაირად იბრუნება:

სახ.	ეს	ეგ	ის	იგი
მოთხ.	ამა-ნ	მაგა-ნ	იმა-ნ	მა-ნ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	იმა-ს	მა-ს
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	იმ-ის	მ-ის
მოქმ.	ამ-ით	მაგ-ით	იმ-ით	მ-ით
ვით.	ამა-დ	მაგა-დ	იმა-დ	მა-დ

ეს ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვშიც გამოიყენება, ოღონდ მხოლოდ ორი განსხვავებული ფორმა აქვს: **ნარიანი** სახელობითი და **თანინი** ფორმა სამი ბრუნვისთვის (მოთხრობითის, მიცემითისა და ნათესაობითისთვის), რომელშიც თანდებულთან ერთად გამოიყენება:

სახ.	ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	ისი-ნ-ი	იგი-ნ-ი
მოთხ.	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ	მა-თ
მიც.	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ	მა-თ
ნათ.	ამა-თ(კენ)	მაგა-თ(კენ)	იმა-თ(კენ)	მა-თ(კენ)

ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება არსებითთან ერთად განსხვავდება იმის მიხედვით, დამოუკიდებლად (არსებითის გარეშე) გამოიყენება ის თუ არსებითთან ერთად. მსაზღვრელად ეს ნაცვალსახელები გვხვდება ორი ფორმით: სახელობითში

დასმულ არსებითთან — **ეს, ეგ, ის**, ხოლო დანარჩენ ბრუნვებში (ორსავე რიცხვში) — **ამ, მაგ, იმ**:

### ეს, ეგ, ის ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნვა

სახ.	ეს სახლ-ი	ეგ ყვავილ-ი	ეს სახლ-ებ-ი	ეგ ყვავილ-ებ-ი
მოთხ.	ამ სახლ-მა	მაგ ყვავილ-მა	ამ სახლ-ებ-მა	მაგ ყვავილ-ებ-მა
მიც.	ამ სახლ-ს	მაგ ყვავილ-ს	ამ სახლ-ებ-ს	მაგ ყვავილ-ებ-ს
ნათ.	ამ სახლ-ის	მაგ ყვავილ-ის	ამ სახლ-ებ-ის	მაგ ყვავილ-ებ-ის
მოქმ.	ამ სახლ-ით	მაგ ყვავილ-ით	ამ სახლ-ებ-ით	მაგ ყვავილ-ებ-ით
ვით.	ამ სახლ-ად	მაგ ყვავილ-ად	ამ სახლ-ებ-ად	მაგ ყვავილ-ებ-ად

სახ.	ის სკოლა	ის სკოლ-ებ-ი
მოთხ.	იმ სკოლა-მ	იმ სკოლ-ებ-მა
მიც.	ის სკოლა-ს	იმ სკოლ-ებ-ს
ნათ.	იმ სკოლ-ის	იმ სკოლ-ებ-ის
მოქმ.	იმ სკოლ-ით	იმ სკოლ-ებ-ით
ვით.	იმ სკოლა-დ	იმ სკოლ-ებ-ად

### 3. კითხვითი ნაცვალსახელება:

**ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური? როდინდელი?**

1. **კითხვით** ნაცვალსახელთაგან ბრუნების დროს თავისებურებას იჩენს **ვინ** და **რა**.

**ვინ** ნაცვალსახელს ორი ფორმა აქვს ოთხი ბრუნვისათვის: **ვინ** — სახელობითსა და მოთხრობითში, **ვის** — მიცემითსა და ნათესაობითში (ამ ბრუნვაში მას თანდებული ემატება: ვისგან, ვისკენ, ვისთვის, ვის მიერ, ვის გამო).

მრავლობით რიცხვში მხოლოდ **რა** ნაცვალსახელი გამოიყენება (**რაები** ან **რანი**); ამ ბოლო დროს გავრცელებული ფორმა **ვინები** უმართებულოა (შესაძლებელია: **ვინ და ვინ**, ასევე **რა და რა**):

სახ.	ვი-ნ	რა	რა-ებ-ი // რა-ნ-ი
მოთხ.	ვი-ნ	რა-მ	რა-ებ-მა
მიც.	ვი-ს	რა-ს	რა-ებ-ს
ნათ.	ვი-ს (+თანდ)	რ-ის (+თანდ)	რა-ებ-ის/ (ან: +თანდ)
მოქმ.	(ვის-ით)	რ-ით	რა-ებ-ით
ვით.	(ვის-ად)	რ-ად	რა-ებ-ად

**როგორი** კითხვითი ნაცვალსახელი დამოუკიდებლად

სახ.	როგორ-ი	როგორ-ებ-ი	როგორ-ნ-ი
მოთხ.	როგორ-მა	როგორ-ებ-მა	როგორ-თ-ა
მიც.	როგორ-ს	როგორ-ებ-ს	როგორ-თ-ა
ნათ.	როგორ-ის	როგორ-ებ-ის	როგორ-თ-ა
მოქმ.	როგორ-ით	როგორ-ებ-ით	—
ვით.	როგორ-ად	როგორ-ებ-ად	—

**როგორი** კითხვითი ნაცვალსახელი არსებით სახელთან ერთად

სახ.	როგორ-ი	ადამიან-ი	როგორ-ი	ადამიან-ებ-ი
მოთხ.	როგორ-მა	ადამიან-მა	როგორ-მა	ადამიან-ებ-მა
მიც.	როგორ	ადამიან-ს	როგორ	ადამიან-ებ-ს
ნათ.	როგორ-ი	ადამიან-ის	როგორ-ი	ადამიან-ებ-ის
მოქმ.	როგორ-ი	ადამიან-ით	როგორ-ი	ადამიან-ებ-ით
ვით.	როგორ	ადამიან-ად	როგორ-ად	ადამიან-ებ-ად

ამგვარად იბრუნება კითხვითი ნაცვალსახელები: **რანაირი? რომელი? რამდენი? სადაური? როდინდელი?** და სხვ.

**შენიშვნა:** ნაცვალსახელთან **რამდენი** არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვში დგას: **რამდენი** ბავშვი მოვიდა? **რამდენი** წიგნი გქირდება?

**4. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელება ვისი? რისა?,** რადგან ორივე კითხვასთან ერთად კუთვნილებასაც გამოხატავს და უმეტესად დგას არსებით სახელთან ერთად:

სახ.	ვის-ი	რის-ი	ვის-ი	წიგნ-ი	რის-ი	სურნელ-ი
მოთხ.	ვის-მა	რის-მა	ვის-მა	წიგნ-მა	რის-მა	სურნელ-მა
მიც.	ვის	რის	ვის	წიგნ-ს	რის	სურნელ-ს
ნათ.	—	—	ვის-ი	წიგნ-ის	რის-ი	სურნელ-ის
მოქმ.	ვის-ით	რის-ით	ვის-ი	წიგნ-ით	რის-ი	სურნელ-ით
ვით.	—	—	ვის	წიგნ-ად	რის	სურნელ-ად

სახ.	ვის-ი	წიგნ-ებ-ი
მოთხ.	ვის-მა	წიგნ-ებ-მა
მიც.	ვის	წიგნ-ებ-ს
ნათ.	ვის-ი	წიგნ-ებ-ის
მოქმ.	ვის-ი	წიგნ-ებ-ით
ვით.	ვის	წიგნ-ებ-ად

**5. კუთვნილებითი ნაცვალსახელება:**

**ჩემი, შენი, მისი (ამისი, იმისი), ჩვენი, თქვენი, მათი (ამათი, იმათი), თავისი.**

**ჩემი** და **ჩვენი** პირველი პირის კუთვნილებას გამოხატავს, **შენი** და **თქვენი** — მეორე პირისას, **დანარჩენები** — მესამე პირისას.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება არ განსხვავდება თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელთა ბრუნებისაგან. **ჩემი** და **ჩვენი** შვიდივე ბრუნვის ფორმით გამოიყენება, **დანარჩენებს წოდებითის** ფორმა არ აქვს.

კუთვნილებით ნაცვალსახელებს მიცემითსა და ვითარებითში **-ს** უნდა დაემატოს: ჩემ-ს (შენ-ს, ჩვენ-ს, თქვენ-ს, მათ-ს) მეგობარ-ს, ჩემ-ს (შენ-ს, ჩვენ-ს, თქვენ-ს, მათ-ს) მეგობრ-ად:

სახ.	ჩემ-ი შვილ-ი	ჩემ-ი შვილ-ებ-ი	ჩემ-ნ-ი შვილ-ნ-ი
მოთხ.	ჩემ-მა შვილ-მა	ჩემ-მა შვილ-ებ-მა	ჩემ-თა შვილ-თა
მიც.	ჩემ-ს შვილ-ს	ჩემ-ს შვილ-ებ-ს	ჩემ-თა შვილ-თა
ნათ.	ჩემ-ი შვილ-ის	ჩემ-ი შვილ-ებ-ის	ჩემ-თა შვილ-თა
მოქმ.	ჩემ-ი შვილ-ით	ჩემ-ი შვილ-ებ-ით	—
ვით.	ჩემ-ს შვილ-ად	ჩემ-ს შვილ-ებ-ად	—
წოდ.	ჩემ-ო შვილ-ო	ჩემ-ო შვილ-ებ-ო	ჩემ-ნო შვილ-ნ-ო

სახ.	ჩვენ-ი	სკოლა	ჩვენ-ი	სკოლ-ებ-ი
მოთხ.	ჩვენ-მა	სკოლა-მ	ჩვენ-მა	სკოლ-ებ-მა
მიც.	ჩვენ-ს	სკოლა-ს	ჩვენ-ს	სკოლ-ებ-ს
ნათ.	ჩვენ-ი	სკოლ-ის	ჩვენ-ი	სკოლ-ებ-ის
მოქმ.	ჩვენ-ი	სკოლ-ით	ჩვენ-ი	სკოლ-ებ-ით
ვით.	ჩვენ-ს	სკოლ-ად	ჩვენ-ს	სკოლ-ებ-ად
წოდ.	ჩვენ-ო	სკოლა-ვ	ჩვენ-ო	სკოლ-ებ-ო

სახ.	მის-ი	შვილ-ი	მის-ი	შვილ-ებ-ი
მოთხ.	მის-მა	შვილ-მა	მის-მა	შვილ-ებ-მა
მიც.	მის-ს	შვილ-ს	მის-ს	შვილ-ებ-ს
ნათ.	მის-ი	შვილ-ის	მის-ი	შვილ-ებ-ის
მოქმ.	მის-ი	შვილ-ით	მის-ი	შვილ-ებ-ით
ვით.	მის-ს	შვილ-ად	მის-ს	შვილ-ებ-ად

სახ.	მათ-ი	სკოლა	მათ-ი	სკოლ-ებ-ი
მოთხ.	მათ-მა	სკოლა-მ	მათ-მა	სკოლ-ებ-მა
მიც.	მათ-ს	სკოლა-ს	მათ-ს	სკოლ-ებ-ს
ნათ.	მათ-ი	სკოლ-ის	მათ-ი	სკოლ-ებ-ის
მოქმ.	მათ-ი	სკოლ-ით	მათ-ი	სკოლ-ებ-ით
ვით.	მათ-ს	სკოლა-დ	მათ-ს	სკოლ-ებ-ად

## 6. მიმართებითი ნაცვალსახელება:

**ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, ვისიც, რისაც, სადაურიც, როდინდელიც.**

ინარმოება კითხვითი ნაცვალსახელებისაგან -ც (-ცა) ნაწილაკის დართვით: **ვინ, რა, რომელი, როგორი, რანაირი, რამდენი, სადაური, როდინდელი, ვისი, რისი/რისა;** თუ დავამატებთ -ც ნაწილაკს, მივიღებთ მიმართებით ნაცვალსახელებს: **ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, სადაურიც, როდინდელიც, ვისიც, რისიც/რისაც.**

მიმართებითი ნაცვალსახელები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში აერთებს **დამოკიდებულ** წინადადებას მთავართან: შემცდარია, **ვინც** გულს იტეხს (*ა. წერეთელი*); **რაც** მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო (*ანდაზა*). **რაც** არ იწვის, არ ანათებს (*ა. წერეთელი*);

ბედი, **რომელიც** მე არ მეღირსა,

ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი (*გ. ტაბიძე*).

## 7. უარყოფითი ნაცვალსახელება:

**არავინ, ვერავინ, ნურავინ, ნუვინ; აღარავინ, ველარავინ, ნულარავინ; არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი; აღარაფერი, ველარაფერი, ნულარაფერი; არავითარი, ვერავითარი; არარა, ვერარა...**

**არავინ** (ეგრეთვე: **ვერავინ, ნურავინ, ნუვინ**) ისევე იბრუნვის, როგორც კითხვითი ნაცვალსახელი **ვინ**: **არავინ-ნ, არავინ-ს; ვერავინ-ნ, ვერავინ-ს; ნურავინ-ნ, ნურავინ-ს; ნუვინ, ნუვინ-ს.**

**ფერ-**ით ნაწარმოები ნაცვალსახელები კუმშვადია: **არაფერ-ი, არაფერ-ის, არაფერ-ით...**

**არარა, ვერარა** და **ნურა**, ჩვეულებრივ, სამ ბრუნვაში გამოიყენება: **სახელობითში** (არარა, ვერარა), **მიცემითსა** (არარა-ს, ვერარა-ს) და **ვითარებითში** (არარა-დ, ვერარა-დ), **ვერა** ნაცვალსახელი კი — ორ ბრუნვაში: **სახელობითსა** (ვერა) და **მიცემითში** (ვერა-ს).

**არარა** და **ვერარა** სახელობითში სრული სახით არის წარმოდგენილი, ოღონდ შეიძლება გაითიშოს ზმნით: იყო და **არა** იყო **რა** (ე. ი. **არარა** იყო, არაფერი იყო), **ვერა** ნახა **რა** (ე. ი. ვერარა, ვერაფერი ნახა). მაგ.: ამ პიროვნების **ნურა** გინდა. იმას **ნურას** ეტყვი. მის ნათქვამს **ნურად** ჩააგდებ.

სახ.	არავი-ნ	ვერავი-ნ	არაფერ-ი	არარა	ვერარა
მოთხ.	არავი-ნ	ვერავი-ნ	არაფერ-მა	არარა-მ	ვერარა-მ
მიც.	არავი-ს	ვერავი-ს	არაფერ-ს	არარა-ს	ვერარა-ს
ნათ.	არავი-ს(ი)	ვერავი-ს(ი)	არაფერ-ის	არარა-ს(ი)	ვერარა-ს(ი)
მოქმ.	—	—	არაფერ-ით	არარა-თი	ვერარა-თი
ვით.	—	—	არაფერ-ად	არარა-დ	ვერარა-დ

## 8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია:

**თვით, თვითონ, თითოეული, ყოველი, ყველა, თავად, სხვა.** ამათგან **თვით** და **თვითონ** უბრუნველი ნაცვალსახელებია.

**ყველა** დამოუკიდებლადაც გამოიყენება და არსებით სახელთანაც: „**ყველა** ბუზი ბზუისო, ფუტკართან **ყველა** ტყუისო“ (ანდაზა). ამ წინადადებაში **ყველა** ორჯერ არის გამოყენებული. პირველად ის სახელს ახლავს და **განსაზღვრებაა** (შდრ. **ყველა** კაცი სიკვდილის შვილია), მეორედ დამოუკიდებლად არის ნახმარი, ზმნას უკავშირდება და **ქვემდებარეა** (შდრ. **ყველა** თავის ბედის მკვერავია).

სმოვანფუძიანი ნაცვალსახელი **ყველა** უკვეცელია, არ აქვს ვითარებითი ბრუნვის ფორმა. მსაზღვრელად გამოყენებისას ის უცვლელია ყველა ბრუნვაში, ხოლო არსებითი სახელი მხოლოდ რიცხვში დადგება; მრავლობითში მხოლოდ **ნარიანი** სახელობითი ეწარმოება (ყველა-ნ-ი), მაშინ ზმნაც მრავლობით რიცხვში შეეწყობა (ყველანი მოგროვდნენ):

	ცალკე მდგომი		არს. სახელთან ერთად
სახ.	ყველა	ყველა-ნ-ი	ყველა მოსწავლე
მოთხ.	ყველა-მ	ყველა-თ-ა	ყველა მოსწავლემ
მიც.	ყველა-ს	ყველა-თ-ა	ყველა მოსწავლეს
ნათ.	ყველა-ს(ი)	ყველა-თ-ა	ყველა მოსწავლის
მოქმ.	ყველა-თი	—	ყველა მოსწავლით
ვით.	(ყველა-დ)	—	ყველა მოსწავლედ
ნოდ.	—	—	—

## 9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელება:

**ვილაც, რალაც, რომელილაც; ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე; ზოგი/ზოგიერთი, კაცი, ერთი.**

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა უმეტესობა ნაწარმოებია კითხვითი ნაცვალსახელებისაგან **-ლაც(ა)** ან **-მე** ნაწილაკის დართვით.

**შენიშვნა:** **კაცი** არსებითი სახელია, ხოლო **ერთი** — რიცხვითი, მაგრამ ზოგჯერ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ფუნქციას ასრულებენ: „მაგას **კაცმა** პასუხი უნდა მოსთხოვოს“. აქ **კაცმა** მნიშვნელობით იგივეა, რაც **ვინმემ**, **ვილაცამ**. „იყო **ერთი** ღარიბი **კაცი**“. **ერთი** აქ „ვილაც“ ნაცვალსახელის მნიშვნელობით არის გამოყენებული. მაშასადამე, **კაცი** და **ერთი** დასახელებულ მაგალითებში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებაა.

**-მე** და **-ლაცა** ნაწილაკები ნაცვალსახელებს ერთვის და ბრუნვის ნიშნები უმეტესად მათ მოსდევს. მათ **ებიანი** მრავლობითიც ეწარმოებათ: **ვინმე-ებ-ი**, **ვინმე-ებ-მა**, **ვინმე-ებ-ს...** **რამე-ებ-ი**, **რამე-ებ-მა**, **რამე-ებ-ს...** **ვილაც-ებ-ი**, **ვილაც-ებ-მა**, **ვილაც-ებ-ს...** **რალაც-ებ-ი**, **რალაც-ებ-მა**, **რალაც-ებ-ს...** (და არა: **ვილაცეები**, **ვილაცეებმა**, **ვილაცეებს...** **რალაცეები**, **რალაცეებმა**, **რალაცეებს...**). ეს ნაცვალსახელები ფუძის გაორკეცებითაც გამოიყენება და დეფისით იწერება: **ვილაც-ვილაცები**, **რალაც-რალაცები**.

**რომელიმე** და **რამდენიმე** ისევე იბრუნვის, როგორც **ვინმე**, **ოღონდ** მრავლობითი არა აქვს. მათთან არსებითი სახელი მხოლოდ რიცხვში დაისმის. მაგ.: **რომელიმე ამხანაგი**, **რამდენიმე ბავშვი** და არა: **რომელიმე ამხანაგები**, **რამდენიმე ბავშვები**.

არსებით სახელთან ბრუნებისას განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები უცვლელია: ვილაც კაცი, ვილაც კაცმა... რალაც ამბავი, რალაც ამბავმა... რომელილაც ფრინველი, რომელილაც ფრინველმა...

### **-ვე ნაწილაკიანი ნაცვალსახელები**

**შენიშვნა:** 1. **-ვე** ნაწილაკიანი სიტყვათაგან შეცდომით იყენებენ **იგივე** და **ერთი და იგივე** ნაცვალსახელებს. **იგივე**-ს **-ვე** ნაწილაკი ბრუნვის ფორმაზე ერთვის, ხოლო **ერთი და იგივე**-ს ბრუნებისას **-ვე** ნაწილაკი ემატება ბრუნვის ნიშნის წინ.

**ერთი და იგივე** ნაცვალსახელის ორივე ნაწილი იცვლება. **შეცდომა:** იგივემ, იგივეს, იგივეთი, იგივედ (სწორია: **იმავემ, იმავეს, იმავეთი, იმავედ**) (იხ. ბრუნება დანართში).

2. ურთიერთობითი ნაცვალსახელები **ერთმანეთი, ერთურობი** და **ერთიმეორე** იბრუნება, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელები.

## **2.5. ზ მ ნ ა**

ქართულ ენაში მეტყველების ნაწილთა შორის ზმნა ყველაზე რთული და მრავალფეროვანია. **ზმნა** ჰქვია ფორმაცვალებად (უღლებად) მეტყველების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას. მაგ., მღერის, წერს, ითესება გამოხატავს მოქმედებას (დინამიკას), ზის, წერია — მდგომარეობას (სტატიკას). ზმნა **იუღლება** ანუ იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით.

ზმნას ბევრი გრამატიკული კატეგორია აქვს, რომლებსაც გამოხატავენ შესაბამისი აფიქსები: თავსართები ან ბოლოსართები. ზმნის ერთ ფორმას შეუძლია აღნიშნოს მოქმედების ჩამდენი, სამოქმედო ობიექტი, დრო, კილო, მოქმედების დასრულებულობა, ადგილი ან მიმართულება, ვისთვისაა განკუთვნილი ეს მოქმედება, სუბიექტის აქტიურობა ან პასიურობა და სხვ.

ზმნური კატეგორიებია: **პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, გეზი, ორიენტაცია, გვარი, ქცევა, კონტაქტი** და სხვ.

### 2.5.1. ზმნის პირი და რიცხვი

**პირი** არის ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს მოუბარს ან თანამოუბარს, ან კიდევ საუბრის საგანს. ამის მიხედვით გრამატიკაში **პირი სამია: პირველი, მეორე და მესამე.** მაგ., ვიზრდები (მე), ვიზრდებით (ჩვენ) პირველი პირის ფორმებია, იზრდები (შენ), იზრდებით (თქვენ) — მეორე პირისა, იზრდება (ის), იზრდებიან (ისინი) — მესამე პირისა.

პირი შეიძლება იყოს მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში. **მხოლოდით** რიცხვშია პირი, რომელიც გულისხმობს ერთ საგანს: ვმლერი (მე), მლერი (შენ), მლერის (ის). **მრავლობით** რიცხვშია პირი, რომელიც გულისხმობს ერთზე მეტ საგანს: ვმლერით (ჩვენ), მლერით (თქვენ), მლერიან (ისინი).

**პირი** არის ზმნის კატეგორია, რომელიც გამოხატავს სუბიექტის ან ობიექტის დამოკიდებულებას მოუბარ პირთან: თუ სუბიექტი ან ობიექტი მოუბარია, ის იქნება სუბიექტური **პირველი პირი** (ვნერ მე) ან ობიექტური პირველი პირი (მწერს მე); ვისაც მიმართავენ, ის იქნება **მეორე პირი**, რომელიც ან სუბიექტია ან ობიექტი (პირი სუბიექტურია: ხარ შენ, მოხვალ შენ; ობიექტურია: ჩაგწერა შენ); **მესამე** სუბიექტური ან ობიექტური პირი დიალოგში არ მონაწილეობს: აგზავნის ის მას; უგზავნის ის მას მას.

ზმნები **პირთა რაოდენობის** მიხედვით სამგვარია: **ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი.** ერთპირიან ზმნაში ერთი პირის გაგებაა მოცემული, ორპირიანში — ორისა, სამპირიანში — სამისა. რომ გამოვარკვიოთ, რამდენი პირია ზმნის ერთ ფორმაში, უნდა შევუწყოთ პირის ნაცვალსახელები უთანდებულოდ: **მე, შენ, იგი (ის), ჩვენ, თქვენ, იგინი (ისინი), მან, მას, მათ,** რამდენიც შეეწყობა, იმდენპირიანი იქნება ის. მაგ., თბება, გაათბო და გაუთბო ზმნებს რომ პირის ნაცვალსახელები შეეწყოთ, მივიღებთ: თბება იგი (ის), გაათბო მან იგი (ის), გაუთბო მან მას იგი (ის). პირველ ზმნას ერთი პირის ნაცვალსახელი შეეწყო (იგი), მეორეს — ორი (მან, იგი), მესამეს — სამი (მან, მას, იგი), ე.ი. თბება ერთპირიანი ზმნა ყოფილა, გაათბო — ორპირიანი, გაუთბო კი — სამპირიანი.

## სუბიექტური და ობიექტური პირები

გრამატიკული პირი ორგვარია: მოქმედი და სამოქმედო. მაგ., გავარჯიშებ (მე შენ) ორპირიანი ზმნაა. პირველი პირი მოქმედია (გავარჯიშებ მე), მეორე კი პირველი პირის სამოქმედო საგანია (გავარჯიშებ შენ).

მოქმედ პირს **სუბიექტური** ჰქვია, სამოქმედოს — **ობიექტური**. სუბიექტური პირი მოქმედების ინიციატორია.

**ერთპირიან** ზმნაში წამოდგენილია მხოლოდ **სუბიექტური პირი** (პირველი, მეორე ან მესამე): ვწვები მე, წვები შენ, წვება ის.

**ორპირიან** ზმნაში ერთი პირი **სუბიექტურია**, მეორე — **ობიექტური**. მაგ., გაფასებ ფორმაში პირველი პირი (მე) სუბიექტურია, მეორე (შენ) — ობიექტური.

**სამპირიან** ზმნაში ერთი პირი **სუბიექტურია**, ორი — **ობიექტური**. მაგ., ავიშენე (მე შენ ის) ფორმაში პირველი პირი (მე) სუბიექტურია, მეორე (შენ) და მესამე (ის) — ობიექტური. ამიშენე შენ მე ის: მეორე პირი (შენ) სუბიექტურია, პირველი (მე) და მესამე (ის) — ობიექტური. აუშენა მან მას ის: სამივე პირი მესამეა. ამათგან ერთი (მან) სუბიექტურია, ხოლო ორი (მას, ის) — ობიექტური.

**ობიექტური** პირი ორგვარია: **პირდაპირი** და **ირიბი**.

**პირდაპირობიექტური** პირი სამოქმედოა: მკერავმა **კაბა** შეკერა.

ვისთვისაც ან რისთვისაც ხდება მოქმედება, **ირიბობიექტური** პირია: მან **მეგობარს** კაბა შეუკერა. „მკერავი“ საკუთარი ინიციატივით მოქმედებს და **სუბიექტია** (სუბიექტ-ინიციატორი); ვის სასარგებლოდაც, ვისთვისაც იმოქმედა სუბიექტმა (მეგობარს), **ირიბი ობიექტია**. რაზეც სუბიექტმა იმოქმედა (კაბა), **პირდაპირი ობიექტია**.

ორპირიან ზმნაში ერთი **ობიექტია** (პირდაპირი ან ირიბი), სამპირიან ზმნაში — ორი. ობიექტი პირდაპირია, თუ მისი ფარდი სახელი **რა** ქნა? (შესაბამისად: **რა** ვქენი? **რა** ქენი?) კითხვაზე ზმნას **სახელობითის** ფორმით ეწყობა; ირიბია, თუ ასეთი სახელი **მიცემითშია**. მაგ., ვაქებ (მე მას) და ვეფერები (მე მას) ორპირიანი ზმნებია. პირველი პირი ორივე ზმნაში სუბიექტურია, მესამე (მას)

— ობიექტური, მაგრამ როგორი — პირდაპირი თუ ირიბი? დავსვამთ კითხვას: **რა ვქენი?** პასუხი იქნება: შევაქე **ის**, მაგრამ: მოვეფერე **მას**. ობიექტური პირის ფარდი სახელი პირველ ზმნას **სახელობითში** შეეწყობა, ე. ი. ის **პირდაპირია**, მეორესთან ობიექტური პირი ისევ **მიცემითშია**, ე.ი. ის **ირიბია**.

როცა ობიექტი პირველი ან მეორე პირია, უბრუნველ პირის ნაცვალსახელს შევუნაცვლებთ არსებით სახელს და გავიგებთ, რომელი ბრუნვა იგულისხმება და როგორია ობიექტური პირი: **პირდაპირი** თუ **ირიბი**. მაგ., **გაქებს** (ის შენ) და **გესალმება** (ის შენ) ორპირიანი ზმნებია. მესამე პირი (**ის**) სუბიექტურია, მეორე (შენ) — ობიექტური. დავუსვათ კითხვა: **რა ქნა?** პასუხი იქნება: შეგაქო **შენ** (მეგობარი), მაგრამ: მოგესალმა **შენ** (მეგობარს). არსებითი სახელის მოშველიებით გაირკვა, რომ ობიექტური პირი **შენ** გაქებს ზმნასთან **პირდაპირია**, გესალმება ფორმასთან კი — **ირიბი**.

თუ ზმნას ორი ობიექტი აქვს, ერთი მიცემით ბრუნვაში დგას, ხოლო მეორე — სახელობითში, პირველი არის **ირიბი** ობიექტი, მეორე — **პირდაპირი**. როცა ორივე ობიექტი **მიცემით** ბრუნვაშია (ბებია **შვილიშვილს ქუდს უქსოვს**), სამოქმედო (ქუდს) იქნება **პირდაპირი ობიექტი**; ვისთვისაც ხდება მოქმედება (შვილიშვილს) — **ირიბი ობიექტი**.

ფორმის მიხედვით რომ გამოვიცნოთ ობიექტები, საჭიროა ზმნას დავუსვათ კითხვა **რა ქნა?** მაგ., რა ქნა ბებიამ? ბებიამ **შვილიშვილს ქუდი მოუქსოვა**. „ქუდი“ **პირდაპირი** ობიექტია, რადგან **სახელობით** ბრუნვაში დადგა, „შვილიშვილს“ კი **მიცემით** ბრუნვაშია და **ირიბი ობიექტია**.

### **ზმნის პირისა და რიცხვის ნიშნები**

სუბიექტურ პირს ზმნის ფორმაში თავისი ნიშანი აქვს, ობიექტურს — თავისი. მაგ., პირველი პირი ვ-სწავლობ ფორმაში სუბიექტურია, მ-ასწავლი ფორმაში — ობიექტური. სუბიექტურ პირს **ვ-** თავსართი გამოხატავს, ობიექტურს — **მ**. უღლების დროს პირის ნიშნები დაერთვის ზმნის **ფუძეს** — ზმნის ნაწილს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები.

მაგ., ვაქებთ ზმნის ფუძეა **აქებ**, ვიცეკვოთ ზმნისა — **იცეკვო**,  
ვამზადებდეთ ზმნისა — **ამზადებდე**.

**სუბიექტური პირის ნიშნები** პირველსა და მეორე პირში  
თავსართებია, მესამე პირში — ბოლოსართები.

**პირველი სუბიექტური პირის ნიშანი** ორივე რიცხვში **ვ**  
თავსართია, მრავლობით რიცხვში კი **-თ** ბოლოსართი ემატება.  
მაგ.: ვ-ცხოვრობ — ვ-ცხოვრობ-თ, ვ-თამაშობ — ვ-თამაშობ-თ,  
ვ-ქსოვ — ვ-ქსოვ-თ.

**შენიშვნა:** თუ სუბიექტური პირველი პირი ობიექტურ მეორე  
პირთან კომბინაციაშია, ნიშნით აღინიშნება ობიექტური მეორე  
პირი (მე **გ-აცმევ** შენ), სუბიექტი კი ნიშნით არ იქნება  
წარმოდგენილი (შდრ. ის **გ-აცმევ-ს** შენ. ამ ფორმაში  
წარმოდგენილია როგორც ობიექტის, ისე სუბიექტის ნიშანი).

**მეორე სუბიექტური პირის ნიშანი** ორიოდე ზმნაში **ხ**  
თავსართია, მრავლობით რიცხვს კი აქაც **-თ** ბოლოსართი  
გამოხატავს. მაგ.: ხ-არ — ხ-არ-თ, მო-ხ-ვალ — მო-ხ-ვალ-თ, მო-  
ხ-ვედი — მო-ხ-ვედი-თ.

ძველ ქართულში (V-VII სს.) მე-2 სუბიექტური პირის  
ნიშნად ყველა ზმნას **ხ-** ჰქონდა: ხ-იხილე, ხ-ჭამე, ხ-წერე...  
მომდევნო საუკუნეებში მე-2 სუბიექტური პირის ნიშანი იყო **ჰ-**.

თანამედროვე ქართულში ხმოვნით დაწყებულ ზმნებს პირის  
ნიშანი არა აქვს, ე. ი. დაკარგულია. თანხმოვნებით დაწყებულ  
ზმნებთან იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს **ჰ-** ან **ს-**. ამათგან **ჰ-**  
დგას **შვიდი** თანხმოვნის (**ბ, პ, ფ; გ, კ, ქ; ყ**) წინ. მაგ.: ჰ-ბედავ, ჰ-  
ფეთქავ, ჰ-გალობ, ჰ-კლავ, ჰ-ქარგავ, ჰ-ყიდი, **ს-** კი — **ცხრა**  
თანხმოვნის წინ: **დ, ტ, თ; ძ, ნ, ც; ჯ, ჭ, რ**. მაგალითები: ს-დებ, ს-ტეხ,  
ს-თლი, ს-ძებნი, ს-წერ, ს-ცხოვრობ, ს-ჯავრობ.

**შენიშვნა:** მეორე პირის სუბიექტური ნიშნები **ჰ-** და **ს-** თანამედროვე  
ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით არ გამოიყენება.  
უნიშნო მეორე პირის ფორმა პირველი და მესამე პირის ფორმებისგან მაინც  
კარგად არის გარჩეული და მათში არ ირევა.

• თუ სუბიექტური მეორე პირი ობიექტურ პირველ პირთან  
კომბინაციაშია, აღინიშნება ობიექტური პირველი პირი, სუბიექტი  
კი უნიშნო იქნება („**მხატავ შენ მე**“).

**მესამე სუბიექტური პირის ნიშნებია მხოლობითში -ს, -ა, -ო** ბოლოსართები (აქებ-ს, აქებდ-ა, აქ-ო), მრავლობითში — **-ენ, -ან, -ნენ, -ნ, -ეს** (აქებ-ენ, მღერი-ან, აქებდ-ნენ, აქო-ნ, აქ-ეს).

**სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნების ცხრილი**

პირები	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I	ვ -	ვ - თ
II	ხ (ჰ, ხ) -	ხ (ჰ, ხ) - თ
III	-ს, -ა, -ო	-ენ, -ან, -ნენ, -ნ, -ეს

სუბიექტური მესამე პირის ნიშანი **-ს** იკარგება ობიექტური პირის მრავლობითობის **-თ** სუფიქსის წინ: გაქებ-თ (<გაქებსთ). **-ს** დაკარგულია ფონეტიკური მიზეზით — ქართულ ენაში სიტყვის ბოლოს თანხმოვანთა არაბუნებრივი კომპლექსია **-ბს-თ**, ამიტომ გამარტივდა და დაიკარგა **-ს** სუფიქსი.

**ზმნის რთული ფორმები და მეშველი ზმნა**

ზმნის ფორმა **მარტივია** ან **რთული**. მაგ., მარტივია მიდის, მირბის, მაგრამ რთულია ამავე ზმნათა პირველი და მეორე პირის ფორმები: მივდივარ, მიდიხარ, მივრბივარ, მირბიხარ. ზოგიერთი ზმნური ფორმა რთულია სამივე პირში: გავზრდილიყავ, გაზრდილიყავ, გაზრდილიყო.

რთულ ფორმებში ხშირად პირველი **სუბიექტური პირი ორმაგად** არის გამოხატული: მი-ვ-დი-ვ-არ, ვ-ზი-ვ-არ, წა-ვ-სულ-ვ-არ...

რთული ფორმების მანარმოებლად პირველ და მეორე პირებში (ზოგჯერ მესამეშიც) გამოიყენება **არის** მეშველი ზმნის სხვადასხვა ფორმა: **ვარ/ვართ, ხარ/ხართ, იყავ(ი)/იყავით, იყო/იყოთ**. მაგ.: გავზრდილვარ, გაზრდილხარ, გავზრდილიყავ, გაზრდილიყო...

**ობიექტური პირის ნიშნები** სამივე პირში **თავსართებია**. პირდაპირსა და ირიბ ობიექტებს პირველსა და მეორე პირში

ერთნაირი ნიშნები აქვთ, მესამე პირში კი მათ შორის განსხვავებაა: ირიბს აქვს ნიშანი, პირდაპირს — არა.

**პირველი ობიექტური პირის ნიშანია მხოლოდობითი მ-**, მრავლობითში — **გვ-**.

- ობიექტური პირი **პირდაპირია**: შე-მ-ამონმა (მე), შე-გვ-ამონმა (ჩვენ), მ-აგზავნის (მე), გვ-აგზავნის (ჩვენ).

- ობიექტური პირი **ირიბია**: მ-ესალმება (მე), გვ-ესალმება (ჩვენ), მ-კითხა (მე), გვ-კითხა (ჩვენ).

**მეორე ობიექტური პირის ნიშანია გ-** თავსართი ორივე რიცხვში, მრავლობით რიცხვში კი ემატება **-თ** ბოლოსართი. მაგ.:

- ობიექტური პირი **პირდაპირია**: შე-გ-ამონმა (მან **შენ**), შე-გ-ამონმა-თ (მან/მათ **თქვენ**); გ-აგზავნის (ის **შენ**), გ-აგზავნი-თ (ის **თქვენ/მე თქვენ**).

- ობიექტური პირი **ირიბია**: გ-ესალმება (ის **შენ**), გ-ესალმება-თ (ის **თქვენ**); გ-იგზავნი-ს (ის **შენ** მას), გ-იგზავნი-თ (ის **თქვენ** მას/მე **თქვენ** მას).

თუ სუბიექტური პირი მრავლობითშია და ეს აფიქსით არის გამოხატული, მეორე ობიექტური პირის მრავლობითობა აღარ აღინიშნება. მაგ., როცა ვამბობთ გ-აფასებ-თ მე თქვენ (ან: ის თქვენ), **-თ** მეორე ობიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავს; მაგრამ თუ ეს ფორმა გულისხმობს პირველ სუბიექტურ პირს მრავლობითში (გ-აფასებ-თ ჩვენ შენ; ან: გ-აფასებ-თ ჩვენ თქვენ), მაშინ **-თ** სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანია და მეორე ობიექტური პირის მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღარ აღინიშნება.

**მესამე ობიექტურ პირს**, თუ ის პირდაპირია, ნიშანი არ სჭირდება; თუ **ირიბია**, თანხმონით დაწყებული ფუძის წინ **ჰ-** ან **ს-** თავსართი ექნება ორივე რიცხვში:

**-ს** იხმარება **ცხრა** თანხმონის წინ (**დ, ტ, თ; ძ, ნ, ც; ჯ, ქ, ჩ**): მი-ს-დევს, მო-ს-ტყდა, ს-თხოვს, მო-ს-დახის, მი-ს-წერა, მო-ს-ცილდა, ს-ჯობს, გა-ს-ჯავრებია, მო-ს-ჭიდა, და-ს-ჩხავის.

**-ჰ**, ჩვეულებრივ, **შვიდი** თანხმონის წინ იხმარება (**ბ, პ ფ; გ, კ, ქ; ყ**): მი-ჰ-ბაძა, მო-ჰ-პარა, მო-ჰ-ფინა, მო-ჰ-გვარა, ჰ-კითხა, მი-ჰ-ყვება. ხმოვნის წინ **ჰ-** იკარგება: ეფარება (←ჰ-ეფარება).

მესამე ირიბი ობიექტის მრავლობითობა შეიძლება გამოხატული იყოს -თ ბოლოსართით: „ახალგაზრდებს გული აუჩუყდათ“; „ხოხბებს მამლის დანახვაზე თავზარი დაეცათ“.

**ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნების<sup>1</sup> ცხრილი**

პირები		მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I		მ —	გვ —
II		გ —	გ — თ
III	პირ. ობიექტი	Ø —	Ø —
	ირ. ობიექტი	ჰ, ს, Ø —	ჰ, ს, Ø — თ

ორ- და სამპირიან ზმნებში ერთდროულად შეიძლება იყოს ორი პირის ნიშანი: მ-ხატავ-ს (ის მე), მ-ესალმებ-ა (ის მე), მო-მ-წერ-ს (ის მე), გა-გვ-იკეთ-ა (მან ჩვენ ის).

ზოგიერთი ორპირიანი ზმნა ერთპირიანად არის ქცეული, მაგრამ ორივე პირის ნიშანი მაინც შერჩენილი აქვს. ასეთებია: მ-ძინავ-ს (მე), მ-ღვიძავ-ს (მე), მ-ეძინებ-ა (მე) და სხვ. მესამე პირი დაკარგულია, მისი ნიშანი კი ზმნაში შენახულია.

**ინვერსია და ინვერსიული ზმნები**

სუბიექტური ნიშანი, როგორც ვიცით, **სუბიექტურ** პირს გამოხატავს, ობიექტური ნიშანი კი — **ობიექტურს**, მაგრამ ეს წესი ზოგჯერ ირღვევა: პირის ნიშნების დანიშნულება შებრუნებულია. სუბიექტური ნიშანი ობიექტურ პირს გამოხატავს, ობიექტური ნიშანი კი — სუბიექტურს. მაგ., *ვამზადებ, მოვამზადე, მომიმზადებია* ფორმებში სუბიექტური პირი პირველია, რომელიც პირველ ორ ფორმაში გამოხატულია

<sup>1</sup> პროფ. დ. მელიქიშვილის აზრით, დაყოფა სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნებად არაა მიზანშეწონილი, რადგან ორივე რიგის (ვინ-ისა და მან-ის) პირის ნიშნებს შეუძლია **სუბიექტის** გამოხატვა. მაგ., გარდამავალ და აქტიურ ერთპირიან ზმნებს — მესამე სერიაში (ვაკეთებ მე მას, გამიკეთებია მე ის; ვცხოვრობ მე, მიცხოვრია მე); გარდაუვალი ზმნების ერთ ნაწილს კი — ყველა სერიაში (მე მიყვარს, მძულს, მიხარია, მეშინია...).

სუბიექტური პირის ნიშნით (ვ-), მესამეში კი — ობიექტური ნიშნით (მ-). მაშასადამე, **მო-მ-იმზადები-ა** ფორმაში პირის ნიშნების დანიშნულება შებრუნებულია.

პირის ნიშნის დანიშნულების შებრუნებას **ინვერსია** ჰქვია, თვით ფორმას კი — ინვერსიული.

ინვერსია, როგორც წესი, მესამე სერიის გარდამავალ ზმნებთან გვაქვს (ვ-აკეთებ — გა-ვ-აკეთე — გა-მ-იკეთები-ა; ვ-წერ — და-ვწერე — და-მ-ი-წერი-ა...), თუმცა ქართულ ენაში გამოყოფენ ზმნებს, რომლებსაც პირველსა და მეორე სერიაშიც ინვერსიულად მიიჩნევენ. ამ ზმნებთან **რეალური სუბიექტი** გამოხატულია ობიექტური პირის პრეფიქსებით (მ-, გვ-, გ-, ჰ/ს-...), ხოლო **რეალური ობიექტი** — სუბიექტური პირის ნიშნებით (პრეფიქსით ვ-, სუფიქსებით -ს,-ა). მაგალითად, მო-მ-წონ-ს (მე ის) ზმნაში პირველი პირი (მე) **რეალური სუბიექტია**, ხოლო მესამე პირი (ის) — **რეალური ობიექტი**. ასეთივე ზმნებია: მ-იყვარ-ს (მე ის), მ-ძულ-ს (მე ის), მ-ქვი-ა (მე ის), მ-გონი-ა (მე ის), მი-მ-აქვს (მე ის), მი-მ-ყავს (მე ის), მ-ინდ-ა (მე ის) და სხვა.

## 2.5.2. ზმნის დრო

**დრო** არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როდის ხდება მოქმედება: თქმის დროს, თქმამდე თუ თქმის შემდეგ. ამის მიხედვით დრო სამია ქართულში: **ახლანდელი, წარსული და მომავალი**.

**ახლანდელი** დროის ფორმა გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება ხდება ახლა, თქმის დროს: (ის) მღერის, თამაშობს, ხატავს, მიდის, წერს...

**წარსული** დროის ფორმა მიგვითითებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება უსწრებს თქმის დროს: (ის) მღეროდა, თამაშობდა, ხატავდა, ნავიდა, მან დანერა...

**მომავალი** დროის ფორმა აღნიშნავს, რომ მოქმედება უნდა მოხდეს თქმის შემდეგ: (ის) დანერს, დახატავს, მოიტანს, ნახავს, ააშენებს...

**შენიშვნა:** ზოგჯერ ერთი და იმავე ფორმით შეიძლება გამოიხატოს როგორც ახლანდელი, ისე მომავალი დრო. მაგ., **ვჭამ:** ახლა ვაშლს ვჭამ (ახლანდელი დროა). როცა მოვალ, ნამცხვარს **ვჭამ** (მომავალი დროა).

- აწმყოს ფორმის ზმნებით ზოგჯერ აღინიშნება განუსაზღვრელი დრო: დედამინა თავისი ლერძის გარშემო **ბრუნავს**. მზე აღმოსავლეთიდან **ამოდის**.

### 2.5.3. ზმნის კილო

**კილო** არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როგორ უნდა გავიგოთ ზმნით გამოხატული მოქმედება: როგორც ნამდვილი ამბავი, თუ როგორც სასურველ-შესაძლებელი ან შესასრულებელი. მაგ., ქმნის, (ნეტა) ქმნიდეს და შექმნას! ეს ფორმები სხვადასხვაგვარად გადმოგვცემს ზმნით გამოხატულ მოქმედებას: პირველი (ქმნის) — ნამდვილ ამბად, მეორე (ქმნიდეს) — სასურველ-შესაძლებლად, ხოლო მესამე (შექმნას!) — შესასრულებლად. ამის შესაბამისად, კილო სამია ქართულში: **თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი.**

**თხრობითა** კილო, რომელიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას ისე წარმოგვიდგენს, როგორც ნამდვილ ამბავს: წერს, ხატავს, აკეთებდა, ააშენა.

**კავშირებითა** კილო, რომელიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას გადმოსცემს სასურველ-შესაძლებლად: (ნეტავი) ვუპასუხებდე, (რომ) უპასუხოს, (რომ) უპასუხონ.

**ბრძანებითა** კილო, რომელიც მოითხოვს მთქმელის (პირველი პირის) სურვილის შესრულებას მისამართი პირის მიერ: წაილე! გააკეთე! დაწერე! წაილოს! გააკეთოს! დაწეროს!

**შენიშვნა:** ბრძანებითი კილოს ფორმამ, გარდა საკუთრივ ბრძანებისა, შეიძლება გამოიხატოს თხოვნა, ხეცხნა-მუდარა, დარიგება, დალოცვა...

### ბრძანებითი კილოს სახეები

მთქმელი, რომლის სურვილიც უნდა შესრულდეს, პირველი პირია, ხოლო შემსრულებელი უმეტესად წარმოდგენილია მეორე ან მესამე სუბიექტურ პირად ორივე რიცხვში. ბრძანება

მიმართულია **მეორე სუბიექტური** პირისადმი: ნერე! ნერეთ!  
გააკეთე! გააკეთეთ!

ბრძანება მიმართულია **მესამე სუბიექტური** პირისადმი:  
ნეროს! ნერონ! გააკეთოს გააკეთონ!

მონოდების, ნაქეზების სახით შეიძლება ვუბრძანოთ  
**პირველ სუბიექტურ** პირსაც მრავლობით რიცხვში: ვნეროთ!  
გავაკეთოთ! ნავიდეთ!

**ბრძანებითი კილო** ორგვარია: **ნართქმითი** და **უკუთქმითი**.

**ნართქმითია** ბრძანებითი, რომელიც მოითხოვს ზმნით  
გამოხატული მოქმედების შესრულებას (ზმნა დგას **წყვეტილის**  
მწკრივში): გააკეთე! დაწერე! მოიტანე! ნაილოს! ნაილონ! ეს  
ფორმა ზოგჯერ შემოკლებულია: ნა! (ნადი!), გამეცა! (გამეცალე!).

ბრძანებითი კილოს ფორმა ზოგჯერ გამოხატავს  
მოქმედების აკრძალვას. ეს **უკუთქმითი ბრძანებითია**, რომელიც  
გამოიხატება ზმნასთან **არ** და **ნუ** ნაწილაკების გამოყენებით და  
კრძალავს მოქმედების შესრულებას (მას **აკრძალვითსაც**  
უნოდებენ): ნუ დაწერ! ნუ ცელქობთ! არ დაივინყო! არ გააკეთო!

**შენიშვნა:** არ ნაწილაკი დგება მეორე კავშირებითის ფორმასთან (არ  
უთხრა, არ უთხრას), ხოლო **ნუ** — აწმყოს ან მყოფადის მწკრივის  
ფორმებთან (ნუ ხსნი! ნუ გახსნი!).

ბრძანებითი კილო იყენებს თხრობითისა და კავშირებითის  
ფორმებს. გვაქვს ერთი ზმნა, რომელსაც დღესაც გარჩეული აქვს  
მეორე პირის ნართქმითი ბრძანებითი თხრობითისაგან.  
**თხრობითია:** მოხვედი, გამოხვედი, გადმოხვედი, წამოხვედი.  
**ბრძანებითია:** მოდი! გამოდი! გადმოდი! წამოდი!

**კავშირებითი კილო** გადმოსცემს ისეთ მოქმედებას,  
რომელიც არაა ფაქტი, მაგრამ იქნებოდა აუცილებელი,  
შესაძლებელი, სავარაუდო, სასურველი ან სანატრელი მოქმედება  
ახლა, მომავალში ან წარსულში. იგი ამ შინაარსის გადმოსაცემად  
იყენებს კავშირებითის მწკრივებს: **ანმყოს კავშირებითს**  
(თესავდეს), **მყოფადის კავშირებითს** (დათესავდეს), **მეორე**  
**კავშირებითსა** (დათესოს) და **მესამე კავშირებითს** (დაეთესოს).

კავშირებითი კილოს ფორმები ხშირად გვხვდება სხვა ზმნებთან, მოდალურ ნაწილაკებთან ერთად მარტივ წინადადებაში ან კავშირებთან ერთად — რთულ ქვენწყობილ წინადადებაში: მინდა/უნდა ვთესავდე, მინდა/უნდა დავთესო, მინდოდა/უნდა დამეთესა... ნეტა დავთესავდე... რომ დავთესო, რათა დავთესო...

კავშირებითი კილოს ფორმები ხშირად წინადადებაში სხვა ზმნებთან ერთად დგას ან გამოყენებულია დამოკიდებულ წინადადებაში **რომ** ან **რათა** კავშირებთან.

### **კილო და მოდალობა**

**მოდლობა** უნივერსალური **სემანტიკური** კატეგორიაა, რომელიც აღნიშნავს მოუბარი პირის დამოკიდებულებას სათქმელის ან მოქმედებისადმი, ასევე თვით გამონათქვამის დამოკიდებულებას სინამდვილესთან. ეს მიმართება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა **გრამატიკულ-ლექსიკური** საშუალებით.

მიუხედავად მოდალობის კატეგორიის თავისებურებისა სხვადასხვა ენაში, მისი გამოხატვის ძირითად **გრამატიკულ** საშუალებად ყველგან ზმნის **კილო** მიიჩნევა.

ზმნის **კილო** მოქმედებას წარმოადგენს როგორც რეალურ ფაქტს, სავარაუდო-შესაძლებელს, შეუძლებელს ან აუცილებლად შესასრულებელს. მაგ., შეიძლება დავწერო, უნდა დავწერო, ნეტა მოვიგო... დანერე! შეასრულე! არ მოხვიდე! ნუ აკეთებ! (იხ. წინ)

მოდალურ სიტყვათა კლასიფიკაცია შესაძლებელია რამდენიმე პარამეტრის მიხედვით: ერთი მხრივ, **მეტყველების ნაწილთა** მიხედვით (წარმოებისა და აგებულების შესაბამისად), მეორე მხრივ კი, **შინაარსობრივად**.

ქართულში მოდალობის გამომხატველი **ლექსიკური** საშუალებებია: **მოდალური სიტყვები** (ზმნები, ზმნიზედები და ნაწილაკები) და **მოდალური ფრაზები**.

- მოდალური შინაარსის **ზმნები** გამოხატავს **ნება-სურვილს, შესაძლებლობას, ვარაუდს, ვალდებულებას**: უნდა (მინდა/უნდა), სურს, შეუძლია, ვალდებულია, აუცილებელია, მგონია, ეტყობა, ნება აქვს, ნება მისცეს...

- მოდალური **ზმნიზედები**: ნამდვილად, აუცილებლად, სავარაუდოდ...

- მოდალური **ნაწილაკები**: ნეტა, უნდა, იქნებ, ეგებ, კინალამ, თითქოს...

**შენიშვნა:** მოდალურ **ნაწილაკთა** ერთი ნაწილი ზმნური წარმომავლობისაა (ეგებ, იქნებ, ლამის, უნდა, გინდა, თუგინდ, ეტყობა, თითქმის...).

### **მოდალობის გამომხატველი ფრაზებია:**

- **ნაწილაკი + ზმნის** კავშირებითი **კილო**: უნდა გამოგიტყდეთ, ეგებ მითხრათ, დაე გაკეთდეს...

- არსებითი ან ზედსართავი **სახელი/მიმღობა + მეშველი ზმნის** ხმოვნითი ნაწილი **-ა:** ფაქტია, სიმართლეა, ჭეშმარიტებაა... ცხადია, მართალია, უდავოა, სავარაუდოა, შესაძლებელია...

- **დამოკიდებული** წინადადება **ჩართულ** ფრაზად: კაცმა რომ თქვას, უკეთ რომ ვთქვათ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მართალი რომ ვთქვათ... (იხ. ჩართული).

მოდალური სიტყვები **შინაარსის მიხედვით** შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:

- გამონათქვამის ლოგიკური **შეფასების**, მის რეალურობაში მოუზარი პირის **დარწმუნებულობის** გამომხატველი: უდავოდ, უთუოდ, ცხადია, უეჭველია, უეჭველად, რასაკვირველია, აშკარაა, მართლაც, ნამდვილად, რა თქმა უნდა...

- **შესაძლებლობის, ვარაუდის, დაეჭვების** გამომხატველი: მგონი(ა), ვგონებ, სავარაუდოდ, შესაძლებელია, შესაძლოა, შეიძლება, საეჭვოა, დამაფიქრებელია, ჩანს, როგორც ჩანს, როგორც ეტყობა, მეჩვენება, თუ არ ვცდები, ვიმედოვნებ, იმედია, იმედი მაქვს... იქნებ, ეგებ, ალბათ, ვინძლო, აკი, აკი არ...

- **ნება-სურვილის, ნატვრის** გამომხატველი: ნეტა, ნეტავი, ნეტამც, უნდა, ბარემ, დაე/დეე...

მოდალური მნიშვნელობა აქვს **მიახლოებითობის** აღმნიშვნელ ნაწილაკებსაც: კინალამ, ლამის, თითქმის...

**შენიშვნა:** მოდალური სიტყვების კლასიფიკაცია და მიკუთვნება მეტყველების ნაწილთა რომელიმე ჯგუფისთვის ხშირად ჭირს.

#### 2.5.4. ზმნის გარდამავლობა

ზმნის **გარდამავლობა** დამოკიდებულია იმაზე, შეეწყობა თუ არა ზმნას პირდაპირი ობიექტი. ისეთ ზმნას, რომელიც პირდაპირობიექტურ პირს შეიცავს, **გარდამავალი** ჰქვია (**ამზადებს** გაკვეთილს, **ალაგებს** სახლს, **წმენდს** მტვერს და სხვ.); თუ ზმნა პირდაპირობიექტურ პირს არ შეიცავს, ის **გარდაუვალია** (მიდის, მირბის, მიფრინავს, ისვენებს...).

**ერთპირიანი** ზმნები გარდაუვალია, რადგან მარტო სუბიექტური პირი შეეწყობა (**დგას** მოსწავლე, **ზის** ბავშვი, **ჩანს** ზღვა).

**ორპირიანი** ზმნაში ერთი პირი სუბიექტურია, მეორე კი — ობიექტური: პირდაპირი ან ირიბი, ე. ი. ის შეიძლება იყოს **გარდამავალი** ან **გარდაუვალი** (გარდამავალი: ამუშავებს ის მას, რგავს ის მას, წყვეტს ის მას; გარდაუვალი: უნითლდება ის მას, უთბება ის მას, ელაპარაკება ის მას).

**სამპირიანი** ზმნაში ერთ-ერთი პირი ყოველთვის პირდაპირობიექტურია, ამიტომ ის **გარდამავალია** (უმზადებს ის მას მას, ულამაზებს ის მას მას, ულაგებს ის მას მას).

#### 2.5.5. ზმნისწინი

**ზმნისწინი** ჰქვია ზმნის წინა ნაწილს, რომელიც რამდენადმე უცვლის მას მნიშვნელობას. ზმნისწინი ზმნას თავში დაერთვის და მას ან გრამატიკულ მნიშვნელობას უცვლის, ან ლექსიკურს. ზმნისწინის გრამატიკული მნიშვნელობა ვლინდება მყოფადის წარმოებისას. მაგ., ვაგებ, აგებ, აგებს ფორმებს შეიძლება თავში დაერთოს მარცვლები: ა-, და-, ჩა-, წა-. მაშინ მივიღებთ **მყოფადის** მწკრივის ფორმებს: ა-ვაგებ, და-ვაგებ, ჩა-ვაგებ, წა-ვაგებ და ა.შ.

**ზმნისწინთა ფუნქციებია:**

- გეზის აღნიშვნა (აფრინდა, გაფრინდა, მიფრინდა, შეფრინდა, გადაფრინდა, ჩაფრინდა...);
- ორიენტაციის გამოხატვა (მირბის, მორბის, გადაფრინდა, გადმოფრინდა);

- მომავალი დროის წარმოება (ზრდის გაზრდის, შავდება გაშავდება);
- მოქმედების დასრულებულობის გამოხატვა (წერა — დაწერა, თესა — დათესა);
- ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა.

მაგ., სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნებია: ა-იგო (მან სახლი), გა-იგო (მან ამბავი), მო-იგო (ლატარიის ბილეთით მანქანა), და-იგო (საბანი), რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ზმნისწინებით განსხვავდებიან. ასევე სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნებია: შე-ხვდა, მი-ხვდა, მო-ხვდა, და-ხვდა.

დღევანდელ ქართულში **16 ზმნისწინია**, რომელთაგან რვა ერთმარცვლიანია, რვა — ორმარცვლიანი. **ერთმარცვლიანია:** ა- გა-, და-, ჩა-, შე-, წა-, მი-, მო-; **ორმარცვლიანია:** ამო-, გამო-, ჩამო-, შემო-, წამო-, გადა-/გადმო-, მიმო-

**მო-** დართული ზმნისწინები რთულია, დანარჩენები — მარტივი (გამონაკლისია ორმარცვლიანი ზმნისწინი გადა-).

ზმნისწინები ორ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფს ქმნიან **მო-** დართული შედგენილი ზმნისწინები. ისინი ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებას აღნიშნავენ მოლაპარაკე პირთან მიმართებით და გამოხატავენ **ორიენტაციის** კატეგორიას: **მო-** გამოხატავს მიმართულებას მოლაპარაკისკენ (მო-დის, მო-აქვს, მო-ცურავს, მო-ფრინავს...). ყველა სხვა ზმნისწინი, რომლის შემადგენლობაში არ არის **მო-**, აღნიშნავს მიმართულებას მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს (მი-დის, შე-დის, გა-დის...).

საიქეთო ორიენტ.	ა-	გა-	და-	ჩა-	შე-	წა-	გადა-	მი-
სააქეთო ორიენტ.	ამო-	გამო-	—	ჩამო-	შემო-	წამო-	გადმო-	მო-

**მო-**ს გარდა ყველა სხვა ზმნისწინი გამოხატავს მიმართულებას სივრცეში მდებარე რომელიმე პუნქტისკენ და ქმნის **გეზის** კატეგორიას. ეს მიმართულებებია:

**ქვემოდან ზევით:** ა- ავარდა, ააგდო, აიყვანა...

**ზევიდან ქვევით (ზედაპირზე):** და- დავარდა, დააგდო, დაიყვანა...

**ზევიდან ქვევით (სიღრმეში):** ჩა- ჩავარდა, ჩააგდო, ჩაიყვანა...

**გარედან შიგნით:** შე- შევარდა, შეაგდო, შეიყვანა...

**შიგნიდან გარეთ:** გა- გავიდა, გააგდო, გაიყვანა და სხვა.

თუ **მო-** შეუერთდა ამ ზმნისწინებს, გამოიხატება რაიმე სახის მიმართულებაც და ორიენტაციაც (მიმართულება პირველი პირისკენ): ამო-დის, ამო-აქვს (ქვემოდან ზევით და მოლაპარაკისკენ), შემო-დის, შემო-აქვს (გარედან შიგნით და მოლაპარაკისკენ) და სხვ.

თუ გეზის გამოხატველ ზმნისწინებს **მო-** არ უძღვის წინ, მოქმედება მიმართულია მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს, ორიენტაცია **საიქეთოა:** ა-დის, ა-აქვს (ქვემოდან ზევით და მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს), გა-დის, გა-აქვს (შიგნიდან გარეთ და მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს), შე-დის, შე-აქვს (გარედან შიგნით და მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს) და ა.შ.

### **მიმართულების არმქონე ზმნები**

მოქმედების მიმართულება გამოხატულია მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში, მაგრამ ენაში ბევრია ისეთი ზმნა, რომლებშიც ზმნისწინი მოქმედების მიმართულებას არ გვიჩვენებს: დაიბადა, მოკვდა, განითლდა, წაიკითხა, შეისწავლა, მოიგონა, გადაიფიქრა და სხვ.

ზოგიერთი ზმნა საერთოდ არ დაირთავს ზმნისწინს. ასეთებია: უყვარს, სძულს, სწამს, ცოცხლობს, ცელქობს, ცხოვრობს, წუხს და სხვ.

**ძველ ქართულში** ზოგ ზმნისწინს სხვა სახე ჰქონდა:

ძველი ფორმა:	აღ-	გან-	გარდა-	შთა-	წარ-
ახალი ფორმა:	ა-	გა-	გადა-	ჩა-	წა-

როგორც ვხედავთ, **შთა-** ახალ ქართულში **ჩა-**დ იქცა, სხვებს კი ჩამოსცილდა თანხმოვნები: **აღ-**ს — **ღ**, **გან-**ს — **წ**,

**გარდა-**სა და **წარ-**ს — **რ. ჩა-** წარმოშობით რთული ზმნისწინია (ჩა ← შთა ← შდა ← შე+და), მაგრამ დღეს მარტივად მიიჩნევენ.

ძველი სახის ზმნისწინები გარკვეულ ზმნებთან ახლაც იხმარება: **აღ-**, **აღმო-**, **გან-**, **გარდა-**, **შთა-**, **წარ-**, **წარმო-**. მაგალითად:

**აღ-**: აღადგინა, აღზარდა, აღიარა, აღნიშნა, აღძრა...

**აღმო-**: აღმოაჩინა, აღმოფხვრა...

**გან-**: განაგრძო, განიხილა, განიცადა, განმარტა, განრისხდა...

**გარდა-**: გარდაქმნის, გარდაიქმნა, გარდაიცვალა...

**შთა-**: შთააგონა, შთანთქა, შთაუწერგა...

**წარ-**: წარადგინა, წარმართა...

**წარმო-**: წარმოთქვა, წარმოიდგინა, წარმოიშვა...

**მართლწერა:** ხშირად შეცდომით იყენებენ **აღ-**, **გან-** და **წარ-** ზმნისწინიან ზმნებს. მათი ბოლო თანხმოვნები (**-ღ**, **-წ** და **-რ**) არ უნდა გაითიშოს რომელიმე ხმოვნით ან პირის ნიშნით.

**არასწორია:** ავღზარდე, ღზრდის, აუღზრდია, ანთავისუფლებს, გაანთავისუფლა, გაუნთავისუფლებია, არდგენს, წაარდგინა.

**უნდა იყოს:** აღზარდე, ზრდის/აღზრდის, აღუზრდია, ათავისუფლებს/ გაათავისუფლებს, გაათავისუფლა, გაუნთავისუფლებია, წარადგენს, წარადგინა და სხვ.

## 2.5.6. ასპექტი

**ასპექტი** ჰქვია ზმნის ფორმას, რომელიც მოქმედებას დასრულებულად ან დაუსრულებლად წარმოგვიდგენს. მაგ., ვკეცე და დავკეცე წარსული დროის ფორმებია, რომელთაგან პირველი მოქმედებას წარმოგვიდგენს დაუსრულებლად, ხოლო მეორე — დასრულებულად. ამის მიხედვით ასპექტი ორგვარია: **უსრული** და **სრული**.

**უსრულია** ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედება დაუსრულებელია, დაუმთავრებელია: ვწერე, ვკერე, ვშალე, ვხაზე, ვღებუ.

**სრულია** ასპექტის ფორმა, რომელიც მიგვითითებს, რომ მოქმედება დასრულებულია (დამთავრებულია) წარსულში (დავწერე, შევკერე, წავშალე, დავხაზე, შევღებუ) ან დასრულდება (დამთავრდება) მომავალში: დავწერ, შევკერავ, წავშლი, დავხაზავ, შევღებავ...

უსრული ასპექტის ზმნას სამივე დრო აქვს, სრულასპექტიანს კი — ორი: წარსული და მომავალი. მაგ., ვთესე (გუშინ), ვთესავ (ახლა), ვთესავ (შინ რომ დავბრუნდები) **უსრული** ასპექტის ფორმებია. ამათგან პირველი (ვთესე) დროის მიხედვით წარსულია, მეორე (ვთესავ) — ახლანდელი, მესამე (ვთესავ, შინ რომ დავბრუნდები) — მომავალი. დავთესე და დავთესავ **სრული** ასპექტის ფორმებია, რომელთაგანაც პირველი (დავთესე) დროის მიხედვით **წარსულია**, მეორე (დავთესავ) — **მომავალი**.

### **სრული ასპექტის წარმოება**

ასპექტიანი ზმნის უზმნისწინო ფორმა **უსრულია**, ზმნისწინიანი — **სრული**. მაგ., უზმნისწინო ფორმა უწერია **უსრული** ასპექტისაა, ზმნისწინიანი აღ-უწერია, ამო-უწერია, გა-უწერია, გადა-უწერია, შემო-უწერია, ჩა-უწერია, ჩამო-უწერია, წა-უწერია — **სრული**. მამასადამე, სრული ასპექტის ფორმას უსრულისაგან აწარმოებს **ზმნისწინი**.

რამდენიმე ზმნა გამონაკლისია, რადგან უზმნისწინოდაც **სრული** ასპექტისად მიიჩნევენ: **ბრძანა, თქვა, იკითხა, ჰკითხა, იყიდა, ნახა, სთხოვა, უბრძანა, უპასუხა, ქმნა, ჰკრა...**

თუკი უზმნისწინო ან ზმნისწინიან ფორმას ასპექტის გაგება არ ახლავს, ის **უასპექტოა**. ასეთი ზმნები ორგვარია:

- საერთოდ არ დაირთავენ ზმნისწინებს: აგდია, შია, სწყურია, იცის, წვალობს, ხუმრობს, უყვარს, ღვიძავს, სძინავს...
- ზოგიერთი ზმნის ახლანდელი დროის ფორმები დაირთავენ ზმნისწინებს, მაგრამ, ჩვეულებრივ, მხოლოდ მიმართულების აღსანიშნავად და ზმნას მომავალი დროის

მნიშვნელობას ვერ აძლევენ: ფრინავს — მი-ფრინავს, მო-ფრინავს; ცოცავს — მი-ცოცავს, მო-ცოცავს; გორავს — მი-გორავს, მო-გორავს; ხობავს-ს — მი-ხობავს, მო-ხობავს...

### 2.5.7. სერიები და მწკრივები

ქართული ზმნა მდიდარია ფორმებით, რომლებიც იყოფა ჯგუფებად. მაგალითად, ერთი ჯგუფის ფორმებია: ვთბები, თბები, თბება, ვთბებით, თბებით, თბებიან. მეორე ჯგუფისაა: ვთბებოდი, თბებოდი, თბებოდა, ვთბებოდით, თბებოდით, თბებოდნენ. ჯგუფში გაერთიანებული ფორმები ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავდება.

ზმნის ფორმათა ისეთ ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს, მწკრივი ჰქვია, ე.ი. ვთბები, თბები, თბება, ვთბებით, თბებით, თბებიან — ერთი მწკრივის ფორმებია, ვთბებოდი და მისი მიმყოლი ფორმები — სხვა მწკრივისა.

ზმნის ფუძე მწკრივების მიხედვით სხვადასხვაა. მაგ., ვთესავ ზმნის ანმცოს მწკრივის ფორმათა ფუძეა თესავ, უწყვეტლისა — თესავდი, ანმცოს კავშირებითისა — თესავდე.

დღევანდელ ქართულში 11 მწკრივია, რომლებიც სამ ჯგუფად ანუ სერიად იყოფა.

პირველ სერიაში 6 მწკრივია, მეორეში — 2, მესამეში — 3.

I სერია			
	ანმცოს წრე		
1.	ანმცო	რას ვშვრები? რას შვრები? რას შვრება?	
2.	უწყვეტელი	რას ვშვრებოდი? რას შვრებოდი? რას შვრებოდა?	
3.	ანმცოს კავშირებითი	რას ვშვრებოდე? რას შვრებოდე? რას შვრებოდეს?	

	<b>მყოფადის წრე</b>		
4.	<b>მყოფადი</b>	რას ვიზამ? რას იზამ? რას იზამს?	
5.	<b>ხოლმეობით (შედგობითი)</b>	რას ვიზამდი? რას იზამდი? რას იზამდა?	
6.	<b>მყოფადის კავშირებითი</b>	რას ვიზამდე? რას იზამდე? რას იზამდეს?	

<b>II სერია</b>			
7.	<b>წყვეტილი</b>	რა ვქენი? რა ქენი? რა ქნა?	
8.	<b>II კავშირებითი</b>	რა ვქნა? რა ქნა? რა ქნას?	
<b>III სერია</b>			
9.	<b>I თურმეობითი</b>	რა მიქნია? რა გიქნია? რა უქნია?	
10.	<b>II თურმეობითი</b>	რა მექნა? რა გექნა? რა ექნა?	
11.	<b>III კავშირებითი</b>	რა მექნას? რა გექნას? რა ექნას?	

ერთ მწკრივის ფორმებს ძირითადად აერთიანებს დროისა და კილოს კატეგორიები. მაგალითად, **ანწყოს** მწკრივის ფორმებს საერთო აქვთ **ახლანდელი დრო** და **თხრობითი კილო**. სხვა რომელიმე მწკრივის ფორმათა გრამატიკულ შინაარსში კატეგორიათა ეს კომბინაცია გამორიცხებულია. **მყოფადის** მწკრივის ფორმათა გამაერთიანებელია **მომავალი დრო** და **თხრობითი კილო**. კატეგორიათა არც ეს კომბინაცია არ გამეორდება სხვა მწკრივებში.

### **მწკრივების სერიებად დაყოფის გრამატიკული საფუძველი**

**მწკრივების დაყოფას სერიებად** გარკვეული **გრამატიკული** (მორფოლოგიური და სინტაქსური) საფუძველი აქვს, სახელდობრ:

1. ზმნათა დიდი უმეტესობა **ორთემიანია**:

- **პირველი** სერიის ფორმები შეიცავენ **თემის ნიშნებს** (ვამზად-ებ, ვამზად-ებ-დი, ვამზად-ებ-დე... მოვამზად-ებ,

მოვამზად-ებ-დი, მოვამზად-ებ-დე...), **მეორე** სერიის ფორმები კი **უთემისნიშნოა** (მოვამზადე, მოვამზადო).

- **ხმოვანმონაცვლე** ზმნებს პირველი სერიის მწკრივებში ფუძეში -ე ხმოვანი აქვს (ვგრეხ, ვგრეხდი, ვგრეხდე, დავგრეხ, დავგრეხდი, დავგრეხდე; ვწყვეტ, ვწყვეტიდი, ვწყვეტდე, მოვწყვეტ, მოვწყვეტიდი, მოვწყვეტდე...), **მეორე** სერიის მწკრივებში კი — ი (დავგრიხე, დავგრიხო; მოვწყვიტე, მოვწყვიტო).

## 2. მესამე სერიის მწკრივებში:

- გარდამავალ ზმნათა ფორმები **ინვერსიულია**: გა-მიკეთებია, ა-მიშენებია, და-მითესავეს, და-მიგრეხია, მო-მინყვეტია.

- **გარდაუვალი** ზმნები ფორმათა საწარმოებლად **სახელზმნებს** იყენებენ: გა-ვ-ზრდილ-ვარ, გა-ვ-ზრდილ-იყავი, გა-ვ-ზრდილ-იყო; მო-ვ-ფარებ-ივარ, მო-ვ-ფარებ-ოდი, მო-ვ-ფარებ-ოდე.

3. აღნიშნულ **მორფოლოგიურ** საფუძველს ერთვის **სინტაქსურიც**: გარდამავალი მოქმედებითი გვარისა და **გარდაუვალი** საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნების პირველი სერიის ფორმებთან სუბიექტი **სახელობით** ბრუნვაში დგას (მოსწავლე ხსნის; მსახიობი თამაშობს), მეორე სერიის ფორმებთან — მოთხრობითში (მოსწავლემ ამოხსნა; მსახიობმა ითამაშა), ხოლო მესამე სერიის ფორმებთან — მიცემითში (მოსწავლეს ამოუხსნია; მსახიობს უთამაშია); **ბრუნვაცვალებადია** პირდაპირი ობიექტიც: პირველი სერიის ფორმებთან მიცემითში დგას (რგავს ნაძეს), მეორისა და მესამის ფორმებთან კი — **სახელობითში** (დარგო ნაძვი, დაურგავს ნაძვი).

## პირველი სერიის მწკრივები

ანმყო და ანმყოს კავშირებითი დროის მიხედვით **ახლანდელია** (ვხარჯავ, ვხარჯავდე), უწყვეტელი და ხოლმეობით-შედეგობითი — **წარსული** (ვხარჯავდი, დავხარჯავდი; შეიძლება გამოხატოს მომავალი დროც), ხოლო მყოფადი და მყოფადის კავშირებითი — **მომავალი** (დავხარჯავ, დავხარჯავდე).

ასპექტის მიხედვით ზმნათა ანმეოს წრის მწკრივები უსრულია (ვხარჯავ, ვხარჯავდი, ვხარჯავდე), მყოფადის წრისა — სრული (დავხარჯავ, დავხარჯავდი, დავხარჯავდე).

უწყვეტლის, ხოლმეობით-შედეგობითისა და კავშირებითების ფორმებში გამოიყოფა **-დ** ან **-ოდ** ბოლოსართი, რომელთაც **სავრცობი** ჰქვია: ვხარჯავ-დ-ი — დავხარჯავ-დ-ი, ვიმალებ-ოდ-ი — დავიმალებ-ოდ-ი), ე. ი. ეს ოთხი მწკრივი სავრცობიანია, მის შემდეგ დართული **-ი** უწყვეტლისა და ხოლმეობით-შედეგობითის ნიშანია, **-ე** კი — კავშირებითისა.

თუ ანმეოს ან მყოფადის ფორმას **ნუ** ნაწილაკი დაერთო, ის **უკუთქმით** ბრძანებითად გადაიქცევა: ნუ ხარჯავთ! ნუ ხარჯავ! ნუ ლაპარაკობთ! ნუ ლაპარაკობს!

ხოლმეობით-შედეგობითის ფორმა ხშირად აღნიშნავს **განმეორებულ** მოქმედებას, ე. ი. **ხოლმეს** გაგება ახლავს (ავდგებოდი, ამოვხსნიდი, ნავშლიდი). მოქმედების განმეორებითობა (მრავალგზისობა) **უწყვეტლის** მწკრივითაც გადმოიცემა: დილით ადრე **ვდგებოდი** და **მივდიოდი** სკოლაში...

## **მეორე სერიის მწკრივები**

**მეორე სერიაში** ორი მწკრივია: **წყვეტილი** და **II კავშირებითი**.

**წყვეტილი** დროის მიხედვით **წარსულია**, კილოს მიხედვით — **თხრობითი**. ამ მწკრივის ნიშანია **ე** ან **ი** პირველსა და მეორე პირში, მესამეში კი მწკრივის ნიშანი იკარგება მომდევნო ხმოვნის გამო: შევჭამ-ე, შეჭამ-ე; გავთბ-ი, გათბ-ი, მაგრამ: შეჭამ-ა, გათბ-ა. მხოლობითში იშვიათად გვხვდება უნიშნო ფორმაც: შევკარ, დავკალ. დღევანდელ ქართულში ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივია **ი**-ს დართვა: შევკარ-ი, შეკარ-ი, დავკალ-ი, დაკალ-ი.

ამ ფორმას ემთხვევა **წართქმითი ბრძანებითი** მეორე პირში: გააკეთე! დანერე! ამოხსენი! შეასრულე! აქ ზმნას **მომავალი** დროის გაგება აქვს.

**მეორე კავშირებითი** დროის მიხედვით **მომავალია**, კილოს მიხედვით — **კავშირებითი**. მწკრივის ნიშნებია: **ა, ე, ო**: შევკრ-ა, შეკრ-ა, შეკრ-ა-ს; გავშრ-ე, გაშრ-ე, გაშრ-ე-ს; ავიღ-ო, აიღ-ო, აიღ-ო-ს.

ამ მწკრივის ფორმებიც იხმარება **ბრძანებითი** კილოს მნიშვნელობით: **წართქმითად** — პირველსა და მესამე პირში (ეს ფორმები ხასიათდებიან **კილოს, დროისა და ასპექტის** სხვა მწკრივთაგან განსხვავებული კომბინაციით და ამიტომ ცალკე ჯგუფს ქმნიან), **უკუთქმითად** — არ ნაწილაკის დართვით სამივე პირში: ვთესოთ! თესონ! შდრ. არ შეეკრათ! არ შეეკრა! არ შეეკრათ! არ შეეკრას! არ შეეკრან!

ასპექტიან ზმნებს, რომელთაც სრული ასპექტი ზმნისწინით აქვთ ნაწარმოები, მეორე სერიის მწკრივებში ორ-ორი ფორმა მოეპოვებათ: **უზმნისწინო** — უსრული ასპექტისა, **ზმნისწინიანი** — სრული ასპექტისა: ვწერე — დავწერე, ვთესე — დავთესე; ვწერო — დავწერო, ვთესო — დავთესო.

## მესამე სერიის მწკრივები

**I თურმეობითი** და **II თურმეობითი** დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით — თხრობითი. ამ ორი მწკრივის ფორმები ხშირად გამოხატავენ **უნახავ** მოქმედებას, ე.ი. ისეთ მოქმედებას, რომელსაც **თურმე** ნაწილაკის გაგება ახლავს. მაგ., რომ შევადართო ერთმანეთს **წაილო** (წყვეტილი: გიამ წიგნი წაილო) და **წაულია** (I თურმეობითი: გიას წიგნი წაულია), შევნიშნავთ, რომ პირველი (წაილო) **წანახ** მოქმედებას გამოხატავს, მეორე (წაულია) — **უნახავს**, ე. ი. ისეთს, რომელიც მოქმედება სხვისგან ან შედეგის მიხედვით გაიგო.

უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ უნახავი მოქმედება არ არის მიზეზი თურმეობითის ფორმათა ხმარებისა, მაგალითად: ამიშენებია (სახლი), დამიხნავს (მინდვრები), დამიპყრია (მწვერვალები) და სხვ. თუ აქ წარმოდგენილ ვითარებას განვაზოგადებთ, თურმეობითის ფორმები ყველა შემთხვევაში მიუთითებენ წარსულ დროში ჩადენილი ქმედების **შედეგზე** ანმყოში (I თურმეობითში) ან ორი მოქმედებიდან უფრო ადრე ჩადენილის **შედეგზე** (II თურმეობითში). ამის გამო მათ **შედეგობით** მწკრივებსაც (რეზულტატივებს) უწოდებენ.

**შენიშვნა: II თურმეობითის** შეუძლია გამოხატოს როგორც თხრობითი, ისე კავშირებითი კილო. მაგალითად: სახლში რომ მოვედი, ჩემს ქალიშვილს ყველაფერი **დაელაგებინა**. აქ დაელაგებინა თხრობითი კილოს ფორმა და გამოხატავს **უწინარეს** ქმედებას (მის შედეგს). მაგრამ წინადადებებში: **ნეტა**

ჩემს ქალიშვილს **დაელაგებინა** ბინა! თავის დროზე რომ **დაელაგებინა** ბინა, თეატრში წასვლას მოვასწრებდით. იგივე ფორმა კავშირებით კილოს გამოსხატავს (პირველში **ნატვრას** აღნიშნავს, მეორეში — **პირობას**).

შედგობითობა კარგად ჩანს ერთპირიან ზმნათა შედგენილ ფორმებში, როგორიცაა „დავბადებულვარ“ (ძვ. დაბადებულ ვარ). აქ „დაბადებულ“ წარსული ქმედების შედეგს გამოხატავს, „ვარ“ კი — ახლანდელ დროს; ასევე **II თურმეობითი** „დავბადებულისყავ“ (ძვ. დაბადებულ ვიყავ) წარმოდგენილია წარსული დროის ქმედების შედეგი („დაბადებულ“) შედარებით ადრინდელ წარსულში („ვიყავ“).

**მესამე კავშირებითი** კილოს მიხედვით **კავშირებითია**, დროის მიხედვით კი — **წარსული** ან **მომავალი**. ამ მწკრივის ნიშნები იგივეა, რაც **II კავშირებითისა**: **ა, ე, ო**; დამებ-ა-ს, დაგებ-ა-ს, დაებ-ა-ს; მოვფარებოდ-ე, მოჰფარებოდ-ე, მოჰფარებ-ოდ-ე-ს; დამენერ-ო-ს, დაგენერ-ო-ს, დაენერ-ო-ს.

### **მესამე სერიის მწკრივთა წარმოების ზოგი თავისებურება**

- მესამე სერიის ფორმები სშირად **მეშველი ზმნით** ინარმოება: გარდამავალი ზმნები (ჩაგინერივარ, ჩამინერიხარ; შემყვარებისხარ, შეგყვარებისვარ), ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნები (დავწოლილვარ, დავწოლილიყავი, დავწოლილიყო; ჩავსულვარ, ჩავსულიყავი, ჩავსულიყო).

- ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნებს **II თურმეობითსა** და **III კავშირებითში -ოდ** სავრცობი აქვს: მოვფარებ-ოდ-ი, მოვფარებ-ოდ-ე; მოჰფარებ-ოდ-ი, მოჰფარებ-ოდ-ე; მოჰფარებ-ოდ-ა, მოჰფარებ-ოდ-ე-ს.

- გარდამავალ ზმნებს მესამე სერიის მწკრივებში ახასიათებს **ინვერსია**, ანუ პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლა (ამის შესახებ იხ. წინ): სუბიექტური პირის ნიშანი გამოხატავს ობიექტურ პირს, ირიბობიექტური კი — სუბიექტურს. მაგ., ვზრდი ზმნის პირველი და მეორე სერიის მწკრივებში პირველ სუბიექტურ პირს გამოხატავს სუბიექტური ნიშანი (ვ-ზრდი, ვ-ზრდიდი, ვ-ზრდიდე, გა-ვ-ზრდი, გა-ვ-ზრდიდი, გა-ვ-ზრდიდე; გა-ვ-ზარდე, გა-ვ-ზარდო), მესამე სერიის მწკრივებში კი — ობიექტური პირის ნიშანი (გა-მ-იზრდია, გა-მ-ეზარდა, გა-მ-ეზარდოს).

- ასპექტიან ზმნებს, რომელთაც სრული ასპექტი ზმნისწინით აქვთ ნაწარმოები, მესამე სერიის მწკრივებში, მსგავსად II სერიის მწკრივებისა, ორ-ორი ფორმა მოეპოვებათ: **უზმნისწინო** (უსრული) და **ზმნისწინიანი** (სრული): მიზრდია — გამიზრდია, მიწერია — დამიწერია, მეზარდა — გამეზარდა, მეწერა — დამეწერა, მეზარდოს — გამეზარდოს, მეწეროს — დამეწეროს.

- მესამე სერიის მწკრივებში ზმნა მხოლოდ ერთ- ან ორპირიანია. იმ გარდამავალ ზმნებს, რომლებიც I-სა და II სერიაში სამპირიანია, ორპირიანი ფორმები ენაცვლება: მისწერს ის მას მას, მისწერა მან მას ის, შდრ. მიუწერია მას ის; აუშენებს ის მას მას, აუშენა მან მას ის, მაგრამ აუშენებია და აეშენებინა მას ის (მისთვის).

### 2.5.8. ფუძე, ძირი და თემა

ქართული ზმნის ფორმა რთული აგებულებისაა, მასში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ნაწილი: თავსართები, ძირი, ფუძე, ბოლოსართები.

**ფუძე** ეწოდება ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც უკავშირდება მისი ლექსიკური მნიშვნელობა. ზმნას სხვადასხვა მწკრივში შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა **ფუძე**. ის არის **სრული** ან **უსრული** (შეკუმშული ან შეკვეცილი, თუკი აკლია ფუძისეული ხმოვანი). მაგ., გაჭრა (მან ის) — ამ ზმნის ფუძე წყვეტილის მესამე პირში შეკუმშულია: (გა)ჭრ-, ხოლო პირველ-მეორე პირში — სრული: მე გა-ვ-ჭერ-ი, შენ გა-ჭერ-ი.

ზმნის ფუძე საერთოა ერთი **მწკრივის** ფარგლებში. უღლების დროს მას ემატება პირისა და რიცხვის ნიშნები. მაგ., **ვთესავდი** უწყვეტლის მწკრივია, მისი ფუძე ამ მწკრივში არის **თესავდი**, უღლებისას ეს ნაწილი საერთოა სამივე პირის ფორმაში (მხ. და მრ. რიცხვში):

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	
I	მე ვ-თესავდი	ჩვენ ვ-თესავდი-თ	
II	შენ თესავდი	თქვენ თესავდი-თ	
III	ის თესავდ-ა	ისინი თესავდ-ნენ	

ზმნის ფუძე განსხვავებულია მწკრივების მიხედვით: ანმყო — **თესავ**, უწყვეტელი — **თესავდ(ი)**, ანმყოს კავშირებითი — **თესავდე**, მყოფადი — **დათესავ**, ხოლმეობით (შედეგობითი) — **დათესავდ(ი)**, მყოფადის კავშირებითი — **დათესავდე**, წყვეტილი — **დათეს(ე)**, მეორე კავშირებითი — **დათესო**, პირველი თურმეობითი — **(და)თესავ-**, მეორე თურმეობითი — **(და)ეთეს-**, მესამე კავშირებითი — **(და)ეთესო-**.

ზმნის ნაწილი, რომელიც საერთოა ყველა მწკრივის ფორმისთვის, არის **ძირი**. ერთ საუღლებელ ფორმას ერთი ძირი აქვს. ზემოთ დასახელებული ზმნისთვის ძირია **-თეს-**.

### თემა და თემის ნიშნები

ზმნის უღლებისას გამოიყოფა ისეთი ნაწილიც, რომელიც საერთოა I ან II სერიის ყველა მწკრივისათვის. მაგ., **ვლებავ** ზმნის პირველი სერიის ყველა მწკრივისათვის საერთოა **ლებავ** (ვლებავ, ვლებავდი, ვლებავდე, შევლებავ, შევლებავდი, შევლებავდე), მეორე სერიის მწკრივებისათვის — **ლებ:** (შე)ვ-ლებ-ე, (შე)ვ-ლებ-ო, მან (შე)-ლებ-ა.

ზმნის იმ ნაწილს, რომელიც საერთოა I ან II სერიის ყველა მწკრივისათვის, **თემა** ჰქვია. მაშასადამე, **ლებავ-** პირველი სერიის თემაა, **ლებ-** — მეორისა. პირველი სერიის თემას მეორისაგან **-ავ** ბოლოსართი განასხვავებს, რომელიც თემის ნიშანია.

ქართულში თემის ნიშნებია: **-ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ, იშვიათად — -ემ და -ოფ.**

<b>-ი:</b>	ვზრდი, ვთლი, ვთოხნი, ვღვრი, ვშლი, ვჭრი...
<b>-ავ:</b>	ვბარავ, ვკლავ, ვმალავ, ვფარავ, ვქარგავ, ვლებავ, ვხატავ
<b>-ამ:</b>	ვაბამ, ვარტყამ, ვდგამ, ვიცვამ, ვსვამ...
<b>-ებ:</b>	ვათეთრებ, ვაკეთებ, ვანათებ, ვაშენებ, ვახარებ...
<b>-ობ:</b>	ვადნობ, ვაპობ, ვაქრობ, ვაშრობ, ვახმობ...
<b>-ემ</b>	მივცემ, მისცემს, გასცემს, დასცემს...
<b>-ოფ</b>	გავყოფ, ჩავყოფ, შევყოფ მივყოფ (ხელს)...

**შენიშვნა:** -ემ და -ოფ თემის ნიშნები გვხვდება მხოლოდ თითო ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნებში.

არსებობს **ერთთემიანი და ორთემიანი ზმნები**. **ერთთემიანია** ზმნა, რომელსაც ერთი და იგივე თემა აქვს პირველსა და მეორე სერიაში. ასეთი ზმნებია: ვწერ, ვტეხ, ვქსოვ, ვჭამ, ვწოვ...

**ორთემიანია** ზმნა, რომელსაც პირველსა და მეორე სერიაში სხვადასხვა თემა აქვს:

- ყველა ზმნა, რომელთა თემაც პირველი სერიის მწკრივებში თემის ნიშანს შეიცავს, მეორე სერიის მწკრივებში კი ეს ნიშანი ჩამოშორდება. მაგ., ვათბობ ზმნის პირველი სერიის თემაა ათბობ, მეორისა — **თბ** (ვათბობ — ვათბე).

- **ხმოვანმონაცვლე** ზმნები, რომელთა ფუძისეული ე ხმოვანი მეორე სერიის მწკრივებში ი-ხმოვნით შეიცვლება: ვ-წყვეტ — ვ-წყვიტ-ე, ვ-გრეხ — ვ-გრიხე, ვ-კრეფ — ვ-კრიფე და სხვ.

ორთემიანი ზმნა ქართულში გაცილებით ბევრია, ვიდრე ერთთემიანი.

თემა და ზმნის ფუძე ანმეოს მწკრივში ზოგჯერ ერთი და იგივეა. მაგ., ჭამ ანმეოს მწკრივში ამ ზმნის თემაცაა და ფუძეც. ჭამ- არ დაიძლება, რადგან უაფიქსოა. სიტყვის უაფიქსო ნაწილს ძირი ჰქვია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ზმნის ფუძე ანმეოს მწკრივში, თემა და ძირი ერთი და იგივეა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგ., კერავ არის ზმნის ფუძეც ანმეოს მწკრივში და პირველი სერიის თემაც, ძირი კი არის კერ, რომელიც ემთხვევა მეორე სერიის თემას: ვკერე, ვკერო.


ძირი შეიძლება შეიკუმშოს, მაგ., თალ ძირი სრულად არის წარმოდგენილი მეორე სერიის ფორმებში (გავთალე, გავთალო, გათალა...), მაგრამ პირველი სერიის მწკრივებში შეკუმშულია (ვთლი, ვთლიდი, ვთლიდე, გავთლი, გავთლიდი, გავთლიდე).

## 2.5.9. ზმნის გვარი

**გვარი** არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როგორია სუბიექტური პირის მიმართება ზმნით აღნიშნული

მოქმედებისადმი: აქტიურია ის თუ პასიური, გადადის მისი მოქმედება ობიექტზე თუ თვითონ განიცდის ამ მოქმედებას.

გვარი სამია ქართულში: **მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო**<sup>2</sup>.



აშენებს (ის მას), უშენებს (ის მას მას), წყვეტს (ის მას), უწყვეტს (ის მას მას), აბამს (ის მას), დაუბამს (ის მას მას).

**ვნებითი** გვარისაა ზმნის ფორმა, რომლის სუბიექტიც თვითონ განიცდის მოქმედებას (იბმება, ებმება, ითესება, შენდება, უშენდება, ხმება, უხმება და სხვ.).

**საშუალო** გვარისაა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი „მოქმედებს“, მაგრამ არ მოეპოვება სამოქმედო პირი პირდაპირი ობიექტის სახით (ცხოვრობს, მეფობს, დგას, წევს...).

ერთი ძირისაგან სამივე გვარის ფორმათა წარმოება შედარებით იშვიათია.

<sup>2</sup> პროფ. დ. მელიქიშვილი ქართულ ენაში ზმნებს აჯგუფებს არა გვარის, არამედ **ღიათეზების** მიხედვით მათი მორფოსინტაქსური ნიშნების — ზმნის **აგებულებისა** (სტრუქტურის) და სინტაქსური **კონსტრუქციის** (სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა(ცვალება)დობის) მიხედვით.

მეცნიერი გამოყოფს სამ ღიათეზას: **პირველ ღიათეზაში** აერთიანებს ბრუნვა(ცვალება)დი სუბიექტის მქონე ზმნებს (წერს ის; ცხოვრობს ის... დაწერა მან, იცხოვრა მან), **მეორეში** — ბრუნვა(ცვალება)დი სუბიექტის მქონეს (ითესება ის, დაითესა ის; უდიდდება ის მას, გაუდიდდა ის მას... ია ის), ხოლო **მესამეში** — მიცემით ბრუნვაში მდგარს (ე. წ. ობიექტური წყობის, **მან**-ის რიგის, ზმნებს: უყვარს მას ის, მოსწონს მას ის...).

### 2.5.9.1. მოქმედებითი გვარი

**მოქმედებითი** გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ სუბიექტის მოქმედება უშუალოდ გადადის პირდაპირ ობიექტზე. მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავალია, ორპირიანი ან სამპირიანი:

**ორპირიანი:** ბიჭმა ჩანთიდან წიგნი **ამოიღო**;

**სამპირიანი:** ლელამ უმცროს ძმას ამოცანა **აუხსნა**.

### 2.5.9.2. ვნებითი გვარი

**ვნებითი** გვარის ზმნები ორგვარია: დინამიკური და სტატიკური.

**დინამიკურია** ვნებითი, რომელიც გამოხატავს მოქმედების მსვლელობას, პროცესს: „მთებს ნისლი **ეფინება**“; „მთები ნისლით **იფარება**“; „მთები მწვანდება“; „მთები შრება“.

**სტატიკურია** ვნებითი, რომელიც გამოხატავს მოქმედების შედეგს: მთებს ნისლი **აფენია**.

დინამიკური ზმნა ბევრია, სტატიკური — ცოტა (მაგალითად: წერია/უწერია, გდია/უგდია, ყრია/უყრია, ასვენია/უსვენია, აფენია/უფენია, ახურავს...).

დინამიკური ვნებითი წარმოების მიხედვით სამგვარია: **პრეფიქსიანი, სუფიქსიანი და უნიშნო**.

**პრეფიქსიან ვნებითს** აწარმოებს ი- ან ე- თავსართები (პრეფიქსები). ი- ხმოვნით ნაწარმოებ ფორმებს ინიანი ვნებითი ჰქვია, ე-თი ნაწარმოებს — ენიანი. ინიანი ვნებითი ერთპირიანია, ენიანი — ორპირიანი (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). მაგ.: ი-მალება (ის) — ე-მალება (ის მას), ი-ზრდება (ის) — ე-ზრდება (ის მას), ი-ხატება (ის) — ე-ხატება (ის მას), ი-წერება (ის) — ე-წერება (ის მას), ი-ნახება (ის) — ე-ნახება (ის მას) .

**სუფიქსიან ვნებითს** აწარმოებს -დ ბოლოსართი, რის გამოც მას სხვაგვარად **დონიანი** ვნებითი ჰქვია. ის უმეტესად ნასახელარია, ერთ- ან ორპირიანი: თეთრ-დ-ება (ის) — უ-თეთრ-დ-ება (ის მას), ბერ-დ-ება (ის) — უ-ბერ-დ-ება (ის მას), ძველ-დ-

ება (ის) — უ-ძველ-დ-ება (ის მას), დიდ-დ-ება (ის) — უ-დიდ-დ-ება (ის მას), კეთ-დ-ება (ის) — უ-კეთ-დ-ება (ის მას).

**უნიშნო ვნებითი** ზმნებს გვარის მანარმოებელი ნიშანი არ გააჩნიათ, მაგრამ ნიშნიანი ვნებითების მსგავსად ენარმოებათ ფორმები: ანმყოსა და მყოფადში აქვთ **-ებ-ი** დაბოლოება პირველსა და მეორე პირში (ვთბ-ებ-ი — გავთბ-ებ-ი, თბ-ებ-ი — გათბ-ებ-ი), ხოლო მესამე პირში — **ებ-ა: ერთპირიანი:** თბ-ებ-ა — გათბ-ებ-ა, დნ-ებ-ა — გადნ-ებ-ა, ხმ-ებ-ა — გახმ-ებ-ა, შრ-ებ-ა — გაშრ-ებ-ა, დნ-ებ-ა — გადნ-ებ-ა; **ორპირიანი:** უთბ-ებ-ა — გაუთბ-ებ-ა, უდნ-ებ-ა — გაუდნ-ებ-ა, უხმ-ებ-ა — გაუხმ-ებ-ა, უშრ-ებ-ა — გაუშრ-ებ-ა, უდნ-ებ-ა — გაუდნ-ებ-ა.

### სტატიკური ვნებითი

ვნებითი გვარის ფორმა შეიძლება გამოხატავდეს მოქმედების შედეგს და მას უწოდებენ **სტატიკურ ვნებითს**, რადგან გამოხატავს საგნის სტატიკურ, უმოქმედო მდგომარეობას, რაღაც მოქმედების შედეგს. მაგ., **წერს, თესავს ან აგდებს** ზმნები აღწერენ აქტიურ პროცესს, რომელსაც სამოქმედო ობიექტი აქვს, **ინერება, ითვისება** — დინამიკური ვნებითის ფორმებია, რომლებსაც სამოქმედო ობიექტი არა აქვთ (სუბიექტი თვითონ განიცდის მოქმედებას), ხოლო **წერია/უნერია, თესია/უთესია, გდია/უგდია** სტატიკური ვნებითია. მაგალითად:

მოქმედებითი გვარი	დინამიკური ვნებითი	სტატიკური ვნებითი
წერს (ის მას)	ინერება (ის)	წერია (ის)
ხატავს (ის მას)	ხატება (ის)	ხატია (ის)
ყრის (ის მას)	იყრება (ის)	ყრია (ის)
აფენს (ის მას მას)	ეფინება (ის მას)	აფენია (ის მას)
აკერებს (ის მას მას)	ეკერება (ის მას)	აკერია (ის მას)
ახურავს (ის მას მას)	ეხურება (ის მას)	ახურავს (ის მას)

სტატიკური ვნებითის ზმნათა დიდ ნაწილს ანმყოს მწკრივში **-ია** დაბოლოება აქვს და უღლებისას **მეშველი ზმნა** სჭირდება:

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	
I	მე ვ-ნერი-ვარ	ჩვენ ვ-ნერი-ვარ-თ	
II	შენ წერი-ხარ	თქვენ წერი-ხარ-თ	
III	ის წერი-ა	ისინი წერი-ან	

ამ ტიპის ზმნა ზმნისწინს არ დაირთავს და ანარმოებს მხოლოდ ანმცოს მწკრივს, ხოლო დანარჩენ მწკრივებს ივსებს დინამიკური ვნებითის ფორმებით. მაგ.: ყრია (ის), ეყრება (ის), ეყარა (ის).

### აღწერილობითი ვნებითი

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფორმებისა, ზმნას შეუძლია ანარმოოს **აღწერილობითი (პერიფრასტული) ვნებითის** ფორმები. ამისთვის გამოიყენება ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღობის ფუძე და მეშველი ზმნა **იქნა**, რომელსაც ეკისრება მწკრივის წარმოება: დამუშავდა — დამუშავებულ იქნა, აღიწერა — აღწერილ იქნა, გაანალიზდა — გაანალიზებულ იქნა...

აღწერილობითი ვნებითი არ ანარმოებს **ანმცოს**, უმეტესად გამოიყენება **წყვეტილში** (დამუშავებულ იქნა, დამზადებულ იქნა), შეიძლება შეგვხვდეს მყოფადის წრესა და მეორე კავშირებითში (დამუშავებულ იქნება, დამზადებულ იქნება; დამუშავებულ უნდა იქნეს, დამზადებულ უნდა იქნეს...).

### 2.5.9.3. საშუალი გვარი

**საშუალი გვარის** ზმნები გარდაუვალია, ერთპირიანი ან ორპირიანი, უასპექტო. დიდი უმეტესობა მხოლოდ უზმნისწინოდ გამოიყენება (დულს, წუხს, ქუხს...), ხოლო ზმნები, რომლებიც ზმნისწინს დაირთავენ, მისი მეშვეობით ვერ ანარმოებენ მყოფადს. მაგ., ცურავს და მიცურავს, გორავს და მიგორავს, ფრინავს და მოფრინავს— ანმცოს მწკრივის ფორმებია.

საშუალი გვარის ზმნებს ან მარტო **ანმცოს** მწკრივის ფორმები აქვთ (დგას, წევს, ზის...), ან **ანმცოს წრისა** (დულს, წუხს,

ხტის...), ნაკლული მწკრივების შესავსებად კი სხვა ზმნურ ფორმებს იყენებენ. იმის მიხედვით, თუ როგორ ივსებენ ისინი ნაკლულ მწკრივებს, გამოიყოფა ორი ჯგუფი: **საშუალ-ვნებითი და საშუალ-მოქმედებითი.**

**საშუალ-მოქმედებითი გვარის** ზმნები ნაკლული მწკრივების შესავსებად იყენებენ იმავე ძირის ისეთ ფორმებს, რომელთაც პირდაპირი ობიექტი არ მოეპოვებათ, მაგრამ სხვა მხრივ მოქმედებითი გვარის ზმნათა თვისებები აქვთ:

- ბრუნვაცვალებადი სუბიექტი I და II სერიებში: ის ცხოვრობს — მან იცხოვრა;

- **-ეს** სუფიქსი წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობითში (იცხოვრ-ეს, იგალობ-ეს, იტიკტიკ-ეს);

- ინვერსიულობა მესამე სერიის ფორმებთან. ამას გარდა, ორპირიანი ზმნა კარგავს ირიბ დამატებას, როგორც ეს ხდება მოქმედებითი გვარის ზმნათა III სერიაში, ხოლო I და II სერიების სუბიექტი, მსგავსად მოქმედებითი გვარის ზმნებისა, III სერიაში იქცევა გრამატიკულ ობიექტად (შემსრულებელ ობიექტად ანუ რეალურ სუბიექტად), ზმნაში კი ჩანს სუბიექტური პირის უფუნქციო ნიშანი (S<sub>3</sub> -ა სუფიქსი: მე მიცხოვრია; შენ გიცხოვრია...). შეიძლება ითქვას, რომ **-ია** დაბოლოება დამახასიათებელია მისთვის ამ მწკრივში.

ერთპირიანი ზმნის მონაცვლე ფორმას თავში **ი-** უჩნდება, ორპირიანისას — **უ** (III ობიექტურ პირში; I-სა და II ობიექტურ პირებში — **ი**): ცოცხლობს — ი-ცოცხლებს, ი-ცოცხლა; პატრონობს — უ-პატრონებს, უ-პატრონა (მ-ი-პატრონა მან მე, გ-ი-პატრონა მან შენ).

მონაცვლე ზმნებში **-ობ** თემის ნიშანი უმეტესად იცვლება - **ებ**-ით: ცხოვრობს — იცხოვრებს, ნადირობს — ინადირებს, მეფობს — იმეფებს და სხვ.

**საშუალ-ვნებითი გვარისაა** ზმნები, რომლებიც ნაკლული მწკრივების შესავსებად ვნებითის ფორმებს იყენებენ (ერთპირიანები — ინიანს, ორპირიანები — ენიანს). მაგ.: დგას — იდგება — იდგა, ზის — იჯდება — იჯდა, ნევს — იწვა, უზის —

ეჯდა, უყვარს — ეყვარება, უნევს — ეწვა, აქვს — ექნება, ჰყავს — ეყოლება.

## 2.5.10. ქცევა

ზმნის ფორმას, რომელიც გამოხატავს, თუ როგორია კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის, **ქცევა** ჰქვია.

მოქმედებითი გვარის ზმნას ქცევის სამი ფორმა აქვს: **საარვისო** (ნეიტრალური), **სათავისო** (სასუბიექტო) და **სასხვისო** (საობიექტო).

**საარვისო ქცევა** არის ზმნის ფორმა, რომელიც არ მიგვითითებს, თუ ვისია (ან ვისთვის არის განკუთვნილი) პირდაპირი ობიექტი: ამზადებს (დედა საუზმეს), აშენებს (მშენებელი სახლს), კერავს (მკერავი კაბას), გამოიწერა (სტუდენტმა გაზეთი).

მოქმედებითი გვარის ზმნის **საარვისო** ქცევის ფორმა ორ-ან სამპირიანია. ეს ქცევა შეიძლება იყოს **უნიშნო** (წერს, ჭამს, შლის, აკეთებს, ლებავს, კერავს, თვლის, სთხოვს და სხვ.) ან **ათავსართიანი** სამივე პირში (ა-თბობს, ა-კეთებს, ა-თეთრებს, და-ა-ბარებს, გა-ა-ტანს, გა-ა-კეთებინებს და სხვა).

**სათავისო** ანუ **სასუბიექტო ქცევა** ზმნის ფორმა, რომელიც გამოხატავს, რომ პირდაპირი ობიექტი სუბიექტისაა ან მისთვისაა დანიშნული: ამზადებს (დედა საუზმეს), იშენებს (მშენებელი სახლს), იკერავს (მკერავი კაბას), გამოიწერა (სტუდენტმა გაზეთი).

სათავისო ქცევის ფორმა ყოველთვის ორპირიანია და ქცევის ნიშანია **ი-** თავსართი სამივე პირში დგას: ვ-ი-მზადებ, ი-მზადებ, ი-მზადებს; ვ-ი-მზადებთ, ი-მზადებთ, ი-მზადებენ.

**სასხვისო** ანუ **საობიექტო ქცევა** არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს ან მისთვისაა დანიშნული: უშენებს (მშენებელი მეზობელს სახლს), უკერავს (მკერავი შვილს კაბას), გამოიწერა (სტუდენტმა მეგობარს გაზეთი).

მოქმედებითი გვარის ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა სამპირიანია. ამ ქცევის ნიშნებია **ი-** და **უ-** თავსართები. ამათგან **ი-** სასხვისო ქცევის ნიშანია მაშინ, როცა ირიბ ობიექტად პირველი ან მეორე პირია, **უ-** კი მაშინ, როდესაც ირიბ ობიექტად მესამე პირია (ის **მე** მას **მ-ი-მზადებს**, ის **შენ** მას **გ-ი-მზადებს**, ის **მას** მას **უ-მზადებს**).

ქცევის ფორმები ზმნას მარტო პირველი და მეორე სერიის მწკრივებში აქვს.

### **ქცევა ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებში**

ვნებითისა და საშუალი გვარის ზმნები გარდაუვალია, ამიტომ მათ ვერ ექნებათ სათავისო ქცევა.

გარდაუვალი ზმნის **სასხვისო** ქცევის ფორმა ორპირიანია და გულისხმობს, რომ სუბიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს ან ირიბისთვის არის განკუთვნილი: ძალლი **მ-ი-კვდება** (=ჩემი ძალლი კვდება), სახლი **მ-ი-შენდება** (=სახლი შენდება ჩემთვის).

ერთპირიან ზმნაში მარტო სუბიექტური პირია, ასე რომ, კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა სუბიექტსა ან ობიექტს შორის თუ ობიექტებს შორის მხოლოდ მრავალპირიანი ზმნებით გადმოიცემა.

გარდაუვალი ზმნის სასხვისო ქცევას იგივე ნიშნები აქვს, რაც გარდამავალი ზმნის ამავე ქცევის ფორმებს: **ი**, როცა ირიბ ობიექტად პირველი ან მეორე პირია, და **უ**, როცა ირიბ ობიექტად მესამე პირია: **მ-ი-მზადდება** (საუზმე მე), **გ-ი-მზადდება** (საუზმე შენ), **უ-მზადდება** (საუზმე მას).

**ინიან** ვნებითს საარვისო ქცევის გაგება აქვს, **ენიანს** — სასხვისოსი: **იზრდება** (ის) — **ეზრდება** (ის მას), **იბადება** (ის) — **ებადება** (ის მას), **ინწყება** (ის) — **ენწყება** (ის მას).

### **სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმათა გარჩევა**

**ი-** თავსართი სათავისო ქცევის ნიშანიც არის და სასხვისოსიც. სათავისო ქცევას სამივე პირში **ი-** გამოხატავს, სასხვისოს იგივე ნიშანი აქვს პირველსა და მეორე ობიექტურ

პირში, მესამე ობიექტურში კი — უ. მაშასადამე, განსხვავება ამ ორ ქცევას შორის ამკარად იჩენს თავს მესამე პირში. ამიტომ, როცა ზმნა პირველი ან მეორე პირის ფორმაა, უნდა გადავიყვანოთ მესამე პირში, რომ გავიგოთ, სათავისო ქცევის ფორმაა ის თუ სასხვისოსი.

თუ I და II პირებში ი- პრეფიქსი მოსდევს ირიბი ობიექტის ნიშანს (მ-ი-მზადებს, გ-ი-მზადებს; მ-ი-ყიდის, გ-ი-ყიდის...), III პირში ქცევის ნიშნად უ- პრეფიქსი იქნება. ისინი გამოხატავენ სასხვისო ქცევას (მიმზადებს, გიმზადებს, უმზადებს...).

თუ ქცევის ი- პრეფიქსი მოსდევს პირდაპირი ობიექტის ნიშანს I და II პირებში (და-მ-ი-ქირავა, და-გ-ი-ქირავა; წა-მ-ი-ყვანა, წა-გ-ი-ყვანა...), ქცევის ნიშანი III პირშიც ი- პრეფიქსი იქნება (დამიქირავა, დაგიქირავა, დაიქირავა; წამიყვანა, წაგიყვანა, წაიყვანა).

### უქცეო ზმნები

ზოგი ზმნა გარეგნულად საარვისოს ჰგავს, ზოგი — სათავისოს ან სასხვისოს, მაგრამ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო სათანადო ქცევის მნიშვნელობა არა აქვს. მაგ., ჰგონია, ჰყავს, ა-ქვს, ა-ხსოვს ფორმით საარვისო ქცევაა, ვ-ი-ცი (ი-ცი, ი-ცის) — სათავისო, უყვარს (მ-ი-ყვარს, გ-ი-ყვარს) — სასხვისო, მაგრამ ქცევის გაგება ამ ფორმებს არ ახლავს, ე. ი. უქცეო ზმნებია.

**შენიშვნა:** ქცევის გაგება ეკარგებათ გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფორმებსაც, რომლებიც სასხვისო ქცევის ნიშნებს შეიცავენ, მაგრამ არ ეწარმოებათ საპირისპირო ფორმები და-მ-ი-წერია, და-გ-ი-წერია, და-უ-წერია; ა-მ-ი-შენებია, ა-გ-ი-შენებია, ა-უ-შენებია; გა-მ-ი-ღია, გა-გ-ი-ღია, გა-უ-ღია და სხვ.

### 2.5.11. კონტაქტი

გარდამავალი ზმნის სუბიექტი ან უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, ან ირიბი ობიექტის მეშვეობით. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი ფორმა: გამოაცხო (ეკამ პური) და გამოაცხოვინა (ეკამ დედას პური). ეკამ სუბიექტია, პური —

პირდაპირი ობიექტი, ხოლო დედას — ირიბი ობიექტი. პირველ ფორმაში (გამოაცხო) სუბიექტი უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, მეორეში კი (გამოაცხოვინა) — ირიბი ობიექტის მეშვეობით.

ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტი უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე თუ ირიბი ობიექტის მეშვეობით, **კონტაქტი** ჰქვია. ის ორგვარია: **უშუალო და შუალობითი**.

**უშუალო კონტაქტის** ფორმა აღნიშნავს, რომ სუბიექტი სხვა პირის დაუხმარებლად მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე: ვრგავ (ყვავილს), ვალებ (კარს), ვმაღავ (ბურთს), ვჭრი (ხეს).

**შუალობითი კონტაქტის** ფორმა გვიჩვენებს, რომ სუბიექტი პირდაპირ ობიექტზე ირიბი ობიექტის მეშვეობით მოქმედებს: ვარგვევინებ (მას ყვავილს), ვალებინებ (მას კარს), ვამაღვინებ (მას ბურთს), ვაჭრევინებ (მას ხეს).

გარდამავალი ზმნის შუალობითი კონტაქტის ფორმა **სამპირიანია** (მოამზადებინა მან მას ის), უშუალოსი — **ორპირიანი** (მოამზადა მან ის) ან სამპირიანი (გაუგზავნა მან მას წერილი).

**შენიშვნა:** კონტაქტის ფორმები იშვიათად ენარმოება პრეფიქსიან ვნებითსაც: იკვლება — **ეკვლევენება**, ეთრევა — **ეთრევენება**.

## **ზმნების უღლება**

ზმნის ფორმაცვალებას მწკრივების მიხედვით პირსა და რიცხვში **უღლება** ჰქვია. მაშასადამე, ყოველი პირიანი ზმნა უღლებადი სიტყვაა.

ერთპირიან ზმნას ერთ მწკრივში **ექვსი ფორმა** მოეპოვება: სამი — მხოლობითში (ვთბები, თბები, თბება) და სამიც — მრავლობითში (ვთბებით, თბებით, თბებიან).

ბევრი ორპირიანი ზმნა იცვლება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მიხედვითაც. ერთ მწკრივში ასეთ ზმნათა სუბიექტურ და ობიექტურ პირთა სხვადასხვა კომბინაცია ორივე რიცხვში **18** განსხვავებულ **ფორმას** გვაძლევს, ე.ი. სამჯერ მეტს ერთპირიან ზმნასთან შედარებით (იხ. პირთა კომბინაციები დანართში).

ზოგიერთი ორპირიანი ზმნა ან სუბიექტური, ან ობიექტური პირის ნიშნების მიხედვით იცვლება და მწკრივში მხოლოდ ექვსი განსხვავებული ფორმა აქვს. ასეთი ზმნებია, მაგალითად, **ვიცი** და **მტკივა**, რომელთაგან პირველი **სუბიექტური** პირის ნიშნების მიხედვით იცვლება (მე ვ-იცი, შენ იცი, მან იცი-ს, ჩვენ ვ-იცი-თ, თქვენ ი-ცი-თ, მათ იცი-ან), მეორე — **ობიექტურისა** (მე ის მ-ტკივ-ა, შენ ის გ-ტკივ-ა, მას ის ს-ტკივ-ა, ჩვენ ის გვ-ტკივ-ა, თქვენ ის გ-ტკივ-ა-თ, მათ ის ს-ტკივ-ა-თ).

**შენიშვნა:** იცის ზმნა სხვა თავისებურებებითაც გამოირჩევა. **მათ**, ადამიანებმა, იციან), ხოლო ობიექტური — სახელობითში (მოსწავლემ იცის **ლექსი**), განსხვავებით მოქმედებითი და საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებისგან, რომლებთანაც სუბიექტური პირი მოთხრობით ბრუნვაში დგას მხოლოდ **მეორე სერიის** მწკრივებში: შდრ. **დედამ** კაბა შემიკერა. **მეზობელმა** ფიჭვი დარგო. **პაპამ** 100 წლამდე იცოცხლა.

## 2.5.12. თავისებური ზმნები

ქართულ ენაში ზმნათა ერთი ნაწილი თავისებურებებით გამოირჩევა და სხვა ზმნების მსგავსად არ იუღლებს: ზოგს აკლია პირველი და მეორე პირის ფორმები, ზოგს — მწკრივი, ზოგს უღლებისას სხვა ფორმა ენაცვლება პირში, რიცხვში ან მწკრივში. ამის მიხედვით გვაქვს **პირნაკლი** და **რიცხვნაკლი** ზმნები, **პირში**, **რიცხვში** და **მწკრივში მონაცვლე** ზმნები.

### პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები

ზოგიერთი ზმნა მარტო მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმით იხმარება, პირველ-მეორე პირისა და მრავლობითი რიცხვის ფორმები კი არ ეწარმოება. ასეთ ზმნებს **პირნაკლი** და **რიცხვნაკლი** ზმნები ჰქვია.

პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები ბუნების მოვლენებს გამოხატავენ: **წვიმს, თოვს, ცივა, ცხელა, თბილა გრილა, ბნელა...** ამ ზმნებთან პირის ნაცვალსახელი არ გამოიყენება, რადგან პირის მნიშვნელობა საერთოდ დაკარგულია. ვერ ვიტყვით წვიმს ის, თოვს ის, რადგან ეს ზმნები იმპერსონალურია (უპირო).

ქართულ ენაში რამდენიმე ზმნას შეეწყობა ერთი პირი, მაგრამ მასში წარმოდგენილია მეორე პირის ნიშანი, რომელსაც

შესაბამისი სახელი არ შეენყოფა. მაგალითად: მახველებს მე (არ ვამბობთ: მახველებს ის მე), მათროლებს, მაჭრელებს, მაცხელებს... მეტირება, მეცინება... ამ ტიპის ზმნებიც პირნაკლია.

### **პირში მონაცვლე ზმნები**

სინონიმური მნიშვნელობის რამდენიმე ზმნა ერთმანეთს პირში ენაცვლება: ერთი — ჩვეულებრივ საუბარში (ახლობელთან, თანატოლთან...) იხმარება, მეორე — მორიდებულ, თავაზიან საუბარში და პატივისცემას გამოხატავს. მათ **პირში მონაცვლე ზმნებს** უწოდებენ:

არის // გახლავს, ვარ // გახლავართ

ხარ // ბრძანდებით

ჭამე // მიირთვით

დაჯექი // დაბრძანდით

შედი // შებრძანდით

აილე // ინებეთ და სხვ. (დანვრილებით იხ. ეტიკეტურ სიტყვებთან).

### **რიცხვში მონაცვლე ზმნები**

სინონიმური მნიშვნელობის ზმნებს, რომელთაგან ერთი **მხოლოდობით** იხმარება და მეორე — **მრავლობითში**, **რიცხვში მონაცვლე** ზმნები ჰქვია.

გარდაუვალ ზმნებში ასეთი ფორმები ენაცვლება **სუბიექტურ** პირს მრავლობით რიცხვში, გარდამავალში კი — **პირდაპირ ობიექტურ** პირს.

### **სუბიექტური პირების შენაცვლება რიცხვში:**

- **ზი, ჯედ (ჯექ) // სხედ;** ზი ან ჯედ (ჯექ) ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები გამოიყენება მხოლოდობით რიცხვში, სხედ ფუძისაგან ნაწარმოები — მრავლობითში:  
ვზივარ, ვზიხარ, ვის — ვსხედვართ, სხედხართ, სხედან;  
ვჯდები, ვედები, ვედება — ვსხდებით, სხდებით, სხდებიან;

დავჯექი, დაჯექი, დაჯდა — დავსხედით, დასხედით, დასხდნენ.

სხედ ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები იხმარება მაშინაც, თუ ქვემდებარე კრებითი სახელით არის გადმოცემული: ხალხი (მონაფეობა, ახალგაზრდობა) ისხდა.

- **ვარდნა // ცვივნა:**

ვარდნა ერთზე ითქმის, ცვივნა — ბევრზე: იგი გარეთ გავარდა და ხალხიც გაცვივდა; ხიდან მოტეხილი ტოტი ვარდება — ხიდან ფოთოლი ცვივა.

- **გდება // ყრა:**

ქვა გდია — ქვები ყრია; ხის ძირში ფოთოლი ეგდო — ხის ძირში ჩამოცვენილი ფოთლები ეყარა.

- **აბია // ასხია:**

ერთი ნაყოფის გამოღებას **მობმა** ჰქვია, ბევრისას — **მოსხმა** (მაგ., პავლეს ვაზს მხოლოდ ერთი მტევანი აბია, ჩემსას კი ბევრი ასხია).

- **კვდომა // ხოცვა:**

მაგ.: ჩვენი მეზობელი გულის დაავადებით **მოკვდა**. გრიპის ეპიდემიის გამო შარშან აფრიკაში მრავალი ადამიანი **დაიხოცა**.

### **პირდაპირობიექტური პირების შენაცვლება რიცხვში:**

რიცხვში მონაცვლე ფუძეებისაგან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებში შენაცვლება ხდება პირდაპირობიექტური პირების რიცხვში:

- **გადაგდება // გადაყრა:**

ქვა გადაგდო — ქვები გადაყარა; ფოთოლი გადაგდო — ფოთოლი გადაყარა (ფოთოლი აქ კრებითი სახელია) ან ფოთლები გადაყარა.

- **მოიბამს // მოისხამს:**

მაგ.: ჩვენმა ატმის ხემ შარშან ერთი ნაყოფი **მოიბა**, წელს კი ბევრი **მოისხა**.

- **მოკვლა // დახოცვა:**

თავდამსხმელმა ერთი ადამიანი მოკლა. თავდამსხმელმა ადამიანები დახოცა.

- **გატეხა // დამტვრევა:**  
პატარამ ფინჯანი გატეხა. ბავშვმა ფინჯნები დაამტვრია.

### **მწკრივში მონაცვლე ზმნები**

ზოგიერთ ზმნას აკლია რომელიმე მწკრივი ან მთელი სერია და ნაკლული მწკრივების შესავსებად იყენებს სხვა ზმნას. ესაა **მწკრივში მონაცვლე ზმნები**: ყოფნა, ქონა-ყოლა, ჯდომა (ზი-, ჯედ/ჯდ), სვლა (დი-, ვალ-, ვედ/დი-), თქმა და სხვ.

ყოფნა	ვარ	ვიქნება	ვიყავი
ქონა	მაქვს	მექნება	
ჯდომა	ვზივარ	ვიჯექი, იჯექი,	
		იჯდა	
სვლა	მივდივარ	მივალ (ის მივა)	მივედი, მიხვედი, მივიდა
სიარული	დავდივარ	ვივლი	ვიარე
ქმნა	ვშვრები	ვიზამ	ვქეცი
მოტანა	მომაქვს	მოვიტან	მოვიტანე
ნაღება	მიმაქვს	ნავიღებ	ნავიღე
ნაყვანა	მიმყავს	ნავიყვან	ნავიყვანე
თქმა	ვამბობ	ვიტყვი	ვთქვი
თქმა	ვეუბნები	ვეტყვი	ვუთხარი
ხედვა	ვხედავ	დავინახავ	დავინახე

### **2.5.13. ზმნების წარმოება**

ზმნა შეიძლება იყოს პირველადი ან ნასახელარი. **პირველადია** ზმნა, რომელიც არ არის ნაწარმოები სხვა მეტყველების ნაწილისაგან. ასეთი ზმნებია: დგას, მკის, ტეხს, ჭამს, ჭრის, ხტის, აქებს, ალებს და მრავალი სხვ.

**ნასახელარია** ზმნა, რომელიც ნაწარმოებია რომელიმე სახელისაგან ზმნური აფიქსებით: ასახლებს და სახლდება (არსებითი სახელისაგან სახლ-ი), ათეთრებს და თეთრდება (ზედს. სახელისაგან თეთრ-ი), ასამებს და სამდება (რიცხვითი სახელისაგან სამ-ი), იჩემებს (ნაცვალსახელისაგან ჩემ-ი).

ყველაზე გავრცელებულია სახელებისაგან ზმნის წარმოება -დ სუფიქსით.

ახალგაზრდა → ახალგაზრდავ-დება

ბერი → ბერ-დება

ბრმა → ბრმავ-დება

მდიდარი → მდიდრ-დება

მწიფე → მწიფ-დება

პატარა → პატარავ-დება

ქვეყანა → ქვეყნ-დება

ყრუ → ყრუვ-დება

შავი → შავ-დება

სახელებისაგან შესაძლებელია მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნათა წარმოებაც: სახლ → გაასახლებს, დაასახლებს, ჩაასახლებს; ახალგაზრდა → აახალგაზრდავებს, ლამაზი → გაალამაზებს; მეფე → ამეფებს, მეფობს; პოეტი → პოეტობს და ა.შ.

## 2.6. სახელზმნა

ზმნისაგან შეიძლება ვანამოთ ბრუნებადი სიტყვა: არსებითი სახელი (**საწყისი ანუ მასდარი**) ან ზედსართავი სახელი (**მიმლეობა**). მათ სხვაგვარად **სახელზმნებს** უწოდებენ. მაგ., ხტის, დგას, აკეთებს მესამე პირის ფორმებია, ხტომა, დგომა, გაკეთებული — მათგან ნაწარმოები ბრუნებადი სიტყვები. ფართო გაგებით, სახელზმნები **უპირო** ზმნებია, რადგან აქვთ ზმნური შინაარსი. მაგ., ხტომა მოქმედებას გამოხატავს, დგომა — მდგომარეობას.

სახელზმნას აქვს როგორც სახელური, ისე ზმნური ნიშნები. მაშასადამე, სახელზმნა სახელიც არის და ზმნაც. ის, როგორც სახელი, **ბრუნებადია** (ხტომა, ხტომამ, ხტომას... დგომა, დგომამ, დგომას... გაკეთებული, გაკეთებულმა, გაკეთებულს...) და წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც სახელი, ხოლო, როგორც ზმნა, დაირთავს **ზმნისწინს** და აქვს რამდენიმე ზმნური კატეგორია: ასპექტი, გეზი, ორიენტაცია, კონტაქტი; მიმლეობას — დრო და გვარიც... (ჩა-ხტომა, გადა-ხტომა, შე-ხტომა... აშენებული, ჩა-შენებული...). ამიტომ მათ აქვთ გეზის, ორიენტაციისა და ასპექტის კატეგორიები, ზოგჯერ კონტაქტისაც (დანერ-ინ-ება, აშენებ-ინ-ება).

## 2.6.1. სანყისი

**სანყისი**<sup>3</sup> ჰქვია ზმნისგან ნანარმოებ არსებით სახელს, რომელიც წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც არსებითი სახელით გადმოცემული რომელიმე წევრი.

სანყისი ზმნის პირიანი ფორმით გამოხატულ მოქმედებას ასახელებს. ამდენად, მას **მოქმედების სახელსაც** უწოდებენ. მაგალითად: წერა, ხატვა, თესვა, პოვნა, ბრძოლა, კვდომა, ყიდვა, სირბილი, სიყვარული, სინანული, ბლუკუნი, ტიკტიკი, ტრიალი, გრიალი, ბრახუნი და სხვ.

**სანყისის სახელური** ნიშნებია:

- მიუგებს არსებითი სახელის კითხვაზე **რა?**
- იბრუნვის ისე, როგორც მსგავსი ფუძის **არსებითი** სახელი: ქუხილ-ი, ქუხილ-მა, ქუხილ-ს, ქუხილ-ის... თესვა, თესვა-მ, თესვა-ს, თესვ-ის...
- წინადადებაში შეიძლება იყოს (როგორც არსებითი სახელი) **ქვემდებარე, ირიბი, პირდაპირი ან უბრალო დამატება**.

მაგ.: ქვემდებარე: ღელვა საშიში იყო; პირდაპირი დამატება: ზღვამ ღელვა დაიწყო. უბრალო დამატება: მიყვარს ზღვის ღელვაზე დაკვირვება.

**სანყისის ზმნური** ნიშნებია:

- დაირთავს **ზმნისწინს**, რომელიც გამოხატავს **გეზსა და ორიენტაციას**: გაცურვა, მიცურვა, გადაცურვა, შეცურვა; გაფრენა, ჩაფრენა, გადაფრენა, მიფრენა...
- შეიძლება ჰქონდეს **ასპექტი** (წერა — დაწერა, თესვა — დათესვა; კეთება — გაკეთება, შეკეთება, გადაკეთება, გადმოკეთება) და **კონტაქტი** (აშენება — აშენებინება, დაშლა — დაშლევინება).

სანყისი, ჩვეულებრივ, მხოლოდითი რიცხვის ფორმით გამოიყენება, მაგრამ შეიძლება ენარმოებოდეს მრავლობითიც და რიცხვითი სახელიც ეწყობოდეს მსაზღვრელად: ბრძოლა —

---

<sup>3</sup> ტერმინი „სანყისი“ ვერ გამოხატავს ზუსტად შესაბამის ცნებას, რადგან უმეტესად ის კი არაა ამოსავალი ზმნებისთვის, არამედ მეორეულია და ზმნები იწარმოება მისგან: *თესავს* → *თესვა*, *დარბის* → *სირბილი*, *ნანობს* → *სინანული* და სხვ.), ამიტომ ნაზმნარი არსებითი სახელის აღსანიშნავად იყენებენ არაბულ ტერმინ „**მასდარს**“.

ბრძოლები, ქცევა — ქცევები, ჩვევა — ჩვევები, სხდომა — სხდომები, ორი სხდომა...

## 2.6.2. საწყისის წარმოება

საწყისები ინარმოება მოქმედებითი გვარის ზმნათა ფუძეებისგან. მისი ყველაზე გავრცელებული მანარმოებელია -ა სუფიქსი; რამდენიმე ზმნას ამ ნიშნის წინ უჩნდება **ნ-**, **ოლ-** ან **ომ-**; საწყისის **მანარმოებლებია** ასევე სხვა **სუფიქსიც** და **პრეფიქს-სუფიქსებიც** (კონფიქსები).

**შენიშვნა:** საწყისთა მცირე ნაწილი არაა ზმნისგან ნანარმოები, არამედ ამოსავალია ზმნების საწარმოებლად. ამგვარ საწყისს **პირველადი** ეწოდება. მათგან ბევრია ხმაბაძვითი სიტყვა: ჭიკჭიკი, წიკნიკი, ლაქლაქი, ბაჯბაჯი, გრიალი, ჭრიალი, ბრახუნი, კაკუნი, კიკინი, ტიტინი, ყყიპინი და სხვ.

საწყისის მანარმოებლები	
-ა	აკეთებს — <b>კეთებ-ა</b> , კერავს — <b>კერვ-ა</b> , აბამს — <b>დაბმ-ა</b> , ხნავს — <b>ხვნ-ა</b>
-ნ-ა	სთხოვს — <b>თხოვ-ნ-ა</b> , ძოვს — <b>ძოვ-ნ-ა</b> , იპოვის — <b>პოვ-ნ-ა</b> , ვარდება — <b>ვარდ-ნ-ა</b> , ეძებს — <b>ძებ-ნ-ა</b>
-ოლ-ა	იბრძვის — <b>ბრძ-ოლ-ა</b> , თრთის — <b>თრთ-ოლ-ა</b> , კრთის — <b>კრთ-ოლ-ა</b>
-ომ-ა	ხტის — <b>ხტ-ომ-ა</b> , კრთის — <b>კრთ-ომ-ა</b> , დგას — <b>დგ-ომ-ა</b> , ძღება — <b>ძღ-ომ-ა</b> , წყრება — <b>წყრ-ომ-ა</b>
-ილ	ტირის — <b>ტირ-ილ-ი</b> , წუხს — <b>წუხ-ილ-ი</b> , კივის — <b>კივ-ილ-ი</b> , დუმს — <b>დუმ-ილ-ი</b> , დულს — <b>დულ-ილ-ი</b> , ქუხს — <b>ქუხ-ილ-ი</b>
სი — ილ	კვდება — <b>სი-კვდ-ილ-ი</b> , იცინის — <b>სი-ც-ილ-ი</b> , მირბის — <b>სი-რბ-ილ-ი</b> , რცხვენია — <b>სი-რცხვ-ილ-ი</b> , სძულს — <b>სი-ძულვ-ილ-ი</b>
სი — ულ	უყვარს — <b>სი-ყვარ-ულ-ი</b> , უხარია — <b>სი-ხარ-ულ-ი</b> , ნანობს — <b>სი-ნან-ულ-ი</b> , ებრალება — <b>სი-ბრალ-ულ-ი</b>
ს — ა	მიდის — <b>ს-ვლ-ა</b> , შეისყიდის — <b>შე-ს-ყიდვ-ა</b>

### 2.6.3. მიმლეობა

**მიმლეობა** ჰქვია ზმნისგან ნაწარმოებ ზედსართავ სახელს, რომელიც წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი სახელი. მაგ., აღელდა ზმნისაგან ნაწარმოები მიმლეობაა აღელვებული, რომელიც არსებით სახელთან **განსაზღვრება** და იბრუნვის.

მიმლეობის **სახელური** ნიშნებია:

- მიუგებს ზედსართავი სახელის კითხვაზე **როგორი?**
- **იბრუნვის** ისე, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელი (ცალკე ან არსებითთან ერთად: აღელვებულ-ი, აღელვებულ-მა, აღელვებულ-ს, აღელვებულ-ის, აღელვებულ-ით, აღელვებულ-ად, აღელვებულ-ო; აღელვებულ-ი ზღვა, აღელვებულ-მა ზღვა-მ, აღელვებულ ზღვა-ს, აღელვებულ-ი ზღვ-ის, აღელვებულ-ი ზღვ-ით, აღელვებულ ზღვ-ად, აღელვებულ-ო ზღვა-ო.
- წინადადებაში გამოყენებულია (ზედსართავი სახელის მსგავსად) როგორც **ქვემდებარე, დამატება** ან **განსაზღვრება**;

მიმლეობის **ზმნური** ნიშნებია:

- განარჩევს **დროს**;
- დაირთავს **ზმნისწინს** (ე. ი. გამობატავს **გეზსა** და **ორიენტაციას**);
- ზოგჯერ მოეპოვება **ასპექტის** ფორმები (სრული და უსრული);
- ეწარმოება **კონტაქტის** ფორმები;
- გარჩეული აქვს **გვარის** ფორმები.
  - ✓ **მოქმედებითი** გვარის მიმლეობებია: მღებავი, მშენებელი...
  - ✓ **ვნებითი** გვარის წარსული დროის მიმლეობებია: დახატული, დაღლილი, დანაწვავი; უკუთქმითი ფორმა: გაუკეთებელი; მომავალი დროისა: დასაწერი, გასაკეთებელი...

✓ **საშუალო** გვარის მიმღობები: მოლაქლაქე, მოჭიკჭიკე, მჯდომარე...

### 2.6.4. მიმღობის წარმოება

ქართულ ენას მიმღობების საწარმოებლად მოეპოვება მრავალი აფიქსი. მათი არჩევა იმაზეა დამოკიდებული, თუ რას აღნიშნავს მიმღობა: მოქმედების ჩამდენს თუ სამოქმედო საგანს, შესრულებულია მოქმედება, შესასრულებელი თუ შეუსრულებელი.

განვიხილოთ მიმღობათა წარმოება გვარების მიხედვით.

**მოქმედებითი გვარის** მიმღობა მიუთითებს მოქმედ საგანზე. მაგ., მშენებელი არის ის, ვინც აშენებს ან ააშენა. ამ ტიპის მიმღობას აწარმოებს **მ**- თავსართი ან **მ — ელ/მა — ელ** თავსართ-ბოლოსართები (კონფიქსები):

მოქმედებითი გვარის მიმღობები	
<b>მ-</b>	და-მ-წერი, მო-მ-ტანი, და-მ-წყები, წამო-მ-წყები, მ-კერავი, მ-ღებავი, მ-ღესავი, მ-ბეჭდავი
<b>მ — ელ/მა — ელ</b>	მ-კეთებ-ელ-ი, მ-შენებ-ელ-ი, მ-ხვნ-ელ-ი, და-მ-ცვ-ელ-ი, და-მ-კვრ-ელ-ი და-მა-არსებ-ელ-ი, გა-მა-გრილებ-ელ-ი, შე-მა-ერთებ-ელ-ი, გა-მა-მხნევებ-ელ-ი
<b>მ — არ (მ-ალ)</b>	მ-კბენ-არ-ი, მ-ხატვ-არ-ი, მ-წერ-ალ-ი, მ-კურნ-ალ-ი...

**შენიშვნა:** **მ — არ** (დისიმილაციით: **მ — ალ**) -ისგან წარმოებ მოქმედებითი გვარის მიმღობათა დიდ ნაწილს უკვე არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს.

• ზოგიერთი ენათმეცნიერის აზრით, მოქმედებითი გვარის მიმღობებთან შინაარსით ახლოსაა **-ია**-ზე დაბოლოებული განსხვავებული წარმოების კომპოზიტები: ნაცარქექია, კიტრიპარია, დოყლაპია, ბელტიყლაპია, კევიღეჭია... ამ სიტყვათა

პირველი ნაწილი სახელია, მეორე კი — ზმნისგან მიღებული ფორმა.

**ვნებითი გვარის მიმღობა** სამოქმედო საგნის მდგომარეობას გამოხატავს, აქვს ორი დრო: **წარსული** და **მომავალი**, ფორმა **წართქმითია** ან **უკუთქმითი**.

ვნებითი გვარის მიმღობის ფორმათა წარმოება სამგვარია: პრეფიქსული (**წა-**, **უ-**, **სა-**), სუფიქსური (**-ილ**, **-ულ**) და პრეფიქსულ-სუფიქსური (**მ — არ**, **სა — ელ**, **უ — ელ**).

**შენიშვნა:** **-ილ**, **-ულ** და **მ — არ** (დისიმილაციით: **მ — ალ**) აფიქსებით ნაწარმოები მიმღობები მონაწილეობენ III სერიის მწკრივთა წარმოებაში: ჩანერილა, ჩანერილიყო, ჩანერილიყოს; აშენებულა, აშენებულიყო, აშენებულიყოს; გამხმარა, გამხმარიყო, გამხმარიყოს; გამქრალა, გამქრალიყო, გამქრალიყოს.

<b>ვნებითი გვარის მიმღობათა წარმოება</b>	
<b>წარსული დროის მიმღობები</b>	
<b>წა-</b>	წა-წერი, წა-შენ-ი, წა-ყიდი, წა-ბანი, წა-კეთები
<b>-ილ</b>	დანერ-ილ-ი, შობ-ილ-ი, ზრდ-ილ-ი, შეღებ-ილ-ი, შეპყრობ-ილ-ი
<b>-ულ</b>	დახატ-ულ-ი, გაკეთებ-ულ-ი, მორგებ-ულ-ი, აგორებ-ულ-ი
<b>მ—არ (მ—ალ)</b>	მ-კვდ-არ-ი, და-მ-ჭკნ-არ-ი, და-მ-დნ-არ-ი, და-მ-წვ-არ-ი; გა-მ-ქრ-ალ-ი, გა-მ-შრ-ალ-ი
<b>მომავალი დროის მიმღობები</b>	
<b>სა-</b>	სა-ტეხი, სა-ხნავი, სა-თესი, სა-კლავი, წა-სა-ღები
<b>სა—ელ</b>	გა-სა-კეთებ-ელ-ი, სა-ჭრ-ელ-ი, სა-ჩვენებ-ელ-ი, სა-ვედრებ-ელ-ი
<b>ვნებითი გვარის უკუთქმითი (უარყოფითი) მიმღობები</b>	
<b>უ-</b>	უ-წერი, უ-ნახავი, უ-ხნავი, გა-უ-თიბავი, და-უ-ხატავი
<b>უ—ელ</b>	უ-ჭმ-ელ-ი, უ-ხსენებ-ელ-ი, უ-ვნებ-ელ-ი, გა-უ-კეთებ-ელ-ი, გა-უ-თლ-ელ-ი, და-უ-მთავრებ-ელ-ი

**საშუალი გვარის მიმღობას** აწარმოებს **მ-** თავსართი და თავსართ-ბოლოსართები: **მ — არ** (დისიმილაციით: **მ — ალ**), **მ — არე** (დისიმილაციით: **მ — ალე**), **მო — ე**.

საშუალო გვარის მიმღობები	
მ-	მ-ბრწყინავი, მ-გორავი, მ-ცოცავი, მ-ხოხავი, მ-გმინავი, მ-ცურავი...
მ—არ (მ—ალ)	მ-ძინ-არ-ი, მ-ცინ-არ-ი, მ-ტირ-ალ-ი, მ-ყრ-ალ-ი...
მო-არ	მო-ლიმ-არ-ი, მო-ტირ-ალ-ი...
მ—არე (მ—ალე)	მ-დგომ-არე, მ-დუმ-არე, მ-წუხ-არე, მ-ქუხ-არე, მ-ლელვ-არე, მ-ხურვ-ალე...
მო—ე	მო-ბიბინ-ე, მო-ცურავ-ე, მო-დარაჯ-ე, მო-თამაშ-ე, მო-რაკრაკ-ე, მო-ჭიკჭიკ-ე...

საშუალო გვარის მიმღობა მიგვითითებს ისეთ მოქმედზე, რომელთანაც სამოქმედო საგანი არ იგულისხმება. მაგ., მწუხარე ითქმის იმაზე, ვინც წუხს.

## 2.7. ზმნიზედა

**ზმნიზედა** (ანუ ზმნისართი) ჰქვია სრული მნიშვნელობის მქონე ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილს, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს და გვიჩვენებს, თუ **სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის** ხდება მოქმედება. მაგ., ამ წინადადებაში — გუშინ იქ ძალიან ცხელოდა — ზმნას სამი ზმნიზედა ახლავს: პირველი ზმნიზედა (გუშინ) აღნიშნავს, თუ როდის ცხელოდა, მეორე (იქ) — სად ცხელოდა, მესამე (ძალიან) — როგორ ცხელოდა.

ზმნიზედა წინადადებაში სინტაქსურად ამა თუ ჯგუფის გარემოებაა. მაგ., გუშინ — დროის გარემოებაა, იქ — ადგილისა, ძალიან — ვითარებისა.

ზმნიზედა იშვიათად შეიძლება ახლდეს ზედსართავ სახელსა და თვით ზმნიზედასაც: ოდნავ წითელი, ძალიან თეთრი, ძალიან შორს.

ზმნიზედა **შინაარსის** მიხედვით მრავალგვარია: **ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა, ზომა-წონის, ოდენობისა და ჯერობისა, კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი.**

- **ადგილისა:** აქ, იქ, აქედან, იქიდან, აქეთ, იქით, ახლოს, შორს, აქვე, იქითკენ, ყველგან, წინ, უკან, ზევით, ქვევით,

მარჯვნივ, მარცხნივ (უპასუხებს **კითხვებზე**: სად? საიდან? საითკენ? სადამდე?).

- **დროისა**: ახლა, დღეს, გუშინ, გუშინდინ, ხვალ, ზეგ, წელს, გაისად, შარშან, ერთხელ, ყოველთვის, ხანდახან, ზოგჯერ, წინათ (უპასუხებს **კითხვებზე**: როდის? რა დროიდან? როდემდე?).

- **ვითარებისა**: ასე, ისე, ნელა, ჩქარა, ავად, კარგად (უპასუხებს **კითხვებზე**: როგორ? რანაირად?).

- **მიზეზისა**: ამიტომ, იმიტომ (უპასუხებს **კითხვაზე**: რატომ?).

- **მიზნისა**: ამისთვის, იმისთვის (უპასუხებს **კითხვაზე**: რისთვის? რად?).

- **ზომა-წონის, ოდენობისა და ჯერობისა**: ამდენად, იმდენად, ხუთჯერ, ბევრჯერ, ერთგზის (უპასუხებს **კითხვებზე**: რამდენად? რამდენჯერ? რა ზომით? რა ოდენობით?).

- **კითხვითი**: სად? საიდან? საითკენ? როდის? როდიდან? რატომ? რისთვის? როგორ? რანაირად? რამდენჯერ?

- **მიმართებითი**: სადაც, საიდანაც, როდესაც, რატომაც, რისთვისაც, როგორც...

- **განუსაზღვრელობითი**: სადღაც, სადმე, ოდესღაც, ოდესმე, რატომღაც, როგორღაც, როგორმე.

- **უარყოფითი**: არსად, ვერსად, ნურსად, არასდროს, ვერასდროს, არანაირად.

**შენიშვნა**: კითხვითი ზმნიზედებისაგან -ც ნაწილაკის დართვით ინარმოება **მიმართებითი** ზმნიზედები, რომლებიც რთულ წინადადებაში მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით არის გამოყენებული. **სად, საიდან, საითკენ, როგორ** კითხვითი ზმნიზედებია, ხოლო **სადაც, საიდანაც, საითკენაც, როგორც** — მათგან ნაწარმოები მიმართებითი ზმნიზედები.

### 2.7.1. ზმნიზედების წარმოება

წარმოების მიხედვით, ზმნიზედები ორგვარია: **პირველადი** და **მეორეული**.

**პირველადია** ზმნიზედა, რომელიც არ არის მიღებული სხვა მეტყველების ნაწილისაგან ან თვით ზმნიზედისაგან. ასეთებია: აქ, იქ, წინ, უკან, შინ, ხვალ...

**მეორეული** ზმნიზედა მიღებულია სხვა მეტყველების ნაწილისაგან ან თვით ზმნიზედისაგან. პირველადი ზმნიზედები ენაში ცოტაა, მეორეული — ბევრი (ორგზის, ათჯერ, დღეს, ორშაბათს, ნელს, ნლობით, ნაჭერ-ნაჭერ, სოფელ-სოფელ, პირდაპირ, გზადაგზა, ფეხდაფეხ, ცხენდაცხენ და სხვ.).

ზმნიზედად შეიძლება იქცეს **მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის** უთანდებულო თუ თანდებულებიანი ფორმები. თვით ზმნიზედისაგან ნაწარმოები მეორეული ზმნიზედა ენაში ცოტაა.

### **ზმნიზედების წარმოება ბრუნვის ფორმებით:**

ზმნიზედად შეიძლება იქცეს არსებითი სახელი **მიცემითსა და მოქმედებით** ბრუნვებში.

- **მიცემითი ბრუნვის** უთანდებულო ან თანდებულებიანი ფორმები: ნელს, დღეს, ორშაბათს, ხუთშაბათს, კვირას... ბოლოში, თავში, განზე, გვერდზე... მაგ.: **შაბათ-კვირას** თბილისში არ ვიქნებით.
- **მოქმედებითი ბრუნვის** უთანდებულო ან თანდებულებიანი ფორმები: ღამით, დილით, გვერდით, ზაფხულობით, ნლობით... **ით-გან>იდ-გან>იდან:** ზევიდან, ქვევიდან, დილიდან, შორიდან... მაგ.: **დილით** თოვდა. **ღამით** ციოდა.
- ზედსართავი სახელისა და მიმღობის **ვითარებითი** ბრუნვის ფორმები, რომლებიც ზმნას ახლავს, გამოიყენება ზმნიზედის ფუნქციით: ავად, უეცრად, კარგად, ცუდად, წითლად, თეთრად, ამჟამად, მყარად, მოულოდნელად. მაგ.: **წითლად** შეღება, თეთრად ქათქათებს, **დაუფიქრებლად** გაჰყვა, **მოსატანად** წავიდა.
- ზოგ სიტყვაში **ვითარებითი** ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივ შეკვეცილია: ნელა (← ნელად), ჩქარა (← ჩქარად), დაბლა (← დაბლად), მაღლა (← მაღლად).
- ზმნიზედად გამოყენებულია სიტყვის **ფუძეც:** ძალიან, ძლიერ;

### **ზმნიზედების წარმოება ფუძეთა გაორკეცვებით:**

- შეიძლება გაორკეცდეს არსებითი სახელი და იქცეს ზმნიზედად: ნაჭერ-ნაჭერ, სოფელ-სოფელ, გზა-გზა, ქუჩა-ქუჩა, ტყე-ტყე;

- გაორკეცებული ფუძე შეერთებულია და-კავშირით: პირდაპირ, გზადაგზა, ფეხდაფეხ, ცხენდაცხენ, ხმალდახმალ.

**საკუთარი წარმოების** ზმნიზედებია **-ივ, -რე, -გან, -ჯერ, -გზის** დართული სიტყვები:

- **-ივ:** ირგვლივ, მარჯვნივ, მარცხნივ, უკლებლივ, დაუყოვნებლივ, განუშორებლივ;
- **-რე:** აგრე, ეგრე, ადრე, მეტადრე;
- **-გან:** ყველგან, ზოგან, სხვაგან;
- **-ჯერ:** ორჯერ, სამჯერ, ზოგჯერ;
- **-გზის:** ორგზის, ხუთგზის.

## 2.8. თანდებული

**თანდებული** არის ფორმაუცვლელი დამხმარე მეტყველების ნაწილი, რომელიც დაერთვის სახელის გარკვეული ბრუნვის ფორმას და ამყარებს სხვადასხვა მიმართებას სახელსა და სახელს ან სახელსა და ზმნას შორის.

თანდებულნი ბრუნვები		
	სახელთან შერწყმული	ცალკე მდგომი
სახელობითი	-ვით	
მიცემითი	-ვით, -თან (თანა), -ზე (ზედა), -ში (შინა)	შუა, შორის
ნათესაობითი	-თვის, -გან, -კენ, -თანავე, -ებრ	მიერ, გამო
მოქმედებითი	-ურთ, -გან	
ვითარებითი	-მდე (-მდის)	

თანდებული დაერთვის სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმას. ქართულში თანდებულნი ბრუნვებია: **სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი** და **ვითარებითი**. მოთხრობითი და წოდებითი თანდებულს არ დაირთავს.

## **-ვით თანდებულისანი სახელობითი და მიცემითი**

**-ვით** თანდებული აღნიშნავს **მსგავსებას** და საზიაროა **სახელობითისა** და **მიცემითისთვის**. ის დაერთვის თანხმოვანფუძიანი სახელის **სახელობითი** ბრუნვის ფორმას: გმირი-ვით, არწივი-ვით, პედაგოგი-ვით, ქოხი-ვით; **მიცემით** ბრუნვაში კი — როგორც თანხმოვან-, ისე ხმოვანფუძიან გავრცობილ ფორმას: მეგობარსა-ვით, ყინულსა-ვით; ძმასა-ვით, ხესა-ვით, წყაროსა-ვით, ბუსა-ვით.

**შენიშვნა:** თანხმოვანფუძიან სახელებთან უმჯობესია სახელობითის ფორმის გამოყენება (თოვლივით, ლომივით...).

## **თანდებულისანი მიცემითი**

**მიცემითი** ბრუნვის თანდებულება: **-ვით, -თან (თანა), -ზე (ზედა), -ში (შინა)** (-ვით თანდებულის შესახებ იხ. ზემოთ).

**-თან (თანა)** დაერთვის ხმოვანფუძიანი სახელის გაუვრცობელ ფორმას და აღნიშნავს ადგილს, სიახლოვეს: ძმასთან (ძმას-თანაც), ხეს-თან, ორმოს-თან, ნუნუს-თან... თანხმოვანფუძიან სახელებთან თავს მოიყრის რამდენიმე თანხმოვანი, რომელთა ერთად წარმოთქმა ძნელდება და ბრუნვის ნიშანი იკარგება: კარ-თან (←კარ-ს-თან), სახლ-თან (←სახლ-ს-თან), ბავშვ-თან (←ბავშვ-ს-თან).

**-ზე (ზედ, ზედა-ც)** და **-ში** თანდებულები აღნიშნავენ ადგილს, მდებარეობას (ზემოდან ან შიგნით). მათი ღართვისას ბრუნვის ნიშანი **-ს** იკარგება (მომდევნო ზ და შ ბგერების გავლენით): მაგიდა-ზე (←მაგიდა-ს-ზე), სახლზე (←სახლ-ს-ზე)... მაგიდა-ში (←სახლში (←სახლ-ს-ში)...

## **თანდებულისანი ნათესაობითი**

**ნათესაობითი** ბრუნვის ფორმასთან გამოიყენება თანდებულები: **-თვის, -გან, -კენ, -თანავე, -ებრ**.

**-თვის** (აღნიშნავს დანიშნულებას, მიზანს), **-გან** (გამოხატავს მოქმედს, მიზეზს, მასალას) და **-კენ** (უჩვენებს მიმართულებას) დაერთვის როგორც გაუვრცობელ, ისე გავრცობილ ფორმას: დედის-თვის და დედისა-თვის, მეგობრის-გან და მეგობრისა-გან, უცხოეთის-კენ და უცხოეთისა-კენ.

**-თანავე** ემატება მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის გაუვრცობელ ფორმას და გამოხატავს დროს: დამთავრებ-ის-თანავე, მოსვლ-ის-თანავე, ზარის დარეკვ-ის-თანავე, დანახვ-ის-თანავე...

**-ებრ** (გამოხატავს მსგავსებას) დაერთვის სახელთა ნათესაობითის ფორმას ან ფუძეს: ლომის-ებრ, ლომ-ებრ, ადამიანის-ებრ, კაცის-ებრ, კაც-ებრ.

**შენიშვნა:** დღეს იშვიათად გვხვდება თანდებულები: **-და** (=თვის) და **— დამი:** ამისდა, სხვისდა, ჩემდა; ჩემდამი, შენდამი, თქვენდამი.

### **თანდებულიანი მოქმედებითი**

**მოქმედებითი** ბრუნვის ფორმას დაერთვის **-ურთ** და **-გან** თანდებულები.

**-ურთ** გვხვდება გაუვრცობელ ფორმასთან და გამოხატავს თანაობას: მეგობრ-ით-ურთ, ძმ-ით-ურთ, ბალ-ით-ურთ, ცოლ-ით-ურთ...

**-გან** თანდებული გამოიყენებოდა გაუვრცობელ ფორმასთან (სახლ-ით-გან). **-თ** გამჟღერდა **გ**-ს გავლენით და იქცა **დ-დ**, შემდეგ **გ** დაიკარგა და ამჟამად გვაქვს **-იდან** ფორმა (ით-გან → იდ-გან → იდ-ან): სახლ-იდ-ან, ხ-იდ-ან, ორმო-დ-ან, ე. ი. შეცვლილია ბრუნვის ნიშანიც და თანდებულებიც.

კითხვებზე **ვისგან?** ან **რისგან?** -გან თანდებული ნათესაობითის ფორმას უნდა დაერთოს, კითხვებზე **საიდან?** და **რა დროიდან?** კი უნდა გამოვიყენოთ -გან თანდებულიანი მოქმედებითისაგან მიღებული **-იდან** ფორმა.

მაგ.: **ვისგან?** „კანადის არმიის ლეიტენანტმა ადგილობრივი **მონადირისაგან** ამერიკული შავი დათვის ბელი იყიდა“; „ამბობენ, რომ ინტელექტი ბავშვს გენეტიკურად **დედისგან** გადაეცემა და არა **მამისგან**“.

**რისგან?** „**ნიაღვრისაგან** მოტანილმა ლოდებმა და ტოტებმა მიუვალი გახადა გზა“.

**საიდან?** „მამაკაცი გავიდა **ეზოდან**“.

**რა დროიდან რა დრომდე?** „მათი კამათი დილიდან სალამომდე გაგრძელდა“.

### **თანდებულიანი ვითარებითი**

**ვითარებითის** ფორმას **-მდე (-მდის)** თანდებული დაერთვის, რომელიც გამოხატავს მოქმედების დასასრულ ადგილს ან დროს. ამ თანდებულთან ბრუნვის ნიშნის **-დ** იკარგება: სახლ-ა-მდე (← სახლ-ად-მდე), მთა-მდე (← მთა-დ-მდე), კლდე-მდე (← კლდე-დ-მდე).

**შენიშვნა:** ა. შანიძის აზრით, ქართულში უნდა გამოიყოს ე. წ. **ლოკალური (ადგილობრივი)** ბრუნვები: **სადაობითი** (-ზე და -ში თანდებულიანი: მთა-ზე, სოფელ-ში), **გამოსვლითი** (-იდან ფორმიანი: სვანეთ-იდან) და **მინევიითი** (მდე/მდის თანდებულიანი: ქალაქ-ამდე).

### **ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით**

ზოგიერთი ზმნიზედა ხშირად თანდებულის მნიშვნელობით იხმარება. ასეთებია, მაგ., ადგილისა და დროის ზმნიზედები: **წინ, უკან, ქვეშ, ზევით (ზემოთ), ქვევით (ქვემოთ), ქვეშ, წინათ, შემდეგ, ირგვლივ, გარშემო, ახლოს, აქეთ, იქით, გაღმა, გამოღმა** და სხვ. მაგ., **ირგვლივ** ადგილის ზმნიზედაა, როცა ვამბობთ: „**ირგვლივ** პანიკა ატყდა“; „**ირგვლივ** სიყალბეა გამეფებული“, მაგრამ თანდებულია შემდეგ წინადადებაში: „თეატრის **ირგვლივ** ფიჭვებს რგავდნენ“.

ზმნიზედა თანდებულად, ჩვეულებრივ, **ნათესაობითის** ფორმას ახლავს, იშვიათად — მიცემითის ფორმასაც: ბალის წინ, ბალის უკან, ბალის ირგვლივ, ბალის გარშემო, ბალის ახლოს, ბალის აქეთ და სხვ.

**ქვეშ** თანდებული თანხმოვანფუძიანი ერთმარცვლიანი სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმასაც დაერთვის, ბრუნვის ნიშანი იკარგება და ის შერწყმულია სახელთან: **ჭერქვეშ, ბედქვეშ, ხიდქვეშ**.

**შენიშვნა:** პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებთან ამ ტიპის თანდებულების გამოყენებისას ნაცვალსახელთან ზედმეტია ბრუნვის ნიშანი **-ს:** ჩემ გვერდით, შენ წინ, თქვენ პირდაპირ (და არა: ჩემს გვერდით, შენს წინ, თქვენს პირდაპირ).

## 2.9. კავშირი

**კავშირი** ჰქვია ფორმაუცვლელ დამხმარე მეტყველების ნაწილს, რომელიც აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას.

კავშირებია: **და, თუ, მაგრამ, ხოლო, თორემ, ან, რომ, თუ არა, რათა, ე.ი. (ესე იგი), ანუ...**

ზოგიერთი კავშირი აერთებს როგორც ორ წევრს, ისე ორ წინადადებას, ზოგი კი — მხოლოდ წინადადებას. ასეთი კავშირებია: **რომ, რათა, რაკი, თუ არა, სანამ, ვიდრე, რადგანაც.**

კავშირი ორგვარია: **მაერთებელი და მაქვემდებარებელი.**

**მაერთებელი კავშირი** აერთებს ორ ერთგვარ წევრს (**შერწყმულ** წინადადებაში) ან ორ ისეთ წინადადებას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ თანასწორია (რთულ **თანწყობილ** წინადადებაში). მათში, თავის მხრივ, გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

- **მაჯგუფებელი:** **და, თუ** (და-ს მნიშვნელობით); ამ ფუნქციით გამოიყენება ასევე: **ც — ც, კიდევ — კიდევ, არც — არც, აღარც — აღარც, ვერც — ვერც, ვეღარც — ვეღარც, ნურც — ნურც.**
- **მაპირისპირებელი:** **მაგრამ, ხოლო, კი;** ამ ფუნქციით გამოიყენება ასევე: **ოღონდ, თუმცა, არა მარტო — არამედ, კი არ — არამედ, არამცთუ — არამედ.**
- **მაცალკევებელი:** **ან, ან — ან, ან — ანდა, ან — ან კიდევ, ხან — ხან, ხან — ხან(აც), ხან — ხან კიდევ, გინდ — გინდ, თუნდ — თუნდ.**
- **მაიგივებელი:** **ანუ, ესე იგი.**

**შენიშვნა:** **თუ** მაერთებელი კავშირიც არის და მაქვემდებარებელიც: დიდი **თუ** პატარა დღესასწაულზე ნავიდა; აქ **თუ** მაერთებელი კავშირია; მაგრამ **თუ** მაქვემდებარებელი კავშირია ამ წინადადებაში: **თუ** დაზარალებული დროულად არ მიმართავს სასამართლოს, ვერავინ დაეხმარება;

• ერთი წინადადება მეორისაგან მძიმით გამოიყოფა, თუ მათ შორის არ არის ნახმარი **და** კავშირი.

**მაქვემდებარებელი** კავშირი აერთიანებს ორ ისეთ წინადადებას, რომელთაგან ერთი მთავარია და მეორე — დამოკიდებული (რთულ ქვენყობილ წინადადებაში).

**მაქვემდებარებელი კავშირებია:** რომ, სანამ, ვიდრე, რადგან, რათა, რაკი, ვინაიდან, ვიდრე, თუ, თუკი, თუმცა და სხვ.

ამავე ფუნქციით გამოიყენება:

<b>მიმართებითი ნაცვალსახელები</b>	ვინც, რაც, რომელიც, როგორც, რანაირც, ვისიც, რისიც, სადაურიც, როდინდელიც...
<b>მიმართებითი ზმნიზელები</b>	სადაც, საიდანაც, საითკენაც, საითაც, როდესაც, როდემდეც, როგორც, რადგანაც, რისთვისაც...

## 2.10. ნანილაკი

**ნანილაკი** ჰქვია ფორმაუცვლელ დამხმარე მეტყველების ნანილს, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ სიტყვას ან მთელ წინადადებას და სხვა ელფერს აძლევს მას მნიშვნელობის მხრივ.

ნანილაკი ან სიტყვასთან ერთად დგას ან ცალკე. **შერწყმული** ნანილაკებია: **-ოდე** (სამიოდე), **-ც** (იგიც), **-ვე** (იგივე), **-ლა** (ორილა), **-მე** (ვინმე).

**ცალკე მდგომი** ნანილაკებია: ნუთუ, განა, ხომ, თურმე, ხოლმე და სხვ.

ზოგი ნანილაკი სიტყვას ანიჭებს **გრამატიკულ** შინაარსს (ნუ, არ, ვერ, ხოლმე, თურმე), ზოგი კი — მხოლოდ დამატებით სემანტიკურ ნიუანსს (ნეტა, დაე, თითქოს...).

ნანილაკი შეიძლება დაერთოს სახელის უთანდებულო თუ თანდებულებიან ფორმას (ამა თუ იმ ბრუნვაში). ასეთებია: **-ც (-ცა), -ლა, -ვე, -მე** ნანილაკები. მაგ.: დედაც, დედამაც, დედასაც... შვილილა... მეგობარივე, მეგობარმავე... ძმისთვისაც, ძმისთვისვე, ძმისთვისლა... ვინმე, რამე...

ზოგი ნანილაკი ცალკე დგას და არ უკავშირდება სახელის ბრუნვიან ფორმას: **არ, ვერ, ნუ, ხომ, განა, ნუთუ, თურმე, ხოლო** და სხვ.

რამდენიმე ნაწილაკის ადგილი მყარია: **წინ** უძღვის იმ სიტყვას, რომელსაც ახლავს ან მოსდევს მას:

- ნაწილაკი **წინ** უძღვის ზმნას: **არ, ვერ, ნუ** (არ დანერო, არ აკეთებს, ვერ ხსნის, ნუ აფუჭებ).
- ნაწილაკი **მოსდევს** სიტყვას: **-მეთქი, -თქო, ხოლმე** (გიმეორებ, ახლავე დანერე-მეთქი, შენს ძმას გადაეცი, მოდი-თქო; ხშირად ვხვდებოდი ხოლმე).

ნაწილაკი ყოველთვის უცვლელია, შეიძლება დაუკავშირდეს სხვა მეტყველების ნაწილებს, მაგრამ არ არის წინადადების წევრი.

ნაწილაკები მნიშვნელობით მრავალფეროვანია. ამასთან, ერთი და იგივე ნაწილაკი ზოგჯერ სხვადასხვა სიტყვასთან განსხვავებული მნიშვნელობისაა.

გამოიყოფა ნაწილაკების რამდენიმე ჯგუფი შინაარსის მიხედვით:

- **კითხვითი** ნაწილაკები: **ხომ, განა, ნუთუ;**
- **უარყოფითი** (უკუთქმითი) ნაწილაკები: **არ, ვერ, ნუ; არც, ვერც, ნურც; აღარ, ვეღარ, ნუღარ; აღარც, ვეღარც, ნუღარც; როდი (=არ);**
- **განუსაზღვრელობითი** ნაწილაკები: **-მე, -ღაც(ა);**
- **მიახლოებითი** ნაწილაკები: **თითქმის, ლამის, კინაღამ, -ოდე;**
- **გაძლიერებითი** ნაწილაკები: **-ც (-ცა), -ც კი, კიდევ, მაინც, უკვე;**
- **გამორჩევითი** ნაწილაკები: **-ღა, მხოლოდ;**
- **ნება-სურვილისა** და **გრძნობის** გამომხატველი ნაწილაკები:
  - ✓ განცვიფრებისა: **რა, არ, აკი, აკი არ;**
  - ✓ ნატვრითი: **ნეტა, ნეტავ(ი), -მც, -მც კი;**
  - ✓ ნება-სურვილისა: **დაე (დეე, დე), ვინძლო, ვაითუ.**
- **სიტყვასიტყვითი** ნაწილაკები: **-მეთქი, -თქო, -ო** (გამოიყენება პირდაპირ ნათქვამთან);

- **მიგებითი** ნაწილაკები იხმარება ცალკე, კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას ეწევა. ასეთი ნაწილაკები ორგვარია: **დადასტურებითი და უარყოფითი.**

✓ დადასტურებითია: **ჰო, კი, დიას (დიალ)**  
(მორიდებულ, თავაზიან საუბარში).

✓ უარყოფითია: **არა, ვერა.**

**შენიშვნა:** მიგებითი ნაწილაკები მომდევნო სიტყვებისაგან მძიმით გამოიყოფა. თუ მას რომელიმე სიტყვა არ ახლავს, მის შემდეგ წერტილი იწერება.

ნაწილაკის მნიშვნელობით ზოგჯერ გვხვდება სრულმნიშვნელობიანი სიტყვები. მაგ.: **უნდა, მოდი.** უნდა მესამე პირის ზმნის ფორმაა (დედას უნდა დასვენება), მაგრამ გამოიყენება ნაწილაკადაც ზმნის პირიან ფორმასთან: მე **უნდა** გავაკეთო, შენ **უნდა** გააკეთო, მან **უნდა** გააკეთოს.

**მოდი** ბრძანებითი კილოს ფორმაა: მოდი ჩემთან! მაგრამ, როცა მოდი ნაქეზებას აღნიშნავს და სხვა ზმნის მეორე კავშირებითის ფორმასთან გვხვდება, როგორც ნაწილაკი: **მოდი** წავიდეთ! **მოდი** ვითამაშოთ!

## 2.11. შორისდებული

**შორისდებული** ჰქვია უცვლელ მეტყველების ნაწილს, რომელიც უშუალოდ გამოხატავს ადამიანის სულიერ განწყობილებას, გრძნობასა თუ ნება-სურვილს (ახ, ვიშ, ეჰ, ვაი, ერიჰა, ჰეი, ყოჩაღ, სუ...): **ახ** ნატვრას გამოხატავს, **ვიშ** — სიხარულს, აღტაცებას, **ეჰ** — დანანებას, **ვაი, ოჰ, ეჰ** — მწუხარებას, **ერიჰა** — გაკვირვებას, **ჰეი** — მოწოდებას, **ყოჩაღ** — მოწონებას...

შორისდებული განცალკევებით მდგომი მეტყველების ნაწილია: არც სრულმნიშვნელობიანია და არც დამხმარე, წინადადების ნევრიც არ არის.

შორისდებულთა ჯგუფში აერთიანებენ **ცხოველთა** და **ფრინველთა** დასაძახებლად გამოყენებულ ბგერებს (აჩუ! აცე! აქშა! აცხა!) და **ხმაბაძვით** სიტყვებს (მიაუ! ავ-ავ! მუუ! ბეე! ვიტ-ვიტ! ყი-ყი-ყი!).

შორისდებულებში შინაარსის მიხედვით გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს:

- **გრძნობის გამომხატველი** შორისდებულები: **ო, აჰ, ოჰ, უჰ, ეჰ, ოჰო, ვაი, უი, ოი, ვიშ, ფუჰ, ვაშა, ყოჩაღ;**
- **მოუბარი პირის ნება-სურვილის** გამომხატველი შორისდებულები (შეიძლება გამოხატოს მონოდება, დაძახება, განცრომა): **სუ, ჩუ** (მონოდებაა სიჩუმისკენ), **ჰეი, ეი, აჩუ, აქშა, აცხა;**
- **მისალმება-გამომშვიდობების, მადლობის, აღერსის, ფიცის** გამომხატველი შორისდებულები: **გამარჯობა, მშვიდობით, ნახვამდის, მადლობა, დედაშვილობამ, დაძმობამ, ჩემმა მზემ, გენაცვალე, გეთაყვანე, შენი ჭირიმე, შენს გახარებას.**

მაგ., „ტა, ტა, ტა, ტა!

რანაირად ბრდღვინავს არაგვი!

**ხო, ხო, ხო, ხო!** –

ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!“ (მ. მაჭავარიანი)

„საბედნიეროდ,

საბედნიეროდ, –

**ჰაი, ჰაი,** რომ

კიდევ ხმაურობ“ (მ. მაჭავარიანი).

**შენიშვნა:** 1. ყველა მეცნიერი არ ეთანხმება ბოლო ჯგუფის სიტყვების მიჩნევას შორისდებულებად.

2. შორისდებულის მნიშვნელობის გასარკვევად წარმოთქმისას მთავარია ინტონაცია, რადგან ერთი და იგივე გრძნობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა შორისდებულით ან ერთი და იმავე დაწერილობის შორისდებულით გადმოიცეს სხვადასხვა გრძნობა.

3. შორისდებულის შეიძლება გაარსებითდეს, მაშინ ის წინადადების ნევრი გახდება. მაგ., **ვაი** და **უი** მწუხარების გამომხატველი შორისდებულია, მაგრამ ორივე **ქვემდებარეა;** **ირიბი** ობიექტია და მიცემით ბრუნვაში დგას: „**ოთხი** გამოქცეული **ვაის** გაეყარა და **უის** შეეყარა“ (მ. ჯავახიშვილი).

# თავი მესამე

## სინტაქსი

**სინტაქსი** არის გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის წინადადების ტიპებს და სიტყვათა შეკავშირების წესებს წინადადებაში. იგი არკვევს, რა და რა სახის სიტყვები შეიძლება შეენწყოს ერთმანეთს, რა სახის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მათ შორის და რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ სიტყვას წინადადებაში.

სინტაქსური ერთეულებია **წინადადება**, **სინტაქსური წყვილი** და **წინადადების წევრი**.

ერთ-ერთი განმარტების თანახმად, **წინადადება** ჰქვია ერთ ან რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვას, რომლებიც ამა თუ იმ აზრს გადმოგვცემენ. მაგ.: ბინდებოდა (1). ნელი სიო ოდნავ არხვედა ფოთლებს (2). პირველი წინადადება ერთი სიტყვით არის გადმოცემული, მეორე — ხუთით. წინადადება შინაარსისა და აგებულების მიხედვით სხვადასხვაგვარია.

დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა წინადადების ნაწილია, რომელსაც უნარი აქვს დაუკავშირდეს სხვა სიტყვას და გახდეს **წინადადების წევრი**. ის სინტაქსურ კავშირს ამყარებს წინადადების სხვა წევრთან და ქმნის **სინტაქსურ წყვილს** ანუ **სინტაგმას**.

### 3.1. სინტაქსური ურთიერთობის სახეები

წყვილის წევრთა სინტაქსური ურთიერთობის ძირითადი სახეებია: **შეთანხმება**, **მართვა** და **მირთვა**.

**შეთანხმება** ჰქვია სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როცა დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც აქვს მთავარ სიტყვას.

**სახელი** შეიძლება შეეთანხმოს **სახელს ბრუნვასა** და **რიცხვში**:

**ჭკვიანმა ქალმა** — ამ წყვილში შეთანხმება არის ბრუნვაში. მსაზღვრელი (ზედსართავი სახელი „ჭკვიანმა“) ეთანხმება საზღვრულს (არსებით სახელს „ქალმა“) მოთხრობით ბრუნვაში.

**ყვავილნი მშვენიერნი** — მსაზღვრელი (ზედსართავი სახელი „მშვენიერნი“) ეთანხმება საზღვრულს (არსებით სახელს „ყვავილნი“) სახელობით ბრუნვასა და ნარიან მრავლობითში.

**სახელს** შეუძლია შეითანხმოს **ზმნა რიცხვში**:

**ფრინველები ჭიკჭიკებენ** — ქვემდებარე (ფრინველები) ითანხმებს შემასმენელს (ჭიკჭიკებენ) მრავლობით რიცხვში.

**მართვა** ეწოდება სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როდესაც ერთი სიტყვა მეორისაგან მოითხოვს იმ ფორმას, რომელიც მას არ აქვს ამ შემთხვევაში ან საერთოდ.

**ვერცხლის სამაჯური** — მართვაა, საზღვრული (სამაჯური) მართავს მსაზღვრელს (ვერცხლის) ნათესაობით ბრუნვაში.

**კალმით წერს** — ზმნა-შემასმენელი (წერს) მართავს არსებითი სახელით გადმოცემულ უბრალო დამატებას (კალმით) მოქმედებით ბრუნვაში.

**ლექტორი შეასწავლის** — არსებითი სახელით გადმოცემული ქვემდებარე (ლექტორი) მართავს ზმნა-შემასმენელს (შეასწავლის) მესამე სუბიექტურ პირში -ს სუფიქსით; თავის მხრივ, ზმნაც მართავს სახელს სახელობით ბრუნვაში; შდრ. შეასწავლა **ლექტორმა**; უსწავლებია **ლექტორს**. მსგავს მაგალითებში მართვა **ორმხრივია** (კოორდინაცია).

**შვილისგან მიიღო** (წერილი) — ზმნა-შემასმენელი (მიიღო) მართავს არსებითი სახელით გადმოცემულ უბრალო დამატებას ნათესაობით ბრუნვაში **-გან** თანდებულის მეშვეობით (შვილისგან). ეს **შუალობითი** მართვაა.

**მირთვა** ჰქვია სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როდესაც ფორმაუცვლელი სიტყვა აზრობრივად არის შეწყობილი მთავარ სიტყვასთან.

ფორმაუცვლელი სიტყვები (სინტაქსურად გარემოებები) მიერთვიან ზმნა-შემასმენელს: **გუშინ** ჩამოვიდა. **ჩქარა** გააკეთა. **აქ** კონცერტი ჩატარდება.

### 3.2. წინადადების სახეები მტკიცების მიხედვით

როგორი შინაარსისაა უნდა იყოს წინადადება, მტკიცების მიხედვით იგი იქნება **წართქმითი** ან **უკუთქმითი**.

**წართქმითია** წინადადება, თუ ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების შესრულება დადებითად არის წარმოდგენილი.

**უკუთქმითია** წინადადება, თუ მოქმედების შესრულება უარყოფილია ანუ დადებითად არ არის გამოხატული.

წინადადებას უკუთქმით შინაარსს აძლევს უარყოფის გამომხატველი სიტყვები.

- **უარყოფითი ნაწილაკები:** არ, ვერ, ნუ, აღარ, ვეღარ, ნულარ...
- **უარყოფითი ნაცვალსახელები:** არავინ, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, არანაირი, ვერანაირი...
- **უარყოფითი ზმნიზედები:** არსად, ვერსად, ნურსად, არასდროს, ვერასდროს, ნურასდროს, არანაირად, ვერანაირად.

უარყოფითი ნაწილაკების, ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების გამოყენებით იქმნება **ერთმაგი** (ცალმაგი) ან **ორმაგი** უარყოფა.

**ცალმაგი** ანუ **ერთმაგია** უარყოფა, თუ წინადადებაში გამოყენებულია მხოლოდ ერთი უარყოფითი სიტყვა (ნაწილაკი, ნაცვალსახელი ან ზმნიზედა), რომელიც აზრობრივად ზმნასთანაა დაკავშირებული. მაგალითად:

**არ:** აგორებულ ქვას ხავსი **არ** მოეკიდებაო *(ანდაზა)*.

**ვეღარ:** მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, **ვეღარ** გიხილავ ხვალე *(შ. ნიშნიანიძე)*.

მაგრამ **ვერასდროს** შევეურიგდები  
საკუთარ თავთან წაგებულ ბრძოლას *(შ. ნიშნიანიძე)*.

**ორმაგია** უარყოფა, თუ წინადადებაში გამოყენებულია არა მარტო უარყოფითი ნაცვალსახელი ან უარყოფითი ზმნიზედა, არამედ უარყოფითი ნაწილაკიც:

**არავინ + არ:** არავინ არ მყავს, არსაიდან შვებას არ ველი  
(ტ.გრანელი).

**არასდროს + არ:** ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე  
წყნარი (გ. ტაბიძე).

**ვერსად + ვერ:** ვერ გაგექეცი ვერსად ბედკრული  
(მ.ქვლივიძე).

მაგ.: **არსად** ისე **არ** მღეროიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში  
(გ.ტაბიძე).

**არასდროს** ბედი **არ** ყოფილა ისე ცბიერი (გ. ტაბიძე).

**არავითარი** სხვა სამშობლო ამაზე მეტი **არ** გამაჩნია!  
(მ.ლუბანიძე)

ტოლებს შორის ოცნებებში **ვერ** მჯობნიდა **ვერც ერთი**  
(შ.ნიშნიანიძე).

**შენიშვნა:** ორმაგი უარყოფა ბუნებრივია ქართული ენისათვის და მისი  
გამოყენება არ მიიჩნევა შეცდომად, პირიქით, ზოგ შემთხვევაში ის  
აუცილებელიც კია.

### 3.3. წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით

**შინაარსის** მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს:  
**თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-  
ძახილისა.**

**1. თხრობითია** წინადადება, რომელიც მოგვითხრობს,  
გადმოგვცემს რამეს. იგი წარმოითქმის მშვიდად და წინადადების  
ბოლოს ხმა დაბლა ეშვება. თხრობითი წინადადების ბოლოს  
**წერტილი** დაისმის. მაგ.:

გადაქცეული მწარე გრძნობებად

უკანასკნელი თანამგზავრი მემშვიდობება (გ. ტაბიძე).

ხეებიც სვამენ ღვინოს ფოთლებით

და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან (ა. კალანდაძე).

**2. კითხვითა** წინადადება, რომელიც კითხვას შეიცავს. იგი ძირითადად ორგვარია: **კითხვითსიტყვიანი** და **არაკითხვითსიტყვიანი**.

✓ **კითხვითსიტყვიანი** კითხვით წინადადებაში **მახვილი** კითხვით სიტყვაზეა. წინადადების ბოლოს ხმა არ აინევს და ხმოვანი გაგრძელებულად არ უნდა წარმოითქვას. ამ ტიპის კითხვით წინადადებას, ჩვეულებრივ, კითხვითი სიტყვა იწყებს.

მაგ.: **ვინ** გიშლის ხელს? **რომელი** საათია? **სად** მიდიხარ ამ საღამოს?

**ვინ** დარგო ერთად ამდენი ვაზი? (ტ. ტაბიძე).

აუხდენელ ფიქრს **ვინ** არ იგონებს? (გ. ტაბიძე)

**ვისია** ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული **ვისია**?  
(ლ. ასათიანი)

✓ თუ წინადადება არ შეიცავს **კითხვით სიტყვას**, შეკითხვის მახვილი **ზმნა-შემასმენლის** ბოლო მარცვალზეა.

მაგ.: შენს ძმას უთხარი ყველაფერი? დამნაშავე იპოვეს?

შენს მოლოდინში ასეა ყველა? (გ. ტაბიძე)

**შენიშვნა:** თუ **ზმნა-შემასმენელი** გამოტოვებულია, კითხვის მახვილი **ბოლო სიტყვის** უკანასკნელ მარცვალზეა (თუ წინადადების ბოლო სიტყვა არ არის **მიმართვა**).

კითხვით წინადადებაში ხშირად გამოყენებულია **კითხვითი ნაწილაკები: ხომ, განა, ნუთუ**.

• **ხომ** დადასტურებას გულისხმობს, **განა** და **ნუთუ** კი განცვიფრებას გამოხატავს:

• მამაშენისთვის **ხომ** არ გითქვამს რამე?

**ხომ** ლამაზია ეს საქართველო? (ლ. ასათიანი)

• ჩვენისთანა ბედნიერი **განა** არის სადმე ერი? (ი. ჭავჭავაძე).

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე **განა**? (ა. წერეთელი)

• **ნუთუ** ასე ძლიერია სიყვარული?

**ნუთუ** მართლა არ გაგონდები?

**ნუთუ** ამ ფოთლებს ამ მღვიმეების,

ამ მარტოობის არ ეშინიათ? (*ა. კალანდაძე*)

კითხვითი წინადადების ბოლოს **კითხვის ნიშანი** დაისმის.

**3. ბრძანებითა** წინადადება, რომელიც მოითხოვს მთქმელის ნება-სურვილის შესრულებას.

ბრძანებითი წინადადება შინაარსისა და წარმოთქმის ხასიათის მიხედვით მრავალფეროვანია. იგი, გარდა საკუთრივ ბრძანებისა, შეიძლება გამოხატავდეს მოწოდებას, თხოვნას, დალოცვას, წყევლას, გაფრთხილებას, გამხნევებას, მიწვევა-მიპატიჟებას, რჩევა-დარიგებას, აკრძალვასა და სხვ.

მაგ.: იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა წინ მიაგებე ფარიო! (*ი. ჭავჭავაძე*)

გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!  
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა! (*გ. ტაბიძე*)

ღმერთმა ქართული, –

ან და მარად, –

აკურთხოს მინა! (*მ. მაჭავარიანი*)

ბრძანებითი წინადადება **აკრძალვითა** (ანუ უკუთქმითა), თუ წინადადებაში არის უარყოფითი ნაწილაკები **ნუ, არ** (ან ამ ნაწილაკების შემცველი სიტყვები: **ნულარ, ნურსად, ნურვინ, არსად, არვინ** და სხვ.).

**არ** დასაჯო შვილი!

**ნუ** მწერ, რომ ბალში აყვავდა ნუში! (*მ. გელოვანი*)

**ნუ** იამაყებ, თუნდ იყო ცხრა თავი ბაცბაც-ღევია! (*ხალხური*)

ტკივილს **ნულარ** მომაყენებ!

**4. ძახილისა** წინადადება, რომელსაც ახლავს მთქმელის დიდი გრძნობა: **გაკვირვება-განცვიფრება, აღტაცება, ნატვრა, დანანება, მწუხარება** და სხვა. ის ინტონაციურად მრავალფეროვანია.

ძახილის წინადადების ბოლოს **ძახილის ნიშანი** დაისმის.

მაგ.: რარიგ შევინის ახალგაზრდა ქალს ეგ სევდა  
ღვთაებრივი! (გ. ტაბიძე)

ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე! (გ. ტაბიძე)

### 3.4. წინადადების წევრები

ცალკე აღებული სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვა ლექსიკური ერთეულია, იგივე სიტყვა წინადადებაში სხვა სიტყვასთან დაკავშირებისას წინადადების ნაწილია, რომელსაც **წინადადების წევრი** ჰქვია.

წინადადების წევრები ორგვარია: **მთავარი** და **არამთავარი**.

წინადადების **მთავარი** წევრებია: **შემასმენელი**, **ქვემდებარე** და **დამატება-ობექტები** (პირდაპირი და ირიბი დამატება).

წინადადების **არამთავარი** წევრებია: **უბრალო დამატება**, **განსაზღვრება** და **გარემოებები** (დროის, ადგილის, ვითარების, მიზეზის, მიზნის).

#### 3.4.1. შემასმენელი

**შემასმენელი** წინადადების ძირითადი წევრია. იგი მნიშვნელობით მრავალფეროვანია და გამოხატავს: საგნის მოქმედებას, მდგომარეობას, როგორობას, ვინ ან რა არის საგანი. მისი კითხვებია:

- **რას შვრება საგანი?** გლუხი **რგავს** ვაშლის ხეს.
- **რა მდგომარეობაშია საგანი?** მოასწავლე **დგას** დაფასთან.
- **რა მოსდის საგანს?** თოვლი **დნება**.
- **როგორია საგანი?** ბურთი **წითელია**.
- **ვინ არის საგანი?** დედაჩემი **მეცნიერია**.
- **რა არის საგანი?** ზამბახი **ყვავილია**.

შემასმენელი ქვემდებარეს, პირდაპირ და ირიბ დამატებებს (S, Od, Oind) მართავს შესაბამის ბრუნვებში. ამ ბრუნვებისთვის

მნიშვნელოვანია იმ ზმნის გვარი და სერია, რომლითაც შემასმენელია წარმოდგენილი.

შემასმენელი ორგვარია: **მარტივი** და **შედგენილი**.

**მარტივია** შემასმენელი, რომელიც გადმოცემულია ზმნის ამა თუ იმ მსკრივის ფორმით. ზმნის მსკრივის ფორმა ზოგჯერ **რთულია** (მეშველზმნიანი), მაგრამ მაინც მარტივ შემასმენლად მიიჩნევა: ზამთარში ბუხართან **ვზივარ; დავბადებულვარ** ზამთრის ცივ დილას...

**მეშველ** ზმნად იხმარება: **ვარ/ვართ, ხარ/ხართ, იყავი/იყავით, იყო/იყვნენ**.

**შედგენილია** შემასმენელი, რომელიც გადმოცემულია ორი სიტყვით: **ბრუნებადი სიტყვითა და მეშველი ზმნით**.

ბრუნებადი სიტყვა **სახელია** (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) ან **სახელზმნა** და, ჩვეულებრივ, **სახელობით** ბრუნვაში დგას.

მეშველ ზმნად მეტწილად გამოიყენება **ვარ** და მისი მონაცვლე ზმნათა ფორმები: **ვართ** (ხარ/ხართ, არის/არიან), **ვიყავი** (ვიყავით, იყავი, იყავით, იყო, იყვნენ), **ბრძანდება, გახლავს, განდება** და სხვ.

მაგ.: ნისლი **ფიქრია** მთებისა (*ვაჟა-ფშაველა*).

ეს მთა **ჩემია**, ეს ხე **ჩემია** (*ი. გრიშაშვილი*).

**ღრმაა** ჩემი ტანჯვა.

ქართველები **განთქმულნი იყვნენ** ცხენოსნობით (*ა. ნერეთელი*).

**შენიშვნა:** 1. მარტივ შემასმენლად მესამე პირთან ხშირად გამოიყენება **არის** ზმნა, რომელიც ახლანდელ დროში შეიძლება შეიკვეცოს და მხოლოდ - **ა** ხმოვნით იყოს წამოდგენილი. ეს -**ა** ხმოვანი შეიძლება შეუერთდეს ნებისმიერ ნევრს: **როგორაა** შენი და? **სადაა** ჩემი რვეული? დედაჩემი უკვე **პარგადაა**.

2. შედგენილ შემასმენელთანაც მესამე პირში **მეშველი ზმნა** შეიძლება შეიკვეცოს. მაშინ ის უმეტესად სახელად ნაწილთან არის შერწყმული (შეიძლება შეუერთდეს ქვემდებარესაც). მაგ.: ჩემი შვილი **სტუდენტია**. შენი მეგობარი **ლამაზია** (ან: შენი **მეგობარია** ლამაზი).

### 3.4.2. ქვემდებარე

**ქვემდებარე** ჰქვია წინადადების მთავარ წევრს, რომელიც ზმნის სუბიექტურ პირთან არის შეწყობილი.

ქვემდებარედ შეიძლება იყოს **არსებითი სახელი, ნაცვალსახელი** და რომელიმე სხვა **გაარსებითებული** მეტყველების ნაწილი. ქვემდებარეს აქვს გარკვეული ბრუნვისა და რიცხვის ფორმა (ნაცვალსახელები გამოხატავს პირსაც) და მათი მეშვეობით ამყარებს კავშირს შემასმენელთან. ქვემდებარე შემასმენლით გამოხატული ქმედების **ინიციატორია** (ზმნის სუბიექტია).

ქვემდებარე გარდამავალი (ან გარდაუვალი საშუალო-მოქმედებითი გვარის) ზმნით გამოხატულ შემასმენელთან სამ ბრუნვაში დგას: **სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში**:

**სახელობითში: გოგონა** კრეფს ყვავილებს.

**მოთხრობითში: გოგონამ** დაკრიფა ყვავილები.

**მიცემითში: გოგონას** დაუკრეფია ყვავილები.

გარდაუვალი ზმნით გამოხატულ შემასმენელთან კი ქვემდებარე ყოველთვის **სახელობით** ბრუნვაში დგას:

**ფოთოლი** ყვითლდება; **ფოთოლი** გაყვითლდა; **ფოთოლი** გაყვითლებულა.

შემდეგ წინადადებებში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას: ეს ადათები ძველთაგან ძველი

გადაივიწყა **სიტყვამ** ქართულმა (*ი. გრიშაშვილი*).

**სპილომ** ძვლები დაიფშვნა რამდენიმე წვრილ კბილად და მარჯნებში ჩაგება მარმარილოს ბორკილად (*ი. გრიშაშვილი*).

მომდევნო წინადადებაში კი ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია:

ჰა, **მერცხლებიც** დაგვიბრუნდნენ,

გაახარეს ხალხის გული! (*ი. გრიშაშვილი*).

ქვემდებარისა და შემასმენლის კავშირი ორმხრივია. ქვემდებარეზეა დამოკიდებული შემასმენლის პირისა და რიცხვის

ფორმა (მასში ჩნდება შესაბამისი პირისა და რიცხვის ნიშანი), შემასმენელი კი განსაზღვრავს ქვემდებარის ბრუნვას.

### **ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში**

ქვემდებარეზეა დამოკიდებული **რიცხვის** აღნიშვნა შემასმენელში. **მხოლოდ** რიცხვში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენელიც მხოლოდითში დგას: **შაშვი** ძალიან აღტაცებით **გალობდა**.

თუკი ქვემდებარე **მრავლობით** რიცხვში დგას, მაშინ შემასმენელი მას რიცხვში ეთანხმება შემდეგი წესის მიხედვით:

- თუ ქვემდებარე **I ან II პირშია**, იგი ყოველთვის **ითანხმებს** შემასმენელს რიცხვში: **ჩვენ** ვნერთ, **თქვენ** დაივარცხნეთ, **ჩვენ** ვდგავართ, **თქვენ** ხარხარებთ და ა.შ.

- **ვინ** ჯგუფის ქვემდებარე (გარდა ადამიანის სახელისა) უთუოდ შეითანხმებს ნებისმიერ შემასმენელს რიცხვში: ბიჭები მოვიდნენ; ბიჭები დგანან; ბიჭებმა დაწერეს და სხვა.

- თუ ქვემდებარე **-ნ/-თ** სუფიქსებიან **მრავლობითშია**, შეითანხმებს შემასმენელს რიცხვში, არ აქვს მნიშვნელობა, სახელთა რომელ ჯგუფს განეკუთვნება ქვემდებარე: ხენი დგანან (და არა: ხენი დგას).

მაგ.: ზაფხულში **აყვავდებიან**  
**მკერდნიც** კი სალის კლდისანი,

ყვავილთ პირს **ეკონებან**  
ცივნი **ნამცვრევნი** ცისანი (*ვაჟა-ფშაველა*).

თუ ქვემდებარე **-ებ** სუფიქსიან **მრავლობითშია**, მაშინ რიცხვში შეთანხმებისთვის მნიშვნელობა აქვს იმას:

- ქვემდებარე არსებით სახელთა რომელ ჯგუფს განეკუთვნება;

- თვით შემასმენელი დინამიკურ ქმედებას გამოხატავს თუ სტატიკურ მდგომარეობას.

ამ ნიშანთა მიხედვით:

- **სულიერი** სახელით გამოხატული ქვემდებარე შემასმენელს **შეითანხმებს** მრავლობით რიცხვში (ჩიტები მოფრინავენ; ფუტკრები ბზუიან...);

- **რა ჯგუფის სახელებს შემასმენელი ებიან მრავლობითში არ ეთანხმება** რიცხვში (ხეები დგას; სახლები აშენდა). უმეტესად ესაა **მდგომარეობის** გამომხატველი ზმნები.

**შენიშვნა:** 1. შეიმჩნევა ტენდენცია, რომ დინამიკური ქმედების გამომხატველი ზმნები რიცხვში შეეთანხმოს ქვემდებარეს: **ღრუბლებმა დაფარეს** ზეცა. შდრ. **ღრუბლები გადაეკრა** ცას; დედამინაზე უცნაური **ღრუბლები გამოჩნდა**.

2. თუკი ქვემდებარე უსულო საგანია, მაგრამ სულიერის თვისებები მიენერება, შემასმენელი რიცხვში ეთანხმება **ებიან** მრავლობითში მდგარ ქვემდებარეს: **მთებმა დახუჭეს** თვალები (*ვაჟა-ფშაველა*); **ტირიან ღრუბლები** სანყლად; **ათრთოლდებიან ხეები** (*ვაჟა-ფშაველა*).

- **კრებითი** სახელები რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნებთან განარჩევენ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს: ქვა ჩამოვარდა — ქვები ჩამოცვივდა, ქვა გდია — ქვები ყრია, ვაშლი აბია — ვაშლები ასხია;

- **კრებითი** სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენელი **მხოლობითში** დაისმის. მაგ.: **ხალხი** სწრაფად შეგროვდა.

- მხოლობით რიცხვში დასმულ ორცნებიანი (**და-ძმა** ტიპის) კომპოზიტით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენელი **მხოლობითში** უნდა შეეწყოს. მაგ.: **და-ძმა** იქაურობას **გაშორდა**.

- როცა ქვემდებარეს **მსაზღვრელად** ახლავს **ერთზე მეტი რაოდენობის** გამომხატველი სახელი, ქვემდებარეც მხოლობით რიცხვში დაისმის და მასთან შეწყობილი შემასმენელიც. მაგ.: მოპირდაპირე ოთახიდან **ორი** კაცი **გამოვიდა**.

### 3.4.3. დამატება-ობიექტები

წინადადების მთავარ წევრს, რომელიც ზმნის ობიექტურ პირთან არის შეწყობილი, **დამატება-ობიექტი** ჰქვია.

ობიექტური პირი, როგორც ვიცით, ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ამის შესაბამისად, დამატება-ობიექტიც ორგვარია: **პირდაპირი დამატება** და **ირიბი დამატება**. ამათგან ორპირიან ზმნას ერთ-ერთი ახლავს, სამპირიანს — ორივე.

დამატება-ობიექტები იმავე მეტყველების ნაწილებით გადმოიცემა, რომლებითაც ქვემდებარე.

**პირდაპირია** დამატება, რომელიც ზმნის პირდაპირობიექტურ პირთან არის შეწყობილი. პირდაპირი დამატება მხოლოდ **გარდამავალ** ზმნას მოეპოვება. იგი **ბრუნვაცვალებადია**: ზმნის **პირველი სერიის** ფორმებთან **მიცემით** ბრუნვაში დგას, **მეორისა** და **მესამე** სერიის ფორმებთან კი — **სახელობითში**. მაგ.: პირველი სერია: დედა აქებს **შვილს**; დედა შეაქებს **შვილს**; მეორე სერია: დედამ შეაქო **შვილი**; მესამე სერია: დედას შეუქია **შვილი**.

პირდაპირ დამატებად შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერი არსებითი სახელი ან სხვა გაარსებითებული მეტყველების ნაწილი. პირდაპირი დამატების ბრუნვებს მართავს შემასმენელი, მაგრამ პირდაპირი დამატება შემასმენელს მხოლოდ **I** და **II** პირებში მართავს.

	მხოლოდითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი
<b>I</b>	(ის) მე მ-აჭმევს	<b>I</b>	(ის) ჩვენ გვ-აჭმევს
<b>II</b>	(ის) შენ გ-აჭმევს	<b>II</b>	(ის) თქვენ გ-აჭმევ-თ
<b>III</b>	(ის) მას აჭმევს	<b>III</b>	(ის) მათ აჭმევს

**ირიბია** დამატება, რომელიც ზმნის ირიბობიექტურ პირთან არის შეწყობილი. ირიბი დამატება მოეპოვება **ორპირიან გარდაუვალსა** და **სამპირიან გარდამავალ** ზმნას. ორპირიან ზმნასთან ირიბი დამატება სამივე სერიაში გამოიყენება, სამპირიანთან კი — მხოლოდ პირველსა და მეორე სერიაში: **სამპირიანი** ზმნა მესამე სერიაში **ორპირიანად** იქცევა. ის სახელი, რომელიც ირიბ დამატებას გამოხატავდა, **-თვის** თანდებულს დაირთავს და ნათესაობითში დადგება. ის გახდება წინადადების არამთავარი წევრი — **უბრალო დამატება**.

ირიბი დამატება ყოველთვის **მიცემით ბრუნვაში** დგას, ე.ი. **ბრუნვაუცვლელია**. მაგ.: დეიდა უკერავს **გოგონას** კაბას. დეიდამ შეუკერა **გოგონას** კაბა. მესამე სერიაში ირიბი დამატება

გადაიქცა უბრალო დამატებად: დეიდას შეუკერავს **გოგონასთვის** კაბა.

- I პირში ირიბი დამატების ნიშანი მრ. რიცხვში **გვ-** პრეფიქსია (გვ-იყვება, გვ-ეხვეწება), რომელიც I პირსაც გამოხატავს და მის სიმრავლესაც.

- II პირში ირიბი დამატების სიმრავლე გამოიხატება **-თ** სუფიქსით: ის **თქვენ** გიყვებათ; ის **თქვენ** გეხვეწება-თ.

სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, რიცხვში **შეთანხმება** ირიბი ობიექტის I-II პირში აუცილებელია, ხოლო III-ში — შესაძლებელი.

### 3.4.4. უბრალო დამატება

არამთავარი ნევრები დამატებით ცნობას იძლევიან მთავარი ან არამთავარი ნევრების შესახებ და ხელს უწყობენ აზრის უფრო სრულად და ზუსტად გადმოცემას. წინადადების **არამთავარი ნევრებია: უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება.**

ისეთ დამატებას, რომელიც ზმნასთან არ არის შეწყობილი ობიექტურ პირად (ნიშანს არ აჩენს), **უბრალო დამატება** ჰქვია. ზმნის გარდა, ის უკავშირდება სახელზმნებსაც — საწყისსა და მიმღობას, იშვიათად — ზედსართავ სახელსაც.

უბრალო დამატების ბრუნვებია: **უთანდებულო ან თანდებულიანი მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და უთანდებულო ვითარებითი.**

სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, შემასმენელთან უბრალო დამატების კავშირი ცალმხრივია: შემასმენელი განაპირობებს მის ფორმაცვალებას ბრუნვათა და თანდებულთა მიხედვით, შემასმენელზე კი მისი გავლენა ვერ აისახება.

მიცემით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატების გამორჩევა უფრო ადვილია მაშინ, როცა შემასმენელი II სერიის ზმნის ფორმითაა წარმოდგენილი: მოდი, მომხვიე ხელი **ჭრილობას** (გ. *ლეონიძე*). რადგან პირდაპირი დამატება ამ სერიაში სახელობით ბრუნვაში დგას (ხელი), „მე“ კი ირიბი დამატებაა

(მომხვიე მე), უბრალო დამატება იქნება „ჭრილობას“, რომელიც უფრო ხშირად -ზე თანდებულისა (მომხვიე **ჭრილობაზე** ხელი).

III სერიაში მიცემით ბრუნვაში დასმული ირიბი დამატება - **თვის** თანდებულისა ნათესაობითის ფორმის უბრალო დამატებით იცვლება (მან **მეგობარს** კარადა გაუკეთა — მას **მეგობრისთვის** კარადა გაუკეთებია).

**მიცემით ბრუნვაში** უბრალო დამატება **-ზე, -ში, -თან** თანდებულებითაც გვხვდება: ის **სახლზე** ბევრს ფიქრობდა; ამ **სახლში** ამდენს ვერ გადაიხდის; მისი ფიქრები ყოველთვის **სახლთან** იყო დაკავშირებული...

რა ვი, **ღრუბლებზე** ვფიქრობდი  
და არა გამიგია რა (ა. კალანდაძე).  
გადაშლილი აქვთ ჯრუჭის ოთხთავი  
და საუბრობენ **ღრუბლებთან** ხშირად? (ა. კალანდაძე)  
უბრალო დამატება სხვა ბრუნვებითაც გამოიხატება:

- **ნათესაობითი ბრუნვა: ძმისგან** წერილი მიიღო.
- **მოქმედებითი ბრუნვა: ძმით** ამაყოფს.
- **ვითარებითი ბრუნვა: ძმად** მიიჩნია (რომ ბედში მყოფი შენ **ძმად** მიგაჩნდეს... — ი. ჭავჭავაძე).

### 3.4.5. განსაზღვრება

**განსაზღვრება** ჰქვია წინადადების არამთავარ წევრს, რომელიც ახლავს არსებით სახელს და საგანს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს (განსაზღვრავს). იგი გადმოიცემა **ზედსართავი** სახელით (კარგი ამხანაგი), **რიცხვითი** სახელით (მეოცე საუკუნე), **ნაცვალსახელით** (ჩვენი სამშობლო), **არსებითი** სახელით (მეზობლის სახლი), **სახელზმნით** (დაბურული ტყე).

განსაზღვრების კითხვებია: **როგორი? რომელი? რამდენი? სადაური? როდინდელი? ვისი? რისა?**

განსაზღვრება ფორმის მიხედვით ორგვარია: **შეთანხმებული** და **მართული**.

**შეთანხმებულია განსაზღვრება**, თუ მისი ბრუნვის (და რიცხვის) ფორმა დამოკიდებულია საზღვრული სახელის ბრუნვის (და რიცხვის) ფორმაზე. მაგ., ხმელი ნიფელი, ხმელმა ნიფელმა, ხმელო ნიფელო. განსაზღვრება, რომელიც აქ ზედსართავი სახელითაა გადმოცემული, **ეთანხმება** საზღვრულს (არსებით სახელს) ბრუნვაში.

განსაზღვრება საზღვრულ სახელს შეიძლება შეეთანხმოს მრავლობით რიცხვშიც: დაღამდა, **წერილნი ვარსკვლავნი** აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა (*ვაჟა-ფშაველა*).

თანამედროვე ქართულში განსაზღვრება, ჩვეულებრივ, საზღვრული სახელის წინ დგას, მაგრამ ზოგჯერ, უმეტესად ლექსებში, ის საზღვრულის შემდეგაც დგება:

მდინარის მიღმა შრიალებდა **მინდორი დიდი** (*მ. მაჭავარიანი*).

წინ მდგომი თუ მომდევნო განსაზღვრება ზოგჯერ გათიშულია საზღვრული სახელისაგან: **ცივმა** დაჰბერა **ნიავმა** (*ვაჟა-ფშაველა*).

განსაზღვრების საზღვრულთან შეწყობის ძირითადი წესებია:

- **ხმოვანფუძიანი** სახელით გადმოცემული განსაზღვრება, რომელიც საზღვრულის წინ დგას, ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს (პატარა ბიჭი, პატარა ბიჭმა, პატარა ბიჭს... ფართო მინდორი, ფართო მინდორმა, ფართო მინდორს...);

- **თანხმოვანფუძიანი** სახელით გადმოცემული წინ მდგომი განსაზღვრება ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს **სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში** (ხმელი ნიფელი, ხმელმა ნიფელმა, ხმელო ნიფელო), მხოლოდ ხმოვნითი ნაწილი აქვს **ნათესაობითსა და მოქმედებითში** (ხმელი ნიფლის, ხმელი ნიფლით), ხოლო **მიცემითსა და ვითარებითში** ფუძის სახით გამოიყენება (ხმელ ნიფელს, ხმელ ნიფლად).

- **პირველი** და **მეორე** პირის კუთვნილებით ნაცვალსახელებით გადმოცემულ განსაზღვრებას **მიცემითსა და ვითარებითში** უნდა დაერთოს **-ს: ჩემს** მეგობარს, **ჩემს** მეგობრად; **შენს** მეგობარს, **შენს** მეგობრად; **ჩვენს** მეგობარს, **ჩვენს** მეგობრად; **თქვენს** მეგობარს, **თქვენს** მეგობრად. -ს უნდა

დაერთოს ამ ბრუნვებში მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმასაც: **მათს** მეგობარს, **მათს** მეგობრად.

• **საკუთარი სახელის** განსაზღვრებად გამოყენებული თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს **სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში**, დანარჩენ ოთხ ბრუნვაში **ფუძის სახით** უნდა გამოვიყენოთ (იხ. მორფოლოგიაში):

სახ.	ექიმი	ფალავა	ქირურგ-ი	იოსელიან-ი
მოთხ.	ექიმ-მა	ფალავა-მ	ქირურგ-მა	იოსელიან-მა
მიც.	ექიმ	ფალავა-ს	ქირურგ	იოსელიან-ს
ნათ.	ექიმ	ფალავა-ს(ი)	ქირურგ	იოსელიან-ის
მოქმ.	ექიმ	ფალავა-თი	ქირურგ	იოსელიან-ით
ვით.	ექიმ	ფალავა-დ	ქირურგ	იოსელიან-ად
წოდ.	ექიმ-ო	ფალავა	ქირურგ-ო	იოსელიან-ო

• **პოსტპოზიციური** განსაზღვრება, ხმოვანფუძიანიც, სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: მინდორი მწვანე, მინდორ-მა მწვანე-მ, მინდორ-ს მწვანე-ს, მინდვრ-ის მწვან-ის, მინდვრ-ით მწვან-ით, მინდვრ-ად მწვანე-დ, მინდორ-ო მწვანე-ვ.

• **გათიშული განსაზღვრება** დაირთავს ბრუნვის ნიშნებს მაშინაც, როცა ის უსწრებს საზღვრულ სახელს (**მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა**).

### **მსაზღვრელი წევრის სინტაქსური ურთიერთობა საზღვრულთან**

განსაზღვრება, ანუ მსაზღვრელი, ყოველთვის ახლავს ქვემდებარეს ან დამატებებს. **ატრიბუტულ** განსაზღვრებასა და განსაზღვრულ წევრს შორის, ანუ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის, შესაძლებელია მხოლოდ **შეთანხმება**.

შეთანხმება წინადადების ორ წევრს შორის ხდება მაშინ, როცა სინტაგმის წევრებს **საზიარო კატეგორია** ან კატეგორიები

აქვთ: საზღვრულსა და მსაზღვრელს საერთო აქვთ ორი კატეგორია: **ბრუნვა და რიცხვი**.

შეთანხმება საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის, უპირველეს ყოვლისა, ხდება ბრუნვათა მიხედვით, რადგან ორივე იბრუნვის (მაღალი სახლი, მაღალ-მა სახლ-მა, მაღალ სახლ-ს, მაღალი სახლ-ის...). შეთანხმებაა ბრუნვასა და რიცხვში: უდაბურ-ნი ტყენ-ი.

**მართული** ანუ **სუბსტანტიურია განსაზღვრება**, რომელიც არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის გადმოცემული (უთანდებულოდ) და აღნიშნავს **კუთვნილებას, მასალას ან დანიშნულებას**: მეგობრის ნიგნი, აგურის სახლი, ოქროს ბეჭედი.

მაგ., **საქართველოს** ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის (*ლ. ასათიანი*).

მეც შენებრ ვემონებოდი

**თბილისის** ცას და ღამეებს ზღაპრულს (*ლ. ასათიანი*).

შესაძლებელია, რომ მართული მსაზღვრელი იდგეს **თანან** მრავლობითში:

**ქართა** სტვენას და ძახილს

ენმაურება ცის ქვეშ

ეს პანანინა სახლი (*ა. კალანდაძე*).

მართული განსაზღვრება, რომელიც საზღვრულის წინ დგას, არ იცვლება: მუხის სახლი, მუხის სახლმა, მუხის სახლს და ა. შ. თუ ასეთი განსაზღვრება საზღვრულის შემდეგაა (ან უსწრებს საზღვრულს, მაგრამ გათიშულია), გავრცობილია და დაირთავს ბრუნვის ნიშნებს **მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში** (კიბე ქვისა, კიბე-მ ქვისა-მ, კიბე-ს ქვისა-ს, კიბე-ვ ქვისა-ვ; **მუხისას** დავაგებ **იატაკს...** ).

ტოტებს **ქარისას** გადაჰყვა მარტი (*გ. ტაბიძე*)

ცად აიშლება გუნდი **ყორანთა** (*ა. კალანდაძე*).

**ნათესაობითი** დასმული **განსაზღვრება** და უთანდებულო **უბრალო დამატება** გარეგნულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. რომ გავიგოთ, ასეთი სახელი განსაზღვრებაა თუ უბრალო დამატება, უნდა გამოვარკვიოთ, სახელს ახლავს ის თუ სახელზმნას: სახელთან შეწყობისას გამოხატავს **კუთვნილებას** (მონადირის სახლი), **მასალას** (ხის სახლი) ან **დანიშნულებას**

(სუფრის კოვზი) და განსაზღვრებაა, სახელზმნასთან შეწყობისას კი გამოხატავს **მოქმედ საგანს** (მონადირის მოკლული დათვი) ან **სამოქმედოს** (დათვის მოკვლა) და **უბრალო დამატებაა**.

### 3.4.6. გარემოება

**გარემოება** ჰქვია წინადადების არამთავარ წევრს, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს და გვიჩვენებს, თუ **სად, როდის, როგორ, რატომ** ან **რისთვის** ხდება მოქმედება. მაგალითად, **იქ** არის ადგილის ზმნიზედა, წინადადებაში კი — გარემოება, შეეწყობა ზმნის პირიანსა და უპირო ფორმებს: იქ წავიდა, იქ წასვლა, იქ წასული.

იშვიათად გარემოება შეიძლება ახლდეს ზედსართავი სახელითა და ზმნიზედით გადმოცემულ წევრებს: ოდნავ წითელი, ძალიან შორს.

გარემოების სახეებია: **ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა**.

ყველა სახის გარემოება გადმოიცემა **ზმნიზედითა** და **ბრუნებადი სიტყვით** (სახელით ან სახელზმნით).

**1. ადგილის გარემოება** აღნიშნავს მოქმედების ადგილს. მისი კითხვებია: **სად? საითკენ? საიდან? სადამდე?**

ადგილის გარემოება გადმოიცემა:

**ადგილის ზმნიზედით** (აქ, იქ, იქით, აქედან, გარეთ, წინ, ახლოს, შორს, ქვევით, ზევით, შინ, უკან, გაღმა, მარჯვნივ, მარცხნივ, არსად, ვერსად):

**სახელის** უთანდებულ თუ თანდებულისანი ფორმებით (სახლში, მთაში, გურიაში, მოედანზე, ზღვაზე, გაჩერებაზე, სოფლისკენ, ბუხართან, მთებს შორის, მთის გადაღმა, მინდვრიდან, ქალაქამდე). მაგ.:

მესმის **ყანებში** გადაბმული გრძელი ნაღური (*ტ. ტაბიძე*);

**საქართველოში** შენს გარდა მგოსანს

დღეს ქების შაირს არ ვეტყვი, არა (*ლ. ასათიანი*).

როგორ გვიყვარდა **შავი ზღვის პირას**,  
გასეირნება და ხეტიალი *(ლ. ასათიანი)*.

სველ **გზებზე** ნაბლის და იფნის  
და მუხის ფოთლები ყრია *(ა. კალანდაძე)*.

სახელი ადგილის გარემოების გადმოსაცემად შეიძლება იდგეს **ოთხ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში**. ნათესაობითში იგი მუდამ თანდებულიანია, სხვა ბრუნვებში გვხვდება უთანდებულო ფორმებიც.

**2. დროის გარემოება** აღნიშნავს, თუ როდის ხდება მოქმედება. მისი კითხვებია: **როდის? რამდენ ხანს? რა დროიდან? როდემდე? (რა დრომდე?)** დროის გარემოება გადმოიცემა:

**დროის ზმნიზებით** (ახლა, გუშინ, ხვალ, ზეგ, ნუხელ, ახლახან, ადრე, წინათ, შარშან, არასოდეს, ვერასოდეს);

**სახელითა და სახელზმნით** (საწყისით) (დღეს, წელს, კვირას, ნაშუადღევს, შუადღისას, ძველად, ხშირად, დღისით, ღამით, ზამთრობით, ზაფხულში, ნახვისთანავე, ყოველთვის, დღესდღეობით, დილიდან, სალამომდე, დაღამებამდე, სიკვდილამდე). მაგ.:

**ძველად** აქ ჯარებს უხმობდნენ  
დაფდაფითა და ბუკითა *(ლ. ასათიანი)*.

სვამ და **ვერასდროს** ვერ იკლავ წყურვილს *(ა. კალანდაძე)*.

სახელი დროის გარემოების გადმოსაცემად შეიძლება იდგეს **ოთხ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში** (თანდებულიანი ან უთანდებულო ფორმები).

**3. ვითარების გარემოება** აღნიშნავს, თუ როგორ ხდება მოქმედება. მისი კითხვებია: **როგორ? რანაირად? რამდენად? რამდენჯერ? რამდენგზის? მერამდენედ?**

ვითარების გარემოება ახლავს არა მარტო ზმნას (პირიანსა თუ უპიროს), არამედ ზედსართავ სახელსა და ზმნიზებასაც: ძალიან კარგი, ოდნავ წითელი, მეტად შორს, უფრო მაღლა...

ვითარების გარემოება გადმოიცემა: **ზმნიზელით** (ნელა, ჩქარა, ნელ-ნელა, ოდნავ, ასე, ისე, ხმამაღლა, რამდენჯერმე);

**სახელით, სახელზმნით** (ავად, კარგად, ლამაზად, უეცრად, ამნაირად, იმნაირად, ნაკუნ-ნაკუნ, ჯგუფ-ჯგუფად, ცეკვა-ცეკვით, სიმღერით, გიჟივით). მაგ.:

მიმატოვე და **მალულად**  
ახლა ველარ გხვდები (ლ. ასათიანი).

ისე მტკიცე იყვნენ, თურმე, **ვით მეტეხის კედელი** (ლ. ასათიანი).

ვარდთ რომ დათოვეს მიწა ყამირი,  
**ბალებრ** ტიროდა თურმე ნიზამი (ა. კალანდაძე).

ვითარების გარემოების გადმოსაცემად გამოყენებულია **სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი** ბრუნვები, მაგრამ ყველაზე ხშირად **ვითარებითი** ბრუნვა.

**4. მიზეზის გარემოება** გამოხატავს მოქმედების გამომწვევ მიზეზს. იგი ახლავს ზმნა-შემასმენელს ან სახელზმნით გადმოცემულ წინადადების წევრს. მისი კითხვებია: **რატომ? რის გამო? რა მიზეზით?**

მიზეზის გარემოება გადმოიცემა:

**მიზეზის ზმნიზელით** (ამიტომ, მაგიტომ, ამიტომაც, რატომღაც);

**სახელით** (საწყისით), რომელიც დგას **ნათესაობითში** ან **მოქმედებითში**; ნათესაობითის ფორმას დაერთვის **გამო** ან **-გან** თანდებული, ზოგჯერ სიტყვები — **წყალობით, გამოისობით, მეოხებით**; მოქმედებითის ფორმა უთანდებულოა (ტკივილისგან, სიზარმაცისგან, შიმშილისგან, ავადმყოფობის გამო, მუშაობის წყალობით; შიშით).

**5. მიზნის გარემოება** გამოხატავს მოქმედების მიზანს. მისი კითხვებია: **რისთვის? რა მიზნით?** ახლავს ზმნა-შემასმენელს ან სახელზმნით გადმოცემულ წევრს: სანადიროდ წავიდა, სანადიროდ წასვლა, სანადიროდ წასული.

მიზნით გარემოების გადმოსაცემად გამოყენებულია ორი ბრუნვა: **ნათესაობითი** და **ვითარებითი**.

არსებითი სახელისა და სახელზმნის **ნათესაობითის** ფორმას მიზნის გარემოების გადმოსაცემად დაერთვის **-თვის** თანდებული (იშვიათად — **გულისთვის**); უფრო ხშირად კი გადმოიცემა მომავალი დროის **მიმღობის** ან **სა — ო** კონფიქსით ნაწარმოები სახელის **ვითარებითი** ბრუნვის ფორმით (გასაკეთებლად, შესამკობლად, სანახავად, დასახვედრად, სამუშაოდ, სავაჭროდ, სამოგზაუროდ და სხვ.). მაგ.: პატარა ბიჭი გაიქცა მამის **დასაძახებლად**.

და საქართველოს მტრების **სარბევად**  
უხმობს უშიშარ ქართველ ვაჟკაცებს (*ლ. ასათიანი*).

ქართულთა ხატთა  
**შესამკობელად**  
ჩქარობენ გელათს  
ბეშქენ და ბეჟა (*ა. კალანდაძე*).

### 3.5. წინადადების სახეები აგებულების მიხედვით

აგებულების მიხედვით წინადადება სამგვარია: **მარტივი**, **შერწყმული** და **რთული**.

- **მარტივია** წინადადება, თუ იგი გადმოცემულია ერთი ან რამდენიმე სიტყვით, რომლებშიც არ შედის ერთგვარი წევრები.

მაგ.: ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი  
(*პ. იაშვილი*).

ლურჯ მწვერვალებს  
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა (*ა. კალანდაძე*).

- **შერწყმულია** წინადადება, თუ ის შეიცავს ორ ან მეტ ერთგვარ წევრს.

შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა  
და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა (*პ. იაშვილი*).

- **რთულია** წინადადება, თუ იგი შედგება ორი ან მეტი მარტივისა თუ შერწყმული წინადადებისაგან. ის ორგვარია: რთული თანწყობილი და რთული ქვენწყობილი.

- ✓ **რთული თანწყობილი** წინადადებებია:
 

წუთით იგრძნო მშობლის სევდა (1),  
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს? (2)  
*(ა. კალანდაძე).*

თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა (1)  
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ (2)  
*(ა. კალანდაძე).*
- ✓ **რთული ქვეწყობილია** წინადადებები:
 

ჩემთვის დღესავით არის ნათელი (1),  
რას იტყვის ჩემზე შტამომავლობა (2) *(გ. ტაბიძე).*

ასეთი დარი თუ იყო მაშინ (1),  
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა? (2) *(ა. კალანდაძე)*

### 3.5.1. მარტივი წინადადების ტიპები

მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში ზმნა-შემასმენელი განსაზღვრავს: ერთპირიან ზმნასთან ქვემდებარეა წარმოდგენილი, ორპირიანთან — ქვემდებარე და დამატება-ობიექტი (გარდამავალთან — პირდაპირი, გარდაუვალთან — ირიბი), სამპირიანთან — ქვემდებარე და ორივე დამატება. გარდა ამისა, ზმნა-შემასმენელთან ზოგჯერ ქვემდებარე არ არის და ასეთად ვერც ვიგულისხმებთ რომელიმე სახელს, მაშინ წინადადებაში მარტო ერთი მთავარი წევრია.

მაშასადამე, ქართული მარტივი წინადადება მთავარ წევრთა მიხედვით ოთხგვარია: **ერთ-, ორ-, სამ-** და **ოთხმთავარწევრიანი**.

- **ერთმთავარწევრიანი:** გუშინ წვიმდა; მოულოდნელად აცივდა.
- **ორმთავარწევრიანი:** ბავშვი დარბის ეზოში.
- **სამმთავარწევრიანი:** გოგონამ გემრიელი ნამცხვარი იყიდა.

- **ოთხმთავარწვერიანი:** დეიდამ პატარა დისშვილს ლამაზი სათამაშო აჩუქა.

მარტივი წინადადება ან **გაუვრცობელი**, ან **გავრცობილი**.

**გაუვრცობელი** მარტივი წინადადება, რომელიც მხოლოდ მთავარ წევრებს შეიცავს:

- ცხელოდა.
- ქარი ქრის.
- სიო არხევდა ფოთლებს.
- ტყეს ჩრდილი მოეფინა.
- ვერხვი მუხას გადახვევს მკლავებს.

**გავრცობილი** წინადადება, რომელშიც მოიპოვება ერთი ან მეტი არამთავარი წევრი:

- გუშინ ძალიან ცხელოდა.
- დღეს დილიდან ძლიერი ქარი ქრის.
- ნელი სიო ნაზად არხევდა ფოთლებს.
- უღრან ტყეს ჩრდილი უცებ მოეფინა.
- მაღალი ვერხვი მუხას გადახვევს მძლავრ მკლავებს.

მარტივი წინადადება შეიძლება იყოს **სრული**, ან **უსრული**.

წინადადება **სრული**, თუ გამოტოვებულად არ იგულისხმება რომელიმე წევრი. მაგ., ეზოში მაღალი ფიჭვის ხე იდგა; ბაღში იასამნის სურნელი იგრძნობა.

წინადადება **უსრული**, თუ გამოტოვებულად იგულისხმება ერთი ან რამდენიმე წევრი, რომელთა აღდგენაც ადვილად შეიძლება წინა ნათქვამის ან კონტექსტის მიხედვით.

უსრული წინადადება ხშირად გვხვდება დიალოგებში **კითხვა-მიგების** დროს:

- ყველაფერი მოიტანა დედამ მალაზიიდან?
- კი, მოიტანა.

მეორე წინადადება (მოიტანა) უსრულია, რადგან არ ჩანს ქვემდებარე, რომელიც იგულისხმება დიალოგის წინა კითხვის მიხედვით.

**უქვემდებაროა** წინადადება, რომლის შემასმენელთანაც ქვემდებარე არ არის და არც გამოტოვებულად იგულისხმება.

უქვემდებარო წინადადების ზმნა-შემასმენელი ხშირად აღნიშნავს **ბუნების მოვლენებს** და იხმარება მხოლოდითი რიცხვის მე-3 სუბიექტური პირის ფორმით. მაგ.: **წვიმს**. კვლავ გადაუღებლივ **თოვდა**. ძალიან **აცვიდა**. გარეთ უკვე **ბნელა**. ნაადრევად **დაგვიზამთრდა**.

უქვემდებაროდ ხშირად იხმარება **ჯანმრთელობის მდგომარეობის** გამოხატველი ზმნა-შემასმენლები: მაციებს, მაკანკალებს, მაზმორებს, ცხვირს მაცემინებს.

ორპირიანმა თუ სამპირიანმა ზმნა-შემასმენელმა შეიძლება დაკარგოს **სუბიექტური პირის** გაგება და უქვემდებაროდ გამოიყენებოდეს (მაჟრჟოლებს, მათრთოლებს...).

**შენიშვნა:** ზოგიერთ უქვემდებარო ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე არ გამოიყენება. მაგ., თოვს და წვიმს, ჩვეულებრივ, უსუბიექტო ზმნებია, მაგრამ იშვიათად გამოიყენება სუბიექტურ პირთან ერთად: თოვლი **თოვს**, ჯიხვი ფეხს უცემს (*ვაჟა-ფშაველა*).

- ზმნა-შემასმენელმა შეიძლება დაკარგოს **დამატებაც**: დღემ **იკლო**, ღამე გადიდა (*ვაჟა-ფშაველა*). ეს წინადადება უდამატებოა (**იკლო** ზმნასთან არ დგას ფორმით სავარაუდო ობიექტი).
- უდამატებოა შემდეგი ზმნა-შემასმენელიც: ღამემ **იმატა**. აქ დაკარგულია პირდაპირი დამატება.
- სამპირიანმა ზმნა-შემასმენელმა შეიძლება დაკარგოს **ორივე დამატება**. მაგ.: ყინვამ მოუჭირა; ზმნა „მოუჭირა“

სამპირიანია (მან მას ის), მაგრამ დასახელებულ წინადადებაში მასთან მხოლოდ ქვემდებარე (ყინვამ) იგულისხმება.

**სახელდებითა** წინადადება, რომელშიც შემასმენელი არაა (და არც იგულისხმება), მხოლოდ საგანი ან მოვლენაა დასახელებული სახელობითი ბრუნვის ფორმით. მას შეიძლება ახლდეს შეთანხმებული ან მართული მსაზღვრელი. ამ ტიპის წინადადება უმეტესად გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში ბუნების სურათების ან სხვადასხვა მოვლენის აღწერისას.

მაგ.: მელიქიშვილის გამზირი,

ია, ვარდი და ბზა... *(მ. ლეზანიძე)*.

დედის ძუძუ მეორე,

სიყვარული პირველი,

ჩვენს აკვანს შემომფუძარი

მგალობელი ფრინველი *(გ. ლეონიძე)*.

მინდვრები, ქართლის მინდვრები,

ქედები მხარგაშლილები... *(ა. კალანდიაძე)*.

ფარანი, ქუჩა და აფთიაქი,

ყვითელი შუქი გულგამბზარავი *(ალ. ბლოკი)*.

ამ მხრივ საინტერესოა ნოე ზომლეთელის (ქურიძის) ლექსი „საქართველო (მოზაიკური სურათი)“, რომელიც მთლიანად სახელდებითი წინადადებებითაა დაწერილი (მოგვყავს ლექსის შუა ორი სტროფი):

ფეტვი და ხორბალი. დიკა და შვრია.

სიმინდი. ლობიო. ლომი და ჭვავი.

ვაშლი და კუნელი. მსხალი და ბია.

ყურძენი. მაცვალი. მოცვი და წყავი.

მთვარიან ღამეში შარაზე ურმული.

გუთნური — გუთანზე. ორველა — კალოზე.

გარუჯულ სახეზე კაეშნის ჯურღმული.

კაეშნით სიმღერა სევდიან კილოზე.

სახელდებით წინადადებად მიიჩნევენ წიგნის, ლექსის, მოთხრობის სათაურს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახელს.

მაგ.: „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „გამზრდელი“, „თავსაფრიანი დედაკაცი“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.

### 3.5.2. შერწყმული წინადადება

**შერწყმულია** წინადადება, რომელშიც მოიპოვება ერთ საერთო წევრთან დაკავშირებული ორი ან ორზე მეტი ერთგვარი წევრი: რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან, რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან, რამდენიმე ერთი შინაარსის დამატება, რამდენიმე განსაზღვრება და გარემოება ერთ საერთო წევრთან.

ამის მიხედვით შერწყმული წინადადება შეიძლება იყოს: **ერთგვარქვემდებარეებიანი, ერთგვარდამატებებიანი, ერთგვარგანსაზღვრებებიანი, ერთგვარგარემოებებიანი.**

- **ერთგვარი ქვემდებარეები:** ამ გრძნობის განადგურებას ვერ შეძლებს ვერც **უარი**, ვერც **დანაკარგი** – და ვერც **ეგოიზმი**.
- **ერთგვარი შემასმენლები:**  
მაღალ გრძნობით თუმც არავის არ **ახარებ**  
და წამიერ სიტკბობას საუკუნოდ **წამწარებ**  
(ა. წერეთელი).  
მღუმარებით შემოსილი შელამების ქმნარი  
ქროლვით **ინვეს** ცისფერ ლანდებს და ხეებში **აქსოვს**.  
(გ. ტაბიძე)
- **ერთგვარი პირდაპირი დამატებები:**  
მე შენ გაჩუქებ **იებს** და **ვარდებს**.
- **ერთგვარი ირიბი დამატებები:**  
**მთებს** და **ველებს** დასთამაშებს  
გაზაფხულის მწვანე თვალი (გ. ლეონიძე).

შერწყმული წინადადება შეიძლება იყოს **შერეული** (ნარევი) სახისაც, როცა მასში ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა სახის ერთგვარი წევრი შედის. ამ ტიპისაა შერწყმული წინადადება: **შრომა და სიყვარული** აძლევს **შნოსა და ლაზათს** ადამიანის სიცოცხლეს (*ვაჟა-ფშაველა*). აქ ერთ შემასმენელთან დაკავშირებულია ორი ქვემდებარე (შრომა და სიყვარული) და ორი პირდაპირი დამატება (შნოსა და ლაზათს).

### **ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი**

როცა წინადადებაში ორზე მეტი ერთგვარი წევრია, შეერთება შეიძლება იყოს ორგვარი: **კავშირიანი** და **უკავშირო.**

უკავშიროდ შეერთებულ ერთგვარ წევრებს შორის მძიმე დაისმის.

**უკავშიროა** შეერთება შემდეგ წინადადებაში:

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში **დავატარებ,**

არ **ვუმულავნებ** ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ **ვაკარებ** (*გ. ტაბიძე*).

### **ერთგვარ წევრთა კავშირიანი შეერთება**

ერთგვარ წევრთა შესაერთებლად შერწყმულ წინადადებაში გამოყენებულია **მაერთებელი კავშირები**:

**მაჯგუფებელი:** და, თუ (და-ს მნიშვნელობით); **მაპირისპირებელი:** მაგრამ, ხოლო, კი; **მაცალკევებელი:** ხან — ხან, ან — ან, გინდ — გინდ, თუნდ — თუნდ (კავშირების შესახებ დანვრილებით იხ. წინ).

მაგალითად, **მაჯგუფებელკავშირიანი** წინადადებათა:

მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს და სითბოში მთა-ბარს ახვევს (*გ. ტაბიძე*).

ავი ძალღი **არც** თვითონ ჭამს, **არც** სხვას აჭმევს (*ანდაზა*).

წინადადება **მაპირისპირებელკავშირიანია**:

ხევში მობუბუნებდა მდინარე, **მაგრამ** მთების სათქმელს არ ამბობდა (*ო. იოსელიანი*).

წინადადება **მაცალკეველკავშირიანია**:

ტალღებში **ხან** იკარგებოდა, **ხან** გამოჩნდებოდა ვილაცის თავი (გ. *რჩეულიშვილი*).

### 3.5.3. რთული წინადადება

**რთულია** წინადადება, რომელიც შედგება ორი ან ორზე მეტი მარტივი ან შერწყმული წინადადებისგან. ის ორგვარია: **რთული თანწყობილი** და **რთული ქვენწყობილი**.

რთულ წინადადებას, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ თანასწორი წინადადებებისაგან, **რთული თანწყობილი** წინადადება ჰქვია.

მაგ.: ეს შელამება ნათელს დამათოვს (1),

მტკვარიც დაანთებს ნათელ ხარებას (2) (გ. *ტაბიძე*).

მთებზე ფიქრები ნისლივით ყრია (1),

ამ სიმყუდროვეს ვარღვევ ბლავილით (2) (გ. *ხარხელაური*).

რთულ წინადადებას, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ არათანასწორი წინადადებებისაგან (ერთი წინადადება ზემდგომია, მეორე კი — მასზე დაქვემდებარებული), **რთული ქვენწყობილი** წინადადება ეწოდება.

მაგ.: აღარ მესმის (1), რას ჩურჩულებს

ფოთოლი ვერხვის (2) (გ. *ხარხელაური*).

როცა შენს სახეს ცრემლებით ვხატავ (1),

მზე ცერზე მიზის როგორც მიმინო (2) (გ. *ხარხელაური*).

### **რთულ წინადადებათა შეერთების საშუალებანი**

რთული წინადადება შეერთების საშუალების მიხედვით ორგვარია: **კავშირიანი** და **უკავშირო**.

უკავშირო რთული წინადადების ნაწილთა შეერთების საშუალებაა ინტონაცია, კავშირიანისა კი — საგანგებო სიტყვები, რომელთაც **საკავშირებელი სიტყვები** ჰქვია.

**რთულ თანწყობილ** წინადადებაში გამოყენებულია **მაერთებელი** კავშირები, **რთულ ქვენწყობილში** — **მაქვემდებარებელი** კავშირები და **მიმართებითი** სიტყვები (მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები). კავშირი რთული წინადადების კომპონენტთა შეერთებისა და მათ შორის გარკვეული მიმართების დამყარების საშუალებაა, მიმართებითი სიტყვები კი წინადადების ამა თუ იმ წევრსაც გადმოსცემენ, ე. ი. **წევრ-კავშირებია**.

### 3.5.3.1. რთული თანწყობილი წინადადება

როგორც უკვე ითქვა, რთულ წინადადებას, რომელიც ერთიმეორის მიმართ თანასწორი წინადადებებისაგან შედგება, **რთული თანწყობილი** წინადადება ჰქვია.

რთული თანწყობილი წინადადების კომპონენტები ერთმანეთს უკავშირდება **უკავშიროდ** ან **მაერთებელი** (მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი ან მაცალკეებელი) კავშირებით.

• **უკავშირო** შეერთების დროს ზმნა-შემასმენლებით შეიძლება გამოიხატოს **ერთდროული** ან **თანამიმდევრული** მოვლენები, მოვლენათა **მიზეზ-შედეგობრიობა** ან **დაპირისპირება**.

✓ **ერთდროული** მოვლენებია გადმოცემული: გარეთ ქარიანი დღეა (1), თან ქარია (2), თან წვიმს (3), წვიმაში თოვლსაც ურევს (4) (*რ. ინანიშვილი*).

გამოჩნდა მისა ჩუმი და სველი (1), ფოთოლზე ფოთლის დაცურდა ლანდი (2) (*ო. ჭილაძე*).

იმ ლამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა ნყნარად რიონი (1), თურმე იმ ლამით დაიბადა გალაკტიონი (2) (*შ. ნიშნიანიძე*).

✓ **თანამიმდევრული** მოვლენებია გადმოცემული: ნუხელ ჯერ ქექა-ქუხილი ატყდა (1), მერე კოკისპირული წვიმა წამოვიდა (2) (*გ. ჩოხელი*).

- რთული თანწყობილი წინადადება კავშირიანია:

იმ ღამეს არაგვს შეშა გამოერიყა (1) და მთელი სოფელი  
ჭალაზე იყო მოფენილი (2) (გ. ჩოხელი).

თანდათან ქრება იმედის სითბო (1) და სიკვდილამდე მაინც  
ღვივის მისი ნაპერწკლები ადამიანის სულში (2)  
(გ. ჩოხელი).

დღეები რბიან (1) და მე ვბერდები (2)! (გ. ტაბიძე)

უსიყვარულოდ არ არსებობს

**არც** სილამაზე (1),

**არც** უკვდავება არ არსებობს

უსიყვარულოდ (2) (გ. ტაბიძე)

### 3.5.3.2. რთული ქვენყობილი წინადადება

**რთულ ქვენყობილ წინადადებაში** დამოკიდებული  
წინადადება სხვადასხვა ფუნქციისაა.

დამოკიდებული წინადადებების სახელწოდებები  
წინადადების წევრთა სახელებისაგან არის ნაწარმოები:  
**ქვემდებარული, დამატებითი** (სხვადასხვა სახისა),  
**განსაზღვრებითი** და **გარემოებითი** (ადგილისა, დროისა,  
ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა).

მოგვეპოვება სხვა სახის დამოკიდებული წინადადებებიც:  
**პირობითი, დათმობითი, შედეგობითი** და **მთავრის მიმართ**  
დამოკიდებული წინადადებები.

დამოკიდებული წინადადების სახეს უმეტეს შემთხვევაში  
ვარკვევთ კითხვის დასმით, ასევე მისათითებელ სიტყვაზე  
დაკვირვებით: რა წევრიც არის კითხვითი (და მისათითებელი)  
სიტყვა, მისი შესაბამისია დამოკიდებული წინადადებაც. ასე,  
მაგალითად, თუ კითხვითი (და მისათითებელი) სიტყვა  
ქვემდებარეა, დამოკიდებული წინადადება ქვემდებარული იქნება,  
თუ დამატებია, დამატებითი და ა.შ.

**1. ქვემდებარულია დამოკიდებული** წინადადება, რომელიც  
მიუგებს ქვემდებარის კითხვაზე და აზუსტებს მთავარ  
წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ ან ნაგულისხმებ  
ქვემდებარეს. მისათითებელი ნაცვალსახელიცა და კითხვებიც

**(ვინ? რა?)** დადგება ქვემდებარის ერთ-ერთ ბრუნვაში. დამოკიდებულს მთავარ წინადადებასთან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირები: **რომ, თუ** და მიმართებითი ნაცვალსახელები: **ვინც, რაც**.

მაგ.: მკვდრად იგი თქმულა, **ვისაც** აქ სახელი არ დარჩენია (*ი. ჭავჭავაძე*).

მოხდა **ის, რაც** დიდი ხნიდან იყო მოსალოდნელი.

ფანჯრიდან კარგად ჩანდა, **თუ** როგორ ათოვდა დანგრეულ ქოხს.

**2. დამატებითა დამოკიდებული** წინადადება, რომელიც უპასუხებს დამატების კითხვაზე. იგი ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელით გამოხატულ ან ნაგულისხმებ დამატებას: **პირდაპირს, ირიბს** ან **უბრალოს**. ამის შესაბამისად, დამატებითი დამოკიდებული წინადადება სამი სახისაა: **პირდაპირ-, ირიბ-** და **უბრალოდამატებითი**.

საკავშირებელი სიტყვები იგივეა, რაც ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში: **ვინც, რაც, რომ, თუ**. პირდაპირდამატებით ქვეწყობილ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელი და კითხვითი სიტყვა იქნება **მიცემითში** ან **სახელობითში**, ირიბდამატებითში — **მიცემითში**, უბრალოდამატებითში — **უბრალოდამატების ერთ-ერთ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითში ან ვითარებითში** (თანდებულის დართვით ან უთანდებულოდ).

✓ **პირდაპირდამატებითი** დამოკიდებული წინადადებაა: აუცილებლად უნდა დაისაჯოს **ის, ვინც** ქვეყნის წინააღმდეგ ნაბიჯი გადადგა;

ადიდეს **ის, ვინც** ქვეყანას თავი შესწირა.

და მაშინ ვიგრძენ, **რომ** მშვენი მისებრ ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა (*ი. ჭავჭავაძე*).

✓ **ირიბდამატებითი** დამოკიდებული წინადადებაა:

მე ეხლა მივხვდი, **რომ** სიყვარული უკვე სიმღერად გადაქცეულა (*გ. ლეონიძე*).

**ყველას** სამარე მოგველის, **ვინც** დედის მუცლით შობილა (*ვაჟა-ფშაველა*).

✓ **უბრალოდამატებითი** დამოკიდებული წინადადებაა:

ბოროტი იმით სულდგმულობს, რომ სხვას სამარეს უთხრის. ყველა დარწმუნდა, რომ ერისთავის ლაშქარს ომის გაგრძელება აღარ შეეძლო.

**3. განსაზღვრებითა დამოკიდებული** წინადადება, რომელიც მიემართება არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს და უპასუხებს კითხვებზე: **რომელი? როგორი? რანაირი?** საზღვრულ არსებით სახელს განსაზღვრებად შეიძლება ახლდეს **ჩვენებითი ნაცვალსახელი**, რომლის მნიშვნელობასაც განმარტავს და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. მას მთავარ წინადადებასთან აერთებს **რომ** კავშირი და მიმართებითი სიტყვები: მიმართებითი ნაცვალსახელები (**ვინც, რაც, რომელიც, როგორიც**) და მიმართებითი ზმნიშედები (**სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც...**).

მაგ.: ოთახში შემოვიდა მოხუცი კაცი, **რომელიც** წელი ნაბიჯით მიუახლოვდა ძიძიას (*ალ. ყაზბეგი*).

**იმ** ქალს, **რომელსაც** უცნაურად ლამაზი თვალები ჰქონდა, ახლა სრულებით ვერ ვამჩნევდი.

ახალგაზრდები მიჰყვებოდნენ გზას, **რომელსაც** ნაპირებზე თელები ჩაუდიოდა.

**ისეთი** სიჩუმე ჩამოვარდა, **რომ** დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი (*ი. გოგებაშვილი*).

ყოველ წელიწადს **იმდენი** ყვავილი ამოდის დედამიწაზე, **რამდენი** ადამიანიც არის იმ წელიწადს შეყვარებული (*გ. ჩოხელი*).

**როგორი** ავთანდილიც შენ იყავი, მეც **იმისთანა** შერმადინობა გაგინიე (*ი. ჭავჭავაძე*).

**4. გარემოებითი დამოკიდებული** წინადადება მრავალგვარია. მათი უმეტესობა ერთ-ერთი გარემოების შინაარსისაა: **ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა**.

**ა. ადგილის გარემოებითა** დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედების ადგილს.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მიუგებს კითხვებზე: **სად? საიდან? საით? საითკენ? სადამდე?** მთავარ წინადადებაში, ჩვეულებრივ, მოიპოვება მისათითებელი ადგილის ზმნიზედა, რომლის მნიშვნელობასაც ის ხსნის და აზუსტებს. მთავარ წინადადებასთან აერთებს მიმართებითი ზმნიზედები (**სადაც, საითკენაც, საიდანაც**), იშვიათად — **რომ** კავშირიც.

მაგ.: **იქ, სადაც** დუმან პირამიდები, მზის ქორწილის დროს მე დავწვები მზისფერ სილაზე (*პ. იაშვილი*).

ჩვენ გამართლებული უფლება გვაქვს ვიფრინოთ **იქით, საითაც** გვინდა (*თარგმ.*).

ჩვენ ინსტიქტურად მივდიოდით **იქით, სადაც** დედა გვეგულებოდა.

**საითაც** წავალ, **იქით** მოვკვდები (*ე. გოჩიაშვილი*).

**შენიშვნა:** თუ **სადაც, საიდანაც, საითკენაც** არსებით სახელს მიემართება, დამოკიდებული წინადადება **განსაზღვრებითა** და არა ადგილის გარემოებითი: „**ბაღს, სადაც** ჩვენი ვარდი იდგა, ნელ-ნელა ჩრდილი მოეფინა“ (*ირ. ევდოშვილი*).

**ბ. დროის გარემოებითა** დამოკიდებული წინადადება, რომელიც აღნიშნავს, როდის ხდება მთავარი წინადადების ზმნით (შემასმენლით) გამოხატული მოქმედება. მოგვიგებს კითხვებზე: **როდის? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს?** მთავართან აერთებს: **როდესაც (როცა), რომ, სანამ, რა, თუ არა, რანამს, როგორც კი, რაკი, ვიდრე...** მთავარში შეიძლება იყოს დროის ზმნიზედა, რომლის მნიშვნელობასაც ხსნის და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება მისათითებელი სიტყვით (მაშინ, მაშინვე, მანამ).

მაგ.: ახლა, **როცა** ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება (*გ. ტაბიძე*).

**როცა** გზაზე ადამიანები ხშირად აღარ დადიან, გზამაც მოწყენა იცის (*გ. ჩოხელი*).

**როდესაც** თამარი ტიროდა, უსულო საგნებიც ბანს ეუბნებოდნენ.

ურემი **რომ** გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო (ანდაზა).

თუ საკავშირებელი მიმართებითი ზმნიზედა (**როდესაც, როცა...**) არსებით სახელს მიემართება, დამოკიდებული წინადადება **განსაზღვრებითა** (და არა დროის გარემოებითი): არის ხოლმე ისეთი წუთები, **როდესაც** სიტყვას ადგილი აღარ აქვს კაცის ცხოვრებაში (*ალ. ყაზბეგი*). კითხვაც განსაზღვრებისა დაესმის: **როგორი** წუთები?

**გ. ვითარების გარემოებითა** დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს, როგორ ხდება მოქმედება მთავარ წინადადებაში. მოგვიგებს კითხვებზე: **როგორ? რანაირად? რამდენად? რამდენჯერ?** მთავარ წინადადებასთან აერთებს: **რომ, როგორც, თითქოს, რამდენადაც, რამდენჯერაც, ვითომც...** მთავარ წინადადებაში მისათითებლად შეიძლება იყოს: **ისე, იმდენად, იმდენჯერ...**

ზოგიერთი ამ ტიპის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება **შედარებას** გამოხატავს. ამ ტიპის წინადადებაში ზოგჯერ გამოტოვებულია შემასმენელი, რომელიც ადვილად იგულისხმება მთავარი წინადადების შემასმენლის მიხედვით.

ცა **ისეა** შეუმკრთალი, **რომ** ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი (*გ. ტაბიძე*).

დაუკარით! და იმღერეთ **ისე** მაგრად, **რომ** ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს! (*ლ. ასათიანი*)

ორლობის ღობეები... სქლად დადებულ თოვლ-ქვეშ **ისე** სჩანდა, **თითქო** თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამაო (*ი. ჭავჭავაძე*).

**დ. მიზეზის გარემოებითა** დამოკიდებული წინადადება, რომელიც გამოხატავს იმის გამომწვევ მიზეზს, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი. მოგვიგებს კითხვებზე: **რატომ? რის გამო?** მთავართან აერთებს: **რომ, იმიტომ (იმიტომ რომ), რადგანაც, ვინაიდან, რაკი.**

**რადგან** მთელ სიცოცხლეში არვინ არ მყვარებია,

მე მიყვარს საფრანგეთი, ალპები, იტალია! (*გ. ტაბიძე*)

**რადგან** სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ (ლ. ასათიანი).

გმორდები, **რადგან** მომენატრა შეხვედრა შენთან (მ. მაჭავარიანი).

**რაკი** ვაჟმა დაივინყა თავის ვალი, ქალიც ასე მოიქცევა? (გ. ტაბიძე).

მთავარ წინადადებაში მისათითებლად შეიძლება იყოს ერთ-ერთი ამათგანი: **იმიტომ, ამიტომ, იმის გამო, ამის გამო.**

მაგ.: მხოლოდ **იმიტომ, რომ** მალაღია,

მარად და მარად ტყდება ჩინარი (გ. ტაბიძე).

**ე. მიზნის გარემოებითა** დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების მიზანს. მოგვიგებს კითხვებზე: **რისთვის? რა მიზნით?** მთავართან აერთებს კავშირები: **რომ, რათა.**

საზოგადოება ყოველ ძალასა და ღონეს ხარჯავს, **რათა** ადამიანი ძირს დაანარცხოს მალალ საფეხურიდან (გ. ტაბიძე).

მთავარში მისათითებელ სიტყვებად შეიძლება იყოს ზმნიზედები: **მისთვის და იმისთვის.**

მაგ.: **იმისათვის, რომ** შეენიღბა მთავარი სათქმელი, გალაკტიონი ლექსებს თარიღებს უცვლიდა.

## **სხვა სახის დამოკიდებული წინადადებები**

გარდა ჩამოთვლილი სახეობებისა, გამოიყოფა რამდენიმე სხვა სახის დამოკიდებული წინადადებაც: შედეგობითი, პირობითი, დათმობითი და მთავრის მიმართი.

**1. შედეგობითი დამოკიდებული** წინადადება, რომელიც გვიჩვენებს იმის შედეგს, რაზედაც ლაპარაკია მთავარ წინადადებაში და მასთან შეერთებულია კავშირებით: **ასე რომ, რის გამოც.**

მაგ.: მთვარიანი ღამე იყო, **ასე რომ** მგზავრობა აღარ ჭირდა; პეპიას ფეხი დაუწყლულდა, **რის გამოც** სიარული ვეღარ შეძლო.

**2. პირობითია დამოკიდებული** წინადადება, რომელიც გვიჩვენებს, რა პირობაა საჭირო მთავარ წინადადებაში დასახელებული მოქმედების შესასრულებლად. მისი კითხვაა: **რა პირობებში?** დამოკიდებულს მთავარ წინადადებასთან აერთებს კავშირები: **თუ, თუკი, რომ** (იშვიათად: **უკეთუ**).

ხერხი სჯობია ღონესა, **თუ** კაცი მოიგონებსა *(ანდაზა)*.

**თუ** ქალმა გაიწია, ცხრა ულელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებს.

ცვრიან ბალახზე **თუ** ფეხშიშველა არ გავიარე — რაა მამული! *(გ. ტაბიძე)*

**თუ** არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა,

მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბდლილა?!  
*(ლ. ასათიანი)*

შემოქმედება თურმე ჯვარცმაა,

**თუკი** ატარე ნამუსის ქუდად *(შ. ნიშნიანიძე)*.

ეს **რომ** ჩემი თვალით არ მენახა, არ დავიჯერებდი.

**3. დათმობითა დამოკიდებული** წინადადება, რომელიც ისეთ რამეზე მიგვითითებს, რის მიხედვითაც, მთავარ წინადადებაში გადმოცემული ამბავი საერთოდ მოსალოდნელი არ არის, გამორიცხულია, მაგრამ გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია.

წინადადებისთვის კითხვის დასმა ხშირად ჭირს, მისი კითხვაა: **რის მიუხედავად?**

დათმობით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს კავშირები: **თუმცა, თუნდ, გინდ**.

მაგ.: **თუმცა** ბნელი ღამე იყო, მგზავრი მაინც ყოჩაღად მიდიოდა.

გალაკტიონი ერთხმად აღიარეს პოეზიის მეფედ, **თუმცა** ამ აღიარებას მისთვის პირად ცხოვრებაში ბედნიერება არ მოუტანია.

**თუმც** არ დაუდევს ტოლი ნიავეს, ფოთლებსაც უჭირთ მაინც გაძლება *(ბ. სულაძე)*.

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ! (ვრ. ორბელიანი)

**4. მთავრის მიმართია დამოკიდებული** წინადადება, რომელიც მთელ მთავარ წინადადებას მიემართება. მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვა არ მოიპოვება და არც იგულისხმება. დამოკიდებული წინადადება ყოველთვის ბოლოშია, მთავართან აერთებს **მიმართებითი** ნაცვალსახელი **რაც** სხვადასხვა ბრუნვის ფორმით.

მაგ.: გავარდა თოფი, **რაც** ნიშანი იყო იერიშის დაწყებისა.

ვაჟს მამის იარაღი გაუვარდა, **რამაც** ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ყმანვილი სემინარიიდან გარიცხეს, **რამაც** მამამისი ძალიან დაალონა.

### **3.5.3.3. რთული ქვენყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებულით**

ერთ მთავარ წინადადებას შეიძლება ახლდეს ორი ან მეტი დამოკიდებული წინადადება ანდა ერთ დამოკიდებულს უკავშირდებოდეს სხვა. მაშინ იქმნება რთული სინტაქსური კონსტრუქციები: **თანადაქვემდებარება** ან **თანამიმდევრული დაქვემდებარება**.

**1. თანადაქვემდებარების** დროს ქვენყობილ წინადადებაში შემავალი ყველა დამოკიდებული უკავშირდება ერთ მთავარ წინადადებას.

მაგალითად: **სადაც** ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი (1),

**სად** მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი (2),

**სადაც** სიყრმითვე ვჩვეულვარ (3), — ჩემი სამშობლო ის არი (4) (რ. ერისთავი).

ამ რთულ ქვენყობილ წინადადებაში მთავარია ბოლო (4) წინადადება, ხოლო პირველი, მეორე და მესამე — შემასმენლური დამოკიდებული წინადადებებია, რომლებიც წინ უსწრებენ

მთავარს. სამივე დამოკიდებული ასრულებს ერთსა და იმავე ფუნქციას ანუ ერთგვარია.

**ვინც** ანანილებს კაცთათვის როლებს (1),  
**ვინც** რჩეულთათვის ამზადებს ნიღბებს (2),  
ჩემი მფარველიც ის არის სწორედ  
და ის მიზოგავს სიმაღლეს, სიღრმეს (3) (*შ. ნიშნინიძე*).

ამ წინადადებაში პირველი და მეორე ერთგვარი დამოკიდებული წინადადებათა – შემასმენლური, ხოლო მესამე – მთავარი:

გავედი **თუ არა** (1), ის იმერლის ბიჭი წიგნით ხელში იქავ დამხვდა (2), **საცა** უნინ ვხედავდი ხოლმე (3) (*ი. ჭავჭავაძე*).

აქ მთავარია **მეორე** წინადადება, მასთანაა დაკავშირებული პირველი და მესამე წინადადებები. პირველი (გავედი თუ არა) დროის გარემოებითი დამოკიდებულია, ბოლო კი (საცა უნინ ვხედავდი ხოლმე) — ადგილის გარემოებითი დამოკიდებული. აქ დამოკიდებული წინადადებები არაერთგვარია.

**2. თანამიმდევრული დაქვემდებარების** დროს მთავარს უკავშირდება ერთი დამოკიდებული, რომელსაც, თავის მხრივ, ახლავს სხვა დამოკიდებული წინადადება.

მაგ.: მოხუცი გაუდგა წითლოვანის ბილიქს (1), **რომელსაც** პირდაპირ იმ ადგილას უნდა მიეყვანა (2), **სადაც** მისი ცხვარი იდგა (3) (*ალ. ყაზბეგი*).

აქ პირველი წინადადება მთავარია, მეორე — განსაზღვრებითი დამოკიდებული, მესამე კი ახლავს დამოკიდებულ წინადადებას (ისიც განსაზღვრებითი დამოკიდებულია, მაგრამ მეორე და მესამე წინადადება არაა ერთგვარი).

### **3. ზერთული წინადადება**

როცა წინადადებაში თანწყობაცაა და ქვეწყობაც, მაშინ გვაქვს **შერეული სახის რთული** წინადადება ანუ **ზერთული** წინადადება.

მაგ.: ჩქარა წავიდეთ (1), თორემ სიჩუმით  
დაქანცულები

პირს რომ გახსნიან (2), ალბათ გაგვცემენ  
ბრონეულები! (3) (ა. კალანდაძე).

ნუ დაიძიმე ეგ თვალები ნალვლიან ფიქრით (1)  
და, რაც გიამბე (2), ეს შეშლილი როკვაა სულის (3)  
(ტ. ხარხელაური).

ორივე დასახელებულ წინადადებაში დამოკიდებულია მე-2,  
ხოლო პირველსა და მე-3 წინადადებებს შორის თანწყობაა.

შენ გძინავს მშვიდი და ფრთხილი ძილით (1),  
**ხოლო** მე უფრო ფრთხილი ნაბიჯით  
გიახლოვდები (2)  
და ჩემი სუნთქვა (3),  
ახლა რომ ქვეყნად არავის ესმის (4),  
ვხედავ (2),  
გალვიძებს (3) (ა. სულაკაური).

ეს წინადადებაც **შერეული** სახისაა: პირველ, მე-2 და მე-3  
წინადადებებს შორის **თანწყობა** (თავის მხრივ, მე-2 შერწყმულია  
და გათიშულია). **განსაზღვრებითი** დამოკიდებული წინადადება  
დგას მე-3-ში, რომლის შემასმენელი ბოლოს დგას.

### 3.5.3.4. რთული ქვენწყობილი წინადადების ჩანაცვლება მარტივით

ზოგჯერ შეიძლება რთული ქვენწყობილი წინადადება  
ჩანაცვლდეს მარტივით. უპირველეს ყოვლისა, შინაარსი იგივე  
უნდა დარჩეს. დამოკიდებული წინადადება მარტივში უნდა  
გადავიდეს იმავე ფუნქციით (წევრის სახით), რომლის გაშლილი  
სახეცაა ის. ამისთვის გასათვალისწინებელია ორი ძირითადი წესი:

- ✓ უნდა მოიშალოს დაქვემდებარება, რისთვისაც საჭიროა  
**კავშირისა** და **კორელატის** (მისათითებელი სიტყვის)  
ამოღება;
- ✓ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი (მიმყოლი  
სიტყვებითურთ) უნდა გადაკეთდეს **სახელზმნად**  
(საწყისად ან მიმლეობად).
- ✓ ზოგჯერ საჭიროა **თანდებულის** დამატება.

- **ქვემდებარული** დამოკიდებული წინადადების შენაცვლებისას პირიანი ზმნა (შემასმენელი) სახელზმნად გადაკეთდება და ქვემდებარედ შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს. მაგ., რთული: სიკეთე მან მოიმეო, **ვინც დათესა**. ვინც ეს ჩაიდინა, **ჩვენი მტერია**.

შენაცვლებული მარტივი წინადადებები: სიკეთე მისმა დამთესმა მოიმეო. ამის ჩამდენი ჩვენი მტერია.

- **დამატებითი** დამოკიდებული წინადადების შენაცვლებისას მისი პირიანი ზმნა (შემასმენელი) სახელზმნად გადაკეთდება და მთავარი წინადადების შემასმენელს შეეწყობა სათანადო ბრუნვის ფორმით, როგორც დამატება. მაგ.: პირდაპირდამატებითი წინადადება: მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ კონკურსზე ქართველმა მომღერალმა გაიმარჯვა; ირიბდამატებითი: ყველას სამარე მოგველის, **ვინც** დედის მუცლით შობილა (*ვაჟა-ფშაველა*). უბრალოდამატებითი: დედა დარწმუნებული იყო, რომ გოგონა მალე გამოჯანმრთელდებოდა.

შენაცვლებული მარტივი წინადადებები: მთელმა ქვეყანამ გაიგო კონკურსზე ქართველი მომღერლის **გამარჯვება**. დედის მუცლით **შობილს** (ყველას) სამარე მოგველის. დედა დარწმუნებული იყო გოგონას მალე **გამოჯანმრთელებაში**.

- **განსაზღვრებითი** დამოკიდებული წინადადების პირიანი ზმნა (შემასმენელი) მარტივით შენაცვლებისას მიმლეობად გადაკეთდება და მთავარ წინადადებაში საზღვრულს დაუდგება განსაზღვრებად. რთული წინადადებები: სნეული მამაკაცი, რომელმაც ეს ამბავი თქვა, უხმოდ იჯა. იმ ქალს, **რომელსაც** უცნაურად ლამაზი თვალები ჰქონდა, ახლა სრულებით ვერ ვამჩნევდი.

შენაცვლებული მარტივი წინადადებები: ამ ამბის **მთქმელი** სნეული მამაკაცი უხმოდ იჯა. უცნაურად ლამაზთვალებიან **ქალს** ახლა სრულებით ვერ ვამჩნევდი.

- **ადგილის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი მარტივში **საწყისად** გადაკეთდება და სათანადო ბრუნვის ფორმით ადგილის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს. რთული წინადადებები: თქვენი თავისუფლება მთავრდება **იქ, სადაც** ჩემი თავისუფლება იწყება. ყოველთვის კარგი გვგონია **იქ, სადაც** არ ვართ. სოფლის მცხოვრებლები **იქითკენ** გაიქცნენ, **სადაც** მგელი მოკლეს.

შენაცვლებული მარტივი წინადადებები: თქვენი თავისუფლება მთავრდება ჩემი თავისუფლების დაწყების ადგილას. ყოველთვის კარგი გვგონია ჩვენი არყოფნის ადგილას. სოფლის მცხოვრებლები მგლის მოკვლის **ადგილისკენ** გაიქცნენ.

- **დროის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი **საწყისად** გადაკეთდება და სათანადო ბრუნვის ფორმით დროის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს. რთული წინადადებები: **როცა** შემოდგომა დადგა, უზარმაზარ მუხას ფოთლები დასცვივდა. **როგორც** კი ჩემი მეგობარი მოვიდა, კამათი შეწყდა.

შენაცვლებული მარტივი წინადადებები: შემოდგომის **დადგომის შემდეგ** უზარმაზარ მუხას ფოთლები დასცვივდა. ჩემი მეგობრის **მოსვლისთანავე** კამათი შეწყდა.

- **ვითარების გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი **საწყისად** გადაკეთდება და სათანადო ბრუნვის ფორმით ვითარების გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს. რთული წინადადებები: ქალი ისე მოიქცა, **როგორც** მოხუცმა ურჩია. მთელი ცხოვრება ისე გავატარე, **რომ** ბიძაჩემის დარიგება არ გამხსენებია. გოგონა ისე აცეკვდა წვიმაში, **როგორც** ბავშვობაში აკეთებდა.

შენაცვლებული მარტივი წინადადებები: ქალი მოხუცის **რჩევისამებრ** მოიქცა. მთელი ცხოვრება გავატარე ბიძაჩემის დარიგების გაუხსენებლად. გოგონა აცეკვდა წვიმაში ბავშვობის მსგავსად.

- **მიზეზის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი საწყისად გადაკეთდება და დაემატება თანდებული **გამო** (წყალობით, მიზეზით), რაც მარტივ წინადადებაში **მიზეზის გარემოება** იქნება. რთული წინადადებები: **რადგან** ძლიერი ქარი ამოვარდა, სტუდენტები ექსკურსიაზე ვერ წავიდნენ. მამა ქორწინების წინააღმდეგი იყო, **რადგან** პოეტი ვერ არჩენდა ოჯახს.

შენაცვლებული მარტივი წინადადებები: ძლიერი ქარის **ამოვარდნის გამო** სტუდენტები ექსკურსიაზე ვერ წავიდნენ. მამა მათი ქორწინების წინააღმდეგი იყო პოეტის მიერ ოჯახის რჩენის შეუძლებლობის გამო.

- **მიზნის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების პირიანი ზმნა (შემასმენელი) გადაკეთდება **სახელზმნად** (უმეტესად – მომავალი დროის მიმლეობად) და მიზნის

გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს. რთული წინადადებები: მოხუცმა სანოლთან შვილს უხმო, **რათა** რალაც მნიშვნელოვანი ეთქვა. პოეზიის მოყვარულები შეიკრიბნენ, **რათა** ახალგაზრდა პოეტის ლექსები განეხილათ.

შენაცვლებული მარტივი წინადადებები: მოხუცმა სანოლთან შვილს უხმო რალაც მნიშვნელოვანის **სათქმელად**. პოეზიის მოყვარულები შეიკრიბნენ ახალგაზრდა პოეტის ლექსების **განსახილველად**.

### 3.6. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

ვისიმე ნათქვამი შეიძლება გადმოიცეს მეტ-ნაკლები სიზუსტით: სიტყვასიტყვით, ფორმის შეუცვლელად ან ფორმის შეცვლით.

თუ ვისიმე ნათქვამი სიტყვასიტყვით არის განმეორებული, **პირდაპირი ნათქვამი** ჰქვია; თუ ვისიმე ნათქვამი გადმოცემულია შეცვლილი ფორმით — **ირიბი ნათქვამი**.

#### ნაწილაკებიანი პირდაპირი ნათქვამი

პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის **სიტყვასიტყვითი** ნაწილაკები: **-მეთქი**, **-თქო** და **-ო**. **-მეთქი** და **-თქო** ნაწილაკები დეფისით გამოიყოფა, **-ო** ნაწილაკი კი სიტყვასთან შერწყმულად იწერება.

✓ **-მეთქი** (← მე ვთქვი) პირველი პირის ნათქვამის (ან ნაფიქრის) გამეორებაა (მაგ.: დედას სულ ვეუბნები, ჩემი ერთადერთი იმედი ხარ-მეთქი; ხომ გიმეორებდი, გაცივდები-მეთქი; „გულში კი ვფიქრობდი, ხომ არ გაგიჟებულა-მეთქი“ (ი. ჭავჭავაძე).

✓ **-თქო** (← თქვა) აღნიშნავს პირველი პირის დანაბარებ სიტყვას, რომელიც მეორე პირმა სხვას (მესამე პირს) უნდა გადასცეს (მაგ., შენს დას უთხარი, მასწავლებელს ხვალვე დაურეკე-თქო; ბიძაშენს გადაეცი, პირობა არ დაგავინყდეს-თქო).

✓ **-ო** იხმარება მე-3 პირის ნათქვამის გადმოსაცემად (მაგ., მამამ გამაფრთხილა, არ დაიგვიანოო; მეგობარმა დაურეკა, თეატრში წავიდეთო).

სხვათა სიტყვის -ო ჩვეულებრივია ანდაზებში, რადგანაც იგულისხმება რალაც, რაც ნათქვამია, ამბობენ, თქმულა. ეს სიტყვები ზოგჯერ ითქმის კიდევაც: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია; მეტწილად მხოლოდ იგულისხმება: ავი შემნახავი ქურდზე უარესიაო; ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერო.

ეს ნაწილაკები, ჩვეულებრივ, ბოლო სიტყვას დაერთვის წინადადებაში. სიტყვასიტყვითი ნაწილაკი ზმნა-შემასმენელს მაშინაც დაერთვის, როცა ის არ არის წინადადების ბოლოს: ავი მოგახსენეთ, გაგიადვილებთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებას (ი. ჭავჭავაძე). მეგონა, დავძლიე-მეთქი ჩემი წარმოუდგენელი შიში.

### 3.7. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები

წინადადების წევრი ზოგჯერ შეიძლება პაუზით გამოეყოს სხვა სიტყვებს და განცალკევებით დადგეს. ამ მოვლენას **განკერძოება** ჰქვია, ხოლო თვით წევრს — **განკერძოებული**. გარდა განკერძოებული წევრებისა, მოიპოვება ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც წინადადებაში განცალკევებით დგას, მაგრამ წინადადების წევრის განკერძოება არაა. ყველას ერთად **განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები** ჰქვია.

განკერძოებული სიტყვები და გამოთქმებია: **განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, მიმართვა, ჩართული, მიგებითი ნაწილაკები და შორისდებული**.

**შენიშვნა:** მიგებითი ნაწილაკებისა და შორისდებულის შესახებ იხ. მორფოლოგიაში.

#### 3.7.1. განკერძოებული განსაზღვრება

**განკერძოებულია განსაზღვრება**, რომელიც თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ პაუზით გამოეყოფა საზღვრულს, დაწერისას კი — სასვენი ნიშნით:

შორს გამოჩნდა ულამაზესი ქალი, **თეთრი, გაბედული და ამაყი**. გვერდით მომყვებოდა ჩემი მეგობარი, **სოფლიდან**

**ჩამოსული.** დედა შემოვიდა ოთახში, **გახარებული და თვალებგაბრწყინებული.**

სიო, **სარკმლით მონაქროლი**, ველთა ზღაპარს მეუბნება.  
(*გ. ტაბიძე*)

აჰა! მოვედი გედი, **დაჭრილი ოცნების ბალით!** (*გ. ტაბიძე*)

აქ ჩაივლიან მეზღვაურები,  
სხვების მამები და სხვების ქმრები,  
**დანატრებულნი ოჯახურ სითბოს,**  
**დახარბებულნი დამპალ ცხოვრებას** (*ო. ჭილაძე*).  
შხევს შეაფრქვევს ვარდკაჭაჭას,  
**ლამაზს, ცისფერთოლიანსა** (*ა. კალანდაძე*).

განკერძოებული განსაზღვრება პირველ წინადადებაში **ზედსართავი სახელებით** არის გადმოცემული, დანარჩენებში — **მიმღობებით**. პირველსა და მესამე მაგალითში გვაქვს ორ-ორი განკერძოებული განსაზღვრება, ამასთანავე, განკერძოებული განსაზღვრება უშუალოდ მოსდევს საზღვრულ ნევრს, ხოლო მესამეში გათიშულია საზღვრული ნევრისაგან.

განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება ახლდეს პირის **ნაცვალსახელსაც**, რომელიც გამოტოვებულია და განსაზღვრება განმარტოებით დგას.

განკერძოებული განსაზღვრება, ჩვეულებრივ, ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში, ასევე რიცხვშიც. ის მიმყოლი სიტყვებითურთ გამოიყოფა **მძიმით** (როცა წინადადების თავშია ან ბოლოში) ან მძიმეებით (როცა წინადადების შუაშია).

განკერძოებული განსაზღვრება რომ საზღვრულის წინ გადავსვათ, იგი ჩვეულებრივ განსაზღვრებად გადაიქცევა. მაგ., გახარებული და თვალებგაბრწყინებული დედა შემოვიდა ოთახში.

### **3.7.2. განკერძოებული გარემოება**

განკერძოებული **გარემოება** შეიძლება პაუზით გამოეყოს წინადადებაში სხვა სიტყვებს და განკერძოებით დადგეს.

განკერძოებული **დროის გარემოება**:

საღამოს, **მზის ჩასვლის უამს**, უკვე დანიშნულების ადგილას

მივალნიეთ (ჯ. ქარჩხაძე).

შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, ჩემს სოფელში  
ჩავედი (რ. ინანიშვილი).

განკერძოებული ადგილის გარემოება:

მთის ფერდობზე, შუა ტყეში, ერთი მოვაკებული ადგილი  
იყო (ჯ. ქარჩხაძე).

ქვეყნის სამხრეთით, ზღვის პირას, პატარა მზიანი და ტყიანი  
ადგილი ვიყიდე (ჯ. ქარჩხაძე).

განკერძოებულია სახელის ნათესაობითის ფორმა,  
რომელსაც დაერთვის ზმნიზედა მიუხედავად. მაგ., გიორგიმაც,  
მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, სამხედრო სამსახური აირჩია.

განკერძოებული გარემოება ისევე გამოიყოფა მძიმით (ან  
მძიმეებით), როგორც განკერძოებული განსაზღვრება.

### 3.7.3. მიმართვა

წოდებით ბრუნვაში დასმულ სახელს, რომელიც მეორე  
პირს/პირებს ან მეორე პირად წარმოდგენილ საგანს აღნიშნავს,  
მიმართვა ჰქვია. იგი გაუვრცობელია ან გავრცობილი სხვა  
სიტყვებით, ცალკე დგას ან წინადადებას ახლავს. ცალკე მდგომი  
მიმართვა, ჩვეულებრივ, დაძახებისას იხმარება, რომ მისამართი  
პირის ყურადღება იქნეს მიპყრობილი. თუ მიმართვა ცალკე არ  
არის გამოყენებული, იგი შეიძლება იყოს წინადადების თავში,  
ბოლოში ან წინადადების შიგნით.

- თავშია:

ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე! (გ. ტაბიძე)

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგინყენია! (ი. ჭავჭავაძე).

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი  
გრაალს შევედრები (გ. ტაბიძე).

ჩემო ბერდედავ, ზიხარ ყორესთან  
და არწივის თვალს მიდამოს ავლებ (ა. კალანდაძე).

- შიგნითაა:

ეგ თვალბიცი, ჩემო კარგო, წამნამთ გულში ჩაიმალა.  
(გ. ტაბიძე)

- **ბოლოსაა:**

რას უცდი, **ნისლო პატარავ**, დაკერებული მთაზედა?  
(ვაჟა-ფშაველა)

გამხიარულდი, **ბუხარო**,  
**ბუხარო** თვალბეგიზგიზა (გ. ტაბიძე).  
მხატვრულ ნაწარმოებებში მიმართვად ხშირად გვხვდება არაადამიანთა სახელები. ესაა **გაპიროვნების** ერთ-ერთი სახე.

მშვიდობით, **მთვარე**, გაყვითლებულო,  
მშვიდობით, **ზეცავ** და **ვარსკვლავებო** (ტ. ვრანელი).  
თქვი, **ჭიამარია**, სით მიგიხარია? (ა. კალანდაძე)  
როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, **ჩემო მანოლია!** (ა. კალანდაძე)  
მიმართვასთან დაკავშირებით უნდა დავიცვათ შემდეგი ნესები:

- ცალკე მდგომი მიმართვის შემდეგ **ძახილის ნიშანი** დაისმის. თუ ასეთი მიმართვა მეორდება ან რამდენიმე სხვადასხვა სახელია, უკანასკნელის შემდეგ ძახილის ნიშანი დაისმის, ხოლო ყოველი წინა მიმართვის შემდეგ — მძიმე ან ძახილის ნიშანი (იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოთქმას გულისხმობს);

- თუ მიმართვა წინადადების თავშია, ძლიერი გრძნობითა და დიდი პაუზით წარმოითქმის, მის შემდეგ **ძახილის ნიშანი** დაისმის, სხვა შემთხვევაში — **მძიმე**;

- თუ მიმართვა წინადადების ბოლოშია, ის წინა სიტყვისაგან **მძიმით** გამოიყოფა, ხოლო შემდეგ ის ნიშანი დაისმის, რომელიც წინადადებას შეეფერება;

- ადამიანის საკუთარი სახელი წოდებითში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს. ამიტომ შეცდომაა, როცა მიმართვად გამოყენებისას ასეთ სახელს წოდებითი ბრუნვის ნიშანს დაურთავენ ან სახელობითი ბრუნვის ფორმით ხმარობენ. უნდა: **გურამ! ვახტანგ! დავით! ვარლამ! ნოდარ! ელიზბარ! ასმათ! თამარ! დარეჯან! ელისაბედი! მარიამ! პეტრე! ვაჟა! გოჩა!** (და არა: გურამი)

ვახტანგი! ნოდარი! ასმათი! ან: დარეჯანო! ელისაბედო! მარიამო!  
პეტრევ! ვაჟავ! გოჩავ! და სხვ.).

### 3.7.4. დანართი

**დანართი** არის განკერძოებული სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც დაერთვის სახელით გამოხატულ წევრს და გვაძლევს დამატებით ინფორმაციას მის შესახებ.

დანართთან შეიძლება იდგეს შემდეგი კავშირები: **ანუ, ესე იგი...** ან მკავშირებელი სიტყვები: **სახელად, გვარად, ტომით, წარმოშობით...**

ჩემი მეგობარი, **გვარად ამირეჯიბი**, უნიჭიერესი იყო მათემატიკაში.

გოგია, **გვარად უიშვილი**, ორმოციოდე წლის გლეხი იყო.  
(*ე. ნინოშვილი*)

მხოლოდ მეთაური, **სახელად დავითი**, გასხლტომია და აქ მყოფ ორ უცხოელ მოგზაურთან შეუფარებია თავი (*ჯ. ქარჩხაძე*).

მამამისს, **აქაურობის პატრონსა და გამგებელს**, საკუთარი მოახლე შეჰყვარებოდა (*ჯ. ქარჩხაძე*).

ჩვენ, **ადამიანებს**, გვეკუთვნის სამშობლო.

ახლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანთებულია  
ვარსკვლავები — **სიმბოლო თეთრი მარადისობის**  
(*ტ. გრანელი*)

### 3.7.5. ჩართული

**ჩართული** ჰქვია განკერძოებულ სიტყვას თუ სიტყვათა ჯგუფს, რომლითაც მთქმელი გამოხატავს, როგორ უყურებს ის წინადადებაში გამოქმულ აზრს. ზოგჯერ მთელი წინადადებაც ჩართულია.

ჩართული, ჩვეულებრივ, წინადადების **თავშია** ან **შუაში**, იშვიათად **ბოლოშიც** გვხვდება. წარმოთქმისას პაუზით გამოიყოფა, დანერისას — სასვენი ნიშნით: **მძიმით**, როცა

წინადადების თავში ან ბოლოში, და ორივე მხრიდან მძიმით, როცა წინადადების შიგნითაა.

**ჩართული მნიშვნელობით მრავალგვარია. იგი გამოხატავს:**

- **ამა თუ იმ გრძნობას:**

საბედნიეროდ, ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენდა ბედად, საუბედუროდ, სამწუხაროდ;

- **დარწმუნებულობას:**

ცხადია, რასაკვირველია, უეჭველია, აშკარაა, რა თქმა უნდა, იმედია;

- **ვარაუდს, დაეჭვებას:**

მგონი, ვგონებ, ჩანს, შესაძლებელია, თუ არ ვცდები;

- **წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს:**

ავტორის აზრით, ჩემი აზრით, როგორც ამბობენ, როგორც იტყვიან, მისი წარმოდგენით;

- **აზრების თანამიმდევრობასა და ურთიერთმიმართებას:**

ჯერ ერთი, მერე მეორე; ერთი მხრივ, მეორე მხრივ; ამგვარად, მამასადამე, ერთი სიტყვით, პირიქით;

- **შენიშვნას, რომელიც აზრის გამოთქმის ფორმას ეხება:**

უკეთ რომ ვთქვათ, ასე რომ ვთქვათ, უფრო სწორად, სწორედ მოგახსენოთ.

- **ჩართული ზოგჯერ მიმართვაა თანამოსაუბრისადმი:**

დამეთანხმებით, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორც თქვენ ხედავთ, შენ ხარ ჩემი ბატონი;

- ჩართულად მიიჩნევენ **საალერსო სიტყვებსა და გამოთქმებს, ფიცილის** ფორმულებს, რომელთაც შორისდებულის მნიშვნელობა აქვთ: დედაშვილობამ, შენი ძირი, გენაცვალე, შენმა მზემ... მაგ.: ეგ შიში, **მამაშვილობამ**, უსაფუძვლოა; **მამაშვილობამ**, ნუ დამიშლი სიცილს და გართობას; **დედაშვილობამ**, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო (ა. წერეთელი); ერთი იმ დიდ ხუთშაბათს არ ლაპარაკობდი და მეორე ეხლა, **შენმა მზემ!** (გ. ჩოხელი).

### 3.7.6. ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები

ეტიკეტური სიტყვებისა და გამოთქმების გრამატიკული კვალიფიკაცია სადავო საკითხია: ზოგი მათ მიიჩნევს **შორისდებულთა** ცალკე ჯგუფად, ზოგი — **ნანილაკებად**, არსებობს მოსაზრება, რომ მეტყველების ნანილთა შორის მათი ადგილი არაა. სინტაქსურად ამ ტიპის სიტყვებსა და გამოთქმებს განიხილავენ **ჩართულთა** შორის.

ეტიკეტურ სიტყვებსა და ფრაზებს ადამიანები იყენებენ ყოველდღიურ ურთიერთობაში. ხშირად ესაა სიტყვის გაქვავებული ფორმა, ზმნისა და სახელისაგან შედგენილი მყარი გამონათქვამი, სახელური შესიტყვება ან მთელი წინადადებაც კი. ამგვარ სიტყვებსა და ფრაზებს უწოდებენ **ფატიკური კომუნიკაციის** ერთეულებს, რადგან ქმნიან ამა თუ იმ ენის სამეტყველო ეტიკეტს.

**ქართული სამეტყველო ეტიკეტი** აერთიანებს ყოველდღიური ურთიერთობების დროს გამოყენებულ სიტყვებსა და ფრაზებს. მათში გამოიყოფა საშუალებათა რამდენიმე ჯგუფი: **მორფოლოგიური, გრამატიკულ-ლექსიკური და ლექსიკური.**

#### 1. გრამატიკულ-ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები

**მორფოლოგიურ** საშუალებებში შედის პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების **თქვენობითი** ფორმები თავაზიანი საუბრისას. ამ დროს ზმნასაც ემატება მრავლობითი რიცხვის სუფიქსი **-თ**.

მაგალითად: მჯერა, რომ **შენ** ყველაფერი **იცი**.

თავაზიან საუბარში უნდა ითქვას: მჯერა, რომ **თქვენ** ყველაფერი **იციით**.

გარდა ზმნის თქვენობითი ფორმისა, ქართულ ენაში რამდენიმე ზმნისთვის გამოიყენება განსხვავებული ფორმა, ესაა ე. წ. **პირში მონაცვლე ზმნები**:

არის →	გახლავს, ბრძანდება
ხარ →	ბრძანდებით
დაჯექი →	დაბრძანდით!
შედი →	შებრძანდით!
თქვი →	ბრძანეთ!
თქვა →	ბრძანა
გსურს →	გნებავთ
ჭამე →	მიირთვიეთ!
აილე →	ინებეთ!

თავაზიანობა თანამოსაუბრის, მეორე პირის, მიმართ შეიძლება გამოიხატოს პირველი პირის ფორმითაც: (მე) ვჭამე, მაგრამ მორიდებულ საუბარში: (მე) გეახელით; (მე) ვარ, მაგრამ: (მე) გახლავართ.

თანამოსაუბრე პირისადმი პატივისცემის ნიშნად **პირველი პირის** ფორმასაც შეიძლება შეენაცვლოს სხვა ზმნა:

ვჭამ/ვჭამე →	გეახლებით/გეახელით
ვარ →	გახლავართ
მოვალ →	გეახლებით

- სამეტყველო ეტიკეტისთვის მნიშვნელოვანია თავაზიანი მიმართვის ფორმების გამოყენება ოფიციალურ სიტუაციაში: **ბატონო/ქალბატონო + საკუთარი სახელი**. მაგ.: ბატონო გიორგი! ბატონო რამაზ! ქალბატონო ეთერ! ქალბატონო ნათელა!

- ამავე სიტყვებით მოიხსენებენ პატივსაცემ პიროვნებას: ხომ კარგად ბრძანდება **ბატონი** გიორგი? დღეს **ქალბატონი** მარიამი ლექციაზე ვერ მოვა.

**შენიშვნა:** საკუთარ სახელთა კნინობით-ალერსობითი ფორმები მისაღებია მხოლოდ თანატოლებსა და ნათესაებს შორის: ნელიკო, ნატუკა, ნანკა, ნოდკო, ეკუნა, ელენიკო და სხვ.

## 2. ლექსიკური ეტიკეტური საშუალებები

**ლექსიკურ ეტიკეტურ** საშუალებებში ერთიანდება სპეციალური ეტიკეტური სიტყვები და ფრაზები. საკომუნიკაციო დანიშნულების მიხედვით მათში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე **სემანტიკური** ჯგუფი:

- **მისაღება:** გამარჯობა, გაგიმარჯოს, დილა მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა...

- **გამომშვიდობება:** ნახვამდის, მშვიდობით, ღამე მშვიდობისა, ძილი ნებისა, კარგად იყავი(თ), კარგად ბრძანდებოდეთ, დროებით...

- **თხოვნა ან ნებართვის აღება:** ძალიან გთხოვთ... თუ შეიძლება, რომ გთხოვოთ... შეგიძლიათ მითხრათ? შეგიძლიათ მომანოდოთ?.. თუ არ შენუხდებით; თუ თქვენთვის რთული არ იქნება; დიდად დამავალებთ, თუ...

- **მადლიერების გამოხატვა:** გმადლობთ, დიდი მადლობა, მადლობას გიხდით, მადლობას მოგახსენებთ, თქვენი მადლიერი ვიქნები, დიდად მადლიერი დავრჩები, დიდ მადლიერებას გამოვხატავ...

- **პასუხი მადლობაზე:** არაფრის, ეს რა სამადლობელია, რას ბრძანებთ...

- **ბოდიშის მოხდა:** ბოდიში, დიდი ბოდიში, მაპატიეთ(თ), უკაცრავად, ბოდიშს გიხდით...

- **შეთავაზება:** ხომ არ ინებებთ, ხომ არ მოგართვით, ხომ არ მიირთმევთ...

- **პასუხი გაცნობისას:** სასიამოვნოა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, კმაყოფილი ვარ თქვენი გაცნობით...

- **მილოცვა:** გილოცავთ, სულითა და გულით გილოცავთ...

- **დალოცვა:** დაგლოცავთ! დიდხანს იცოცხლეთ! გისურვებთ ჯანმრთელობას! გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს! სულ დალოცვილი იყავით! ღმერთმა დაგლოცოთ! მრავალს დაესწარით! ღმერთმა დაგიფაროთ!..

- ✓ ოჯახის დალოცვა: თქვენს ოჯახს დავლოცავ!
- ✓ ახალდაქორწინებულთა დალოცვა: ღმერთმა შეგაბეროთ ერთმანეთს!
- ✓ სტუმრის შემოსვლისას: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!
- ✓ ახალი ტანსაცმლის (სახლის, ავეჯის, ნივთის...) ყიდვისას: მზით გაცვიეთ! ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ! ღმერთმა ბედნიერებაში მოგახმაროთ!

**მოკითხვის გადაცემა:** მომიკითხეთ, მომიკითხეთ დიდი სიყვარულით (პატივისცემით), მოკითხვა გადაეცით...

**ქათინაურები:** რა ლამაზად გამოიყურებით, რა მომხიბვლელი ხართ, რა მშვენივრად ილაპარაკეთ, რა გემოვნებით იცვამთ...

**ფიცილის ფორმულები:** შენს თავს ვფიცავ, დედას გეფიცები, ჩემს თავს გაფიცებ, შენ არ მომიკვდე, დედაშვილობას, დაძმობას...

**მწუხარების გაზიარება:** ძალიან ვწუხვარ; რა სამწუხაროა; ვიზიარებ თქვენს მწუხარებას; მოზიარე ვარ თქვენი მწუხარების...

**შიშისა და შეშფოთების გამოხატვა:** ვშიშობ, რომ... შიში მაქვს, რომ... ვაითუ...

**გამხნეება-ნუგეშისცემა:** გამხნევდით, გამაგრდით, ღმერთი თქვენკენ, ყველაფერი კარგად იქნება, იმედი არ უნდა დაკარგოთ...

**საალერსო ფორმულები:** შენი ჭირიმე, (შენ) გენაცვალე, შენ შემოგეველე, ჩემი თავი შემოგეველოს...

# თავი მეოთხე

## პუნქტუაცია

სასვენი ნიშნების გამოყენების წესების ერთობლიობას წერის ან ბეჭდვის დროს **პუნქტუაცია**ს უწოდებენ. აზრის სწორად გადმოსაცემად და გასაგებად, ტექსტის დასაყოფად და მის ნაწილებს შორის ლოგიკური მიმართების აღსანიშნავად სასვენი ნიშნები მნიშვნელოვანია. პუნქტუაცია მჭიდროდ უკავშირდება სინტაქსს, რადგან წინადადების აგებულების ლოგიკური გააზრების გარეშე სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება შეუძლებელია.

**სასვენი ნიშნები:** წერტილი (.), კითხვის ნიშანი (?), ძახილის ნიშანი (!), მრავალწერტილი (...), მძიმე (,), წერტილ-მძიმე (;), ორწერტილი (:), ტირე (—), ფრჩხილები ((), []), ბრჭყალები („“).

**შენიშვნა:** დეფისი და ტირე ხშირად ერევათ ერთმანეთში. დეფისი სიტყვის ორთოგრაფიისთვის არის აუცილებელი (მაგ., კომპოზიტებში, რიცხვით სახელებში), ტირე კი პუნქტუაციური ნიშანია და გამოყენებისთვის დადგენილია წესები.

### 4.1. წერტილი იწერება:

- **თხრობითი** წინადადების ბოლოს:  
მე მომემატა დღეს ერთი წლი  
და იმდენივე მომაკლდა უცებ *(ო. ჭილაძე)*.  
ერთი მეგობარი მყავდა სამტროდ გადაკიდებული  
*(შ. ნიშნანიძე)*.
- **სახელდებითი** წინადადების შემდეგ:  
ზღვა. ლურჯი უსასრულობა. ტალღები. ოქროცურვილი  
მზე.  
მინდვრები, ქართლის მინდვრები,  
ქედები მხარგაშლილები...  
მთაში — ტყე დანაბინდები,  
ტყეში — ქორბუდა ირმები... *(ა. კალანდაძე)*
- თხრობითი წინადადების მსგავსი ინტონაციით  
წარმოთქმული **ბრძანებითი** წინადადების ბოლოს: კარგი,  
გამოიტანე შენი საჩუქარი.
- სიტყვის შემოკლებისას ან ინიციალების შემდეგ:

ნ., ა. ნ., ქ., იხ., მაგ., შდრ., გვ., ა. შ., ე. ნ., ე. ი.; ნ. მ.  
ბარათაშვილი, გ. ვ. ტაბიძე.

- მითითებული შრომის სახელწოდების შემდეგ:  
მაგ., ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები,  
თბ., 1973.
- ფრჩხილების შემდეგ, თუ წინა წინადადება თხრობითია.
- საკითხების ჩამონათვალში (კონფერენციის ან რომელიმე  
ლონისძიების პროგრამებში, სამეცნიერო ნაშრომის გეგმაში),  
საგამოცდო საკითხებში — თითოეულის ბოლოს.
- ნუმერაციის გამოსახატავად ციფრების ან ასოების შემდეგ:  
1. 2. 3. I. II. III. ა. ბ. გ.

#### 4.2. კითხვის ნიშანი იწერება:

- **კითხვითი** წინადადების ბოლოს:  
მაგ., განა ოდესმე დამავინწყდება აბასთუმანში  
თავდავინწყება? (*ლ. ასათიანი*)  
ცამ ხვაშიადი რატომ დამალოს? (*ა. კალანდაძე*)  
მტერს საით ჩეხავს მარად ძლიერი  
იმათი ხმალი? (*ა. კალანდაძე*)
- თუ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კითხვითია მთავარი  
წინადადება, კითხვის ნიშანი იწერება წინადადების ბოლოს:  
ვის არ უნდა, მითხარი, შენი ტრფობა იგემოს?  
(*ი. გრიშაშვილი*)
- კითხვითი შინაარსის **პირდაპირ ნათქვამთან**:  
– საიდან მოდიხარ, მეგობარო? — ვკითხე ყმანვილს.  
ჩურჩულებს სურო — რა გინდა, დედა? (*ა. კალანდაძე*)

#### 4.3. ძახილის ნიშანი იწერება:

- **ბრძანებითი** წინადადების ბოლოს: — მალე მოიტანეთ! არ  
დალიოთ!  
შენ დაიფარე, ღმერთო ძლიერო,  
საკუთარ ფესვებს მომწყდარი კაცი! (*ო. ჭილაძე*).
- **ძახილის** წინადადების ბოლოს: არ შემიძლია შენი სახის  
გადავინწყება! (*პ. იაშვილი*)  
აჰა, თენდება! ოქროსფერ სხივით  
ენტება შენი შარავანდედი (*გ. ტაბიძე*).

ვალმობდილია დიდი წარსული  
მამულისა და კაცთა წინაშე! (ა. კალანდაძე)  
აჰა, დაძრულან ხეთა ლანდები! (ო. ჭილაძე)  
რა დამავინწყებს შენს ლამაზ თვალებს,  
რამ დამავინწყოს ეს ალუბლები! (ლ. ასათიანი)

- **განკერძოებულ** სიტყვებსა და გამოთქმებთან (შორისდებულთან, მიმართვასა და მიგებით ნაწილაკთან):  
ამ სურით სვამენ ღვინოს ლოთები, ომარ ხაიამ!  
(ა. კალანდაძე)  
დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ! (გ. ტაბიძე)

**4.3.1. კითხვისა და ძახილის ნიშნები** ინერება  
**კითხვა-ძახილის** წინადადების ბოლოს (ხშირად რიტორიკულ  
კითხვებთან):

ენა ისეთი, — ქართული როა! —  
მინაში კია, მაგრამ მინაზე?! (მ. მაჭავარიანი)  
სიტყვა გინდა?! —  
მარტო წვიმას  
აქვს სახელი ცხრა (მ. მაჭავარიანი).

**4.4. მრავალწერტილი** ინერება:

- დაუმთავრებელი აზრის გამოსახატავად წინადადების ან ტექსტის ბოლოს ან ხანგრძლივი პაუზის წინ:  
ათრთოლებს ვაშლის ყვავილთან ერთად...  
ხან იქ აღმოჩნდი. ღრუბელთა ზედა... (ა. კალანდაძე)  
ო, არსად გაშლილა უჩვენოდ არცერთი  
ია და შრომანი... (ა. კალანდაძე)  
და ვივლი, ვივლი... სულ ვივლი ასე,  
სანამ საკუთარ თავსაც გავცდები (ო. ჭილაძე).  
მე თოვლში ვეძებ სისხლისფერ ვარდებს  
და მიტოვებულ ნუშებს და ატმებს... (ო. ჭილაძე).
- აზრის ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ენადაბმით გადმოცემისას,  
დაუმთავრებელი სიტყვის შემდეგ:  
მართლა, ჯაყო, კნიაზს ნულარ მ...მეძახი, თორემ... ხომ  
იცვი; „ლ...ლუკმა პურსაც ველარ ვშოულობ (მ. ჯავახიშვილი).
- როცა ავტორი შეგნებულად არ ასახელებს ვინმეს გვარს ან  
სახელს: „თავადის ქ... ძის ასულს ეკ...ნას“ (ჭავჭავაძის ასულს  
ეკატერინას).

- ჩამონათვალის ბოლოს, თუ ის დამთავრებული არაა: ჩვენთან ერთად იყო მთელი ჯგუფი: ნინო, მარიამი, ქეთევანი, რუსუდანი...

#### 4.5. ნერთილ-მძიმე ინერება:

- ვრცელ **ერთგვარ** ნევრთა ერთი მთლიანი მონაკვეთის მეორისგან გამოსაყოფად შერწყმულ წინადადებაში (თუ თითოეული მონაკვეთის შიგნით გამოყენებულია მძიმე).
- უკავშირო რთულ **თანწყობილ** წინადადებაში დამოუკიდებელ მარტივ და შერწყმულ წინადადებებს შორის, როცა წინადადება საკმაოდ გავრცობილია: ბინდი შეთხელდა; ცამ ფერი შეიცვალა, ბაღში ჩიტებმა ყვირილ-ხივილი ასტეხეს (*მ. მაჭავარიანი*).
- რთულ **ქვეწყობილ** წინადადებაში ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათა გამოსაყოფად (თანადაქვემდებარების დროს) ან როცა წინადადება ძალზე ვრცელია: თურმე ისეთ ალაგებში დაფუტარებივარ, რომ ის ალაგები სიზმარშიც კი არ მინახავს; ისეთი რამ უთქმევინებია, ჩემი სახელით, რომ არც ოდესმე მითქვამს და არც მცოდნიაო (*მ. ჯავახიშვილი*).
- საკმაოდ გავრცობილ ჩამონათვალთა ბოლოს, სამეცნიერო ნაშრომის გეგმაში, თეზისებში

#### 4.6. ორწერტილი ინერება:

- **პირდაპირი** ნათქვამის წინ, თუ ის ავტორის სიტყვების შემდეგაა: დედამ დაამშვიდა: — ნუ იჯავრებ, ყველაფერი წარმავალია.
  - **ერთგვარი** ნევრების წინ, თუ ისინი განზოგადებულ სიტყვას მოსდევენ: ამ გაუვალ ტყეებში თითქმის ყველა გვარი ხე იპოვება: ნიფელა, თელა, მუხა, ნეკერჩხალი (*ი. გოგებაშვილი*).
  - თუ **განმაზოგადებულ** სიტყვას ახლავს სიტყვები: **როგორიცაა, სახელდობრ, მაგალითად** და მოსდევს ჩამონათვალი: ყველაფერი ივანეს დარჩა, სახელდობრ: სახლი, მანქანა, ძვირფასი ნივთები. აქ ყველაფერი იყო ლამაზი: დიდი ნაბლებიც და აივანიც... (*ო. ჭილაძე*)

- უკავშირო რთული **ქვეწყობილი** წინადადების ნაწილებს შორის, თუ მეორე ნაწილი გამოხატავს ახსნა-განმარტებას (მიზეზს, მიზანს, შედეგს):

გოდერძი ბედს არ ემდუროდა: ფულიც ჰქონდა, სახლ-კარიც, მანქანაც, აგარაკიც და შინ ლამაზი ცოლიც ელოდა.

- **ავტორისეული** სიტყვის შემდეგ, როცა მას მოსდევს ციტატა:

აიე ხანუმ მიკითხავს, მიხსნის, თუ რას გვაუწყებს ყურანის სურა: „რასაც აქ ეძებ, ვისაც აქ აქებ, დახუჭე თვალი, შენშია სულაც! (ა. კალანდაძე)

#### 4.7. მძიმე ინერება:

- უკავშირო **შერწყმულ** წინადადებაში: წყვილიანი შემოერთება, ლოდივით დაანვა გულზე, სული შეეხუთა (გ. ბარნოვი).

ასკილი, მოცხარი, მოცვი, გზადგზა კუნელიც გვხვდება... (ა. კალანდაძე)

- კავშირიან **შერწყმულ** წინადადებაში (გარდა და, თუ, ან კავშირებისა);

მაგ., მოედანზე ჩამომსხდარი დაირები ზიმზიმებენ, ბრჭყვიალებენ (ა. კალანდაძე).

ჩემს თავზედ ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდეც კვერი (მ. მაჭავარიანი).

მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია (გ. ტაბიძე).

- კავშირიან და უკავშირო რთულ **თანწყობილ** წინადადებაში:

აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს, ძველ ოცნებებზე რომელი არ სწუხს? (გ. ტაბიძე).

სურები შექმნეს შენი ტალახით, ღვინო მოუღებენს ყელმოხატულებს... (ა. კალანდაძე)

- უკავშირო და კავშირიან რთულ **ქვეწყობილ** წინადადებაში: მთავარი წინადადების შემდეგ ან წინ; იქით-აქეთ, თუ დამოკიდებული წინადადება შუაშია.

მაგ., შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი, ფეხს რომ უკოცნის ლამაზ ხათუნებს (ა. კალანდაძე). ბედი, რომელიც მე არ მეღირსა,

ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი (გ. ტაბიძე).

• **განკერძოებულ** სიტყვებსა და გამოთქმებთან (დანართი, ჩართული, განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკი):

✓ **განკერძოებული განსაზღვრება:**

სული, ვედრებით განაოცები,  
შენს ფერხთქვეშ კვდება, როგორც პეპელა (გ. ტაბიძე).  
მე, უთვისტომო და გარენარი,  
თქვენ გაგიხსენებთ და დავლონდები (გ. ტაბიძე).  
შხეფს შეაფრქვევს ვარდკაჭკაჭას,  
ლამაზს, ცისფერთოლიანსა (ა. კალანდაძე).

✓ **დანართი:**

ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს  
ჩვენ, პოეტები საქართველოსი (გ. ტაბიძე).

✓ **განკერძოებული გარემოება:** აქ, ამ პატარა ახმეტაში,  
ყველაფერი მაღამოდ ეცხება ჩემს სულსა და გულს (ა.  
ნერეთელი).

✓ **ჩართული:** სამწუხაროდ, ეს ამბავი მთელმა ქვეყანამ  
გაიგო.

✓ **შორისდებული:** უჰ, უჰ, რა ცივა!

✓ **მიმართვა:**

ჩამოვფრინდები შენს ლურჯ რტოებზე,  
ჩამოვფრინდები, იასამანო! (ა. კალანდაძე)  
ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო.  
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო! (მ. ლებანიძე)

**შენიშვნა:** 1. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ყოველთვის გამოიყოფა სასვენი ნიშნებით: იქით-აქეთ მძიმებით, თუკი წინადადებაშია, ერთი მძიმით, თუკი წინადადების თავში ან ბოლოშია. მიმართვასთან, შორისდებულსა და მიგებით ნაწილაკთან შეიძლება დაინეროს ძახილის ნიშანიც; ზოგჯერ დანართი ან ჩართული ჩაისმება ფრჩხილებში ან გამოიყოფა ტირილებით.

2. მძიმე არ იწერება ნაწილაკებთან: ვაითუ, იქნება, იქნება, ეგებ(ის), შეიძლება, ნეტავი, უნდა, მოდი, თურმე, ხოლმე და კავშირ თუმცა-ს შემდეგ.

**4.8. ტირე იწერება:**

• ზმნა-შემასმენლის ან შედგენილი შემასმენლის **მეშველი ზმნის** გამოტოვებისას რთულ თანწყობილ წინადადებაში:

სიკვდილსა გლოვა უხდება,  
მკვდარს ძმას — ტირილი დისაო *(ვაჟა-ფშაველა)*.  
ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა  
*(ა. წერეთელი)*.

• **შერწყმულ** წინადადებაში, თუ განმაზოგადებელი სიტყვა წინ უსწრებს ერთგვარ წევრებს:

მაღალი კვიპაროზი, ჩრდილიანი ჭანდარი, ძლიერი მუხა, წითელი ყაყაჩო, მწვანე სამყურა — ყველა ეს მიწის მიერ მზისადმი მინართმევი ძღვენია *(ნ. ლორთქიფანიძე)*.

• უკავშირო რთულ **ქვენყობილ** წინადადებაში (მაგ., დროის გარემოებით ან პირობით დამოკიდებულში):

ზის — ჩხავის, დაფრინავს — ჩხავის.

• **დიალოგში** ყოველი ნათქვამი იწყება აბზაცითა და ტირეთი.

• **პირდაპირი** ნათქვამის შემდეგ, თუ მას მოსდევს ავტორისეული სიტყვები.

რისთვის მოხვედი? — შემომბედა ერთ-ერთმა კრძალვით *(ა. კალანდაძე)*.

• ვრცელი **განკერძოებული** გამოთქმების (დანართის, ჩართულის, განკერძოებული განსაზღვრების, გარემოების...) გამოსაყოფად:

ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბალი *(გ. ლეონიძე)*.

ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას, მაგრამ — თქვენც არ მომიკვდეთ — არ გათხოვდა და არა *(ი. ჭავჭავაძე)*.

• **ეს ეგ, ესენი, ასეთი** ნაცვალსახელების ან აი ნაწილაკის წინ, თუ ის მოსდევს ან ცვლის სახელობით ბრუნვაში დასმულ ქვემდებარეს ან პირდაპირ დამატებას:

ხელოვნება — ეს ოქროა, მიწის გულში დამარხული.  
*(გ. ტაბიძე)*

• სიტყვების განმარტების, ახსნის წინ:  
ომეგა — ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

• მანძილის, დროის ან რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვებსა და რიცხვებს შორის:

10—20 ლიტრი, ქუთაისი—თბილისის მატარებელი, 1837 — 1907, 2 — 3 საათზე...

#### 4.9. ფრჩხილებში ჩაისმის:

- **განკერძოებული** სიტყვები ან გამოთქმები (დანართი, ჩართული, განკერძოებული განსაზღვრება, გარემოება): ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბს), ძლივს (ი. ჭავჭავაძე).
- ავტორის გვარი, სახელი, ფსევდონიმი, მითითებული ნაწარმოების სათაური, რემარკები პიესებში, სათაურის ახსნა-განმარტება, პიროვნების დაბადება-გარდაცვალების თარიღი და სხვ. მაგ.: ლეო ქიაჩელი (ლეონ შენგელაია) დაიბადა სამეგრელოს ერთ ლამაზ სოფელში.

**შენიშვნა:** ფრჩხილების წინ და შიგნით არ დაისმის წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი, ტირე. სასვენი ნიშანი იწერება დახურული ფრჩხილების გარეთ.

#### 4.10. ბრჭყალებში ჩაისმის:

- უცვლელად, **სიტყვასიტყვით** მოყვანილი სხვისი ნათქვამი  
**შენიშვნა:** თუ სხვის ნათქვამს ახლავს -მეთქი, -თქო, -ო ნაწილაკი, ბრჭყალები საჭირო არაა.
- სხვა ავტორთა ნაშრომიდან უცვლელად მოყვანილი **ციტატა**.
- მხატვრული ნაწარმოების, სამეცნიერო ნაშრომის, კინოფილმების, პიესების სახელწოდება, გაზეთის, ჟურნალის, სასტუმროს, კინო-თეატრის, რესტორნის და ა. შ. სახელები: ა. წერეთლის „გამზრდელი“, შექსპირის „ჰამლეტი“, გაზეთი „ახალი თაობა“, ჟურნალი „არილი“, სასტუმრო „ქუთაისი“, რესტორანი „ნისქვილი“, გემი „ტიტანიკი“...
- ზოგჯერ ბარბარიზმები და პერსონაჟის მეტყველებაში გამოყენებული არალიტერატურული (ან უცენზურო) სიტყვები.

**შენიშვნა:** ა) ყველა სასვენი ნიშანი დახურული ბრჭყალების შემდეგ დაისმის.

ბ) თუ სათაური სახელობით ბრუნვაში არ დგას ან დაერთვის თანდებული, ბრჭყალები იწერება ბრუნვის ნიშნის ან თანდებულის შემდეგ.

#### 4.11. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან

- ტექსტში დიალოგის გადმოცემისას ყოველი ნათქვამი იწყება აბზაციითა და ტირეთი.
- შეიძლება პირდაპირი ნათქვამი ჩაისვას ბრჭყალებში, თუ მას არ დაერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკი (-მეთქი, -თქო, -ო).

- ავტორის სიტყვები წინ უსწრებს, მოსდევს ან ჩართულია პირდაპირ ნათქვამში. თუ ჯერ ავტორის სიტყვებია, მის შემდეგ დაინერება ორწერტილი და ტირე ან ორწერტილი და პირდაპირი ნათქვამი ბრჭყალებში ჩაისმის.

მაგალითად: თამარმა დაუძახა შვილს:

– გიგა, ჩქარა ამოდი!

თათიამ დაუძახა შვილს: „გიგა, ჩქარა ამოდი!“

- თუ პირდაპირი ნათქვამი ავტორის სიტყვებამდეა, დაინერება შესაბამისი ნიშანი და ტირე.

– რას ერჩოდი იმ პატიოსან ხალხს? — ჰკითხა ცოლმა ესტატეს.

„რას ერჩოდი იმ პატიოსან ხალხს?“ — ჰკითხა ცოლმა ესტატეს.

- თუ ავტორის სიტყვები პირდაპირი ნათქვამის შუაშია, პირველად დაინერება მძიმე და ტირე, შემდეგ — წერტილი და ტირე. თუ აზრი გრძელდება, დაინერება მძიმე და ტირე.

მაგ.: „მე 1941 წელს დავიბადე, — თქვა გიორგიმ, — როცა ომი დაიწყო“. ან: „მე 1941 წელს დავიბადე, — თქვა გიორგიმ. — როგორც მოგეხსენებათ, იმ წელს ომი დაიწყო“.

• თუ პირდაპირ ნათქვამში გაკვეთის ადგილას საჭიროა კითხვის, ძახილის ან კითხვა-ძახილის ნიშანი, დაინერება ავტორის სიტყვებამდე, რასაც მოსდევს ტირე, ხოლო ავტორის სიტყვების შემდეგ — წერტილი და ტირე. დიალოგში მონაწილე პირთა ნათქვამი იწყება აბზაცით და გამოიყოფა ტირეთი.

## 5. დანართი

### ბრუნებისა და უღლების ტაბულები

#### 5.1. სახელთა ბრუნების ტაბულები

##### 5.1.1 .არსებითი სახელები

##### სავრცობის გამოყენება

სახ.	ლომ-ი	არწივ-ი	ლომ-ებ-ი	არწივ-ებ-ი
მოთხ.	ლომ-მა	არწივ-მა	ლომ-ებ-მა	არწივ-ებ-მა
მიც.	ლომ-ს(ა)	არწივ-ს(ა)	ლომ-ებ-ს(ა)	არწივ-ებ-ს(ა)
ნათ.	ლომ-ის(ა)	არწივ-ის(ა)	ლომ-ებ-ის(ა)	არწივ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ლომ-ით(ა)	არწივ-ით(ა)	ლომ-ებ-ით(ა)	არწივ-ებ-ით(ა)
ვით.	ლომ-ად(ა)	არწივ-ად(ა)	ლომ-ებ-ად(ა)	არწივ-ებ-ად(ა)
წოდ.	ლომ-ო	არწივ-ო	ლომ-ებ-ო	არწივ-ებ-ო

##### უკუმშველი არსებითი სახელები

სახ.	ბალ-ი	მტრედ-ი	ბალ-ებ-ი	მტრედ-ებ-ი
მოთხ.	ბალ-მა	მტრედ-მა	ბალ-ებ-მა	მტრედ-ებ-მა
მიც.	ბალ-ს(ა)	მტრედ-ს(ა)	ბალ-ებ-ს(ა)	მტრედ-ებ-ს
ნათ.	ბალ-ის(ა)	მტრედ-ის(ა)	ბალ-ებ-ის(ა)	მტრედ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ბალ-ით(ა)	მტრედ-ით(ა)	ბალ-ებ-ით(ა)	მტრედ-ებ-ით(ა)
ვით.	ბალ-ად(ა)	მტრედ-ად(ა)	ბალ-ებ-ად(ა)	მტრედ-ებ-ად(ა)
წოდ.	ბალ-ო	მტრედ-ო	ბალ-ებ-ო	მტრედ-ებ-ო

##### უცხოური სახელები

სახ.	ჟურნალ-ი	დეკან-ი	ჟურნალ-ებ-ი	დეკან-ებ-ი
მოთხ.	ჟურნალ-მა	დეკან-მა	ჟურნალ-ებ-მა	დეკან-ებ-მა
მიც.	ჟურნალ-ს(ა)	დეკან-ს(ა)	ჟურნალ-ებ-ს(ა)	დეკან-ებ-ს
ნათ.	ჟურნალ-ის(ა)	დეკან-ის(ა)	ჟურნალ-ებ-ის(ა)	დეკან-ებ-ის(ა)
მოქმ.	ჟურნალ-ით(ა)	დეკან-ით(ა)	ჟურნალ-ებ-ით(ა)	დეკან-ებ-ით(ა)
ვით.	ჟურნალ-ად(ა)	დეკან-ად(ა)	ჟურნალ-ებ-ად(ა)	დეკან-ებ-ად(ა)
წოდ.	ჟურნალ-ო	დეკან-ო	ჟურნალ-ებ-ო	დეკან-ებ-ო

##### უცხოური სახელები (-ო ხმოვნის შემცველი ფუძით)

სახ.	ლიმონ-ი	დემონ-ი	დემონ-ებ-ი	დემონ-ნ-ი
მოთხ.	ლიმონ-მა	დემონ-მა	დემონ-ებ-მა	დემონ-თა
მიც.	ლიმონ-ს(ა)	დემონ-ს(ა)	დემონ-ებ-ს(ა)	დემონ-თა
ნათ.	ლიმონ-ის(ა)	დემონ-ის(ა)	დემონ-ებ-ის(ა)	დემონ-თა
მოქმ.	ლიმონ-ით(ა)	დემონ-ით(ა)	დემონ-ებ-ით(ა)	—
ვით.	ლიმონ-ად(ა)	დემონ-ად(ა)	დემონ-ებ-ად(ა)	—
წოდ.	ლიმონ-ო	დემონ-ო	დემონ-ებ-ო	დემონ-ნ-ო

## კუმშვადი სახელები: -ა ხმოვნანი

სახ.	კალამ-ი	საბან-ი	კალმ-ები	საბნ-ები
მოთხ.	კალამ-მა	საბან-მა	კალმ-ებ-მა	საბნ-ებ-მა
მიც.	კალამ-ს(ა)	საბან-ს(ა)	კალმ-ებ-ს(ა)	საბნ-ებ-ს(ა)
ნათ.	კალმ-ის(ა)	საბნ-ის(ა)	კალმ-ებ-ის(ა)	საბნ-ებ-ის(ა)
მოქმ.	კალმ-ით(ა)	საბნ-ით(ა)	კალმ-ებ-ით(ა)	საბნ-ებ-ით(ა)
ვით.	კალმ-ად(ა)	საბნ-ად(ა)	კალმ-ებ-ად(ა)	საბნ-ებ-ად(ა)
წოდ.	კალამ-ო	საბან-ო	კალმ-ებ-ო	საბნ-ებ-ო

სახ.	შარვალ-ი	ცხვარ-ი	შარვლ-ები	ცხვრ-ები
მოთხ.	შარვალ-მა	ცხვარ-მა	შარვლ-ებ-მა	ცხვრ-ებ-მა
მიც.	შარვალ-ს(ა)	ცხვარ-ს(ა)	შარვლ-ებ-ს(ა)	ცხვრ-ებ-ს(ა)
ნათ.	შარვლ-ის(ა)	ცხვრ-ის(ა)	შარვლ-ებ-ის(ა)	ცხვრ-ებ-ის(ა)
მოქმ.	შარვლ-ით(ა)	ცხვრ-ით(ა)	შარვლ-ებ-ით(ა)	ცხვრ-ებ-ით(ა)
ვით.	შარვლ-ად(ა)	ცხვრ-ად(ა)	შარვლ-ებ-ად(ა)	ცხვრ-ებ-ად(ა)
წოდ.	შარვალ-ო	ცხვარ-ო	შარვლ-ებ-ო	ცხვრ-ებ-ო

## -ე ხმოვნანი

სახ.	შველ-ი	სანთელ-ი	შვლ-ები	სანთლ-ები
მოთხ.	შველ-მა	სანთელ-მა	შვლ-ებ-მა	სანთლ-ებ-მა
მიც.	შველ-ს(ა)	სანთელ-ს(ა)	შვლ-ებ-ს(ა)	სანთლ-ებ-ს(ა)
ნათ.	შვლ-ის(ა)	სანთლ-ის(ა)	შვლ-ებ-ის(ა)	სანთლ-ებ-ის(ა)
მოქმ.	შვლ-ით(ა)	სანთლ-ით(ა)	შვლ-ებ-ით(ა)	სანთლ-ებ-ით(ა)
ვით.	შვლ-ად(ა)	სანთლ-ად(ა)	შვლ-ებ-ად(ა)	სანთლ-ებ-ად(ა)
წოდ.	შველ-ო	სანთელ-ო	შვლ-ებ-ო	სანთლ-ებ-ო

## კ-ს ჩანაცვლება ო-ხმოვნიან სიტყვებში

სახ.	ნიორ-ი	ნიგოზ-ი	იორ-ი
მოთხ.	ნიორ-მა	ნიგოზ-მა	იორ-მა
მიც.	ნიორ-ს(ა)	ნიგოზ-ს(ა)	იორ-ს
ნათ.	ნივრ-ის(ა)	ნიგვზ-ის(ა)	ივრ-ის
მოქმ.	ნივრ-ით(ა)	ნიგვზ-ით(ა)	ივრ-ით
ვით.	ნივრ-ად(ა)	ნიგვზ-ად(ა)	ივრ-ად
წოდ.	ნიორ-ო	ნიგოზ-ო	იორ-ო

სახ.	მანონ-ი	მონაზონ-ი	მონაზუნ-ებ-ი	მონაზონ-ნ-ი
მოთხ.	მანონ-მა	მონაზონ-მა	მონაზუნ-ებ-მა	მონაზონ-თა
მიც.	მანონ-ს(ა)	მონაზონ-ს(ა)	მონაზუნ-ებ-ს(ა)	მონაზონ-თა
ნათ.	მანვენ-ის(ა)	მონაზუნ-ის(ა)	მონაზუნ-ებ-ის(ა)	მონაზონ-თა
მოქმ.	მანვენ-ით(ა)	მონაზუნ-ით(ა)	მონაზუნ-ებ-ით(ა)	—
ვით.	მანვენ-ად(ა)	მონაზუნ-ად(ა)	მონაზუნ-ებ-ად(ა)	—
წოდ.	მანონ-ო	მონაზონ-ო	მონაზუნ-ებ-ო	მონაზონ-ნ-ო

### -ო ხმოვნის ამოვარდნა ფუძიდან

სახ.	გოდორ-ი	ობოლ-ი	გოდრ-ებ-ი	ობლ-ებ-ი
მოთხ.	გოდორ-მა	ობოლ-მა	გოდრ-ებ-მა	ობლ-ებ-მა
მიც.	გოდორ-ს(ა)	ობოლ-ს(ა)	გოდრ-ებ-ს(ა)	ობლ-ებ-ს(ა)
ნათ.	გოდრ-ის(ა)	ობლ-ის(ა)	გოდრ-ებ-ის (ა)	ობლ-ებ-ის(ა)
მოქმ.	გოდრ-ით(ა)	ობლ-ით(ა)	გოდრ-ებ-ით(ა)	ობლ-ებ-ით(ა)
ვით.	გოდრ-ად(ა)	ობლ-ად(ა)	გოდრ-ებ-ად(ა)	ობლ-ებ-ად(ა)
წოდ.	გოდორ-ო	ობოლ-ო	გოდრ-ებ-ო	ობლ-ებ-ო

სახ.	ხოხოზ-ი	ქოჩორ-ი	ხოხბ-ებ-ი	ქოჩრ-ებ-ი
მოთხ.	ხოხოზ-მა	ქოჩორ-მა	ხოხბ-ებ-მა	ქოჩრ-ებ-მა
მიც.	ხოხოზ-ს(ა)	ქოჩორ-ს(ა)	ხოხბ-ებ-ს(ა)	ქოჩრ-ებ-ს(ა)
ნათ.	ხოხბ-ის(ა)	ქოჩრ-ის(ა)	ხოხბ-ებ-ის(ა)	ქოჩრ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ხოხბ-ით(ა)	ქოჩრ-ით(ა)	ხოხბ-ებ-ით(ა)	ქოჩრ-ებ-ით(ა)
ვით.	ხოხბ-ად(ა)	ქოჩრ-ად(ა)	ხოხბ-ებ-ად(ა)	ქოჩრ-ებ-ად(ა)
წოდ.	ხოხოზ-ო	ქოჩორ-ო	ხოხბ-ებ-ო	ქოჩრ-ებ-ო

### არასონორ თანხმოვნებზე დამთავრებული

სახ.	ბეჭედ-ი	ყასაბ-ი	ბეჭდ-ებ-ი	ყასბ-ებ-ი
მოთხ.	ბეჭედ-მა	ყასაბ-მა	ბეჭდ-ებ-მა	ყასბ-ებ-მა
მიც.	ბეჭედ-ს(ა)	ყასაბ-ს(ა)	ბეჭდ-ებ-ს(ა)	ყასბ-ებ-ს(ა)
ნათ.	ბეჭდ-ის(ა)	ყასბ-ის(ა)	ბეჭდ-ებ-ის(ა)	ყასბ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ბეჭდ-ით(ა)	ყასბ-ით(ა)	ბეჭდ-ებ-ით(ა)	ყასბ-ებ-ით(ა)
ვით.	ბეჭდ-ად(ა)	ყასბ-ად(ა)	ბეჭდ-ებ-ად(ა)	ყასბ-ებ-ად(ა)
წოდ.	ბეჭედ-ო	ყასაბ-ო	ბეჭდ-ებ-ო	ყასბ-ებ-ო

## არასონორ თანხმონებზე დამთავრებული

სახ.	ნილაბ-ი	ხოხობ-ი	ნილბ-ებ-ი	ხოხბ-ებ-ი
მოთხ.	ნილაბ-მა	ხოხობ-მა	ნილბ-ებ-მა	ხოხბ-ებ-მა
მიც.	ნილაბ-ს(ა)	ხოხობ-ს(ა)	ნილბ-ებ-ს(ა)	ხოხბ-ებ-ს(ა)
ნათ.	ნილბ-ის(ა)	ხოხბ-ის(ა)	ნილბ-ებ-ის(ა)	ხოხბ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ნილბ-ით(ა)	ხოხბ-ით(ა)	ნილბ-ებ-ით(ა)	ხოხბ-ებ-ით(ა)
ვით.	ნილბ-ად(ა)	ხოხბ-ად(ა)	ნილბ-ებ-ად(ა)	ხოხბ-ებ-ად(ა)
წოდ.	ნილაბ-ო	ხოხობ-ო	ნილბ-ებ-ო	ხოხბ-ებ-ო

## კვეცადი სახელები: ა-ხმონიანი

სახ.	გზა	კაბა	გზ-ებ-ი	კაბ-ებ-ი
მოთხ.	გზა-მ	კაბა-მ	გზ-ებ-მა	კაბ-ებ-მა
მიც.	გზა-ს(ა)	კაბა-ს(ა)	გზ-ებ-ს(ა)	კაბ-ებ-ს(ა)
ნათ.	გზ-ის(ა)	კაბ-ის(ა)	გზ-ებ-ის(ა)	კაბ-ებ-ის(ა)
მოქმ.	გზ-ით(ა)	კაბ-ით(ა)	გზ-ებ-ით(ა)	კაბ-ებ-ით(ა)
ვით.	გზა-დ(ა)	კაბა-დ(ა)	გზ-ებ-ად(ა)	კაბ-ებ-ად(ა)
წოდ.	გზა-ო	კაბა-ვ	გზ-ებ-ო	კაბ-ებ-ო

## ე-ხმონიანი ( მხ. რიცხვში)

სახ.	ტყე	სიძე	ტყე-ებ-ი	სიძე-ებ-ი
მოთხ.	ტყე-მ	სიძე-მ	ტყე-ებ-მა	სიძე-ებ-მა
მიც.	ტყე-ს(ა)	სიძე-ს(ა)	ტყე-ებ-ს(ა)	სიძე-ებ-ს(ა)
ნათ.	ტყ-ის(ა)	სიძ-ის(ა)	ტყე-ებ-ის(ა)	სიძე-ებ-ის(ა)
მოქმ.	ტყ-ით(ა)	სიძ-ით(ა)	ტყე-ებ-ით(ა)	სიძე-ებ-ით(ა)
ვით.	ტყე-დ(ა)	სიძე-დ(ა)	ტყე-ებ-ად(ა)	სიძე-ებ-ად(ა)
წოდ.	ტყე-ო	სიძე-ვ	ტყე-ებ-ო	სიძე-ებ-ო

## კუმშვად-კვეცადი სახელები

სახ.	ქარხანა	მოყვარე	ქარხნ-ებ-ი	მოყვრ-ებ-ი
მოთხ.	ქარხანა-მ	მოყვარე-მ	ქარხნ-ებ-მა	მოყვრ-ებ-მა
მიც.	ქარხანა-ს(ა)	მოყვარე-ს(ა)	ქარხნ-ებ-ს(ა)	მოყვრ-ებ-ს(ა)
ნათ.	ქარხნ-ის(ა)	მოყვრ-ის(ა)	ქარხნ-ებ-ის	მოყვრ-ებ-ის
მოქმ.	ქარხნ-ით(ა)	მოყვრ-ით(ა)	ქარხნ-ებ-ით(ა)	მოყვრ-ებ-ით(ა)
ვით.	ქარხნ-ად(ა)	მოყვრ-ად(ა)	ქარხნ-ებ-ად(ა)	მოყვრ-ებ-ად(ა)
წოდ.	ქარხანა-ვ	მოყვარე-ვ	ქარხნ-ებ-ო	მოყვრ-ებ-ო

## უკვეცელი სახელები: ო- და უ-ხმოვნინანი

სახ.	საქმრო	კუ	საქმრო-ები	კუ-ები
მოთხ.	საქმრო-მ	კუ-მ	საქმრო-ებ-მა	კუ-ებ-მა
მიც.	საქმრო-ს(ა)	კუ-ს(ა)	საქმრო-ებ-ს(ა)	კუ-ებ-ს(ა)
ნათ.	საქმრო-ს(ი)	კუ-ს(ი)	საქმრო-ებ-ის	კუ-ებ-ის
მოქმ.	საქმრო-თი	კუ-თი	საქმრო-ებ-ით	კუ-ებ-ით
ვით.	საქმრო-დ	კუ-დ	საქმრო-ებ-ად	კუ-ებ-ად
წოდ.	საქმრო-ვ	კუ-ო	საქმრო-ებ-ო	კუ-ებ-ო

## უცხოური უკვეცელი სახელები: ი-ხმოვნინანი

სახ.	ტაქსი	სამურაი	ტრამვაი	ტაქს-ები	სამურა-ები
მოთხ.	ტაქსი-მ	სამურაი-მ	ტრამვაი-მ	ტაქს-ებ-მა	სამურა-ებ-მა
მიც.	ტაქსი-ს	სამურაი-ს	ტრამვაი-ს	ტაქს-ებ-ს	სამურა-ებ-ს
ნათ.	ტაქსი-ს	სამურაი-ს	ტრამვაი-ს	ტაქს-ებ-ის	სამურა-ებ-ის
მოქმ.	ტაქსი-თ	სამურაი-თ	ტრამვაი-თ	ტაქს-ებ-ით	სამურა-ებ-ით
ვით.	ტაქსი-დ	სამურაი-დ	ტრამვაი-დ	ტაქს-ებ-ად	სამურა-ებ-ად
წოდ.	ტაქსი	სამურაი	ტრამვაი	ტაქს-ებ-ო	სამურა-ებ-ო

## უკვეცელი სახელები: ა-ხმოვნინანი

სახ.	დათუნია	თხუნელა	დათუნი-ები	თხუნელ-ები
მოთხ.	დათუნია-მ	თხუნელა-მ	დათუნი-ებ-მა	თხუნელ-ებ-მა
მიც.	დათუნია-ს(ა)	თხუნელა-ს(ა)	დათუნი-ებ-ს(ა)	თხუნელ-ებ-ს(ა)
ნათ.	დათუნია-ს(ი)	თხუნელა-ს(ი)	დათუნი-ებ-ის(ა)	თხუნელ-ებ-ის(ა)
მოქმ.	დათუნია-თი	თხუნელა-თი	დათუნი-ებ-ით(ა)	თხუნელ-ებ-ით(ა)
ვით.	დათუნია-დ	თხუნელა-დ	დათუნი-ებ-ად	თხუნელ-ებ-ად
წოდ.	დათუნია-ვ	თხუნელა-ვ	დათუნი-ებ-ო	თხუნელ-ებ-ო

## ე-ხმოვნინანი

სახ.	კაფე	იუბილე	კაფე-ები	იუბილე-ები
მოთხ.	კაფე-მ	იუბილე-მ	კაფე-ებ-მა	იუბილე-ებ-მა
მიც.	კაფე-ს(ა)	იუბილე-ს(ა)	კაფე-ებ-ს(ა)	იუბილე-ებ-ს(ა)
ნათ.	კაფე-ს(ი)	იუბილე-ს(ი)	კაფე-ებ-ის(ა)	იუბილე-ებ-ის(ა)
მოქმ.	კაფე-თი	იუბილე-თი	კაფე-ებ-ით(ა)	იუბილე-ებ-ით(ა)
ვით.	კაფე-დ	იუბილე-დ	კაფე-ებ-ად	იუბილე-ებ-ად
წოდ.	კაფე-ვ	იუბილე-ვ	კაფე-ებ-ო	იუბილე-ებ-ო

## საკუთარი სახელები: ადამიანთა სახელები

სახ.	ლევან-ი	ნესტან-ი	ნანა	რატი	ნანო	კოტე
მოთხ.	ლევან-მა	ნესტან-მა	ნანა-მ	რატი-მ	ნანო-მ	კოტე-მ
მიც.	ლევან-ს	ნესტან-ს	ნანა-ს	რატი-ს	ნანო-მ	კოტე-ს
ნათ.	ლევან-ის	ნესტან-ის	ნანა-ს(ი)	რატი-ს	ნანო-ს(ი)	კოტე-ს(ი)
მოქმ.	ლევან-ით	ნესტან-ით	ნანა-თი	რატი-თ	ნანო-თი	კოტე-თი
ვით.	ლევან-ად	ნესტან-ად	ნანა-დ	რატი-დ	ნანო-დ	კოტე-დ
წოდ.	ლევან	ნესტან	ნანა	რატი	ნანო	კოტე

## თანხმოვანფუძიანი გვარები

სახ.	ჩოლოყაშვილ-ი	ასათიან-ი	ჩოლოყაშვილ-ები	ასათიან-ები
მოთხ.	ჩოლოყაშვილ-მა	ასათიან-მა	ჩოლოყაშვილ-ებ-მა	ასათიან-ებ-მა
მიც.	ჩოლოყაშვილ-ს	ასათიან-ს	ჩოლოყაშვილ-ებ-ს	ასათიან-ებ-ს
ნათ.	ჩოლოყაშვილ-ის	ასათიან-ის	ჩოლოყაშვილ-ებ-ის	ასათიან-ებ-ის
მოქმ.	ჩოლოყაშვილ-ით	ასათიან-ით	ჩოლოყაშვილ-ებ-ით	ასათიან-ებ-ით
ვით.	ჩოლოყაშვილ-ად	ასათიან-ად	ჩოლოყაშვილ-ებ-ად	ასათიან-ებ-ად
წოდ.	ჩოლოყაშვილ-ო	ასათიან-ო	ჩოლოყაშვილ-ებ-ო	ასათიან-ებ-ო

## კუმშვადი გვარები

სახ.	მაჩაბელ-ი	წერეთელ-ი	მაჩაბლ-ები	წერეთლ-ები
მოთხ.	მაჩაბელ-მა	წერეთელ-მა	მაჩაბლ-ებ-მა	წერეთლ-ებ-მა
მიც.	მაჩაბელ-ს	წერეთელ-ს	მაჩაბლ-ებ-ს	წერეთლ-ებ-ს
ნათ.	მაჩაბლ-ის	წერეთლ-ის	მაჩაბლ-ებ-ის	წერეთლ-ებ-ის
მოქმ.	მაჩაბლ-ით	წერეთლ-ით	მაჩაბლ-ებ-ით	წერეთლ-ებ-ით
ვით.	მაჩაბლ-ად	წერეთლ-ად	მაჩაბლ-ებ-ად	წერეთლ-ებ-ად
წოდ.	მაჩაბელ-ო	წერეთელ-ო	მაჩაბლ-ებ-ო	წერეთლ-ებ-ო

## ხმოვანფუძიანი გვარები

სახ.	გაბუნია	ჭელიძე	გაბუნი-ები	ჭელიძე-ები
მოთხ.	გაბუნია-მ	ჭელიძე-მ	გაბუნი-ებ-მა	ჭელიძე-ებ-მა
მიც.	გაბუნია-ს	ჭელიძე-ს	გაბუნი-ებ-ს	ჭელიძე-ებ-ს
ნათ.	გაბუნია-ს(ი)	ჭელიძე-ის	გაბუნი-ებ-ის	ჭელიძე-ებ-ის
მოქმ.	გაბუნია-თი	ჭელიძე-ით	გაბუნი-ებ-ით	ჭელიძე-ებ-ით
ვით.	გაბუნია-დ	ჭელიძე-დ	გაბუნი-ებ-ად	ჭელიძე-ებ-ად
წოდ.	გაბუნია	ჭელიძე	გაბუნი-ებ-ო	ჭელიძე-ებ-ო

**ი-ხმოვნინანი (უკვეცელი უცხოური გვარები):**

სახ.	პაგანინი	ფელინი	დებიუსი	ოგინსკი
მოთხ.	პაგანინი-მ	ფელინი-მ	დებიუსი-მ	ოგინსკი-მ
მიც.	პაგანინი-ს	ფელინი-ს	დებიუსი-ს	ოგინსკი-ს
ნათ.	პაგანინი-ს	ფელინი-ს	დებიუსი-ს	ოგინსკი-ს
მოქმ.	პაგანინი-თ	ფელინი-თ	დებიუსი-თ	ოგინსკი-თ
ვით.	პაგანინი-დ	ფელინი-დ	დებიუსი-დ	ოგინსკი-დ
ნოდ.	პაგანინი	ფელინი	დებიუსი	ოგინსკი

**სახელი და გვარი ერთად**

სახ.	ლევან	ხარაზიშვილ-ი	თამარ	ლორთქიფანიძე
მოთხ.	ლევან	ხარაზიშვილ-მა	თამარ	ლორთქიფანიძე-მ
მიც.	ლევან	ხარაზიშვილ-ს	თამარ	ლორთქიფანიძე-ს
ნათ.	ლევან	ხარაზიშვილ-ის	თამარ	ლორთქიფანიძე-ის
მოქმ.	ლევან	ხარაზიშვილ-ით	თამარ	ლორთქიფანიძე-ით
ვით.	ლევან	ხარაზიშვილ-ად	თამარ	ლორთქიფანიძე-დ
ნოდ.	ლევან	ხარაზიშვილ-ო	თამარ	ლორთქიფანიძე

**არსებითი სახელი მსაზღვრელად**

**წოდების/ ხელობის აღმნიშველი არსებითი სახელები გვართან ერთად**

სახ.	პოეტ-ი	ბარათაშვილ-ი	მხატვარ-ი	ახვლედიან-ი
მოთხ.	პოეტ-მა	ბარათაშვილ-მა	მხატვარ-მა	ახვლედიან-მა
მიც.	პოეტ	ბარათაშვილ-ს	მხატვარ	ახვლედიან-ს
ნათ.	პოეტ	ბარათაშვილ-ის	მხატვარ	ახვლედიან-ის
მოქმ.	პოეტ	ბარათაშვილ-ით	მხატვარ	ახვლედიან-ით
ვით.	პოეტ	ბარათაშვილ-ად	მხატვარ	ახვლედიან-ად
ნოდ.	პოეტ-ო	ბარათაშვილ-ო	მხატვარ-ო	ახვლედიან-ო

**ბატონი და ქალბატონი მსაზღვრელად საკუთარ სახელთან**

სახ.	ბატონ-ი	ივანე	ქალბატონ-ი	ეთერ-ი
მოთხ.	ბატონ-მა	ივანე-მ	ქალბატონ-მა	ეთერ-მა
მიც.	ბატონ	ივანე-ს	ქალბატონ	ეთერ-ს
ნათ.	ბატონ-ი	ივანე-ს(ი)	ქალბატონ-ი	ეთერ-ის
მოქმ.	ბატონ-ი	ივანე-თი	ქალბატონ-ი	ეთერ-ით
ვით.	ბატონ	ივანე-დ	ქალბატონ	ეთერ-ად
ნოდ.	ბატონ-ო	ივანე	ქალბატონ-ო	ეთერ

## მართული და მართულშეთანხმებული მსაზღვრელი საზღვრულთან

	პირდაპირი წყობა (მართული მსაზღვრელი)		შებრუნებული წყობა (მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი)	
სახ.	ვერცხლის	ბეჭედ-ი	ბეჭედ-ი	ვერცხლისა
მოთხ.	ვერცხლის	ბეჭედ-მა	ბეჭედ-მა	ვერცხლისა-მ
მიც.	ვერცხლის	ბეჭედ-ს	ბეჭედ-ს	ვერცხლისა-ს
ნათ.	ვერცხლის	ბეჭედ-ის	—	—
მოქმ.	ვერცხლის	ბეჭედ-ით	—	—
ვით.	ვერცხლის	ბეჭედ-ად	ბეჭედ-ად	ვერცხლისა-(დ)
ნოდ.	ვერცხლის	ბეჭედ-ო	ბეჭედ-ო	ვერცხლისა-ვ

### 5.1.2. ზედსართავი სახელები

#### ხარისხის ფორმები

დადებითი ხარისხი	ოღნაობითი ხარისხი	უფროობითი ხარისხი
<b>თანმშოვანფუძიანი ზედსართავი სახელებისგან</b>		
დაბალ-ი	მო-დაბლ-ო	უ-დაბლ-ეს-ი
დიდ-ი	მო-დიდ-ო	უ-დიდ-ეს-ი
თეთრ-ი	მო-თეთრ-ო	უ-თეთრ-ეს-ი
ლამაზ-ი	მო-ლამაზ-ო	უ-ლამაზ-ეს-ი
მაღალ-ი	მო-მაღლ-ო	უ-მაღლ-ეს-ი
შავ-ი	მო-შავ-ო	უ-შავ-ეს-ი
ცისფერ-ი	მო-ცისფერ-ო	უ-ცისფერ-ეს-ი
<b>ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელებისგან</b>		
მწარე	მო-მწარ-ო	უ-მწარ-ეს-ი
მწვანე	მო-მწვან-ო	უ-მწვან-ეს-ი
ფართო	მო-ფართ-ო	უ-ფართო-ეს-ი
ცრუ	მო-ცრუ-ო	უ-ცრუ-ეს-ი
ცხარე	მო-ცხარ-ო	უ-ცხარ-ეს-ი
<b>-ელ და -ილ დაბოლოებიანი ზედს. სახელებისგან</b>		
გრძელ-ი	მო-გრძ-ო	უ-გრძ-ეს-ი
სქელ-ი	მო-სქ-ო	უ-სქ-ეს-ი
ტკბილ-ი	მო-ტკბ-ო	უ-ტკბ-ეს-ი
<b>თავისებურად ნაწარმოები ხარისხის ფორმები</b>		
კარგ-ი	უ-კეთ-ეს-ი	სა-უკეთეს-ო
ცუდ-ი	უ-არ-ეს-ი	ყველაზე ცუდი// უ-ცუდ-ეს-ი

## ზედსართავ სახელთა ბრუნება

### თანხმოვანფუძიანი

სახ.	ჭკვიანი	დაბალი	ჭკვიანები	დაბლები
მოთხ.	ჭკვიან-მა	დაბალ-მა	ჭკვიან-ებ-მა	დაბლ-ებ-მა
მიც.	ჭკვიან-ს(ა)	დაბალ-ს(ა)	ჭკვიან-ებ-ს(ა)	დაბლ-ებ-ს(ა)
ნათ.	ჭკვიან-ის(ა)	დაბლ-ის(ა)	ჭკვიან-ებ-ის(ა)	დაბლ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ჭკვიან-ით(ა)	დაბლ-ით(ა)	ჭკვიან-ებ-ით(ა)	დაბლ-ებ-ით(ა)
ვით.	ჭკვიან-ად(ა)	დაბლ-ად(ა)	ჭკვიან-ებ-ად(ა)	დაბლ-ებ-ად(ა)
წოდ.	ჭკვიან-ო	დაბალ-ო	ჭკვიან-ებ-ო	დაბლ-ებ-ო

### ხმოვანფუძიანი

სახ.	კობტა	მჟავე	კობტები	მჟავეები
მოთხ.	კობტ-ამ	მჟავე-მ	კობტ-ებ-მა	მჟავე-ებ-მა
მიც.	კობტ-ს	მჟავე-ს(ა)	კობტ-ებ-ს	მჟავე-ებ-ს
ნათ.	კობტ-ს(ი)	მჟავ-ის	კობტ-ებ-ის	მჟავე-ებ-ის
მოქმ.	კობტ-ითი	მჟავე-ით	კობტ-ებ-ით	მჟავე-ებ-ით
ვით.	კობტ-ად	მჟავე-დ	კობტ-ებ-ად	მჟავე-ებ-ად
წოდ.	კობტ-ავ	მჟავე-ვ	კობტ-ებ-ო	მჟავე-ებ-ო

სახ.	ციცაბო	ცრუ	ციცაბოები	ცრუები	ციცაბო-ნი	ცრუ-ნი
მოთხ.	ციცაბო-მ	ცრუ-მ	ციცაბო-ებ-მა	ცრუ-ებ-მა	ციცაბო-თა	ცრუ-თა
მიც.	ციცაბო-ს	ცრუ-ს	ციცაბო-ებ-ს	ცრუ-ებ-ს	ციცაბო-თა	ცრუ-თა
ნათ.	ციცაბო-ს(ი)	ცრუ-ს	ციცაბო-ებ-ის	ცრუ-ებ-ის	ციცაბო-თა	ცრუ-თა
მოქმ.	ციცაბო-თი	ცრუ-თი	ციცაბო-ებ-ით	ცრუ-ებ-ით		
ვით.	ციცაბო-დ	ცრუ-დ	ციცაბო-ებ-ად	ცრუ-ებ-ად		
წოდ.	ციცაბო-ვ	ცრუ-ო	ციცაბო-ებ-ო	ცრუ-ებ-ო	ციცაბო-წო	ცრუ-წო

## ზედსართავი სახელი მსაზღვრელად

### თანხმოვანფუძიანი

სახ.	მაღალი	ბურქი	მაღალი	ბურქები	მაღალ-ნი	ბურქ-ნი
მოთხ.	მაღალ-მა	ბურქ-მა	მაღალ-მა	ბურქ-ებ-მა	მაღალ-(თა)	ბურქ-თა
მიც.	მაღალ	ბურქ-ს	მაღალ	ბურქ-ებ-ს	მაღალ-(თა)	ბურქ-თა
ნათ.	მაღალი	ბურქ-ის	მაღალი	ბურქ-ებ-ის	მაღალ-(თა)	ბურქ-თა
მოქმ.	მაღალი	ბურქ-ით	მაღალი	ბურქ-ებ-ით	—	—
ვით.	მაღალ	ბურქ-ად	მაღალ	ბურქ-ებ-ად	—	—
წოდ.	მაღალ-ო	ბურქ-ო	მაღალ-ო	ბურქ-ებ-ო	მაღალ-წო	ბურქ-წო

სახ.	ყვითელი	ყვავილი	ყვითელი	ყვავილები	ყვითელნი	ყვავილნი
მოთხ.	ყვითელ-მა	ყვავილ-მა	ყვითელ-მა	ყვავილებ-მა	ყვითელ-(თა)	ყვავილ-თა
მიც.	ყვითელ	ყვავილ-ს	ყვითელ	ყვავილებ-ს	ყვითელ-(თა)	ყვავილ-თა
ნათ.	ყვითელი	ყვავილის	ყვითელი	ყვავილებ-ის	ყვითელ-(თა)	ყვავილ-თა
მოქმ.	ყვითელი	ყვავილ-ით	ყვითელი	ყვავილებ-ით	—	—
ვით.	ყვითელ	ყვავილ-ად	ყვითელ	ყვავილებ-ად	—	—
ნოდ.	ყვითელი	ყვავილ-ო	ყვითელი	ყვავილებ-ო	ყვითელ-ნო	ყვავილ-ნო

### ხმოვანფუძიანი

სახ.	მწვანე	ველი	ვინრო	ქურა
მოთხ.	მწვანე	ველ-მა	ვინრო	ქურა-მ
მიც.	მწვანე	ველ-ს	ვინრო	ქურა-ს
ნათ.	მწვანე	ველ-ის	ვინრო	ქურ-ის
მოქმ.	მწვანე	ველ-ით	ვინრო	ქურ-ით
ვით.	მწვანე	ველ-ად	ვინრო	ქურა-დ
ნოდ.	მწვანე	ველ-ო	ვინრო	ქურა-ვ

სახ.	მწვანე	ველები	ვინრო	ქურები	მწვანე	ველნი
მოთხ.	მწვანე	ველებ-მა	ვინრო	ქურებ-მა	მწვანე	ველ-თა
მიც.	მწვანე	ველებ-ს	ვინრო	ქურებ-ს	მწვანე	ველ-თა
ნათ.	მწვანე	ველებ-ის	ვინრო	ქურებ-ის	მწვანე	ველ-თა
მოქმ.	მწვანე	ველებ-ით	ვინრო	ქურებ-ით	—	—
ვით.	მწვანე	ველებ-ად	ვინრო	ქურებ-ად	—	—
ნოდ.	მწვანე	ველებ-ო	ვინრო	ქურებ-ო	მწვანე	ველ-ნო

	პირდაპირი წყობა		შებრუნებული წყობა	
სახ.	ცივ-ნი	წყარო-ნი	წყარო-ნი	ცივ-ნი
მოთხ.	ცივ-(თა)	წყარო-თა	წყარო-თა	ცივ-თა
მიც.	ცივ-(თა)	წყარო-თა	წყარო-თა	ცივ-თა
ნათ.	ცივ-(თა)	წყარო-თა	წყარო-თა	ცივ-თა
მოქმ.	—	—	—	—
ვით.	—	—	—	—
ნოდ.	ცივ-ნი	წყარო-ნი	წყარო-ნი	ცივ-ნი

### 5.1.3. რიცხვითი სახელები

#### რაოდენობითი რიცხვითი სახელები

სახ.	ოთხი	ცხრა	ოთხნი	ცხრანი
მოთხ.	ოთხ-მა	ცხრა-მ	ოთხ-თა	ცხრა-თა
მიც.	ოთხ-ს	ცხრა-ს	ოთხ-თა	ცხრა-თა
ნათ.	ოთხ-ის	ცხრ-ის	ოთხ-თა	ცხრა-თა
მოქმ.	ოთხ-ით	ცხრ-ით	—	—
ვით.	ოთხ-ად	ცხრა-დ	—	—

## არსებით სახელთან ერთად

სახ.	ხუთ-ი	ფანქარ-ი	მერვე	კლას-ი	მეხუთედ-ი	პურ-ი
მოთხ.	ხუთ-მა	ფანქარ-მა	მერვე	კლას-მა	მეხუთედ-მა	პურ-მა
მიც.	ხუთ	ფანქარ-ს	მერვე	კლას-ს	მეხუთედ	პურ-ს
ნათ.	ხუთ-ი	ფანქარ-ის	მერვე	კლას-ის	მეხუთედ-ი	პურ-ის
მოქმ.	ხუთ-ი	ფანქარ-ით	მერვე	კლას-ით	მეხუთედ-ი	პურ-ით
ვით.	ხუთ	ფანქარ-ად	მერვე	კლას-ად	მეხუთედ	პურ-ად

	პირდაპირი წყობა		შებრუნებული წყობა	
სახ.	სამ-ნ-ი	ყვავილ-ნ-ი	ყვავილ-ნ-ი	სამ-ნ-ი
მოთხ.	სამ-თა	ყვავილ-თა	ყვავილ-თა	სამ-თა
მიც.	სამ-თა	ყვავილ-თა	ყვავილ-თა	სამ-თა
ნათ.	სამ-თა	ყვავილ-თა	ყვავილ-თა	სამ-თა
მოქმ.	—	—	—	—
ვით.	—	—	—	—
წოდ.	სამ-ნ-ო	ყვავილ-ნ-ო*	ყვავილ-ნ-ო	სამ-ნ-ო*

## ვე- ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი

	ნაწილაკშებრდილი	ნაწილაკშეუზრდელი
სახ.	სამ-ი-ვე	სამ-ი-ვე
მოთხ.	სამ-ი-ვე-მ	სამ-მა-ვე
მიც.	სამ-ი-ვე-ს	სამ-სა-ვე
ნათ.	სამ-ი-ვე-ს(ი)	სამ-ის(ა)-ვე
მოქმ.	სამ-ი-ვე-თი	სამ-ით(ა)-ვე
ვით.	სამ-ი-ვე-დ	სამ-ად-ვე

## 5.1.4. ნაცვალსახელები

### I და II პირის ნაცვალსახელები

	I პ. (მხ. რ.)	II პ. (მხ. რ.)	I პ. (მრ. რ.)	II პ. (მრ. რ.)
სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთხ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მიც.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
ნათ.	ჩემ(+თანდ.)	შენ(+თანდ.)	ჩვენ(+თანდ.)	თქვენ(+თანდ.)
მოქმ.	—	—	—	—
ვით.	—	—	—	—
წოდ.	—	შე, შე	—	თქვენ, თქვე

## ჩვენებითი ნაცვალსახელები არსებით სახელთან ერთად (მხ. რიცხვში)

სახ.	ეს წიგნი	ეგ მაგიდა	ის სურათი
მოთხ.	ამ წიგნი-მა	მაგ მაგიდა-მ	იმ სურათ-მა
მიც.	ამ წიგნი-ს	მაგ მაგიდა-ს	ის სურათ-ს
ნათ.	ამ წიგნი-ის	მაგ მაგიდა-ის	იმ სურათ-ის
მოქმ.	ამ წიგნი-ით	მაგ მაგიდა-ით	იმ სურათ-ით
ვით.	ამ წიგნი-ად	მაგ მაგიდა-ად	იმ სურათ-ად

სახ.	ეს წიგნ-ებ-ი	ეგ მაგიდ-ებ-ი	ის სურათ-ებ-ი
მოთხ.	ამ წიგნ-ებ-მა	მაგ მაგიდ-ებ-მა	იმ სურათ-ებ-მა
მიც.	ამ წიგნ-ებ-ს	მაგ მაგიდ-ებ-ს	ის სურათ-ებ-ს
ნათ.	ამ წიგნ-ებ-ის	მაგ მაგიდ-ებ-ის	იმ სურათ-ებ-ის
მოქმ.	ამ წიგნ-ებ-ით	მაგ მაგიდ-ებ-ით	იმ სურათ-ებ-ით
ვით.	ამ წიგნ-ებ-ად	მაგ მაგიდ-ებ-ად	იმ სურათ-ებ-ად

## კითხვითი ნაცვალსახელები: რანაირი, რომელი

სახ.	რანაირ-ი	რომელ-ი	რანაირ-ებ-ი	რომლ-ებ-ი
მოთხ.	რანაირ-მა	რომელ-მა	რანაირ-ებ-მა	რომლ-ებ-მა
მიც.	რანაირ-ს	რომელ-ს	რანაირ-ებ-ს	რომლ-ებ-ს
ნათ.	რანაირ-ის	რომლ-ის	რანაირ-ებ-ის	რომლ-ებ-ის
მოქმ.	რანაირ-ით	რომლ-ით	რანაირ-ებ-ით	რომლ-ებ-ით
ვით.	რანაირ-ად	რომლ-ად	რანაირ-ებ-ად	რომლ-ებ-ად

## კითხვითი ნაცვალსახელი როგორი

სახ.	როგორ-ი	ცხოველ-ი	როგორ-ი	ცხოველ-ებ-ი
მოთხ.	როგორ-მა	ცხოველ-მა	როგორ-მა	ცხოველ-ებ-მა
მიც.	როგორ	ცხოველ-ს	როგორ	ცხოველ-ებ-ს
